



ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, ნიკა ლოლაძე

NATIA JALABADZE, LAVRENTI JANIASHVILI, NIKA LOLADZE

საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მოსაქვეთი (წარსული და თანამედროვეობა)

THE DAGESTAN SECTION OF THE GEORGIAN–RUSSIAN BORDER
(PAST AND PRESENT)

თბილისი 2025

Tbilisi, 2025

ნათია ჯალაბაძე,
ლავრენტი ჯანიაშვილი,
ნიკა ლოლაძე

საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესვნის მონაკვეთი (წარსული და თანამედროვეობა)

კავკასიის ხალხთა სართაშორისო სამეცნიერო
კვლევითი ინსტიტუტი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

NATIA JALABADZE,
LAVRENTI JANIASHVILI,
NIKA LOLADZE

THE DAGESTAN SECTION OF THE GEORGIAN-RUSSIAN BORDER

(PAST AND PRESENT)

INTERNATIONAL SCIENTIFIC RESEARCH INSTITUTE OF THE PEOPLES OF
THE CAUCASUS

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENTIFIC FOUNDATION



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

მონოგრაფია გამოცემულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობის კონკურსში გამარჯვებული პროექტის, „ეთნოისტორიული პროცესები რუსეთის ფედერაციასთან მოსაზღვრე რეგიონში (დაღესტნის მონაკვეთი)“ (BRG-I-24-617) ფარგლებში.

წინამდებარე მონოგრაფიაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

რედაქტორი: **ვალერიან ვაშაკიძე**

ყდის დიზაინი: **იკატერინა შავთელი**

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2025

© კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 2025

© ვალერიან ვაშაკიძე, ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, ნიკა ლოლაძე, 2025

ISBN 978-9941-523-75-5

This monograph has been published with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia under the framework of the research project “Ethno-historical Processes in the Borderline Region with the Russian Federation (Dagestan Section)” (BRG-I-24-617), which was awarded a 2024 grant by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia for the promotion of research projects and international scientific events on the study of Georgia’s border regions.

Any opinions expressed in this monograph are those of the authors and may not reflect the views of the Foundation.

Editor: **VALERIAN VASHAKIDZE**

Cover design: **EKATERINE SHAVTELI**

© Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, 2025

© International Scientific Research Institute of the Peoples of the Caucasus, 2025

© Valerian Vashakidze, Natia Jalabadze, Lavrenti Janiashvili, Nika Loladze, 2025

ISBN 978-9941-523-75-5

საკრებო/ CONTENTS

რედაქტორისაგან	9
შესავალი	11

თავი I

ნიკა ლოლაძე

მეთოდოლოგიურ-თეორიული ჩარჩო საქართველოსა და დაღესტინის საზღვრის კვლევისთვის	17
1. საზღვარი როგორც პროცესი	17
2. საზღვრის კვლევების ტრანზიცია და მეთოდოლოგიური პლურალიზმი	23
3. ინტერდისციპლინური თეორიული ჩარჩო: საზღვრის ინსტიტუციონალიზაცია და „თხელი“ და „მსხვილი“ (სა) ზღვრების კონცეფცია	27

თავი II

ლავრენტი ჯანიაშვილი

ქართულ-დაღესტნური ურთიერთობის ისტორიიდან	
1. ზოგიერთი რამ უძველესი წარსულიდან	31
ქართული ეკლესიის მისიონერობა და ეთნორელიგიური დილემა დაღესტანში	43
3. ლეკიანობა - ქართლ-კახეთის წალეკვის საფრთხე	51
4. თუშები და დაღესტნელები	70

თავი III

ლავრენტი ჯანიაშვილი, ნათია ჯალაბაძე

1. დაღესტნელები კახეთში (ჩამოსახლება და ტრადიციული ყოფა)	92
---	----

თავი IV

ნათია ჯალაბაძე

1. საქართველო-დაღესტნის საზღვრისპირა ზოლი და მასთან დაკავშირებული ეთნოპოლიტიკური ვითარება	108
2. ყვარლის რაიონის ხუნძები, ავარეთ-კახეთის გზა	129
ყვარლის რაიონის ლეკები და განათლების პრობლემა	146
დასკვნა	158

From the Editor	164
Introduction.....	165

CHAPTER I

Nika Loladze

1. Border as a Process: A Methodological and Theoretical Framework for Research on the Border of Georgia and Dagestan	171
2. Transition and Methodological Pluralism in Border Studies.....	176
3. Interdisciplinary Theoretical Framework: Institutionalisation of the Border and the Concept of “Thin” and “Thick” Boundaries	179

CAPTER II

Lavrenti Janiashvili

From the History of Georgian-Dagestani Relations	182
1. Fragments from the Ancient Past	182
2. Missionary Activities of the Georgian Church and the Ethno-religious Dilemma in Dagestan	192
3. <i>Lekianoba</i> - The Threat of Destruction to Kartli and Kakheti.....	199
4. The Tush and the Daghestanis.....	215

CHAPTER III

Lavrenti Janiashvili, Natia Jalabadze

1. The Dagestanis in Kakheti: Settlement Patterns and the Traditional Way of Life	234
--	-----

CHAPTER IV

Natia Jalabadze

The Georgia-Dagestan Borderline and Related Ethnopolitical Situation	248
1. The Border Problem between Tusheti and Dagestan	248
2. The Khunzi People of Kvareli district, Avaro-Kakheti Road	266
3. The Lezgins of Kvareli District and the Problem of Education	280

CONCLUSION	291
------------------	-----

დანართი:.....	295
---------------	-----

რუკები

რუკა 1 საქართველო-რუსეთის ფედერაციის დაღესტნის რესპუბლიკის საზღვარი	295
რუკა 2 თუშეთი დაღესტნის საზღვრის მონაკვეთი.....	296
რუკა 3 საქართველო იმერეთის გუბერნია (1845წ.)	297
რუკა 4 ტიფლისის გუბერნიის ეთნოგრაფიული რუკა	298
რუკა 5 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია 1921 წლის თებერვლის დასაწყისში	299
რუკა 6 საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, 1947 წელი.....	300
რუკა 7 საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები 2008 წლის ომამდე და ომის შემდეგ	301
რუკა 8 საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები 2008 წლის ომამდე და ომის შემდეგ (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი).....	302

MAPS

Map 1 – Border of Georgia and the Russian Federation’s Republic of Dagestan.....	295
Map 2 – Tusheti–Dagestan border section.....	296
Map 3 – Georgia, Imereti Governorate (1845).....	297
Map 4 – Ethnographic map of the Tiflis Governorate	298
Map 5 – Territory controlled by the Democratic Republic of Georgia at the beginning of February 1921	299
Map 6 – Georgian SSR, Azerbaijani SSR, Armenian SSR, 1947	300
Map 7 – Territories controlled by the Government of Georgia before and after the 2008 war.....	301
Map 8 – Territories controlled by the Government of Georgia before and after the 2008 war (former South Ossetian Autonomous District).....	302

აქაქოქოქისაქაქ

ქართული ხალხი კავკასიის მკვიდრი მოსახლეობაა, რომლის საცხოვრისის ისტორიული საზღვრები ბუნებისაგან გამოკვეთილ მიჯნებს გასდევდა: ჩრდილოეთიდან ძირითადად დიდი კავკასიონის წყალგამყოფ ქედს, სამხრეთიდან – მცირე კავკასიონის მთების სისტემას, დასავლეთიდან – შავ ზღვას, ხოლო აღმოსავლეთიდან – მდ. მტკვრის შენაკადებს (ძეგამი და ალაზან – აგრი-ჩაი). სხვა მიზეზებთან ერთად, სწორედ ამ ბუნებრივი პირობების წყალობაა, რომ ქართველმა ერმა ბევრჯერ თავისზე გაცილებით მრავალრიცხოვანი გარეშე მტრის მოგერიება და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება შეძლო. ჟამთა სიავემ (ხშირად დიდი იმპერიების ზეადმტებულმა ძალამ, ზოგჯერ საკუთარმა ბედოვლათობამ) თავისი მსახვრალი ხელი დაატყო ჩვენი სამშობლოს ისტორიულ სამანებს... არადა, ეროვნული ტერიტორია იქ მოსახლე ეთნოსის მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებაა, მისი კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხატია, რომლის შელახვა, თუნდაც ნაწილობრივი, თაობების ეთნოფსიქოლოგიაში ხელშესახებ ცვლილებებს იწვევს.

ყოველი ეთნოსი ჰარმონიულადაა შერწყმული იმ ბუნებრივ გარემოსთან, სადაც მას ცხოვრება და საქმიანობა უწევს. სხვანაირად წარმოდგენელია, რადგან ის არის ამ ხალხის საიმედო თავშესაფარი, მარჩენალი, ცხოვრების წესის მიმცემი, ეროვნული ხასიათის განმსაზღვრელი; ეს მამა-პაპის მიწაა, სამშობლოა... ამიტომაც მისი თვალის ჩინივით მოვლა და დაცვა ყველა ეპოქაში ღვთისაგან დაკისრებულ მოვალეობად ითვლებოდა. გამონაკლისს არც ქართველი ერი წარმოადგენს. „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ხელყოფისას იყო „გლოვად და მწუხარებად ყოველთა ზედა ქართველთა“. და ეს ერთი შემთხვევა არ არის. ჩვენი წინაპარი, რომელიც ასე მტკივნეულად აღიქვამდა მარცხს, არასდროს ეგუებოდა მომხდურისაგან თუნდაც გოჯი მიწის მიტაცებას, მოძალადეს ჯეროვნად უხვდებოდა და თავგანწირვით იბრძოდა წართმეულის დაბრუნებისათ-

ვის. ასე მოვედით უძველესი დროიდან მოკიდებული დღემდე.

წინამდებარე ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი ის რთული პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნო-სოციალური და კულტურული პროცესები, რომლებიც საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დაღესტნის მონაკვეთისთვის არის დამახასიათებელი. დიდი გამოცდილებისა და თავის საქმის უბადლოდ მცოდნე მკვლევართა ჯგუფი (ნ. ჯალაბაძე, ლ. ჯანიაშვილი, ნ. ლოლაძე) უახლესი მეთოდოლოგიით მიუდგა ისეთ მრავალფეროვან და კომპლექსურ ფენომენს, როგორიც თანამედროვე საზღვარია. მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის, ნარატიული და დოკუმენტური წყაროების გამოყენებით, სავსე-ეთნოგრაფიული მასალის მოძიებითა და ანალიზით შესაძლებელი გახდა ყველა იმ პრობლემის წარმოჩენა, რაც ზემოხსენებულ სასაზღვრო მონაკვეთზე არსებობს. ეს კი იმის დამსახურებაა, რომ ზემოხსენებული კვლევა ინტერდისციპლინური ხასიათისაა. შესაბამისად, კოლექტიურ მონოგრაფიაში გამოთმული დასკვნები და რეკომენდაციები მრავალმხრივ საყურადღებოა. სწორედ ამიტომ ნაშრომი მხოლოდ მეცნიერული და სასწავლო ღირებულებისა არ არის და მას დიდი პრაქტიული დანიშნულება აქვს. ეს მაფიქრებინებს, რომ წიგნი აუცილებლად მიიპყრობს არამხოლოდ სპეციალისტების, არამედ მკითხველი საზოგადოების ინტერესს.

შესავალი

წინამდებარე კოლექტიური მონოგრაფია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2024 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურში გამარჯვებული პროექტის (BRG-I-24-617 _ ეთნოისტორიული პროცესები რუსეთის ფედერაციასთან მოსაზღვრე რეგიონში (დაღესტნის მონაკვეთი)) ბაზაზე განხორციელებული კვლევის შედეგია და ამ მიმართულებით ავტორთა ხანგრძლივი საქმიანობის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს.¹

სასაზღვრო რეგიონების შესწავლა მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხს. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საზღვრებზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა ქართული სახელმწიფოსთვის უმთავრეს ამოცანად რჩება, რის გამოც ამ ტიპის კვლევას არამარტო სამეცნიერო-თეორიული, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. დღევანდელ საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად კავკასიაში და ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში, სახელმწიფო საზღვრის საკითხი უკავშირდება სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და ეროვნულ იდენტობას. შესაბამისად, საზღვრის მნიშვნელობა ცდება მხოლოდ ფიზიკურ-გეოგრაფიულ განზომილებას და იძენს სოციო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დატვირთვას. სახელმწიფო საზღვრები, რომლებიც ტრადიციულად აღიქმე-

1 ჯალაბაძე ნ., ვაშაკიძე ვ., ჯანიაშვილი ლ., ურუშაძე ვ. საზღვრისპირა მოსახლეობა ძველად და ახლა (კახეთი), თბ. 2022; ჯანიაშვილი ლ., მელიქიშვილი ლ., მამარდაშვილი გ., ურუშაძე ვ., ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაცია ქვემო ქართლში (სომხები და აზერბაიჯანელები), თბ. 2021; თოფჩიშვილი რ., ბაგრატიონი, გაგომიძე გ., გოგოჭური გ., ჯალაბაძე ნ., ჯანიაშვილი, ლ., ავთანდილაშვილი გ., თრუსო - ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები, თბ. 2021; ჯანიაშვილი ლ., ოსთა საკითხი ყაზბეგის რეგიონში, თბ. 2017; ჯალაბაძე ნ., ყაზბეგის რაიონის ოსები ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში: ქართულ-ოსური ურთიერთობის პერსპექტივა ყაზბეგის რაიონში, თბ. 2017 და ა.შ.

ბოდა როგორც ფიქსირებული, ბუნებრივ ან კონვენციურ ხაზებზე დაფუძნებული გამყოფები, თანამედროვე კვლევებში უფრო და უფრო ხშირად განიხილება როგორც ისტორიულად კონსტრუირებული, პოლიტიკურად მართული და სოციალურ-ეკონომიკურ პრაქტიკებზე დამოკიდებული ფენომენი.

განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვარი, რადგან რუსეთის ფედერაცია ქართული სახელმწიფოს არსებობის უმთავრეს საფრთხედ აღიქმება; მას ქვეყნის 20% აქვს ოკუპირებული და ჰიბრიდული ომის გზით ცდილობს საქართველოს საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცევას. ამასთანავე, სხვა მეზობელი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან სრულიადაა შეწყვეტილი და არც საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესი მიმდინარეობს, რაც ზრდის საზღვრის თვითნებურად გადმოწევის რისკს. ოკუპირებული რეგიონების გარდა, ტერიტორიების უკანონო მიტაცებას რუსეთის მიერ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთშიც ჰქონდა ადგილი; კერძოდ, ჭანჭახოვანის ხეობაში (თუშეთი) მდებარე სოფლებში ჭეროსა და ინწუხში. ისტორიულად ეს სოფლები, რომელებიც დაღესტნის რესპუბლიკის წუნტის რაიონს ესაზღვრება, ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ მე-19 საუკუნეში ლეკიანობის შედეგად დაიცალა. 1990-იან წლებში აქ რუსი და ქართველი მესაზღვრეები მორიგეობით პატრულირებდნენ, 2006 წელის შემდეგ კი აღნიშნულ ტერიტორიას მთლიანად რფ აკონტროლებს. აღსანიშნავია, რომ რუსების მხრიდან პროვოკაციული ქმედებები სხვა დროსაც არაერთხელ მომხდარა, მაგ., 2018 წლის 28 ივნისს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში საქართველო-რუსეთის დაღესტნის მონაკვეთზე რუსებმა ორი ქართველი მესაზღვრე გაიტაცეს, ასევე ცნობილია ქართველი მწყემსების გატაცების შემთხვევებიც. ქართულ საზოგადოებაში შემოფოთება გამოიწვია, რამდენიმე წლის წინ, რუსული მხარის მიერ დაგეგმილმა „ავარეთ-კახეთის“ გზის მშენებლობა-რეაბილიტაციამ. ეს გზა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მეტად მომგებიანია რფ-სათვის, მაგრამ არსებულ ვითარებაში სრულიად მიუღებელი ქართული

მხარისათვის. საკვლევი საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს საქართველოში არსებული ცვალებადი პოლიტიკური განწყობებისა და საერთაშორისო გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.

კვლევა განხორციელდა კახეთის ოთხ მუნიციპალიტეტში (ახ-მეტა, თელავი, ყვარელი და ლაგოდეხი). ამ სასაზღვრო ზოლზე რამდენიმე უღელტეხილი (მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყადორი) არსებობს, მაგრამ სამანქანო გზა საბჭოთა პერიოდშიც არ გაკეთებულა და ამიტომ კახეთის და დაღესტნის მოსახლეობა ერთმანეთს საცალფეხო ბილიკებით უკავშირდებოდა. ქართველები ყველა დაღესტნელს ლეკს ეძახდნენ და მათთან დამოკიდებულებას მეტ-ნაკლებად აგებენ ისტორიული მეხსიერებაში ჩაკირულ ნარატივებზე. გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს დანგრევის შემდეგ ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა ეთნიკური და რელიგიური ნიშნებით განსხვავებულ ჯგუფთა დაპირისპირებისა და ღია კონფრონტაციისათვის. ზემოაღნიშნულს თან ერთვის ისტორიული რაკურსი: კახეთის ქრისტიან მოსახლეობაში დაღესტნელი/ლეკი აღიქმებოდა (დღესაც ნაწილობრივ ასეა) როგორც მტერი, ყაჩაღი და მოძალადე.

დღევანდელი კახეთი ძირითადად ძველი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების: თუშეთის, კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა. მისი საზღვრები ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. უძველესი დროიდან ეს იყო საკონტაქტო ტერიტორია, სადაც შეხება ჰქონდა ქართველური და სხვა კავკასიური, მათ შორის დაღესტნური, მოდგმის მოსახლეობას. ადრე შუასაუკუნეებში მთიან დაღესტანს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართლის სამეფოსთან, რომელიც ბიზანტიასა და ალბანეთთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩრდ. კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებაში. ქართლის მესვეურები ლეკებს აქტიურად იყენებდნენ საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაშიც, რაც მკაფიოდ დასტურდება ქართული წერილობითი წყაროებით. გარკვეულ პერიოდში კი ხუნძები ნომინალურად ქართულ პოლიტიკურ სივრცეშიც შემო-

დიოდნენ. კავკასიაში თემურ ლენგის ლაშქრობებმა და ერთიანი საქართველოს დაშლამ სათავე დაუდო ქართული სამყაროსგან დაღესტნის პოლიტიკურ და კულტურულ დისტანცირებას. ამის შემდეგ ლეკთა გამუდმებულმა თავდასხმებმა, აღმოსავლეთ კახეთში მათმა მასობრივმა ჩამოსახლებამ და მეკობრეობამ („ლეკიანობამ“) გაუსაძლისი ფორმა მიიღო. ეს მტკივნეული პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსივობით სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის გაბატონებამდე გაგრძელდა. გვიან შუასაუკუნეებში მწვავე დაპირისპირების ხასიათი შეიძინა ქართველი და დაღესტნელი მთიელების ურთიერთობამაც. ეს რელიგიური ფაქტორის გარდა განპირობებული იყო ქართლის მთიანეთში ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტებით და ფორმალური სამართლის სისტემის თითქმის მთლიანად ჩვეულებითი სამართლით ჩანაცვლებით. მთაში გვარის, თემის, სოფლის და მეზობელი საზოგადოებების ურთიერთობათა ხასიათი და ეთიკური ღირებულებათა სისტემა ბარის რეგიონისაგან განსხვავდებოდა. აქ ცხოვრების წესად იქცა მეკობრეობა, მეზობელი ხალხის, სოფლისა თუ თემის ქონების დაპატრონება ძალადობრივი გზით. ქართველ მთიელებსა და მათ ჩრდ. კავკასიელ მეზობლებს შორის ურთიერთობას ეს გარემოება მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა. არც ქართველებს და არც მათ მეზობელ მთიელებს ცხვარ-ძროხისა და ცხენების გამორეკვა-მოტაცება სამარცხვინოდ არ მიაჩნდათ, პირიქით ასეთი ქცევა დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა და ამგვარ ქმედებას ხშირად საგმირო ლექსებსაც უძღვნიდნენ.

XVII საუკუნეში ჰერეთის აღმოსავლეთში (კაკი/კახი) ჩამოყალიბდა ავარიელი და წახურელი ლეკების „თავისუფალი თემები“ და შეიქმნა ორი პოლიტიკური ერთეული: ჭარ-ბელაქნისა (კაკ-ენი-სელი) და ელისუს სასულთნოები. მოგვიანებით, ჭარ-ბელაქნისა და ელისუს სასულთნოების გარდა, დაღესტნელთა მცირე ნაწილი ყვარლის მიდამოებშიც დამკვიდრდა. ეს ლეკები კახეთის ზამთრის საძოვრებით სარგებლობდნენ და ბეჟანინანის მინდორზე (დღევანდელი ახალსოფლის მიდამოები) მდინარე შოროხევის სანაპიროზე გამოსაზამთრებლად გადმოდიოდნენ. თავდაპირველად

ისინი აქ სეზონურად ცხოვრობდნენ, საძოვრების გამოყენებისათვის „საბალახეს“ იხდიდნენ და ცხვრის ფარებს მხოლოდ მწყემსები მოჰყვებოდნენ; მოგვიანებით ოჯახებით დაიწყეს სიარული, საკარმიდამო ნაკვეთები დაისაკუთრეს და რამდენიმე დროებითი დასახლებული პუნქტი შექმნეს. ეს პროცესი XX საუკუნის 50-იან წლებამდე გაგრძელდა (დღეისათვის ხუნძები ცხოვრობენ ყვარლის სოფლებში: ჩანთლისყურე, თივი, სარუსო).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიაში შექმნილმა სიტუაციამ და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკამ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის რიგ ხალხს შორის ხიდი გაურკვეველი დროით ჩატეხა. პოსტსაბჭოთა პერიოდში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენების გამოისობით (რუსეთ-ჩეჩნეთის ორი ომი, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის და ყარაბაღის კონფლიქტები, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, მისი თანმდევი ბორდერიზაცია და სხვა.), ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ურთიერთობა, საბჭოთა პერიოდთან შედარებით, სრულიად განსხვავებული მიმართულებით წარიმართა. რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩენილმა ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკურმა სუბიექტებმა საქართველოსგან იზოლაციის უარყოფითი შედეგები არამარტო პოლიტიკური და სოციო-კულტურული, არამედ ინტერეთნიკური კავშირების კუთხითაც გამოსცადეს. ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ხალხთა შორის ფიზიკური და, შესაბამისად, სოციო-კულტურული კავშირების ხელოვნურად შეფერხება/გაწყვეტა იმ კანონზომიერების დარღვევა იყო, რაც ისტორიულად საფუძველს უქმნიდა კავკასიელი ხალხების ერთობას. ეს ვითარება თავისებურად აისახა კახეთში მცხოვრებ ლეკებზეც. გასული საუკუნის 90-იან წლებში ხუნძების ნაწილი დაღესტანში გადასახლდა. ყვარლის რაიონში 4 ათასზე მეტი ლეკიდან დაახლოებით 2 ათასი ადგილზე დარჩა და მეზობელ ქართველებთან ერთად მოუწია სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისთან გამკლავება.

მონოგრაფია ინტერდისციპლინურია (ისტორია, ეთნოლოგია, გეოგრაფია), სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის ახალი ემპირიული მასალა; გამოიკვეთა საკვლევ სასაზღვრო რეგიონში მიმდი-

ნარე სოციოკულტურულ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ ტრანსფორმაციათა თავისებურებები; შემუშავდა ახალი თეორიული მიდგომები. მუშაობის პროცესში ვისარგებლეთ საარქივო მონაცემებით, სამეცნიერო ლიტერატურით, საველე-ეთნოგრაფიული მასალით და ინტერნეტრესურსებით. საველე სამუშაოები ჩატარდა კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის გამოყენებით, რაც მოიცავს უშუალო დაკვირვებასა და ინტერვიუებას. ინტერდისციპლინური მიდგომა განაპირობებს გამოკვლევის ინოვაციურობასაც. წიგნს აქვს როგორც სამეცნიერო-თეორიული, ასევე საგანმანათლებლო და პრაქტიკული დანიშნულება.

მადლობას ვუხდით ჩვენს კოლეგებს: ნ. აზიკურს, გ. იჩუაიძეს, ნ. იდოიძეს, რომელთაც კონსულტაცია გაგვიწიეს წიგნზე მუშაობისას. ასევე ჩვენს მთხრობლებს.

თავი I

ნიკა ლოლაძე

გეოგრაფიკ-თეორიული ჩაჩო საქათველოსა და ღალესწინის საზღვის კვლევისთვის

1. საზღვარი როგორც პირობა

თანამედროვე სამყარო საზღვრების სამყაროა, სადაც ტერიტორიული, პოლიტიკური, იურიდიული და ეკონომიკური საზღვრები უშუალოდ ზემოქმედებენ ცხოვრების სოციალურ ასპექტებზე. მიუხედავად გლობალიზაციური პროცესების, საზღვრების გახსნისა და გლობალური მობილობის ზრდისა - დღევანდელ მსოფლიოში საზღვრების რაოდენობა და ნაირსახეობა ისტორიულ მაქსიმუმზეა.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, მსოფლიოს მასშტაბით ასობით ახალი საზღვარი გაჩნდა: ტერიტორიების გასამიჯნად გაივლო ათასობით კილომეტრი მავთულხლართი/ღობი; აღიმართა მილიონობით კუბური მეტრი ბეტონის კედელი (მექსიკა - აშშ, ისრაელი - პალესტინა), აშენდა/ამოქმედდა ათასობით მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი,¹ გაიზარდა დეპორტაციების რიცხვი. შეიქმნა და დაიხვეწა საპასპორტო მონაცემთა ბაზები, საზღვრის კვების უსაფრთხოების ტექნოლოგია და პროცედურული მექანიზმები.²

დღევანდელ მსოფლიოში საზღვრების მნიშვნელობაზე საუბრისას, აღსანიშნავია COVID-19-ის პანდემიისა და ლტოლვილთა, დევნილთა და ეკონომიკურ მიგრანტთა გაზრდილი ნაკადების მნიშვნელობა და შედეგები, რამაც საზღვრების კვლევის მიმართულებითაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა. მკაცრმა საკარა-

¹ GDP (Global Detention Project), ხელმისაწვდომია: <https://www.global-detentionproject.org/detention-centres/list-view> ნანახია 18.10.2025.

² Nail, Thomas., Theory of the border. Oxford University Press. 2025.

ნტინო ზომებმა და გადაადგილების შეზღუდვებმა საზღვრები გადააქცია „ფილტრებად“, რომლებიც არეგულირებდნენ არამხოლოდ ადამიანთა გადაადგილებას, არამედ ვირუსის გავრცელების შიშთან დაკავშირებულ სოციალურ ურთიერთობებსაც. აღნიშნულმა გამოცდილებამ თვისებრივად შეცვალა სასაზღვრო ინსტიტუციების დამოკიდებულება და კონტროლის მექანიზმები კიდევ უფრო კომპლექსური გახდა.¹

ამავდროულად, დღევანდელ საქართველოში, ისევე როგორც კავკასიაში და ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში, სახელმწიფო საზღვრის საკითხი მძაფრად უკავშირდება სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და იდენტობის საკითხებს. შესაბამისად, საზღვრის მნიშვნელობა სცდება მხოლოდ ფიზიკურ გეოგრაფიულ განზომილებას და იძენს სოციო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დატვირთვას. სახელმწიფო საზღვრები, რომლებიც ტრადიციულად აღიქმებოდა როგორც ფიქსირებული, ბუნებრივ ან კონვენციურ ხაზებზე დაფუძნებული გამყოფები, თანამედროვე კვლევებში უფრო და უფრო ხშირად განიხილება როგორც ისტორიულად კონსტრუირებული, პოლიტიკურად მართული და სოციალურ-ეკონომიკურ პრაქტიკებზე დამოკიდებული ფენომენი. მსგავსი მიდგომა აქტუალურია ისეთი მკაფიო ფიზიკური და ისტორიული საზღვრის შემთხვევაშიც კი როგორიც კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედია.

წინამდებარე ნაშრომის საკვლევი საკითხი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის (დაღესტნის რესპუბლიკის) კავკასიონის ქედზე გამავალი საზღვრის მონაკვეთია. მისი სიგრძე 143 კმ.-ს შეადგენს და დიკლოს მთიდან სამხრეთით ბუციაბის ქედის თხემით მიემართება მ. სარმაღელესკენ (2596 მ.) და გადასასვლელის გავლით კვეთს მდ. ანდის - ყოისუს, ახატლის ქედის თხემით და მ. პატარანაბადის (3252 მ.), მ. ენჩოს (3304 მ.), მ. შავიკოდის (3578 მ.) გავლით მიუყვება კავკასიონის ცენტრალური ქედს, კვეთს ყადორის (2363 მ.) გადასასვლელს და მ. ნინიკას-ციხიდან (3116 მ.) უხ-

¹ Paasi, A., *Geographies of borders and bordering*. წიგნში Border Studies (გვ. 47-67). Edward Elgar Publishing. 2025.

ვევს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და მთავრდება აღმოსავლეთით ტინოვროსოს მთაზე (იხ. რუკა 1).¹

საქართველოსა და დაღესტნის რეპუბლიკას შორის მოქცეული საზღვრის ხაზზე განლაგებული გადასასვლელებიდან აღსანიშნავია ვანთლიაშეთის (2441მ.), სარმაღელეს (2596მ.), ყადორის (2363 მ.), ხიმრიკის (2760 მ.), მსხალგორის (2940მ.), მაჩხალროსოს (3066 მ.), მუშაკის (2675მ.), დურუჯის (2884მ.) უღელტეხილები და ხუბიარას (2402მ.) და ახტალის (3162მ) გადასასვლელები.² ჩამოთვლილთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვანთლიაშეთისა და ახატლის გადასასვლელები, სადაც სატელიტური ფოტოებიდან ცხადად ფიქსირდება დაღესტანის მხრიდან გაჭრილი გზები (იხ. რუკა 1-2).

რადგან ნებისმიერი საზღვარი, თავისი არსით, დინამიკურია - ხოლო “ბუნებრივს” და “ისტორიულს” არ გააჩნია ერთმნიშვნელოვანი საზღვრის ფუნქცია, სხვა, ერთი შეხედვით “მაფიო ბუნებრივი და ისტორიული საზღვრების” მსგავსად, აღნიშნული საზღვარიც არაერთხელ გამხდარა სადავო და ქცეულა პოლიტიკური მანიპულაციების საგნად. მეტიც, ამ რეგიონში საზღვარი არასდროს ყოფილა სტატიკური.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი დღემდე არ არის დემარკირებული, რაც ქმნის სამართლებრივი გაურკვევლობის და საზღვრის მორიგი თვითნებური ცვლილებების საფრთხეს. აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება მცოცავი ოკუპაციის პროცესებში, რომლებიც ფიქსირდება როგორც ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ, ასევე უშუალოდ ჩვენ საკვლევ მონაკვეთშიც, ჭანჭახოვანის ხეობასა და იქ მდებარე სოფლების — ჭეროსა და ინწუხის შემთხვევაში, რომლებსაც 2006 წელს მომხდარი ინციდენტის შემდეგ, საქართვე-

¹ კეკელია, ჯ., საქართველოს ტერიტორია და საზღვრები (მე-2 გამოცემა). გამომცემლობა ინტელექტი. თბილისი 2006. გვ 78.

² იქვე, გვ, 84-85. შენიშვნა: წყაროში მოხსენიებულია მხოლოდ ვანთლიაშეთის, სარმაღელეს, ყადორის, ხიმრიკის, მსხალგორის, მაჩხალროსოს გადასასვლელები. დანარჩენი გადასასვლელები დამატებულია ავტორის (ნ. ლოლაძის) მიერ, სავლელ სამუშაოებსა და გეოინფორმაციულ მონაცემებზე დაყრდნობით

ლოს ხელისუფლება ვედარ აკონტროლებს (იხ. რუკა 2).¹

რუსეთის ფედერაციის გაფართოების პოლიტიკის, მიმდებარე ხეობებში სამხედრო ობიექტებისა და გზების ინტენსიური მშენებლობის ფონზე, განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დგას თუშეთი. გარემოებას კიდევ უფრო ამძიმებს საგზაო ინფრასტრუქტურის არარსებობა, რაც თუშეთის 7–8 თვიან იზოლაციას იწვევს. აღნიშნულზე ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაკვეთილ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის 2018 წლის დოკუმენტშიც.²

კავკასიონის ქედზე გამავალი სასაზღვრო ზოლის დინამიკა, განსაკუთრებით XIX საუნიდან, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ხდება აქტიური. უახლეს ისტორიაში - საბჭოთა წარსულმა, შემდგომ კი პოსტსაბჭოთა პოლიტიკურმა რეალიებმა ეს დინამიკა კიდევ უფრო გაამძაფრა. მაგალთად, ქარ-ბელაქნის ოლქი (გვიანდელი საინგილო), რომლის ჩრდილოეთი საზღვარი გადიოდა კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე, XIX საუკუნის დასაწყისიდან განსხვავებული სტატუსით (მაზრა, ოლქი, სამხედრო ოკრუგი) მონაცვლეობდა უშუალოდ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულის, მათ შორის საქართველო-იმერეთის გუბერნიის შემადგენლობაში. იგი მოგვიანებით, საქართველოს პირველ რესპუბლიკაში შედიოდა, ხოლო საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ გადაეცა აზერბაიჯანს (იხ. რუკა 3, 4, 5).³ გარდა ამისა, იმავე XIX საუკუნეში, 1859 წლის 19 ივნისს კავკა-

1 კვახაძე, ა., სადავო საზღვრები ჩრდილოეთ კავკასიაში და მისი გამოძახილი საქართველოში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. ხელმისაწვდომია: [2 აბულაძე, გ., გოცირიძე, გ., ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროექტი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ხელმისაწვდომია: <https://moi.gov.ge/ka/about/საქმიანობა/სივრცითი-მოწყობა/ახმეტა>](https://gfsis.org.ge/ge/publications/view/2699?__cf_chl_tk=9.L_s9FgCxtSBovRaU9P8_Ds2t1GA0XfclY7nJKQNTk-1673455782-0-gaNycGzNCL0; ჯალაბაძე, ნ., ჯანიაშვილი, ლ., ლოლაძე, ნ., ბორდერიზაცია და ქართულ-ოსური ურთიერთობები ოკუპირებულ რეგიონში. თბ.2022.</p></div><div data-bbox=)

3 ვარდოსანიძე, ს., გურული, ვ., ხარაძე, კ., ჯიქია, ლ., კვარაცხელია, მ., საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია (1917-1957).

სიის მეფისნაცვალმა ა. ბარიატინსკიმ კავკასიონის წყალგამყოფ ქედს მიღმა მდებარე საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, დვალეთი (ტიფლისის გუბერნიის ოსეთის ოკრუგის ნარის უბანი) - თერგის ოლქს შეუერთა. შედეგად, საზღვარმა კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე გადმოინაცვლა.¹

უახლეს ისტორიაში კავკასიონის ქედზე გამავალი სახელმწიფო საზღვრის ცვლილების გამორჩეულ შემთხვევას წარმოადგენს 1943-1955 წლებში, საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შესული ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ტერიტორიები: ქლუხო-რის და ახალხევის რაიონები (რუკა 6).² ხოლო XXI საუკუნის ტრაგიკულ მაგალითს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის (ყსოაო) ავტონომიური ოლქის ტერიტორიების ოკუპაცია, ცალმხრივი აღიარება და ბორდერიზაციის პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება (იხ. რუკა 7-8).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის ამთავრებამდე გარკვეული ტერიტორიული ცვლილება/კორექტირება გარდაუვალია და სადავო ტერიტორიების მცირე მასშტაბის მიუხედავად, გასათვალისწინებელია, რომ საზღვრის ცვლილების ნებისმიერი პროცესი კავკასიის რეგიონში ყოველთვის მტკივნეულად აღიქმება.³

ამ ეტაპზე, საქართველოს ოთხი მოსაზღვრე სახელმწიფოდან, დელიმიტაცია-დემარკაცია მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკის მონაკვეთზეა დასრულებული, დანარჩენ მეზობლებთან აღნიშნული პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს ან შეჩერებულია გაურკვეველი დროით; მაგალითად, საქართველოს და აზერბაიჯანს შეთანხმებული აქვთ სახელმწიფო საზღვრის დაახლოებით 2/3 და ერთ-

გამომცემლობა “ქართული უნივერსიტეტი”, 2015. გვ. 125-131.

1 თოფჩიშვილი, რ., დვალეთი და დვალეები: საქართველოს დაკარგული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე და ქართველთა გამქრალი ეთნოგრაფიული ჯგუფი. თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი”. 2016. გვ 39-40.

2 ვარდოსანიძე, ს., გურული, ვ., ხარაძე, კ., ჯიქია, ლ., კვარაცხელია, მ., საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია (1917-1957). გვ. 254-279

3 აღ. კვახაძე, დასახ. ნაშრომი

ერთ მნიშვნელოვან სადავო მონაკვეთად დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი რჩება.¹

საქართველოსა სომხეთის საზღვრის მონაკვეთის დაახლოებით ნახევარია (110 კილომეტრი) დელიმიტირებული. სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, ქვეყნებს შორის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაცია ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია და უახლოეს მომავალში უნდა დასრულდეს.²

რაც შეეხება საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო მონაკვეთს, მათ შორის საქართველო-დაღესტნის საზღვარს - დელიმიტაცია/დემარკაციის პროცესი ოფიციალურად შეწყვეტილია აფხაზეთისა და ყსოაო-ს დეოკუპაციამდე.³ მტრულად განწყობილ ქვეყანასთან არსებული სასაზღვრო ზოლის აღნიშნული გაურკვეველი მდგომარეობა ქმნის არა მხოლოდ სამართლებრივ და დიპლომატიურ არასტაბილურობას, არამედ პირდაპირ აისახება იმ ადამიანების ყოველდღიურობაზე, სოციალურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ ქცევაზე, რომლებიც ამ ზოლში ცხოვრობენ. სოფლებში, რომლებიც ახლოს მდებარეობს არადემარკირებულ საზღვართან, ადგილობრივების წარმოდგენები იმაზე, თუ სად მთავრდება საქართველო და სად იწყება რუსეთი, გარკვეულ შემთხვევებში, სცდება ოფიციალურ რუკებს. სწორედ ამ სივრცეში იკვეთება საზღვრის როგორც ფიზიკური ხაზის და როგორც სოციალური გამოცდილების განსხვავება. სახელმწიფო პოლიტიკები, უსაფრთხოების რეჟიმები, ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიული მეხსიერება, ეკონომიკური დამოკიდებულებები

1 რადიო თავისუფლება., საქართველომ და აზერბაიჯანმა საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხის განხილვა დაგეგმეს., 2023. ნანახია 18.10.2025 ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32466303.html>.

2 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო., "საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის პოლიტიკური კონსულტაციების მორიგი რაუნდი გაიმართა", 2024. ხელმისაწვდომია: <https://mfa.gov.ge/ka/news/967140-saqartvelosa-da-somkhetis-respublikas-shoris-politikuri-konsultatsiebis-morigi-raundi-gaimarta> ნანახია: 7.10.2025.

3 ნეტგაზეთი - რუსეთთან დელიმიტაცია-დემარკაცია დამთავრდება ერთიანი საქართველოს საზღვრების ფარგლებში — ღარიბაშვილი., 2021. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/569455/> ნანახია 8.10.2025.

და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ქმნის კომპლექსურ ქსელს, რომელიც განსაზღვრავს იმ სოციალურ პრაქტიკებს, რომლითაც საზღვარი დინამიკაში მოდის და ყოველდღიურ რეალობად იქცევა.

დღესდღეობით ჩვენი საკვლევი საქართველო-დაღესტნის საზღვრის გარშემო არსებული ბუნდოვანება დიდი გეოპოლიტიკური გამოწვევების მნიშვნელოვანი ფრაგმენტია. ამავდროულად, ეს ბუნდოვანება ქმნის საინტერესო საფუძველს იმგვარი თეორიული ანალიზისთვის, რომელიც საზღვარს განიხილავს არამხოლოდ როგორც ფიზიკურ და პოლიტიკურ ხაზს, არამედ როგორც ცოცხალ სოციალურ სივრცეს, რომელიც მუდმივად იქმნება და იცვლება. კვლევაში გამოყენებული თეორიული სინთეზი ემყარება საზღვრის კვლევების კრიტიკულ მიდგომას, განსაკუთრებით კი მობილობის, სივრცისა და ძალაუფლების ურთიერთქმედების გააზრების მნიშვნელობას. ემპირიული მასალა მოიცავს ინტერვიუებს სასაზღვრო სოფლებში მცხოვრებ ადამიანებთან, რომლებიც აღწერენ საკუთარ ყოველდღიურ ყოფას, აღქმებსა და საზღვართან დაკავშირებულ გამოცდილებებს.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველო-დაღესტნის საზღვრის მონაკვეთის ისტორიული, გეოგრაფიული და სოციალური თავისებურებების თეორიული ჩარჩოს/წინამძღვრების ჩამოყალიბებას იმ ფონზე, როცა საზღვარი განიხილება არა როგორც ფიქსირებული ხაზი რუკაზე, არამედ როგორც სივრცე და პროცესი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს იდენტობის, ძალაუფლებისა და მესხიერების ფორმირებაში.

2. საზღვრის კვლევების ზიანზიზი და მეთოდოლოგიური პრაქტიკა

საზღვრის კვლევების აკადემიური მიმართულება თავდაპირველად გეოპოლიტიკისა და პოლიტიკური გეოგრაფიის სპეციალიზირებულ სფეროდ ჩამოყალიბდა და ტრადიციულად საზღვრებს მხოლოდ სახელმწიფოთაშორის გამყოფ “ბუნებრივ” და “ხელოვნ-

ნურ” ელემენტად განიხილავდა.¹ თუმცა, ბუნებრივსა და ხელოვნურ საზღვრებს შორის ის განსხვავება, რომელსაც ადრეული თეორეტიკოსები² გვთავაზობდნენ, დღეს აქტუალურად აღარ ითვლება. საქმე იმაში არ არის, რომ დღევანდელი საზღვრები რადიკალურად განსხვავდება წარსულისაგან; პრობლემა ისაა, რომ ისტორიის მანძილზე „ბუნებრივი“ გამყოფები, როგორც საზღვრები, ყოველთვის “ხელოვნურად” ანუ ადამიანების/საზოგადოებების მიერ იყო შეთანხმებული, დელიმიტირებული, დადგენილი და უზრუნველყოფილი. მდინარე, ქედი, მთა და ა.შ. მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს საზღვრად, როცა ამ სტატუსს კონკრეტული სოციალური ეფექტი ახლავს, მაგალითად: ინფრასტრუქტურა, გზა, ხიდი, საბაჟო და, რაც მთავარია, საზოგადოებრივად აღიარებული დაყოფა.³

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, მსოფლიოს საზღვრების რაოდენობის ზრდამ, რაც დაკავშირებულია დიდ გეოპოლიტიკურ ძვრებთან, სუვერენიტეტთან, ომებთან, პანდემიებთან, მოქალაქეობის საკითხებთან, უსაფრთხოებასთან, მიგრაციასთან, სოციალურ სამართალთან და სხვა სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებთან, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში საზღვრის კვლევების მნიშვნელოვანი გაფართოება განაპირობა. შესაბამისად, თუკი საზღვრის კვლევა ადრე ერთმნიშვნელოვნად გეოპოლიტიკურ ჭრილში განიხილებოდა, თანამედროვე მდგომარეობაში

1 Nail, T., *Theory of the border*. Oxford University Press. 2025 გვ. 7

2 Giddens, A., *The Nation-State and Violence*. Berkeley: University of California Press, 1987, გვ. 50.

Ancel, J., *Les frontières: Étude de géographie politique*, Recueil des cours vol. 55. Paris, 1936. Ancel, J., *Géopolitique*. Paris: Delagrave, 1936.

Hartshorne, R., “Geographic and Political Boundaries in Upper Silesia.” *Association of American Geographers* 23.4 (1933): გვ. 195–228.

House, J., “The Frontier Zone: A Conceptual Problem for Policy Makers.” *International Political Science Review* 1 (1980): გვ. 456–477.

Martinez, O., “The Dynamics of Border Interaction: New Approaches to Border Analysis.” In *World Boundaries*, vol. 1, *Global Boundaries*, edited by Clive Schofield, 1–15. London: Routledge, 1994.

Prescott, V., *Political Frontiers and Boundaries*. London: Allen & Unwin, 1987.

Ratzel, F., *Politische Geographie*. Leipzig: R. Oldenbourg, 1897.

3 Nail, T., Nail, T., *Theory of the border*. გვ. 7

მით, მულტიდისციპლინურ, კომპლექსურ საკვლევ საკითხს წარმოადგენს. თავის მხრივ, ეს კომპლექსურობა არ არის მხოლოდ კონცეპტუალური, რადგან საზღვრები პრაქტიკაში მატერიალიზდა “მსხვილ” და მრავალშრიან კონსტრუირებულ ფენომენად.¹

აღნიშნული ეპისტემიოლოგიური ცვლილება საზღვარს არამხოლოდ სტატიკურ ელემენტად, არამედ პროცესადაც განიხილავს, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის გამოცდილება ეჯახება სახელმწიფოების პოლიტიკებს; სადაც კონფლიქტი და თანამშრომლობა თანაარსებობს; სადაც ეროვნული სიმბოლოები და ყოველდღიურობა იკვეთება. „რეალურ სამყაროზე“ ორიენტირებამ კი საზღვრები აქცია, როგორც მართვის ინფრასტრუქტურად, ისე იდენტობისა და კუთვნილების ძლიერ მეტაფორად.

საზღვრის კვლევა, მისი კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, ანალიზის განსხვავებულ დონეებს მოითხოვს, დღემდე არ არსებობს ერთი უნივერსალური მიდგომა ან თეორია, რომელიც დომინანტურად ჩაითვლებოდა ამ სფეროში; როგორც ანსი პაასი აღნიშნავს, „ვინაიდან საზღვრები კონტექსტზე დამოკიდებული ფენომენია, ზოგადი საზღვრების თეორიის შემუშავება მიუწვდომელი ან არასასურველიც კია“.²

ამ პირობებში საზღვრის კვლევების მთავარ უპირატესობად იქცა მეთოდოლოგიური პლურალიზმი და ინტერდისციპლინური დიალოგი, რის შედეგადაც სფერო ერთდროულად ეყრდნობა სხვადასხვა დისციპლინას და იყენებს განსხვავებულ, თუმცა ურთიერთმეშველ მიდგომებსა და თეორიულ ჩარჩოებს. მაგა-

-
- 1 Paasi, A., A border theory: an unattainable dream or a realistic aim for border scholars? *The Ashgate research companion to border studies*, 11-31. 2011 იგივე. *Territory, boundaries and consciousness: The changing geographies of the Finnish-Russian border*. Wiley. იგივე. The institutionalization of regions: A theoretical framework for understanding the emergence of regions and the constitution of regional identity. *Fennia*, 164(1), 105-146. Agnew, J., Borders on the mind: re-framing border thinking. *Ethics & Global Politics*, 2008 1(4), 175-191. <https://doi.org/10.3402/egp.v1i4.1892> Brambilla, C., Exploring the critical potential of the borderscapes concept. *Geopolitics*, 20(1), 2015 გვ. 14-34.
 - 2 Paasi, A., A border theory: an unattainable dream or a realistic aim for border scholars? *The Ashgate research companion to border studies*, 11-31. 2011, გვ. 27.

ლითად: პოლიტიკური მეცნიერებები გვაძლევს ანალიზის ინსტრუმენტებს ძალაუფლების, სუვერენიტეტის, მმართველობისა და უსაფრთხოების საკითხებზე, თუმცა სრულად ვერ აღწერს კულტურულ და სიმბოლურ საზღვრებს; გეოგრაფია მკაფიოდ აყალიბებს სივრცით ჩარჩოებს, უდრმავება ტერიტორიულ მნიშვნელობებს და აქცენტს ადგილის, მასშტაბისა და მანძილის ფიზიკური მახასიათებლების ზეგავლენით წარმოქმნილ სივრცით დინამიკაზე აკეთებს; სოციოლოგია და ანთროპოლოგია ფოკუსირდება საზღვრისპირა სივრცეების სოციალურ ყოფაზე, ყოველდღიურ გამოცდილებაზე და იდენტობის კონსტრუქციაზე; სამართალი ეხება საზღვრების ფორმალიზაციას, მოქალაქეობის რეჟიმებსა და სახელმწიფო მმართველობას, თუმცა ნაკლებად ფარავს არაოფიციალურ და არარეგულირებულ საზღვრებს; ჰუმანიტარული მეცნიერებები და კულტურის კვლევები შეისწავლის საზღვრების სიმბოლურ, ნარატიულ და წარმოსახვით განზომილებებს - როგორ იქმნება მნიშვნელობა, მეხსიერება და კუთვნილება; ისტორია გვაწვდის კონტექსტს, აჩვენებს, როგორ იცვლებოდა საზღვრები დროთა განმავლობაში და როგორ მოქმედებდა ძალაუფლების რეჟიმების ტრანსფორმაცია მათ ფორმირებაზე.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საზღვრის თეორიის განვითარება სწორედ დისციპლინებს შორის დიალოგით მოხდეს, რადგან თეორიების და მიდგომების შეჯერებით ყალიბდება კვლევის ფართო, კომპოზიტიური ჩარჩო, რომელიც ცალკეული დისციპლინების შეზღუდვებს ურთიერთშემავსებელი ინტეგრაციით აბალანსებს.¹

სწორედ ამიტომ წინამდებარე ნაშრომიც ინტერდისციპლინურ მიდგომასა და მეთოდოლოგიურ სინთეზს ეფუძნება, სადაც წამყვანი როლი ეთნოგრაფიულ მიდგომას უკავია. საზღვრის კვლევისას, აღნიშნული დარგი აძლიერებს ადამიანის გამოცდილებაზე დაფუძნებულ ხედვას და იძლევა საზღვრის სოციალურ და კულტურულ კონსტრუქციად აღქმის საშუალებას, რომელიც

1 Newman, D., "On Borders and Power: A Theoretical Framework," *Journal of Borderlands Studies* 18.1 (2003): 13– 25; 16.

ყოველდღიურ პრაქტიკებში იქმნება და ყალიბდება. წინამდებარე ნაშრომი, სავსე სამუშაოებზე დაყრდნობით, პროცესების ადგილობრივთა თვალთა დანახვის საშუალებას, ფორმალურ და არა-ფორმალურ ურთიერთობათა ქსელების აღქმისა და იდენტიფიკაციის რეკონსტრუირებაზე დაკვირვების შესაძლებლობას გვაძლევს. ამ გზით, საზღვარი ცოცხალ სოციალურ სივრცედ გვევლინება. შედეგად იქმნება ინტერდისციპლინური ხიდი სივრცით თუ პოლიტიკურ გეოგრაფიულ ანალიზსა და კულტურულ ანთროპოლოგიას შორის, რაც უზრუნველყოფს საზღვრის კვლევის უფრო კომპლექსურ და ადამიანზე ორიენტირებულ ინტერპრეტაციის საშუალებას.

3. ინგაგისტიკონიკი თეორიული ჩაჩო: საზღვრის ინსტიტუციონალიზაცია და „თხელი“ და „მსხვილი“ (სა)ზღვრების კონსტრუქცია

საკვლევი საკითხის კონტექსტიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ა. პაასის საზღვრების ინსტიტუციონალიზაციისა და ბ. ჰასელსბერგერის “თხელი” და “მსხვილი” საზღვრების კონცეფციის სინთეზი.¹ აღნიშნული თეორიული მიდგომა, საშუალებას გვაძლევს კონტექსტუალურ ჩარჩოში მოვაქციოთ კავკასიონის ქედის საზღვრად ჩამოყალიბების ისტორიული, კულტურული და სოციალური ფაქტორები, ამავდროულად კი შევაფასოთ მისი დინამიკის ზეგავლენა ლოკალურ თუ რეგიონალურ დონეზე.

ა. პაასის საზღვრებისა და რეგიონების ინსტიტუციონალიზაციის თეორია ერთ-ერთი პირველი და ფუნდამენტური ნაშრომია, რომელშიც საზღვრები გააზრებულია ისტორიული მოვლენებით განპირობებულ კომპლექსურ სოციალურ პროცესებად. ეს მიდგომა წარმოიშვა მისი კვლევიდან “რეგიონების ინსტიტუციონალიზაცია: თეორიული ჩარჩო რეგიონების წარმოშობისა და რეგიონული

1 Haselsberger, B., Decoding borders. Appreciating border impacts on space and people. *Planning Theory & Practice*, 15(4), 2014, გვ 505-526.

იდენტობის ჩამოყალიბების გააზრებისთვის”,¹ რომელიც შემდგომში გაღრმავდა ფინეთ-რუსეთის საზღვრის ემპირიული შესწავლით² და ადაპტირდა თანამედროვე მობილობისა და ნაკადების ეპოქისთვის.³ ა. პაასი აჩვენებს, როგორ ქმნიან ინსტიტუციები, სიმბოლოები და ყოველდღიური პრაქტიკა საზღვრებს როგორც ფიზიკურ სივრცეში, ასევე კოლექტიურ ცნობიერებაში, რითაც აკავშირებს ტერიტორიას, ძალაუფლებას და იდენტობას.

ა. პაასის თეორიის ძირითადი იდეაა, რომ საზღვრები უნდა გავიგოთ როგორც პროცესები, რომლებიც ჩნდებიან, სტაბილიზდებიან და ზოგჯერ ქრებიან სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მიზეზების გავლენით. ინსტიტუციონალიზაცია მოქმედებს ოთხი მიმართულებით: ტერიტორიულად, სიმბოლურად, ადმინისტრაციულად და იდენტობის დონეზე. ამავე დროს, საზღვრების სივრცითი ასპექტი იდენტობის ნაწილადაც ფორმირდება, რადგან საზღვრები აღიბეჭდება მეხსიერებაში, ნარატივებში და ყოველდღიურ წარმოდგენებში, რომლებიც აყალიბებს „ჩვენ/ისინი“ განსხვავებებს.

ა. პაასი გამოყოფს ინსტიტუციონალიზაციის ოთხ ურთიერთდაკავშირებულ განზომილებას, რომელთა ეფექტიანი ანალიზისთვის მნიშვნელოვანია არა თანმიმდევრული, არამედ გადაფარვითი გამოყენება. ტერიტორიული ფორმირება გულისხმობს საზღვრის სამართლებრივად განსაზღვრასა და მისი მატერიალური ინფრასტრუქტურით (რუკები, მონიშვნები, სასაზღვრო პატრულირება) გამყარებას; სიმბოლური მოიცავს სახელების, ნარატივების, სიმბოლოებისა და კულტურული მნიშვნელობების შექმნას, რაც საზღვარს გასაგებს და ემოციურად მნიშვნელოვანს ხდის.

-
- 1 Paasi, A., (1986). The institutionalization of regions: A theoretical framework for understanding the emergence of regions and the constitution of regional identity. *Fennia*, 164(1), 105–146.
 - 2 იგივე, *Territory, boundaries and consciousness: The changing geographies of the Finnish–Russian border*. Wiley. 1996.
 - 3 იგივე, Boundaries as social processes: Territoriality in the world of flows. *Progress in Human Geography*, 2001, 25(1), 72–86. იგივე, Geographies of borders and bordering. In *Border Studies* (pp. 47–67). Edward Elgar Publishing, 2025.

ინსტიტუციონალიზაცია ვიწრო გაგებით ნიშნავს საზღვრის ჩამუ-
ნებას ადმინისტრაციულ, სამართლებრივ, საგანმანათლებლო
და პოლიტიკურ სისტემებში, როგორიცაა საბაჟო რეჟიმები, ვიზის
პოლიტიკა და საზღვრის მართვის პრაქტიკა. სოციალური ცნობი-
ერების დონეზე საზღვარი ხდება კოლექტიური იდენტობის შემა-
დგენელი, ყოველდღიური წარმოდგენების ნაწილი, რაც აყალი-
ბებს კუთვნილების, პერიფერიულობისა და საზღვრის განცდას. ეს
ოთხი მიმართულება ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთდამოკი-
დებულია და არ არის ხაზოვანი, რადგან დისკურსის ცვლილებებმა
შეიძლება ინსტიტუციების რეკონფიგურაცია გამოიწვიოს, პოლი-
ტიკურმა რეფორმებმა — სიმბოლური მნიშვნელობების ცვლი-
ლება, ხოლო იდენტობების ტრანსფორმაციამ — ტერიტორიული
ფორმირებების ცვლილებებიც კი.

რაც შეეხება ბ. ჰასელბერგერის სივრცითი დაგეგმარების
პრაქტიკაზე დაფუძნებულ “თხელი” და “მსხვილი” საზღვრების
კონცეფციას, იგი ემყარება დაშვებას, რომ საზღვრები წარმოა-
დგენს გეოპოლიტიკური, სოციო-კულტურული, ეკონომიკური და
ბიოფიზიკური (სა)ზღვრების (boundaries) ერთობლიობას. შესაბა-
მისად, რაც უფრო რთულად გადასალახი ან შედწევადია აღნიშ-
ნული ზღვრული ელემენტები ან მათი ერთობლიობა, მით უფრო
„მსხვილია“ საზღვარი, ხოლო მათი ღიაობის და ადვილად გადა-
ლახვის შემთხვევაში — „თხელი“.¹

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, შეგვიძლია საბ-
ჭოთა და პოსტსაბჭოთა საზღვრები მოვიყვანოთ, როდესაც მოკა-
ვშირე რესპუბლიკებს შორის ზემოთჩამოთვლილი ოთხივე (სა)
ზღვრის დონეზე, საზღვრები ერთმნიშვნელოვნად „თხელი“ იყო,
დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი „გამსხვილდა“ და, გარ-
კვეულ შემთხვევებში, ისეთი მრავალმრიანი ტერიტორიული პრო-
ბლემები და საკითხები წარმოშვა, როგორიც შემდგომ თავებში გა-
ნხილული ქეროსა და ინწუხის მაგალითებია ან სასაზღვრო ზონაში
მდებარე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მონაკვეთის
დემარკაციის მიმდინარე საკითხია. გამომდინარე იქიდან, რომ

1 Haselsberger (2014) გვ. 510-511.

აღნიშნული საკითხები საბჭოთა „თხელი“ შიდა (სა)ზღვრების პირობებში ნაკლებაქტუალური იყო, მათ განსაკუთრებული სიმწვავე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეიძინა - ვფიქრობ, აღნიშნული შემთხვევა „თხელი“ საზღვრის „მსხვილად“ ტრანზიციის ერთ-ერთ სახასიათო მაგალითია.

ინტერვიუებსა და ბიბლიოგრაფიული კვლევის საფუძველზე, წინამდებარე ნაშრომიც ადასტურებს, რომ „თხელი საზღვრის“ „გამსხვილება“ ხელს უწყობს საზღვრით გაყოფილი საზოგადოებების გაუცხოვებასა და იზოლაციას, რაც ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური, კულტურული თუ ნათესაური ურთიერთობების შესუსტებასა და შეწყვეტას იწვევს. ამავდროულად, „მსხვილი“ საზღვრების მიმდებარედ მორღვეული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შედეგად, საზღვრისპირა მოსახლეობის (ძირითადად ახალგაზრდები) მაღალი ემიგრაციის მაჩვენებლით ხასიათდება, რაც, დროთა განმავლობაში, აქაურ დასახლებებს დეპოპულაციის საფრთხის წინაშე აყენებს.¹

1 აღნიშნული კონცეფცია დეტალურად გვაქვს განხილული საქართველოს კონტექსტში, ყსოაო-ს საოკუპაციო ზოლზე მიმდინარე ბორდერიზაციის პროცესის მაგალითზე: ჯალაბაძე, ჯანიაშვილი, ლოლაძე, 2022, გვ.92-97

თავი II

ლავრენტი ჯანიაშვილი

ქართულ-ღალესგნუკი უკთიუკთობის ისჯოკიიღან

ძველის დროიდან დღესტანსა და სუკრთველოს შორის ტკბილი გუწყობიღება არსებობდა, დიდი მეგობრობა სუფევდა. ყოველს სუკრთველოს მტერს დღესტანი მტრობას უწევდა; ყოველს სუკრთველოს მეგობარს მოყვრულად ეპყრობოდა.

(იუკობ გოგებუშვილი)

1. ზოგუიუკთი კამ უკვეღესი ნუკსუღიღან

თანამედროვე ქართულ სუხელმწიფოს კრდილო-აღმოსავლეთიდან დღესტნის რესპუბლიკა (რუსეთის ფედერუკიუ) ესუზღვრება. სუკრთველოს მხრიდან დღესტნის რესპუბლიკის მიმდებარეუ კახეთის რეგიონი: ახმეტის (თუშეთის ეთნოგრაფიული მხარე), ყვარლის და ლაგოდუხის მუნიციპალიტეტები; დღესტნის მხრიდან კი კახეთის მოსაზღვრეუ ხუნძეთი//ავარეთი. ეს მხარე ხუნძური მოდგმის ხალხითაა (დიდოელები//ცუზები, ანდიელები, ბოთლიხელები, დოდობერიელები, ჭამალალები, ბაგულალები, ტინდიელები, კარატიელები, ახვახელები, ხვარშიელები და ა.შ.) დასახლებული. ამ ტომებს, და დანარჩენ დღესტნელებსაც, ქართველები ლეკებს უწოდებენ.

დღევანდელი კახეთის ტერიტორიუზე საუკუნეების მანძილზე მეტად რთული და არაერთგვაროვანი ეთნოგენეტიკური პროცესი მიმდინარეობდა. ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ აქ არსებობდნენ მეტ-ნაკლებად მონათესავე ავტოქთონი ხალხით დასახლებული, პროვინციები//„ქვეყნები“ (საკუთრიკ კახეთი, კუხეთი, ჰერეთი, წუქეთი, სუჯეთი, კამბუჩანი). სხვადასხვა პერიოდში, სამეურნეო კულტურული ურთიერთობებისა და პოლიტიკური მე-

ტოქეობის პირობებში, ხსენებული პროვინციების ტერიტორია იცვლებოდა, მეზობლების ხარჯზე მსხვილდებოდა ან ემცრობოდა. შესაბამისად, იცვლებოდა ამა თუ იმ ადგილის სახელდებაც.¹ ტრადიციულად ამ რეგიონს ექვემდებარებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიც – თუშ-ფშავ-ხევსურეთი, რომელსაც უშუალო შეხება ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებთან.

საქართველოსა და დაღესტნის გამყოფი ხაზი ძირითადად დაღესტნის მთებზე, ალაზნის შემდინარეების გამყოფ ქედზე, გადიოდა,² თუმცა აწინდელი კახეთის ჩრდილოეთი საზღვარი საკმაოდ ცვალებადი იყო, ზოგჯერ იგი ფართოვდებოდა და ისტორიის ცალკეულ ეტაპზე დაღესტნური მოდგმის ხალხები (ხუნძები) ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ექცეოდნენ.³

მართალია ქართულ-დაღესტნურ ურთიერთობას ძალიან ხანგრძლივი, მდიდარი და საინტერესო ისტორია აქვს, მაგრამ ქვემოთ პრეისტორიულ წარსულს მხოლოდ ფრაგმენტულად შევხებით, რადგან კავკასიისა და, კონკრეტულად, საკლვეი რეგიონის უძველესი მოსახლეობის პალეოანთროპოლოგიური და ღმრ კვლევები, ასევე არქეოლოგიური მონაცემები დაწვრილებით განხილულია ავტორთა კოლექტივის მიერ 2022 წ. გამოცემული მონოგრაფიის პირველ თავში.⁴ მკითხველის ყურადღებას, ამ მხრივ, მხოლოდ ხსენებულ ნაშრომში წარმოდგენილ ძირითად დასკვნებზე შევაჩერებთ. დადგენილია, რომ უკვე ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული კავკასიის (საქართველო, დღევანდელი აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩრდილოეთ კავკასია) ავტოქთონი მოსახლეობა ძირითადად მიეკუთვნება სამხრეთევროპოიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირულ ტიპს, რომელსაც ახასიათებს მკაფიოდ გამოხატული დო-

1 ვაშაკიძე ვ. კახეთის წარსულიდან, წიგნში _ ვაშაკიძე ვ., ურუშაძე ვ., ჯალაბაძე ნ., ჯანიაშვილი ლ., საზღვრისპირა მოსახლეობა ძველად და ახლა (კახეთი) _ თბ., 2022, გვ.7-8.

2 ჯავახიშვილი ი., საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, კრ. ისტორიული რარიტეტები, თბ. 1989, გვ. 14.

3 მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ. 1977,მ გვ.214; ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბ.1979. გვ. 556.

4 საზღვრისპირა მოსახლეობა ძველად და ახლა (კახეთი) თბ., 2022, გვ. 12-30.

ლიქოკრანული ფორმის მაღალი ქალასარქველი, საშუალოზე მაღალი, ვიწრო და მკვეთრად პროფილირებული სახე ცხვირის მაღალი უნაგირით. ეს ანთროპოლოგიური ტიპი ზემოხსენებული რასობრივი ვარიანტის კავკასიურ ნაირსახეობას მიეკუთვნება.¹ აღსანიშნავია, რომ დაღესტნური მოდგმის ხალხებში კავკასიონურის გვერდით გვხვდება კასპიური,² ხოლო კახეთის მოსახლეობაში იბერიული (აღმოსავლეთქართული) ანთროპოლოგიური ტიპი. საკმაოდ მდიდარი კრანოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კახეთსა და მის მიმდებარედ ბრინჯაოს ხანაში ძირითადად ცხოვრობდა სამხრეთ-ვროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპი, რომელსაც გარკვეული პოლიმორფულობა ახასიათებდა. უფრო გვიანდელი, გვიანანტიკური ხანის კრანოლოგიური მასალა მოწმობს, რომ მდგომარეობა არც ამ ეპოქაში შეცვლილა. ანთროპოლოგიური ტიპის ამგვარი სიმყარე მიუხედავად ათასწლეულების მანძილზე მუდმივი მიგრაციების, ინფილტრაციისა და ეთნოკულტურული ტრანსფორმაციისა, ადასტურებს, რომ კახეთის მოსახლეობას და მის სამეზობლოს ძირითადად ერთი გენეტიკური წარმომავლობა ჰქონდა.³

ამგვარ დასკვნას ამყარებს პალეონათროპოლოგიური მასალის დნმ-ის გენეტიკური მარკერების ანალიზიც, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს დნმ-ის მუტაციის განმსაზღვრელი მაჩვენებელი - ჰაპლოტიპი. ჰაპლოტიპი აერთიანებს მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს, ჰაპლოჯგუფს, რომელიც სათავეს საერთო წინაპრისაგან, ე.წ. პატრიარქისაგან, იღებს. ე.ი. ეს გარკვეულწილად ბიოლოგიურად მონათესავე ჯგუფია. აღსანიშნავია, რომ ჰაპლოჯგუფი და ეთნიკური კუთვნილება ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ჰაპლოტიპები დიდი ხნის წინ გაიფანტნენ დედამიწაზე და მოგვიანებით სხვადასხვა ეთნიკურ ერთეულებში გაერთიანდნენ. გენეტიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ კავკასიის დასავლეთ ნაწილში

1 ჯამაიძე ვ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 10-13; Федоров Я. Историческая этнография северного Кавказа, М. 1983, გვ.17

2 Федоров Я, დასახელებული ნაშრომი გვ. 18.

3 იქვე, გვ. 14-15.

დომინანტია G2a, ხოლო აღმოსავლეთში _ J2 და J1 ჰაპლოჯგუფი. ამ ჯგუფების მაღალი ხვედრითი წილი კავკასიელებში იმის მტკიცებულებაა, რომ მკვიდრი მოსახლეობის ეთნოსებად ჩამოყალიბება სწორედ ამ ჰაპლოჯგუფების მატარებელ პოპულაციებს დაეფუძნა.¹ დნმ მარკერების ანალიზი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სხვადასხვა პერიოდში მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესახებ. მაგ., ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ გასაოცარ მსგავსებას ამჟღავნებს მარკერები დაღესტნის მეზობლად მცხოვრებ ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფში, თუშებში და ირანში, ფერეიდანში, განსახლებულ ქართველებში. ორივე ჯგუფში წამყვანია J2 ჰაპლოჯგუფი,² რაც XVI საუკუნის პირველ ნახევარში კახეთში მომხდარ პოლიტიკური და დემოგრაფიული კატაკლიზმების, კერძოდ კი ირანში გასახლებისაგან თავის დაღწევის მიზნით მოსახლეობის კახეთის ბარიდან_თუშეთში მიგრაციის შედეგი უნდა იყოს.³ ამ საკითხს ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევხებით.

საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა არქეოლოგიური მასალა. ადრებრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. IV ათასწლეულიდან) დღევანდელი კახეთის ტერიტორია მოქცეული იყო მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში, რომელშიც ასევე შედიოდა თითქმის მთელი სამხრეთ კავკასია, ჩრდილო-დასავლეთ ირანი, აღმოსავლეთ ანატოლია და ჩრდილო აღმოსავლეთ კავკასია (დაღესტანი). ესაა ეპოქა როდესაც დაწინაურდა ლითონის (ბრინჯაოს) მოპოვება და მისი წარმოება, მაღალ დონეს მიაღწია მეთუნეობამ და მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ძვრები განვითარებული მეურნეობის საძირკვლად იქცა. მიწათმოქმედებაში

1 იქვე, გვ. 16-17.

2 შენგელია რ. ანდრიაძე გ., ბითაძე ლ., ჩიქოვანი ნ., ხმალაძე ე., კეკელიძე მ., ლალიაშვილი შ., აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შედარებითი პოპულაციური გენეტიკური კვლევა, კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ეძღვნება აკად. მალხაზ აბდუშელიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავს, გვ. 157.

3 შენგელია რ. ანდრიაძე გ., ბითაძე ლ., ჩიქოვანი ნ., ხმალაძე ე., კეკელიძე მ., ლალიაშვილი შ., აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შედარებითი პოპულაციური გენეტიკური კვლევა, კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ეძღვნება აკად. მალხაზ აბდუშელიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავს, გვ. 157.

საფუძველი ჩაეყარა „გუთნურ მიწათმოქმედებას“, დასტურდება ირიგაციის ელემენტები, დაიწყეს ლითონის იარაღების გამოყენება, გაჩნდა ბორბლიანი ტრანსპორტი, და ა.შ. ამასთანავე განვითარდა მესაქონლეობაც: ჰყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, მთაში და მთისწინა ზოლში მოსახლეობა მისდევდა სეზონურ მესაქონლეობას და ა.შ.¹

შუა ბრინჯაოს ხანაში მტკვარ-არაქსის კულტურა შეიცვალა „ადრეყორდანული კულტურით“, რომელიც მოგვიანებით თრიალეთის კულტურამ ჩაანაცვლა. საფუძველიანად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ იგი უნდა წარმოქმნილიყო მტკვარ-არაქსის კულტურის ბაზაზე და ამ კულტურის მატარებელ მოსახლეობას მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებები არ უნდა განეცადა. თითქოს ამ თვალსაზრისს უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ პერიოდში მომხდარი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები: ცხოვრება შეწყდა ადრებრინჯაოსდროინდელ ნამოსახლარებზე; მოსახლეობა გადავიდა საიალალო მესაქონლეობაზე და დამკვიდრდა ძირითადად მთისწინეთსა და მდინარეთა ხეობებში, სადაც ხელსაყრელი პირობები იყო პრიმიტიულ მორწყვითი მიწათმოქმედებისა და საიალალო მესაქონლეობისათვის; შეიმჩნევა წვრილფეხა რქოსანი საქონლის, კერძოდ ცხვრის მატების ტენდენცია; მიცვალებულისათვის აგებენ საკმაოდ მასშტაბურ ყორდანულ სამარხებს და ა.შ. რასაც ზოგიერთი მკვლევარი ჩრდილო კავკასიიდან მესაქონლე-მეჯოგე ტომების ან წინა აზიიდან მიგრაციული ნაკადების შემოსვლას უკავშირებს, მაგრამ ვფიქრობ უფრო მისაღებია ვ. ვაშაკიძის ჰიპოთეზა, რომ მიგრაციული ნაკადების როლი ამ შემთხვევაში გაზვიადებულია და ამ ტიპის კარდინალური ცვლილებები გლობალური ბუნებრივ-კლიმატური კატაკლიზმებით, კერძოდ ამ რეგიონში დადასტურებული ხანგრძლივი

1 ვაშაკიძე ვ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 19; Магомедов Р., Хазамов Д. Новые памятники куро-аракской К.И.О.в предгорном и горном Дагестане, Кавказ в системе культурных связей Евразии в древности и средневековье XXX «Крупновские чтения», Карачаевск 2018 г, гв. 103-107; Давудов О., Археологические памятники Южного Дагестана, журнал «Возрождение», 2000 г. (ნანახია 09.04.2025) ხელმისაწვდომია <https://blog.welcomedagestan.ru/dagpost/arheologicheskie-pamyatniki-yuzhnogo-dagestana/>.

ანომალიური გვალვით, უნდა ყოფილიყო გამოწვეული.¹

სხენებული ჰიპოთეზის ლოგიკურობაში გვარწმუნებს შუა ბრინჯაოს ხანაში დღევანდელი დაღესტნის ტერიტორიაზე შექმნილი ვითარება. ძვ. წ. III-II ათასწლეულის მიჯნაზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში დაიწყო მტკვარ-არაქსისდროინდელი კულტურული ერთობის დამლა. მთიან დაღესტანში ჩამოყალიბებდა არქეოლოგიური კულტურა, რომელსაც გინჩის კულტურის ლოკალურ ვარიანტად მიიჩნევენ.² ამ პერიოდის დასახლებებში ორ ტიპს გამოყოფენ: I. ძნელად მისადგომი მთიანეთის კლდოვანი დასახლებები (ზემო გუნიბი, უსიპა, კურჩაბი და სხვ.). II. მდინარეთა ტერასებზე განლაგებული დაბლობის დასახლებები (ირგანაი I, ირგანაი II, გინჩი III). საცხოვრებლის არჩევისას ყურადღებას აქცევდნენ მიწათმოქმედებისათვის ვარგის ფართობების, საძოვრების და წყლის სიახლოვეს.³ მატერიალური სულიერი კულტურის სფეროში მომხდარ ცვლილებებს, სხვათა შორის, უკავშირებენ კლიმატური პირობების ცვლილებებსაც (არიდიზაციას) უკავშირებენ⁴.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი – ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი) აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. „ხევების სისტემის“ ჩამოყალიბების ეპოქაა. სწორედ ამ ხევების საფუძველზე გაჩნდა პირველი ეთნო-გეოგრაფიული და ეთნოპოლიტიკური ერთეულები, რომელთაც გარკვეული სახეცვლილებებით დღემდე მოაღწიეს. ამდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, იო-რალაზნის აუზში, აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს

1 ვაშაკიძე ვ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 21-23; ვაშაკიძე ვ. კავკასია უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე, კავკასიის ისტორია, რედ. რ. მეტრეველი, ტ. I თბ. 2023, გვ. 125.

2 იქვე, გვ. 126.

3 Магомедов, Р., Горный Дагестан и юго-восточная чечня в эпоху средней бронзы, (автореферат диссертации) Москва 1992. (ბანახია10.04.2025), ხელმისაწვდომია <https://cheloveknauka.com/gornyy-dagestan-i-yugo-vostochnaya-chechnya-v-epohu-sredney-bronzy>.

4 Магомедов, Р Материалы к изучению культур эпохи бронзы в приморском Дагестане, Махачкала ю 2000, გვ. 106.

საბრძოლო იარაღი (ე.წ. კახური სატევრები, მასრაშეკრული შუბის-პირები და სხვ.), კონცენტრიული ხაზებით დაფარულზედაპირიანი, ქვიშანარევი თიხით დამზადებული მეთუნეობის ნიმუშები და ა.შ. კახეთში გამოვლენილ ამ ეპოქის არქეოლოგიურ კულტურაზე გარედან რაიმე მნიშვნელოვანი ზემოქმედების კვალი არ შეიმჩნევა. ამ კულტურის ლოკალური ვარიანტების ანალიზი იძლევა საშუალებას გამოითქვას მოსაზრება, რომ მისი შემოქმედი იყო ადგილობრივი მოსახლეობა, კახების, კუხების და ჰერების წინაპრები. ადგილობრივი სუბსტრატი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მათ მიერ შექმნილი კულტურის საზღვრები მომდევნო ხანაში და ადრეულ შუა საუკუნეებშიც თითქმის იგივე დარჩა, რაც ძვ.წ. II-I ათასწლეულის მიჯნაზე იყო. დადგენილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილი ყველა არქეოლოგიური კულტურა გენეტიკურ კავშირშია წინამორბედთან ე.ი გვაქვს განვითარების უწყვეტი ჯაჭვი. აღნიშნული კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს მოსაზრებას, რომ ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული აღ. საქართველოს ტერიტორიაზე ეთნიკური სუბსტრატი არ შეცვლილა,¹ თუმცა არქეოლოგიურ კულტურებში არსებული გარკვეული ანალოგიები სამხრეთ და ჩრდილო კავკასიას შორის კონტაქტებზე მიუთითებს.

სამხრეთ და ჩრდილოკავკასელ ხალხთა პრეისტორიული პერიოდის კვლევაში დიდი როლი ენიჭება ლინგვისტურ მონაცემებს. თანამედროვე ლინგვისტთა კავკასიოლოგიურ კვლევებში აღიარებულია კავკასიის ხალხთა ქართველური და მთის ავტოქთონი ენების გენეტიკური ურთერთკავშირი. აქედან გამომდინარე იბერიულ-კავკასიური ენების კლასიფიკაციის სამუშაო ვარიანტში 4 ჯგუფი შედის: 1) ქართული; 2) აფხაზურ-ადიღურის; 3) ნახური; 4) დაღესტნური.² იბერიულ-კავკასიური ენების გენეტიკური კავშირები და ამ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია დადასტურებულია მათ ნათესაურ ურთიერთობათა კვლევის მეთოდის მიხედვით. ამის მიუხედავად ამ ენათა საერთო წინარე ენიდან მომდინარეობის

1 ვაშაკიძე ვ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 27-30.

2 ჩუხუა მ., კავკასიის ავტოქთონი ენები, კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები, თბ., 2023, გვ.10

მტკიცება ურთულესი ამოცანაა. ვითარებას წმინდა ლინგვისტურ ფაქტორებთან (მორფმათა ერთმარცვლიანი შემადგენლობა და შესადარებელ ლექსიკურ ერთეულთა განსაკუთრებული სიმოკლე ზმნებში) ერთად აძნელებს კავკასიის გეოგრაფიიდან გამომდინარე ვითარება. კერძოდ, მთიანი ლანდშაფტი და ამით გამოწვეული მეტნაკლები იზოლაცია განაპირობებს სხვადასხვა ლოკალიზებზე სასაუბრო ენებში სპეციფიკური პროცესების განვითარებას, რომელთა კვლევაც საკმოდ რთულია.¹

ძვ. წ. პირველ ათასწლეულში სამხეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი ეთნოპოლიტიკური ძვრები მოხდა. ეს იყო შედარებით მცირე პოლიტიკური ერთეულების (ქვეყნების) წარმოშობისა და მოგვიანებით მათი ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში გაერთიანების ეპოქა. აწინდელი კახეთის ტერიტორიაზე ამდროინდელი ეთნოპოლიტიკური ვითარების კვლევისათვის ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავს „ქართლის ცხოვრება“, კერძოდ მის დასაწყის ნაწილში შესული თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომელშიც ნაჩვენებია აღმოსავლეთ საქართველოს „ქვეყნებად“ დანაწევრების პროცესი. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ამ თხზულების ავტორს ხელთ ჰქონდა ძველი წყაროები, სადაც აღწერილი იყო სხვადასხვა თემისა და სამთავროს საზღვრები. ზოგან ამ საზღვრების აღნიშვნისას ისეთი სახელი აქვს ხოლმე მოხსენებული რომელიც მის დროს აღარ არსებობდა და მკითხველებისათვის გაუგებარი იყო, ამიტომ იგი იძულებული იყო იქვე ამ სახელის განმარტება დაერთო.²

ხსენებული წყაროს ანალიზისა და კახეთის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ქართულ იტორიოგრაფიაში დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რომ უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში აქ არსებობდა კახეთის, კუხეთის და ჰერეთის პოლიტიკური ერთეულები. ამ „ქვეყანათა“ საზღვრები მუდმივად იცვლებოდა, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მათი დასახელებები ხშირად ერთმანეთს ფარავდა, ზოგჯერ ჰერეთში

1 იქვე გვ. 160-161.

2 ჯავახიშვილი ი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ. ტ. VII, თბ., 1977, გვ. 187.

მთელი კახეთი შედიოდა, ხან, პირიქით, კახეთი ჰერეთს შეიცავდა, ხანაც კი ეს მხარე საერთო სახელით კახეთ-ჰერეთად იწოდებოდა. თუმცა დადესტნელებთან საკონტაქტო ზონას, ძირითადად, ისტორიული ჰერეთი წარმოადგენდა. ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ აწინდელი კახეთი საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით გვიან, საკმაოდ რთული მიგრაციული და ეთნოკულტურული პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა. აქ ათეულობით საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა მთისა და ბარის, ველისა და ზეგანის, სამეურნეო და სოციალურ სისტემათა ჭიდილი, რომელშიც მონაწილეობდნენ: „კახნი, კოხნი, წანარნი, გარდაბელნი, ალვან-ჰერნი, სოჯნი, ფხოველ-ფშაველნი, თუშები, ქისტები, და, შემდეგ, ლეკები, თურქები, ოსმალები, სომხები და ყველა თემის ქართველები (მეგრელები, გურულები, იმერლები, რაჭველები, ჯავახ-მესხნი, სომხთარნი, ქართლები) _ ყველა ამათი შერწყმა_ „შეჯვარების“ (ბრძოლისა და თანამშრომლობის) ისტორიული სარბიელი იყო ეს შედარებით პატარა, მაგრამ დიდი შესაძლებლობის ქვეყანა¹.

ჩრდ. კავკასიაში მიმდინარე ეთნოგენეტიკური პროცესები, სათანადო წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მასალის სიმწირის გამო, ნაკლებადაა შესწავლილი. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული ერთობის დამლა ძვ. წ III ათასწლეულში დაიწყო და ამ სეპარაციის საფუძველზე ძვ. წ. I ათასწლეულში წარმოიშვნენ დადესტნური ტომები.² ლანდშაფტური სპეციფიკიდან გამომდინარე დალასტანში თითოეული ჯგუფი (ასეთი კი 30-ზე მეტია _ ლ.ჯ.) ძირითადად განცალკევებულად ცხოვრობს, ქმნის ერთგვარ რეგიონალურ ეთნიკურ არეალს და საკუთარ ენასთან ერთად, აქვს საკმაოდ ორიგინალური კულტურა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები³. თანამედროვე საქართველოს ესაზღვრებიან ხუნძები (ავარები) და მათთან გენეტიკურად მონათესავე დილოლები (ცუზები), თუმცა

1 ბერძენიშვილი ნ. ექსპედიცია ივრის ხეობაში 1935 წელს, საქართველოს ისტორიის საკითხები ტ. I, თბ. 1964, გვ. 175.

2 მაგომედხანოვი მ. დადესტნის ხალხთა ეთნოგენეზი, კავკასიის ავტოქთონი ენები, კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები, თბ., 2023, გვ. 331.

3 იქვე, გვ. 315.

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩვენს წინაპრებს ურთიერთობა ჰქონდათ წახურებთან, ლაკებთან, დარგოელებთან და სხვა დაღესტნურ ხალხებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველები მათ ყველას ლეკებს უწოდებენ, რაც დაღესტნური ტომის, ლაკების სახელწოდებას უკავშირდება.¹

ხუნძებით დასახლებულ ტერიტორიაზე V-VI სს. შეიქმნა ეთნოპოლიტიკური ერთეული, სარირის სამეფო.² ზოგიერთი მკვლევარი ამ სამეფოს ჩამოყალიბებას უკავშირებს მომთაბარე ავარების ხუნძეთის პლატოზე გადასახლებას და მოსული მომთაბარე ელემენტის ადგილობრივ ლეკურ (დაღესტნურენოვან) მოსახლეობასთან სინთეზს, რის შედეგადაც ხუნძეთში დამკვიდრდა სახელწოდება „ავარეთი“.³ განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული რ. თოფჩიშვილს, რომლის თანახმადაც კავკასიაში გავრცელებული ეთნონიმი „ავარი“ ნაწარმოებია სარირის მეფე ავარის სახელიდან, რომელიც V საუკუნეში მეფობდა და მას არაფერი აქვს საერთო VI-X საუკუნეების მომთაბარე თურქული მოდგმის ავარებთან, რომელთაც არაბი ისტორიკოს იბნ-რუსტამი იხსენიებს. ეს სახელწოდება („ავარია“) მოგვიანებით, რუსულის გავლენით, უნდა გავრცელებულიყო. XX საუკუნემდე ამ ხალხის არცერთი წარმომადგენელი არ იტყოდა, რომ ის ავარიელია და საკუთარ ხალხს „მარულარს“ (ხუნძ. მთიელი) უწოდებდა.⁴ თანამედროვე დაღესტნის ტერიტორიაზე მომთაბარე თურქული ელემენტის გავლენა უფრო ძლიერი კასპიისპირა მხარეში იყო, სადაც IV ს-ის 30-იან წლებში მასქუთების (მასაგეტების) სამეფო შეიქმნა, ხოლო VII საუკუნეში ნომადების ახალი ტალღა შემოვიდა, რომელიც საკმაოდ სწრაფად შეერწყა ადგილობრივ მოსახლეობას და ნახევარბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა.⁵

მთიან დაღესტანს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართლის

1 თოფჩიშვილი რ. კავკასიის ეთნოლოგია, თბ., 2012, გვ. 149.

2 მაგომედხანოვი მ. დაღესტნის ხალხთა ეთნოგენეზი, კავკასიის ავტოქთონი ენები, კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები, თბ., 2023, გვ. 321; ჭეიშვილი გ. კავკასია IV-X საუკუნეებში, კავკასიის ისტორია, თბ. 2023, გვ.231- 232.

3 Айтберов Т. Древний Хунзах и хунзахцы Махачкала, 1990 გვ., 29-30.

4 თოფჩიშვილი რ. კავკასიის ეთნოლოგია, თბ., 2012, გვ.99.

5 ჭეიშვილი გ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 230-231.

სამეფოსთან, რომელიც ბიზანტიასა და ალბანეთთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩრდ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებაში.¹ ქართლის მესვეურები ლეკებს აქტიურად იყენებდნენ საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაშიც, რაც დასტურდება ქართული წერილობითი წყაროებით: „გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკის დადებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქრისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და განახუენეს კარნი კავკასიანთანი, და გადმოიყვანეს ოვსნი და ლეკნი, და წინააღუდგენ სპარსთა.“² უფრო მეტიც, გარკვეულ პერიოდში, როგორც ჩანს, ხუნძები ნომინალურად ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შემოდიოდნენ³. ჯუანშერის თანახმად, „ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად ... და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოდა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი.“⁴

დ. მუსხელიშვილის აზრით უკვე VIII-IX სს-ში ხუნძახი (ხუნზახი) და წახური ჰერეთის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში, მაჭის საერისთავოს შედგენლობაში შევიდნენ. ეს საერისთავო ეკლესიურად გიშელი ეპისკოპოსის სამწყსოს წარმოადგენდა, იგი მოიცავდა ტერიტორიას „მაჭის წყლის ქვეით ალაზნის აღმოსავლეთი მაკინითურთ და ხუნზახითურთ.“⁵ უფრო გვიან, XII ს-ის 20-იანი

1 ანჩაბაძე ზ., ბოცვაძე თ., თოგოშვილი გ., ცინცაძე მ., ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები ნაკვეთი I, გვ. 69.

2 მროველი ლეონტი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955. გვ. 23, 45, 46, 66, 136.

3 მროველი ლეონტი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955. გვ. 19; ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955. გვ. 243.

4 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955. გვ. 243.

5 მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შრომები ტ I,

წლებიდან, გაძლიერებული საქართველოს გავლენა ამ მიმართულებით კიდევ უფრო შორს დარუბანდზეც გავრცელდა.¹

ერთიანი ფეოდალური საქართველოს სამეფო კარი აქტიურად ერეოდა დაღესტნელთა საშინაო ცხოვრებაში, თავისთვის სასურველ პიროვნებას სვამდა ხელისუფლების სათავეში.

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრირებული დაღესტნელები, როგორც წესი, აქტიურად იყვნენ ჩაბმული სახელმწიფოს ცხოვრებაში და საკვანძო მომენტებში მეზობელი ქართული პროვინციების გვერდით იდგნენ. მაგ., 1204 წელს დიდოელები ფხოველებთან (თუშ-ფშავ-ხევსურებთან) ერთად მონაწილეობდნენ აჯანყებაში, რომელიც ივანე ათაბაგმა დაამარცხა და მათ ძველებურად მორჩილება და ხარკი დააკისრა;² ამბოხებულ დემნა ბატონიშვილს ჰერებთან ერთად მიემხრნენ ლეკებიც: „და მოვიდეს ქუეყანასა ჰერეთისასა და მუნით მოვიდეს ჰერეთის ერისთავი და ყოველნი ჰერნი სრულითა ლეკითა და კავკასითა. და შეიქმნეს ომნი ფიცხელნი და კუეთრ-კუეთებანი ...გააქცივნეს ჰერნი, დიდებულნი აზნაურნი, და ლეკნი.“³ სწორედ მეზობელი ჰერეთიდან მომდინარეობდა ქართული სამყაროს პოლიტიკური და კულტურული გავლენების გავრცელება დაღესტანში, რაც, პირველ რიგში, მისიონერულ მოღვაწეობაში იყო ასახული.⁴

თბ.2023 გვ. 407-408.

- 1 სტეფნაძე ჯ. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბ., 1974 გვ. 112-113.
- 2 ანჩაბაძე ზ., ბოცვაძე თ., თოგომშვილი გ., ცინცაძე მ., ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები ნაკვეთი I, გვ. 119-120.
- 3 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება ტ. 2, თბ. 1959, გვ. 19.
- 4 ჯავახიშვილი ი., საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისისთა განხილული, კრ. ისტორიული რარიტეტები, თბ. 1989, გვ.15.

2. ქაათული ეკლესიის მისიონერობა და ეთნოკალიგიური ღირება დაღესგანში

თანამედროვე დაღესტანი კავკასიაში ისლამის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად ითვლება, თუმცა საუკუნეების მანძილზე იგი ორი მსოფლიო რელიგიის, ქრისტიანობისა და ისლამის, პაექრობის არენას წარმოადგენდა, სადაც XIV საუკუნემდე ერთგვარ უპირატესობას ქრისტიანობა ფლობდა. დაღესტნურ ისტორიოგრაფიაში თანამედროვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ხანად I საუკუნეს მიიჩნევენ, როდესაც საქართველოდან, ალბანეთიდან და სომხეთიდან აქ პირველი მქადაგებლები მოვიდნენ. უძველესი ეკლესიების ნაშთები, რომლებიც დათარიღებულია VI-VIII სს-ით, აღმოჩენილია ბელენჯერის ნეკროპოლისში⁵.

მკვლევართა ვარაუდით ხუნძახში VII საუკუნემდე შედარებით ძლიერი უნდა ყოფილიყო მონოფიზიტური ეკლესიის გავლენა, მოგვიანებით კი საქართველოსა და ბიზანტიის ძალისხმევით უპირატესობა მართლმადიდებლობამ მოიპოვა და გაძლიერდა ქართული ეკლესია. ხუნძახში (ავარიის სანუცალო) VII-XIV სს-ში 40-ზე მეტი მოქმედი ეკლესია იყო, კერძო კოლექციებში ამჟამად დაცულ მასალებში და შენობათა კედლებზე მიკვლეულია ქვაკვარები ან მათი ფრაგმენტები ქართული წარწერებით. მაგ., ავაროს მთაზე აღმართული X-XIV სს-ის ეკლესიის შესწავლისას X-XI სს-ით დათარიღებული 16 წარწერა აღმოჩნდა. სწორედ XI საუკუნეში აშენდა დათუნას ეკლესია, რომელმაც დღემდე მოადწია.² გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქრისტიანობათან დაკავშირებული უნდა იყოს დერბენტში (დარუბანდი) არსებული ჯვარ-გუმბათოვანი ნა-

5 მაგომედხანოვი მ. დაღესტნის ხალხთა ეთნოგენეზი, კავკასიის ავტოქთონი ენები, კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები, თბ., 2023, გვ. 325.

2 ხაფიზოვი მ., მუხმაგომედოვი მ., სომხური და ქართული წყაროები ავარიის სანუცალოში საეკლესიო მშენებლობის ისტორიის შესახებ (VII-XIV სს), საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესის მოხსენებათა თეზისები, თბ., 2022, გვ. 112-113.

გეობოა, რომელიც „ნარინ-ყალას“ ტერიტორიაზე მდებარეობს.¹ აქ უმეტესად გვხვდება მცირე ზომის, ბაზილიკის ტიპის ტაძრები.² სამლოცველოებზე სხვადასხვა ზომის და ფორმის ჯვრების ბარელიეფებია. დაღესტანში არსებული ქრისტიანული სიმბოლოები იკონოგრაფიული თვალსაზრისით და შესრულების ტექნიკით ანალოგებს პოულობენ შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანულ ხუროთმოძღვრების ძეგლებსა და მათ შემკულობებთან. მოსახლეობაში ქრისტიანობის ფართო გავრცელებაზე მიუთითებს ქრისტიანული სამარხების სიმრავლე და ქართული დამწერლობით შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები.³

VII საუკუნის ბოლოდან დაღესტანში გაჩნდა პირველი ისლამური თემი. თავიდან ისლამი მხოლოდ ღერბენდსა და მის რაიონში იყო გავრცელებული და, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, დაღესტნის დანარჩენ ოლქებში (კუმუხი, ხუნძახი, ახტი) მუსლიმურ სამლოცველოებსაც კი არ აგებდნენ. მეჩეთების მშენებლობა აქ X საუკუნიდან დაიწყო, როდესაც არაბულმა კულტურის გავრცელებამ კულმინაციას მიაღწია.⁴ დაღესტნის ძნელადმისავალი მთიანი დასახლებები, სადაც უფრო ძლიერი იყო კულტურული კონსერვატიზმი, განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ისლამიზაციას, ამიტომ სულიერ ყოფაში ქრისტიანული და წარმართული ელემენტები გადმონამთური ფორმით აქ XIX საუკუნემდე შემორჩა.⁵ ვ. ბარტოლდის აზრით, ამგვარ ვითარებას განაპირობებდა

1 მაგომედხანოვი მ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 315.

2 Хапизов Ш. Христианские храмы на территории Аварии, (историко-географический обзор), Христианский восток (серия, посвященная изучению христианской культуры народов Азии и Африки), Т. 9 (XV), С-Пб, 2021, гв. 305-317.

3 Гамбашидзе Г, Абиев А., Христианские могильники горного Дагестана (по материалам дагестано-грузинской объединенной археологической экспедиции), История, археология и этнография Кавказа. Т. 16. № 1. 2020. гв. 129-144; Хапизов Ш., Ругуджинская надпись (о распространении христианства и ислама в Аварии), Вестник дагестанского научного центра. 2015. № 56. гв. 36-45.

4 Шихсаидов, А. Ислам в средневековом Дагестане (VII—XV вв.), Махачкала 1969, гв. 23.

5 Шихсаидов, А. დასახელებული ნაშრომი, გვ. 24-25; Магомедов Р, Дагестан, исторические Этюды, Махачкала 1971, гв. 56.

ის, რომ პირველ ხანებში ისლამი არ ცნობდა მისიონერობას, მუსლიმები არც ქრისტიანებს და არც ზოროასტრიზმის მიმდევრებს არ ავიწროებდნენ.¹ სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბებულმა ძლიერმა ქართულმა სახელმწიფომ, ამგვარ ვითარებაში, ჩრდილოეთის მიმართულებითაც გაზარდა მისიონერული აქტივობა და ინციატივა წაართვა როგორც ბიზანტიას, ისე სომხეთს. როგორც მ. მაგომედხანოვი აღნიშნავს, ამ დროისათვის „აღმოსავლეთ ალანია და ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასია ქართული ეკლესიის უდავო იდეოლოგიური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.“²

XIII ს-ის 30-იან წლებში საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. მემატიანე შემდეგნაირად აღწერს ამ მძიმე დროებას: „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე...რამეთუ ესეოდენტა სიბილწეთა, სოდომურთა ცოდვათა შემოსრულთათჳს, განრისხდა ღმერთი, და ვიქმნენით მიცემულ პირველად მწარესა ტყუეობასა, და მეორედ ბარბაროზთა მიერ სრვასა და ჴოცასა, და მესამედ იქმნა პურის მოკლება, რამეთუ ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად, არცა დიდითა ფასითა. ესოდენ განძნდა შიმშილი, რომელ მძორსა არაწმიდასა ურიდად ჟამდეს, სავსე იყვნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი, მინდორნი და ქალაქნი, და სოფელნი მკუდრებითა. ყრმანი მკუდართა დედათა ძუძუთა ლეშთა სწოვდიან.“³ სიპტომატურია, რომ ქართული ეკლესია მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის პირობებშიც ინარჩუნებდა გარკვეულ გავლენას დაღესტნურ თემებში და მისონერულ მოღვაწეობასაც აგრძელებდა.⁴

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ხუნძახში მიკვლეულია ასომთავრულით შესრულებული მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული მასალა. მ. ხაფიზოვმა გაანალიზა: გალაში (ხუნდ. Гаала), ტად რალში (ხუნდ. Тад ралл) და ხუნძახში აღმოჩენილი წარწერები, რომლებიც თავის დროზე ა. ჩიქობავამ და ტ. გუდავამ წაიკითხეს. ხა-

1 Шихсаидов, А. დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

2 მაგომედხანოვი მ. დაღესტნის ხალხთა ეთნოგენეზი, გვ. 316-317.

3 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 2, თბ., 1959, გვ. 309-310.

4 იქვე, გვ.272-273.

ფიზიკა სრულიად დაუჭირა მხარი ცნობილ ლინგვისტთა მოსაზრებას, აღნიშნული ეპიგრაფიკული ძეგლების ორენოვანობის (ქართულ-ხუნძური) შესახებ. ქართული ლიტერების ნაწილის გაგება ვერ ხერხდება ქართულ ენაზე, სამაგიეროდ ეს შესაძლებელია ხუნძურად. იგი ვარაუდობს, რომ ხუნძური მეტყველების წერილობით ფიქსაციის პირველი მცდელობები უკავშირდებოდა აქ ქრისტიანობის შემოსვლას და ქართული დამწერლობის გავრცელებას. ქართველთა მისიონერული მოღვაწეობა მათგან მოითხოვდა არამარტო ადგილობრივი ენების შესწავლას წმინდა წერილის საქადაგებლად, არამედ აქაურ მკვიდრთაგან ღვთისმსახურთა შერჩევას, ქართულენოვანი ტექსტების შედგენას და ქართული გრაფიკის საფუძველზე ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგები დამწერლობის შექმნას.¹ ამასთანავე ამჟღავნებს, რომ ქართულ-ხუნძური წარწერების გამკეთებელ-წამკითხველნი უნდა ყოფილიყვნენ არა იმდენად ქართველი ღვთისმსახურები, რამდენადაც ადგილობრივი ხუნძები. წანააღმდეგ შემთხვევაში ხუნძური სიტყვების ქართული ანბანით წერა აზრს მოკლებული იქნებოდა.²

მონღოლთა შემოსევებმა საქართველო მნიშვნელოვნად დაასუსტა და იგი სათანადოდ ვეღარ აკონტროლებდა ეთნორელიგიურ ვითარებას ჩრდილო კავკასიაში. XIII საუკუნის ბოლოდან ისლამმა იმძლავრა ხუნძახსა და მის მიმდებარე დასახლებებში. თანდათანობით ხუნძახის მმართველთა პოლიტიკის მთავარი მიმართულება გახდა „ურწმუნოთა წინააღმდეგ საღმრთო ომი.“ შემონახულია საინტერესო გადმოცემა, როგორ გავრცელდა ისლამი წახურსა და მის მეზობელ სოფლებში. ამ გადმოცემის მიხედვით ადრე წახურში ქართველები ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ მოსახლეობის ნაწილმა სოფელ ხნოვისა და რუთულის მაცხოვრებლებთან ერთად რამდენიმე პატარა დასახლება დაარსა. მექადან აქ 3 მქადაგებელი მოსულა და ქრისტიანები ისლამზე მიუქცევია,

1 Хапизов Ш., О грузинско-аварских надписях на каменных крестах, Вестник дагестанского научного центра. 2014. N 54. გვ.73-74.

2 გუდავატი, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, ნაკ. 30. თბ., 1954 გვ 194.

რაც მეტად მარტივად მოუხერხებია. უბრალოდ წახურის, რუთულის და ხნოვის მკვიდრებმა დაწერეს, რომ ისინი ადრე ქრისტიანები იყვნენ, ამიერიდან კი მუსლიმები არიან.¹

XIV საუკუნის ბოლოს თემურლენგის მრავალგზის ლაშქრობა კიდევ უფრო მძიმედ აისახა საქართველოს მდგომარეობაზე. თემურმა უკმაყოფილო კავკასიელი მთიელები მოკავშირეებად გაიხადა, მას 1393 წელს ქართლ-კახეთის დარბევისას თან ახლდნენ ლეკებიც. იმავდროულად ხდებოდა დაღესტანში ისლამის ინტენსიური გავრცელებაც, შედეგად, თანდათანობით გამძაფრდა დაპირისპირება ქრისტიანულ საქართველოსთან.² ამიერიდან წამყვანი გახდა ჯერ კიდევ არაბთა პერიოდისათვის დამახასიათებელი კონფესიური და პოლიტიკური მოდელი. ისლამი იქცა დაღესტნური საზოგადოებების გამაერთიანებელ მთავარ იარაღად. ეს ლოგიკურიც იყო, რადგან ლინგვისტური ან ეთნიკური ფაქტორები, მათი მრავალფეროვნების გამო, კონსოლიდაციისათვის ნაკლებად გამოდგებოდა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური იდენტობის წინა პლანზე დაყენება საერთოდ დამახასიათებელია ისლამური სამყაროსათვის. ისლამის ერთ-ერთი მთავარი დებულების თანახმად კაცობრიობა იყოფა არა ეთნიკური, არამედ რელიგიური ნიშნით. ერთ მხარეს არიან მუსლიმები (უმმა), მეორე მხარეს კი სხვა სარწმუნეობის მიმდევარნი. ეს დებულება, მართალია, ისტორიის მანძილზე ერთგვარად გაფერმკრთალდა, ისლამში გაჩნდა ეროვნული იდეოლოგიები მაგ., ჯემშიდიანობა, პანთურქიზმი და სხვ. მაგრამ სარწმუნოებრივი ერთიანობა დღემდე განსაკუთრებულ როლს თამაშობს მუსლიმური სამყაროს სოლიდარობაში და დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობაში.

მუსლიმურ ჯამაათში სოლიდარობის გრძნობის გაღრმავების

1 Шихсаидов А., Ислам в средневековом Дагестане (VII – XV вв), Махачкала, 1969, гл 161-162, 206-207.

2 ანჩაბაძე ზ., ბოცვაძე თ., თოგოშვილი გ., ცინცაძე მ., ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები ნაკვეთი I, გვ. 121; ლეკვიშვილი თ., ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკა, ისტორიის დოქტორის (Ph.D. in History) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 2020, გვ. 93.

მნიშვნელოვანი ეტაპი უკავშირდება ქრისტიანულ ხალხებთან ურთიერთობას. ისლამის ინდივიდუალური და კოლექტიური რელიგიოზაციისათვის აუცილებელია ისლამური სახელმწიფო, რადგან არაისლამური სახელმწიფოს ქვეშევრდომად ქცეული მუსლიმი დარ ულ-სალამ-დან (ისლამისმშვიდობის სამყაროდან) ავტომატურად აღმოჩნდება დარ ულ-ჰარბ-ში (ომის სამყაროში). ჯერ კიდევ 1484 წ. მუსლიმი ღვთისმეტყველი ალ-ვანჰარისი აცხადებდა, რომ მუსლიმმა ამ ვითარებაში უნდა შეასრულოს ჰიჯრა (დატოვოს ურწმუნოთა ტერიტორია) თუ ამის შესაძლებლობა არსებობს. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ხშირად ძნელი იყო, ამიტომ ახმედ იბნ ჯუმაირმა (მუფტიმ) გამოსცა ფეტვა, რომელიც მორწმუნეებს ნებას აძლევდა ეცხოვრათ ქრისტიანების დაპყრობილ ტერიტორიაზე. უკიდურეს შემთხვევაში იგი დასაშვებად თვლიდა ისლამზე უარის ფორმალურად გაცხადებასაც კი. იმ შემთხვევებში, როდესაც მუსლიმს აიძულებდნენ მიუღებელი რამ ჩაედინა (ეჭამა ღორის ხორცი, დაელია ღვინო, მონაწილეობა მიეღო წირვაში და ა.შ.) თავისი ამგვარი ქმედებებისადმი დისტანცირება მას საკუთარ სულში უნდა მოეხდინა.¹

ისლამის გავრცელების პირველ ხანებში მუჰამედი ეფექტურად იყენებდა „ჰაზას“ (მრავლობით რიცხვში „ჰაზავათი“), რაც გულისხმობდა სამხედრო ოპერაციებს ისლამის გავრცელებისა და დაცვისათვის. მოგვიანებით ჰაზავათმა ადგილი დაიმკვიდრა შარიათში და ამ ტერმინით აღნიშნავენ როგორც „დარ-ალ ისლამის“ ტერიტორიის გაფართოებისათვის ისლამის ღრმის ქვეშ წარმოებულ ბრძოლას, ისე „ურჯულოებზე“ წვრილ მეკობრულ თავდასხმებს. სწორედ ამგვარი თავდასხმები გახშირდა საქართველოზე ჩრდილოკავკასიელთა მხრიდან იქ ისლამის მომძლავრების შემდეგ, რამაც თანდათანობით კატასტროფული ხასიათი მიიღო. ამ მოვლენას ქართველებმა „ლეკიანობა“ უწოდეს.

დაღესტანში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა ისლამური ღვთისმეტყველება, ამიტომ ბუნებრივია ისლამმცოდნეთა ყურა-

1 Ланг М., Традиция миграции в мусульманском кругу, Централная Азия и Кавказ, 1998, #1, გვ. 222-225.

დღების ქვეშ მოექცა „ჰაზავათის“ დროს ომის წარმოების წესების განხილვა და იმის ახსნა რამდენად შეესაბამებოდა ლეკიანობა შარიათის ნორმებს და „ჰაზავათს.“ ამ მხრივ გამოიკვეთა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული პოზიცია. პირველი ეკუთვნის დაუდ ალ-უსიმი (XVIII საუკუნის შუა ხანები). მისი ნაშრომი შეიცავს დეტალურ პასუხებს, როგორ უნდა გამოეყენებინათ მუსლიმური სამართალი ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისას. ერთ-ერთ კითხვაზე: „შეიძლება თუ არა ჩვენი დროის დაზიები რწმენისთვის ჭეშმარიტ მებრძოლებად ჩაითვალოს, როდესაც ვიცით, რომ მათი მიზანია ნადავლის ხელში ჩაგდება და არა ყოვლისშემძლე ალაჰის სიტყვის ამადლება და მისი გზის გაყოლით მოწყალების დარიგება,“ იგი პასუხობს: „ზოგადად, ალაჰისთვის მებრძოლთა [მოქმედებები] [დამტკიცებულია], ჩვენს დროში და ჩვენ არ გვყავს „დაზიები“, რადგან ისინი შეცდომით თვლიან [ჩვენს გარშემო მყოფ ხალხს] ურწმუნოებად [რომლებთანაც ბრძოლა აუცილებელია]. საქართველოს (კურჯისტანის) შესახებ ასეთი მცდარი წარმოდგენა ისეთივე აშკარაა, როგორც მთის [მწვერვალზე] ღამით დანთებული ცეცხლი. ქართველები სპარსელების ან თურქების ქვეშევრდომები არიან. და რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ არ შეგვიძლია მათი სისხლის დაღვრა და მათი ქონების ხელყოფა. თუშეთის მაცხოვრებლებიც მათ ქვეშევრდომებად ითვლებიან, იმიტომ, რომ ისინი უხდიან ჯიზიას და ხარაჯას თავიანთ მმართველებს. სხვა [მეზობელი ხალხები] მუდმივად იმყოფებიან ერთ-ერთის [მუსლიმური სახელმწიფოს] მფარველობის ქვეშ და თუ ვინმე ერთ-ერთის მფარველობის ქვეშაა [მუსლიმური სახელმწიფოებიდან], მაშინაც კი, თუ ის მონაა, ჩვენთვის აკრძალულია მათი სისხლი [დაღვრა], [მათი ქონების ხელყოფა], [მითვისება] და დატყვევება.“¹

დაუდ ალ-უსიმი მიაჩნდა, რომ დაღესტნელთა თარეშები, მეკობრეობა და ტყვეთა სყიდვა შარიათის კანონებისა და საერთოდ ადამიანური ბუნების საწინააღმდეგო გამოვლინება იყო. ამგვარი მოსაზრების მიუხედავად მისი თანამედროვე და-

1 იქვე გვ., 3225.

დესტინელი ალიმები მხარს უჭერდნენ თავიანთ მეუზობლად მცხოვრებ ქრისტიანებზე მეკობრულ თავდასხმებს. რასაც იმავე შარიათის კანონებითა და სხვა ღვთისმეტყველთა ნააზრევით ამყარებდნენ.

დაუდ ალ-უსიშისაგან სრულიად განსხვავებულად განმარტავდა საქართველოზე დაღესტნელთა თავდასხმების სამართლებრივ არსს მეორე დაღესტნელი ღვთისმეტყველი იბრაჰიმ ალ-ურადი. მას მიაჩნდა, რომ თუ ქართველები შიიტებს (ყიზილბაშებს) ემორჩილებიან, ეს ნიშნავს, რომ არ ცნობენ ხალიფას ძალაუფლებას. ამასთანავე, ქართველები ეხმარებიან მართლმორწმუნე ხალიფას მოწინააღმდეგეებს, თავს ესხმიან და ქონებას ართმევენ ოსმალეთსა და წორში (ქარ-ბელაქანში) მცხოვრებ მუსლიმებს. ამდენად, თავად იბრძვიან ისლამისა და მუსლიმების წინააღმდეგ. რაც შეეხება თუშებს, ისინი ვერ გაუთანაბრდებიან „წერილის ხალხებს,“ რაც დაღესტნელებმა იციან დატყვევებული თუშებისა და იმ ხალხისაგან ვინც თუშეთში ცხოვრობდა. ამიტომ მათგან არც ხარაჯის და არც ჯიზიას აღება არ შეიძლება, მათ ისლამი უნდა მიიღონ¹.

თეოლოგთა ნააზრევში ამგვარი წინააღმდეგობა, ისლამის დოგმათა კანონიკური ინტერპრეტაციის გარდა ხალხში არსებულ განწყობებსაც ასახავდა. ნ. ომარაშვილმა შენიშნა, რომ დაღესტნელ მთიელთა ნაწილი არ იყო მტრულად განწყობილი საქართველოსადმი. საქართველოზე სალაშქროდ ჯარის შეყრის დღეს შავ დღეს უწოდებდნენ, წორზე (დღევანდელი საინგილო _ ლ.ჯ.) სალაშქროდ მიმავალი საქმროსათვის ქალს შეიძლება ცოლობაზე უარი ეთქვა, ხოლო ზოგიერთ თემში ადათი კახეთში მოთარეშეს სამემკვიდრეო წილს უკარგავდა.²

კავკასიაში თემურ ლენგის ლაშქრობებმა და ერთიანი საქართველოს დაშლამ სათავე დაუდო ქართული სამყაროსგან დაღესტნის პოლიტიკურ და კულტურულ დისტანცირებას. ამიერიდან ლეკთა გამუდმებულმა თავდასხმებმა, აღმოსავლეთ კახეთში

1 იქვე, გვ. 3226.

2 ომარაშვილი ნ., კახეთში მცხოვრები დაღესტნელები (ჩამოსახლების ისტორია, ყოფა და კულტურა), თბ., 2008, გვ. 47.

მათმა მასობრივმა ჩამოსახლებამ და მეკობრეობამ („ლეკიანობამ“) გაუსაძლისი ფორმა მიიღო. ეს ძალზე მტკივნეული პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსივობით სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიის გაბატონებამდე გაგრძელდა და ორი ხალხის ურთიერთობაში მწარე მოგონებად დარჩა.

3. დეკიანობა - ქაქთლ-კახეთის ნაღვლის საუკთხე

ხოლო არაოდეს მოიხსენებინ და ვერცა
დაიტევს ისტორიამ ესე, თუ ვითარი ოხრება
იყო ლეკთაგან საქართუელთა შინა

(დავით ბატონიშვილი).

გვიან შუასაუკუნეებში განვითარებული ისტორიული მოვლენები მტკივნეულად აისახა დაღესტანთან მოსაზღვრე ქართული პროვინციების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. ირანის მახრებელი ლაშქრობებით შეთხლეებული კახეთის მოსახლეობა ვეღარ უმკლავდებოდა ლეკი მეკობრეების მუდმივ თავდასხმებს, ვერც ქვეყნის პოლიტიკური მესვეურები ვეღარ აკონტროლებდნენ ვითარებას. კახეთს თანდათან ჩამოშორდა ამჟამინდელი საინგილო, სადაც შექმნილ მუსლიმურ პოლიტიკურ ერთეულებში, კაკ-ენისელების სასულთნოში და ჭარის სახანოში (გაღმა მხარის აღმოსავლეთ ნაწილი, დღევანდელი ზაქათალა-ბელაქნის ტერიტორია) XVII-XVIII სს-ში დაიწყო ქართველთა ინტენსიური დეეთნიზაციის პროცესი. ჭარის სახანო დაღესტნიდან გადმოსახლებული და აქ დამკვიდრებული ჭარის, ბელაქნის, კატეხის, თალას, მუხახისა და ჯინიხის ავარულ ლეკთა „უბატონო თემებისაგან“ წარმოიქმნა. მის ლოკალიზაციას თ. პაპუაშვილი ალაზნის გაღმა მხარის იმ ტერიტორიაზე ახდენს, რომელიც მდინარეების გავაზისწყლისა და ყუფუ-ჩაის შორის მდებარეობდა.¹

1 პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, ნარკვევები სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიიდან (უძველესი დროიდან XII ს. I მეოთხედამდე). თბ., 1970, გვ. 328.

დადესტნელთა ნაწილი კაკ-ენისელის დასავლეთით ძველ გავაზამდეც ჩამოსახლდა. თავიდან ისინი კახეთის ზამთრის საძოვრებით სარგებლობდნენ და ბეჟანიაანის მინდორზე (დღევანდელი ახალსოფელი) მდინარე შოროხევის სანაპიროზე გამოსაზამთრებლად რჩებოდნენ. თავდაპირველად ლეკები აქ სეზონურად ცხოვრობდნენ, საძოვრების გამოყენებისათვის „საბალახეს“ იხდიდნენ და ცხვრის ფარებს მხოლოდ მწყემსები მოჰყვებოდნენ. მოგვიანებით ოჯახებით დაიწყეს სიარული, საკარმიდამო ნაკვეთები დაისაკუთრეს და რამდენიმე დროებითი დასახლებული პუნქტი შექმნეს. ამრიგად, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე თანდათანობით დამკვიდრდნენ ამ რეგიონში (დღევანდელი ძირითადად ცხოვრობენ ყვარლის სოფლებში: ჩანტლის-ყურე, თივი, სარუსო).

ლეკთა მოწოლამ გამოიწვია კახეთიდან ქართული მოსახლეობის აყრა-გადასახლება და სოფლების გაუდაბურება. ისე რომ, XVII საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ეს ადგილები გერმანელმა მკვლევარმა ი. გიულდენშტედტმა მოინახულა, კახეთის აღმოსავლეთში დასახლებული ბოლო სოფლები გავაზი და ჭიკაანი იყო, ხოლო გაღმა მხარში, ჭარის სოფელ ბელაქნამდე, ქართველთა მკვიდრობის შესახებ მხოლოდ გადმოცემა შემორჩენილიყო. ლეკებთან მუდმივი შეტაკებებს შეჩვეული ჭიკაანისა და გავაზის მცხოვრებთ, მათივე მეთოდების გამოყენება დაუწყიათ და ამიტომ დადესტნელები ამ სოფლებზე თავდასხმას თავს არიდებდნენ.¹

ალაზნის გაღმა გაუკაცრიელებული ქართული სოფლები ტყითა და ეკალბარდით დაიფარა. ასე რომ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც აქ ჟაკ ფრანსუა გამბამ იმოგზაურა, ბელაქნამდე ტერიტორია ქართული ნასოფლარებით ყოფილა მოფენილი. აქ ჯერ კიდევ ჩანდა ძველი ნასახლარები. „ეს ოდესღაც მართლაც მშვენიერი მხარე ქართველებით ყოფილა დასახლებული. იმჟამად კი დიდოეთისა (Didoizy) და გონზუკურის (Conzoukoory) ლეკებს თავიანთი ფარა მოჰყავთ გამოსაზამთრებლად. ზაფხულში კი ეს იყო ავაზაკების თავშეყრის ადგილი, სადაც მთიელები იკრიბე-

1 იქვე, გვ. 27.

ბოდნენ კახეთზე სათარეშოდ.“¹

საქართველოში სამეკობრეოდ წამოსული ლეკთა პატარ-პატარა ჯგუფები უდრან ტყეებსა და მიუვალ ადგილებში ბანაკდებოდნენ საიდანაც მოულოდნელად თავს ესხმოდნენ ხოლმე საქმიანობაში გართულ გლეხობას. იტაცებდნენ პირუტყვს, მოსავალს, ატყვევებდნენ ადამიანებს, რომლებიც ან დაღესტანში მიჰყავდათ და მერე ყირიმის სახანოში ყიდდნენ, ან აქვე, ახალციხეში გადაიყვანდნენ გასაყიდად. ნ. ბერძენიშვილი წერს „ლეკი-აბრაგები ქართველებთან პირისპირ შებმას გაურბოდნენ. ეს გასაგებიცაა: მათი მიზანი ტყვისა და სხვა ნადავლის შოვნა იყო. ვერც შეიარღვებით, ვერც სამხედრო ორგანიზაციით ისინი ქართველებს ვერ უსწორდებოდნენ, ქართველებთან დიდ ბრძოლებში ჩვეულებრივ მარცხდებოდნენ ხოლმე.“² ამიტომაც ერიდებოდნენ გამაგრებულ ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებზე თავდასხმებს.

მდგომარეობა შეიცვალა კახეთში ლეკთა მასობრივად ჩასახლების შემდეგ. შაჰ-აბას I-ის ლაშქრობების შედეგად გაუჟაყრიელებულ ადმოსავლეთ კახეთის დაცარიელებულ მიწებზე (ჭარს და ბელაქანში) ხუნძებმა და წახურებმა შექნეს ე. წ. „უბატონო თემები“, ეს მხარე საქართველოზე თავდასხმების პლაცდარმად იქცა. ლეკიანობა განსაკუთრებით XVIII საუკუნეში გაძლიერდა. ვახუშტის მიხედვით, ლეკები თითქმის მთელი კახეთს მოედნენ. ისინი მასობრივად ავრცელებდნენ ისლამს.³ რაც მთავარია, საქართველომ დაკარგა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი – ადმოსავლეთ კახეთი, რომელსაც ახლა საინგილოს ვუწოდებთ.⁴

საქართველოზე ლეკთა თავდასხმებს ახალისებდა ოსმალეთი, რომელიც დაჰყრობილ ახალციხის საფაშოში ხშირად აძლევდა მათ თავშესაფარს. ამიტომ დაღესტნელები საქართველოს ახალციხის მხრიდანაც ესხმოდნენ თავს. ოსმალეთის ტყვეთა ბა-

1 გამბა (ჟაკ ფრანსუა), მოგზაურობა კავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა მზია მგალობლიშვილმა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, ტ. II, თბ. 2021 გვ. 50.

2 ბერძენიშვილი ნ. საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 203.

3 ბატონიშვილი ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 622.

4 თოფჩიშვილი რ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 103-104.

ზარი გზას უხსნიდა ტყვეებით ვაჭრობას. ამასთანავე მებატონეთა ექსპლუატაციით შევიწროებული კახელი გლეხი ხშირად უბატონო ლეკებს აფარებდა თავს და ამრიგად ლეკდებოდა, რადგან „გალეკება“ მისთვის უბატონობას ნიშნავდა.¹ ამას კარგად ხედავდნენ ქართლ-კახეთის მესვეურებიც, თუმცა არსებული ვითარების შეცვლას ვერ ახერხებდნენ. 1722 წ. დავით II (იმამყული ხანი) ვახტანგ VI-ეს წერდა - „თქუენც მოგეხსენებათ მრავალჯერ მტრისაგან მოთხრილი და შეწუხებული გლეხი კაცი ადვილად მოტყუვდება. ამათ ლეკის პირი დაიჭირეს და ლეკს მიუდგენ და, რომელიც ლეკს მიუდგენ, ისინი ქუეყანას მტერობენ და ეს საქმე ჰემწიფის დოვლათის საზიანო და ქუეყნების მოსათხრელი არის. შიას ჯოცენ, არბევენ, ქართველს ასე ეპყრობიან.“² ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ, ნ. ბერძენიშვილის მოსწრებული შენიშვნით, ე. წ. „უბატონო ლეკური თემები თანდათან მებატონეებად გადაიქცნენ.“³

ამრიგად, ოდესღაც მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი მეზობელი ხალხები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ და ქართლ-კახეთში დაღესტნის ტომთა მეთაურების ორგანიზებულმა თავდასხმებმა სისტემური ხასიათი მიიღო. დ. მეგრელაძე ლეკთა ლაშქრობების სამ ტიპს გამოჰყოფს: 1. მტაცებლური ესპედიციები, 2. ლაშქრობანი ტერიტორიების დაპყრობის მიზნით, 3. ლაშქრობანი მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნის მიზნით.⁴

XVIII საუკუნეში საქმე იქამდე მივიდა, რომ ლეკთა კონსოლიდირებული ძალები ქართველ მეფეებსაც კი უზღუდავდნენ საკუთარ სამფლობელოში გადადგილებას და ქალაქებზე ლაშქრობასაც ბედავდნენ. კახეთის მეფემ მაჰმად-ყულიხანმა (კონსტანტინე II) ქართლში ოსმალებზე გალაშქრების შემდეგ (1724 წელს) უკან დაბრუნება ვერ მოახერხა, „მოვიდა ახალგორს და მოიყვანა დე-

1 იქვე, გვ. 103-104.

2 ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი I, ქართული ეპისტოლური წყაროები XV ს -1762 წ. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძენიშვილმა, თბ., 1989 გვ. 63.

3 ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 162.

4 მეგრელაძე დ., დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, ლეკიანობა, თბ.2011, გვ. 9.

დოფალიცა თვსი, რამეთუ ველარა შთავიდოდა კახეთს ლეკთა გამო.“¹ გათავხედებულმა დაღესტნელებმა თელავზე თავდასხმა გადაწყვიტეს და გაერთიანებულმა ჭარელთა და ლეკთა ლაშქარმა თელავის ციხის აღება სცადა. თუმცა თელაველებმა „განწირნეს თავი და გამოვიდნენ განზრახვთა ვისმე ხუცისათა, რომელი ეტყოდა ძლევასა ლეკთა ზედა; ეკუთნეს თელაველნი და მოსრნეს ბანაკნი მათნი, აოტნეს და აღიღეს ალაფნი მათნი. ამის მხილველთა კახთა მოსრნეს ყოველნი თვსთა შინა მყოფნი ლეკნი და განთავისუფლდნენ და კუალად სიმაგრეთა შინა მყოფნი დაადგრნენ მტკიცედ, მერმე მოუწოდეს მაჰმად-ყულიხანს, ჩამოვიდა და დაემორჩილნენ ყოველნი თელავს მყოფს.“²

ლეკთაგან შევიწროებული მაჰმად-ყულიხანი იძულებული გახდა გაეხსენებინა ძველი გეგმა, რომელიც ლეკებთან დაზავებას და მათთვის ქართლზე გზის მიცემას გულისხმობდა.³ ლეკებმა, მათთან ბრძოლაში გაწაფულ კახელებთან ლაშქრობებს, ქართლზე თავდასხმები და მაჰმად-ყულიხანისათვის ნაძარცვიდან წილის გადახდა ამჯობინეს. თუმცა ნანატრი სიმშვიდე კახეთს არც ამ „დაზავებამ“ მოუტანა. „„გარნა არცაღა თუ კახეთი იყო მათგან მშვიდობით. ამისთვს ჰყვეს ციხე მადაროს ქისიყელთა და შევიდნენ მას შინა.“⁴ რ. გოგოლაურის აზრით კონსტანტინე (მაჰმად-ყულიხანი) ლეკების ქართლზე ლაშქრობებს იმიტომაც არ ეწინააღმდეგებოდა, რომ არ სურდა იქ ოსმალეთის ვასალი ისაყ-ფაშას გაძლიერება. ახალციხის ფაშა იმ ხანებში ენერგიულად იბრძოდა კახეთის დამორჩილებისათვის. კონსტანტინე კი „ოსმალებში“ უფრო დიდ ბოროტებას ხედავდა ვიდრე ლეკებში.⁵

XVIII საუკუნეში დაღესტან-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობა გარკვეულად უკავშირდებოდა საერთაშორისო ვი-

1 ბატონიშვილი ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 623.

2. იქვე, გვ. 623.

3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 443 .

4 ბატონიშვილი ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი გვ. 623.

5 გოგოლაური რ., დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს. 20-40-იან წწ. კრებ.: „მესხეთი ისტორია თანამედროვეობა“, ახალციხე, 2000., გვ. 50.

თარებას. აქ ერთმანეთში იყო გადახლართული ირანის, ოსმალეთის და რუსეთის ინტერესები და ყველა მხარე ცდილობდა ლეკები საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოეყენებინა. თავად დაღესტნელებს კი სულ უფრო უზრდებოდათ მაღა და მუდმივად თარეშობდნენ ქართლ-კახეთის სოფლებში. საქართველოში ლეკიანობის მთავარი ორგანიზატორი იყო დაღესტნის შამხალი, რომელიც ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ქართველმა მესვეურებმა მის საპირწონედ მოკავშირის ძებნა ჩრდილოეთით, მოსკოვში დაიწყეს, თუმცა ამან სათანადო შედეგი ვერ გამოიღო.

იმავდროულად დაღესტნის მიმართულებით აქტიურობდა ირანიც. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ კახეთის მოხრებისათვის შაჰ-აბასი ლეკებს გარიგებია. „უზრახა ლეკთა: “რამეთუ მნებაჲს მოწყყუდა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქუენ კერძთა მათთა შინა, თქუენ მოსრენით და ტყუე-ყვენით იგინი და აღგავსნე მეცა ნიჭითა“. მსმენელთა მათ სიხარულით აღუთქუეს.“¹ რადგან სეფიანმა მმართველებმა კახეთის დემოგრაფიული ათვისება იქ თურქმანთა ჩასახლებით ვერ მოახერხეს, ამ კუთხის გალექების გზით მოსახლეობის გამუსულმანება მათთვის ერთგვარ გამოსავალს წარმოადგენდა.²

სამხრეთ კავკასიაში დაღესტნური ფაქტორის თავის სასარგებლოდ გამოყენებას უფრო ეფექტურად ახერხებდა ოსმალეთი, რომელიც აქ ირანს უპირისპირდებოდა, ლამობდა საქართველოდან ყიზილბაშები განედევნა და თავისი ბატონობა აღედგინა. ლეკების წახალისებას „ყიზილბაშობის“ დროსაც (1735-1747 წ.წ.) აგრძელებდა და ამ მიზნით ხარჯს არ ერიდებოდა. თურქები დაღესტნელთა თარეშის წასაქეზებლად მეტწილად ახალციხის ფაშას იყენებდნენ, რომელსაც საამისოდ დიდი თანხა ეძლეოდა.³ როგორც პაპუნა ორბელიანი წერს: „მოსცა ხონთქარმა ჯარი და ხაზინა და: ვინც ჩვენს სამსახურზე ხმაღს იქნევდეს იმათ მიეცით

1 ბატონიშვილი ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 588.

2 ბოცვაძე თ., საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს), ლეკიანობა, თბ., 2011, გვ. 41.

3 გოგოლაური რ., დაღესტან -ახალციხის საფაშოს ურთიერთობა და ქართლ-კახეთი XVIII ს-ის 20-40-იან წლებში (ხელნაწერი) გვ. 163.

და კიდევ უმეტეს წყალობას მოელოდეთო.”¹ როგორც აღნიშნული იყო, სწორედ სულთნის დაქვემდებარებულ ყირიმის სახანოსა და ახალციხის საფაშოში ახერხებდნენ ლეკები საქართველოში მოპოვებულ ნაძარცვი ქონებისა და ტყვეების გასაღებას.

ახალციხელი ფაშები, მიწვეულ ლეკ-აბრაგთა რაზმებთან ერთად, დღენიადაგ თავს ესხმოდნენ საქართველოს და მას დიდ ზიანს აყენებდნენ. რ. გოგოლაურს მიაჩნია, რომ ახალციხის ფაშის და ლეკ მოთარეშეთა ურთიერთობაც არ იყო ერთგვაროვანი. თავდაპირველად, როდესაც სულთანმა ახალციხელი ისაყ-ფაშა „გურჯისტანის“ გამგებლად დანიშნა და აღმოსავლეთ საქართველოში „ოსმალთა“ მომძლავრდა, დაღესტან-ახალციხის საფაშოს ურთიერთობა საკმაოდ მჭიდრო იყო. ლეკები ამ დროისთვის კავკასიაში თურქების დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ და მათთან შეთანხმებული მოქმედების გარეშე ფაშას ოსმალთა ინტერესების გატარება გაუჭირდებოდა, თუმცა ეს დამოკიდებულება წამსვე შეიცვალა, როდესაც ისაყ-ფაშამ კახეთის დაპყრობა შეძლო, ყარაღაჯის ციხე აიღო და შიგ მცხოვრებები ჩააყენა. ამის შემდეგ თურქებმა მათ სამფლობელოდ ქცეულ მიწებზე ლეკთა თარეში მნიშვნელოვნად შეზღუდეს. აჰმედ III-მ იმ ხანებში ფირმანიც კი გამოსცა, რომლითაც ისაყ-ფაშას და სხვა ბეგებს უბრძანა, რომ გაემაგრებინათ ყარაღაჯის ციხე და სხვა ადგილები, რათა მოსახლეობა ყაჩაღებისაგან დაეცვათ.² მთიელ მეკობრეებს, ცხადია, ოსმალთა პოლიტიკის ამგვარი ცვლილება სულაც არ მოსწონდათ. ისინი ცდილობდნენ, ძველებურად გაეგრძელებინათ ქართლ-კახეთის რბევა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ისაყ ფაშამ ბოლნისში სააბრაგოდ მყოფი დაღესტნელები ყარაიასთან მთლიანად გაანადგურა – „მოეტევა ისაყ-ფაშა და მოსწყვდნეს ურიცხვნი ლეკნი, აოტნეს და მოყვნენ ჳოცითა და სრვითა დღე და ღამე ალაზნამდე.“³ ვითარება შეიცვალა ირანში ავშართა დინასტიის მოსვლის შემდეგ. რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკებების წყალობით, ირანმა

1 ორბელიანი პ. ამბავნი ქართლისანი, თბ. 1981, გვ. 72.

2 გოგოლაური რ., დაღესტან -ახალციხის საფაშოს ურთიერთობა და ქართლ-კახეთი XVIII ს-ის 20-40-იან წლებში (ხელნაწერი) გვ. 154.

3 ბატონიშვილი ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 625.

ფაქტობრივად უბრძოლველად დაიბრუნა პეტრე I-ის ლაშქრობებით მოიპოვებული ტერიტორიები. რუსებმა დაღესტანიც მათი გავლენის სფეროდ აღიარეს. მალე ირანელებმა (1735 წ.) თურქები აღმოსავლეთ საქართველოდანაც განდევნეს. ამგვარ პირობებში ოსმალებმა უმაღლესი შეიცვალეს ლეკებთან ურთიერთობის ხასიათი და კვლავ განაახლეს მათი დახმარება.¹

დაღესტნის თემები სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები სუნიტების მომხრეებად ითვლებოდნენ, ამიტომ 1723-27 და 1730-36 წლების ირან-ოსმალეთის ომებში ამ უკანასკნელს ღიად დაუჭირეს მხარი. ირანში გადაწყდა, დაღესტანში მთლიანად გაენადგურებინათ „პასიონარული“ ელემენტი და ასიმილაციის მიზნით, ისინი მასობრივად გადაესახლებინათ სპარსეთში.² ნადირ შაჰის გამაღებული მცდელობა, ფეხი მოეკიდებინა დაღესტანში, უშედეგოდ დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ 1742 წლის დასასრულს, მრავალი ბრძოლის შემდეგ, მან შეძლო დაუფლებოდა ყუმუხს, ყაითაყსა და ტაბასარანს, ჩამოთვლილი ხალხები, ისევე, როგორც ხუნძები და სხვა დანარჩენი ტომები, საბოლოოდ ვერ დაიმორჩილა. დაღესტანში წარუმატებელმა ლაშქრობებმა ნადირ შაჰის ჯარი, მორალურად გატეხა.³

ამ პერიოდში კავკასიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსეთის იმპერიაც. მისი კავკასიური პოლიტიკა უპირველესად თურქეთისა და ირანის გავლენების მოსპობას და აქ აღმოსავლეთისაკენ შეტევითვის პლაცდარმის შექმნას გულისხმობდა. ამ ზრახვების განხორციელებაში გადამწყვეტ როლს მოსკოვი ქართულ სამეფო-სამთავროებს აკისრებდა. თავის მხრივ, მუსლიმთა გარემოცვაში მოხვედრილ ქართველ მესვეურებს რუსეთი, როგორც ქრისტიანული სახელმწიფო, ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ. ქართლ-კახეთის მეფეები თითქმის ორი საუკუნე ცდილობდნენ მოსკოვი მოკავშირეობაზე დაეთანხმებინათ. რუსეთის მთავრობა კი

1 გოგოლაური რ. დასახლებული ნაშრომი გვ. 161.

2 ლეკვიშვილი თ. ნადირ შაჰის კავკასიური პოლიტიკა, ისტორიის დოქტორის (Ph.D. in History) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2020 გვ. 105.

3 იქვე, გვ. 105-116.

ყოველთვის რეალურად არსებული მდგომარეობის მიხედვითა და საკუთარი სარგებლის მიღების მოტივით მოქმედებდა.

ნადირ შაჰის კავკასიური პოლიტიკის ჩავარდნის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეები (თეიმურაზ II, ერეკლე II) კიდევ ერთხელ შეეცადნენ ლეკიანობის პრობლემა რუსეთის საშუალებით მოგვარებინათ და 1752 წ. იქ ელჩობა გაგზავნეს, რომელსაც დავალებული ჰქონდა საიმპერატორო კარისთვის ეთხოვა ლეკთა საკითხის გადაწყვეტა. მოხსენებით ბარათში, რომლითაც ელჩმა სიმონ მაყაშვილმა რუსეთის კანცლერ ა. პ. ბესტუჟევ-რიუმინს მიმართა, ნათქვამია: „პირაქათ ლეკნი არიან თქვენი მორჩილი და თქვენს ქვეყანაში ვაჭარნი ან ულუფის მჭამელნი, იმათაც ყადაღა უყავით ერთი ოქმი უბოძეთ დაეხსნან ჩვენს ქვეყანას ჩვენთვის ეს დიდათ შასამატი არის, ამის ჩვენი მეფეები დიდს წყალობაში ჩადებენ, თქვენგან ადვილი არის.“¹

მოგვიანებით ქართველმა ელჩებმა ისევ მოითხოვეს კონკრეტული ღონისძიებების გატარება: „ 1. ლეკები გამუდმებით თავს ესხმიან ჩვენს ქვეყანას, ამიტომ მისი იმპერატორის უდიდებულესობამ რამდენიმე ხნით დასახმარებლად გაუგზავნოს მსუბუქი ჯარი ღონის კაზაკების, ან ყალმუხების სახით სამი ათასი კაცი და უბრძანოს მხოლოდ ლეკების წინააღმდეგ ბრძოლა ქართლსა და კახეთში, რომ ბერძნული (მართლმადიდებლური) ეკლესიები არ დაანგრიონ და ქრისტიანობა არ ამოიძირკვოს. 2. თუ ამათი გაგზავნა არ შეიძლება, ყაბარდოელები და ჩერქეზები გვიბოძოს, თითქო ჩვენმა მეფეებმა ნებით დაიქირავეს, ოღონ ხარჯი რუსეთმა გაიღოს, რადგან საქართველოს დიდი ხნით მათი დაქირავება არ შეუძლია მეზობლებისგან განუწყვეტელი ომების გამო. 3. დაავალოს ყიზლარის კომენდანტს, რათა მან მისწეროს იმპერატორის მფარველობაში მყოფ რუსეთის მეზობელ ხალხებს დაღესტნელ ლეკებს და მან აუკრძალოს თავის ხალხს ქართლსა და კახეთზე თავდასხმა, ქვეყნის აოხრება და ქრისტიანების ტყვედ

1 მაჭარაძე ვ., მასალები XVII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი 1 რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნის 40-20-იანი წლების მიჯნაზე, თბ., 2007, გვ. 169.

გატაცება“.¹ საპასუხოდ საგარეო საქმეთა კოლეგიამ ფულით დაა-
ჯილდოვა დესპანები და თავის ქვეშევრდომ კავკასიელ მთიელთა
ალაგმვასაც დაჰპირდა.²

სამეცნიერო ლიტერატურის და ისტორიული წყაროების ანა-
ლიზი გვიჩვენებს, რომ რუსეთი დაინტერესებული იყო არა ლეკი-
ანობის პრობლემის გადაჭრით და ქართული პოლიტიკური ერთე-
ულების გაძლიერებით, არამედ ახლო აღმოსავლეთში თავისი
ჰეგემონობის მიღწევის იარაღად მათი გამოყენებით. მაგ., იმედო-
ვნებდნენ, რომ რუსეთ-თურქეთის ომში ქართლ-კახეთის სამეფოს
ჩართვის შემთხვევაში ერეკლე II რუსებს სამხედრო დახმარებასაც
გაუწევდა და თურქეთის წინააღმდეგ ქართლ-კახეთის მეზობელი
ხალხების ამხედრებასაც უზრუნველყოფდა.³

ზემომოტანილი ფრაგმენტული მიმოხილვაც კი ცხადყოფს
რომ ოსმალეთი, ირანი და რუსეთი დაღესტნელებს საკუთარი პო-
ლიტიკის განხორციელებისათვის იარაღად მიიჩნევდა, ხოლო საქა-
რთველოს გაძლიერება მათ ინტერესში არ შედიოდა.

ლეკიანობამ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა აღმოსავლეთ
საქართველოს. მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა, ზო-
გიერთი მხარე მოსახლეობისაგან სრულიად დაიცალა, კულტუ-
რული მემკვიდრეობა დაეცა. ჭარ-ბელაქნელთა და დაღესტნელთა
მუდმივმა თარეშმა სრულიად გააუკაცრეილა ალაშნის მარჯვენა
სანაპირო.⁴ უკეთესი ვითარება არც ჭარ ბელაქანში იყო. როგორც
„XVIII საუკუნის ქარის ომების ქრონიკაში“ ნათქვამია, რომ გამუდ-
მებული ომებისა და შეტაკებების გამო კახეთში თავადები აღარ
დარჩნენ, ჭარში კი ჭაბუკები („Бои и схватки между названными
областями были так часты, что в Кахетии не осталось тавадов а в
Джарии –молодцов“)⁵

ქართლ-კახეთის მეფეებს შიდა რესურსებით უწევდათ ლე-

1 იქვე. გვ. 37.

2 იქვე, გვ. 186.

3 მაჭარაძე ვ., მასალები XVII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს
ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი LII, ნაკვეთი II (რუსეთ-თურქეთის
ომი 1768-1774 წლებში და საქართველო), თბ., 1997, გვ. 32.

4 ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება XVIII ს. დამდ, თბ. 1940, გვ. 211.

5 Хроника войн Джара в XVIII столетии, Баку 1931, გვ.9..

კიანობის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ კავკასიელ მთიელთა გამანადგურებელი თავდასხმების აღმოსაფხვრელად. მათ კარგად ესმოდათ, რომ, პირველ რიგში, აუცილებელი იყო ქარ-ბელაქნის პრობლემის გადაჭრა, რადგან დაღესტნიდან მომავალ მეკობრეებს იქ მუდმივი მოკავშირეები ეგულებოდათ. ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან პერმანენტული თავდასხმები ქვეყანას აპარტახებდა და წალეკვას უქადდა. აქ დასახლებების აღორძინებისა და მოსახლეობის დამაგრებისათვის საჭირო ხანგრძლივი მშვიდობა და ინტენსიური მეურნეობის აღორძინება წარმოუდგენელი იყო კახეთის გაღმამხარის შემოერთების გარეშე. ლეკიანობის აღმოფხვრა ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობას და სისტემურ მიდგომას მოითხოვდა.

ქართული სახელმწიფოს მესვეურები დაუღალავად ცდილობდნენ აელაგმათ დაღესტნელთა თარეში და სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში თავიანთი პოზიცია განემტკიცებინათ. ამ მხრივ გამორჩეული იყო მეფე ერეკლე მეორე, რომელიც სიჭაბუკიდან მუხლჩაუხრელად იბრძოდა ლეკიანობის წინააღმდეგ. ომან ხერხეულიძე წერს: „ხოლო წელსა 1735 მოვიდნენ ლეკნი და ქისიყი მოარბივეს. მაშინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა 15, რომელმან შემოიყარა სოფლებიდან ჯარი, ეწია ნეიმნის მინდორში და ძლიერად შემოებნენ ლეკნი. გარნა თვით ესე ყრმა, ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი, მეორედ შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი და ამის მხილველთა კახთა ერთპირად მიმართეს ყივილით და წინა წარიქციეს ჯარი ლეკისა, დაჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი და მოვიდა მადაროს გამარჯვებული, რომლისათვის ფრიად მხიარულ იქმნენ კახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა მემკვიდრისა თვისისა.“¹

XVIII საუკუნეში ქართველ მეფეთა მიერ ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა („სამდეუროები“, „მორიგე ჯარი“, „ყარაული“, „ნოქარი“ [ხელფასზე მყოფი ჯარისკაცი],

1 ხერხეულიძე ო., მეფობა ირაკლი მეორისა, თბ., 1989, გვ. 40.

საფორტიფიკაციო ნაგებობები და სხვ.) უმეტესობა სწორედ ლეკიანობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ლეკიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო თავდაცვით სისტემაში დიდი ადგილი ეკავა „ყარაულს“. სამეფო კარის ბრძანებით, შედგენილი იყო ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობის ნუსხები, რომელთაც მეფის დაძახილზე საყარაულოდ გამოსვლა ევალებოდათ. 1772 წლის 12 თებერვლის ნუსხით, ერეკლე შიდა ქართლის სოფლებს ავალებდა მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის საყარაულოდ გამოყვანას. მათში იგულისხმებოდნენ ის პირებიც, რომლებიც ამ სოფლებში ხიზნად იდგნენ.¹

ერეკლე II-ის ქართლ-კახეთის სამხედრო სისტემაში გატარებულ ღონისძიებათაგან აღსანიშნავია „სამდევროებისა“ და „მორიგე ჯარის“ განჩინების შექმნა. მართალია, „მდევრის“ ინსტიტუტი ადრეც მოქმედებდა, მაგრამ 1772 წლის 28 აგვისტოს ბრძანებით, მეფემ ეს ინსტიტუტები დააყენა. მაგ., სამდევროები ვალდებულნი იყვნენ ერთმანეთისათვის დროულად ეცნობებინათ ლეკთა მოძრაობის შესახებ და იმის მიხედვით, თუ როგორი იყო შემოსული მტრის რაოდენობა და ტიპი (ცხენოსანი, ქვეითი, შერეული), შესაბამისი დავალება ეძლეოდათ. ერეკლე ადგილობრივ მოხელეებს და მოსახლეობას მოქმედების თავისუფლებას არ უზღუდავდა, მათ თავად უნდა აერჩიათ კონკრეტულ შემთხვევაში რა მოქმედება აჯობებდა : თავდასხმა, გზის შეკვრა, თუ სხვა რამ.²

სამეფო კარის მიერ კანონით დადგენილი „სამდევროების“ და „ნოქრის“ გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თავდაცვის სფეროში ურთიერთდახმარების ფორმას წარმოადგენდა ე. წ. „მეკოდობა“. იგი ორ ან რამდენიმე ტერიტორიულად ახლო მდებარე სოფელს აერთიანებდა, რომელთაც „მეკოდე“ სოფლები ეწოდებოდათ. ისინი ვალდებულიყვნენ იღებდნენ დახმარებოდნენ ერთმანეთს თავდასხმების, ეპიდემიების ან სხვა რაიმე ექსტრემა-

1 აღიზარაშვილი ი., „ლეკიანობა“ და ქართლ-კახეთის სამხედრო-თავდაცვითი სისტემა XVIII – XIX ს. 30-იანი წლები, დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2013, გვ.95-96.

2 იქვე, გვ. 96-97.

ლურ მდგომარეობაში ჩავარდნისას.¹

კიდევ უფრო ინტენსიურ დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს კახეთში კანტიკუნტად შემორჩენილი სოფლები. გიულდენშტედტის ცნობით, მეფის ბრძანებით, მაღლობზე მდებარე ქიზიყის სოფლებს საგანგებო გალავანი იცავდა. თუმცა, რადგან მათ ყანები და საძოვრები 10-12 ვერსის დაშორებით ჰქონდათ, ლეკები ხშირად იტაცებდნენ პირუტყვს და ხალხს ატყვევებდნენ. აქ საგანგებოდ ჰქონდათ მოწყობილი მრგვალი და ოთხკუთხა მოედნები და მიწაყრილები, სადაც ქიზიყელები თავს აფარებდნენ თავდასხმის დროს. ამასთანავე „მკაცრად დადგენილი წესის თანახმად, ყოველი ქიზიყელი მიიჩქარის თავისი თოფით იქით, საიდანაც ესმის თოფის ხმა და, ამ ღონისძიების წყალობით, ლეკები მათ უფრო იშვიათად ესხმიან თავს, ვიდრე მათ მეზობლებს ქართლში.“² უფრო მეტიც, ქიზიყელები ხშირად თავად ესხმოდნენ თავს ჭარს და მათგან ინაზღაურებდნენ მიყენებულ ზიანს. კიდევ უფრო აგრესიულად ეპყრობოდნენ ჭარულ ლეკებს გავაზის მაცხოვრებლები. იმის მიუხედავად, რომ ამ სოფლის ირგვლივ 30 ვერსზე მიდამო გაპარტახებული იყო და ქართველები ადარ ცხოვრობდნენ, გავაზელები შეეჩვივნენ მტრულ გარემოში ცხოვრებას და ლეკებთან შეტაკებებს. ისინი „ თავს ესხმიან ჭარულ ლეკებს ისევე ხშირად, როგორც ეს უკანასკნელნი მათვე, და სტაცებენ ერთმანეთს ხალხსა და პირუტყვს.“³

ხუნძთა და წახურთა თარეშების ასალაგმავად განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა „მორიგე ჯარი“ (რეგულარული ლაშქარი). „ვინაითგან ლეკნი მარადის აოხრებდიან ქართლსა, იღონისძია მეფემან და განაწესა ყოველთა სახლთაგან კაცისთავს ერთი რაოდენიცა იყვენენ სახლსა მას შინა, რათა მსახურონ თვითოსა თვესა მამულსა მორიგედ წოდებული, და ეგრეთვე განაწყო თოფხანა მეზრუსეთის კანონითა და განასწავლა თოფჩები, რომელიცა განაწყო ესენი ქიზიყის მოურავის შვილმან პაატამ. ესე განსწავლულ იყო მოსკოვს. და თვითცა მეფეი

1 აღიშვარაშვილი ი. დასახელებული ნაშრომი, გვ., 98.

2 გიულდენშტედტი ი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 27.

3 იქვე, გვ. 27-31.

ძეებითურთ თვისით დაეწერა მორიგედ და იხდიდა თვითოსა თვესა.“¹

დაღესტნელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველები ზოგჯერ ჩრდილოკავკასიელ მთიელებსაც ქირაობდნენ. მათ შორის განსაკუთრებული გამოირჩეოდნენ ყაბარდოელები და ჩერქეზები, რომლებიც ერეკლეს გვერდით იბრძოდნენ კულბითთან, მუხრანთან, კარბთან, გატეხილ ხიდთან და მჭადიჯვართან. ერეკლემ II-მ ლეკიანობის ასალაგმავად ოსების გამოყენებაც სცადა. იყო შემთხვევები, როდესაც დაღესტნელების წინააღმდეგ თავად ლეკებს ქირაობდა.² დაქირავებული ლეკები იმერეთის მეფე სოლომონ პირველმაც გამოიყენა ამბოხებული ბიძაშვილის, თეიმურაზისა და მისი მომხრე თავადების წინააღმდეგ: „ნიკოლოზ წერეთელი ლეკში წარვიდა, ლეკის ჯარი მოჰგვარა მეფე სოლომანს; ჩავიდა კვალად იმერეთს და მრავალნი იმერნიც მოერთვნენ. შებნენ ბაღდადს თეიმურაზს. თეიმურაზ დაამარცხეს. ამა ბრძოლაში ლევან აბაშიძე მოკლეს, თეიმურაზ შეიპყრეს.“³

ამ დონისძიებათა მიუხედავად, დაღესტნელთა გამუდმებული თავდასხმები XVIII საუკუნის ბოლოსათვის უკვე მთელ საქართველოს მოედო. აღმოსავლეთ საქართველო ლეკებმა ფაქტობრივად რკალში მოიქციეს და დასავლეთ საქართველოზე ლაშქრობებსაც აღარ ერიდებოდნენ. ჩრდილოეთიდან დაღესტნელი მეკობრეები, აღმოსავლეთიდან ჭარელები, ხოლო სამხრეთიდან ახალციხის საფაშოში ჩაბუდებული ლეკები ქართლ-კახეთს მუდმივად აწიოკებდნენ და იმერეთსაც სწვდებოდნენ. დავით ბაგრატიონი წერს: „კვალად მოვიდნენ ახალციხით შეყრილობანი ლეკთანი და დაეცნენ ძვერას, გარნა მეფის ძის ძე დავითმან სძლო მათ და განაბნივნა. იყო უკუცე ხდომვა ლეკთაგან ახალციხით, და რყვნიდიან ქართლსა და სომხითსა, მით რამეთუ აღვიდნენ ძენი ერისთვისანი ახალციხეს და ზაქარია ციციშვილი სალთ-ხუცესი დედოფლისა, მოვიდნენ და დაეცნენ ველთუბანს და წარტყვევნეს იგი.“⁴

1 ბატონიშვილი დ., ახალი ისტორია, თბ. 1941, გვ. 15.

2 აღიშბარაშვილი ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 120.

3 ბატონიშვილი ბ., ახალი მოთხრობა, თბ., 1941 გვ. 53.

4 ბატონიშვილი დ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 19.

დადესტინელებთან პერმანენტულად გამართულ შედარებით დიდ ბრძოლებში ქართველები ხშირად იმარჯვებდნენ, ზოგჯერ კი მარცხდებოდნენ. ცხადად ჩანდა, რომ საბოლოოდ ლეკიანობის დასრულება შეუძლებელი იყო მოთარეშეთა მთავარი ბუდის, ჭარ-ბელაქნის ე.წ. უბატონო თემების პრობლემის გადაწყვეტის გარეშე, რადგან სწორედ იქედან ხდებოდა საქართველოზე თავდასხმების ორგანიზება. ქართველებმა ჭარ-ბელაქნის წინააღმდეგ მრავალჯერ გაილაშქრეს (1695, 1706, 1712-13, 1715 წწ.), მაგრამ უშედეგოდ. ამ პრობლემის გადაჭრა ვერც ქართლ-კახეთის ენერგიულმა მესვეურებმა, მამა-შვილმა თეიმურაზმა და ერეკლემ, შეძლეს. ჭარზე გადამწყვეტ შეტევას 1751 წლის გაზაფხულზე ერეკლე II და თეიმურაზი II სარდლობდნენ, მათ მხარს შაქის ხანი აჯი-ჩალაბიც უჭერდა. თუმცა ბრძოლისას მან „გატეხა აღთქმა თვისი“ და მოულოდნელად ჭარელების მხარეს გადავიდა, ქართველები დამარცხდნენ, ხოლო ერეკლე მეფე ტყვედ ჩავარდნას მაჩხანელმა ბოსტამვილმა გადაარჩინა.¹ ქართველთა მარცხით დასრულდა შემდეგ წელს აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ განჯაში ლაშქრობაც, თუმცა მალევე, ყაზახ-შამშადილუს საზღვართან შაქ-შარვანელთა და ლეკთა გაერთიანებულ ჯარზე უკვე ქართველებმა შეძლეს გამარჯვება. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხუნძახის ბატონ ნურსალ-ბეგის მრავალრიცხოვანი ლაშქარის დამარცხებას ჯერ მჭადი-ჯვართან (1754 წ. 16 აგვისტო) და შემდეგ ყვარელთან (1755 წ. 28 სექტემბერი).² დადესტინელთა მარბიელი თავდასხმები შემდეგშიც უმთავრეს გამოწვევად რჩებოდა.

XVII-XVIII სს ლეკიანობის შესახებ შემონახული მონაცემების გაცნობისას, მკითხველი ვერ იპოვის დროის მცირე შუალედს, როდესაც ქართულ სოფლებს ლეკი მოთარეშეებისაგან მოსვენება ჰქონდათ და ვერც დასახლებულ პუნქტს, რომელიც დადესტინელთა ავაზაკური თავდასხმისაგან დაზღვეული იყო. სიტუმატური მტაცებლური ექსპედიციების მიზნები თანდათანობით იზრდებოდა და როგორც დ. მეგრულაძემ შენიშნა 1750-იანი წლებისათვის მათ

1 ბატონიშვილი დ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 5.

2 ბოცვაძე თ., საქართველო-დარსტინის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.), კრ. ლეკიანობა, თბ., 2011, გვ. 52-55.

უკვე ქართლ-კახეთის მთლიანად დაჭერის ამბიციაც გაუჩნდათ.¹

გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობდა კავკასიელი მთიელების ყაჩაღური თავდასხმების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას, მაგრამ ეს სულ უფრო რთულდებოდა. მორიგე ჯარის მოშლის შემდეგ კიდევ უფრო აშკარა გახდა, რომ თუ აქამდე ეს მოვლენა ძირითადად დიდი სახელმწიფოების (ირანი, თურქეთი, რუსეთი) ინტერესების გასატარებელ იარაღს წარმოადგენდა, ამიერიდან მათგან დამოკიდებლადაც კი შეიძლებოდა პოლიტიკური რუკიდან საქართველოს გაქრობის მთავარ ფაქტორად ქცეულიყო.² თუმცა, მოვლენები სულ სხვა გზით განვითარდა, 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით რუსეთის იმპერატორმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და იგი რუსეთის იმპერიას მიუერთა.

საქართველოში გაბატონებულმა რუსეთმა სისტემურად გააგრძელა ჩრდილო კავკასიელ მთიელთა დამორჩილება, რაშიც აქტიურად ჩართო ქართველები, რომელთაც ლეკების წინააღმდეგ ლაშქრობებში მონაწილეობას სწორედ ორსაუკუნოვანი „ლეკიანობა“ შთააგონებდა. 1857 წ. დაღესტნელთა სოფლებში წარმატებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ გრ. ორბელიანი ყაფლან ორბელიანს სწერდა: „დღეგრძელობა შენა გქონდეს, რომ მე ისინი დათვსავით ვადრიალე და კახეთის სისხლი ავიღე“³

„ლეკიანობა“, რომელსაც საქართველოსთვის ყოვლისმომცველი ნეგატიური შედეგი ჰქონდა, განპირობებული იყო არაერთი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორით. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომელიც საქართველოზე დაღესტნელთა გამუდმებულ თავდასხმებს, მარქისიტულ-ლენინური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, მთიელთა პატრიარქალურ-ფეოდალურ წყობას

1 მეგრელაძე დ. დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, კრ. ლეკიანობა, თბ., 2011, გვ. 20-21.

2 ბოცვაძე თ. დასახელებული ნარომი, გვ. 61.

3 ითონიშვილი ვახ. უცხოტომელთა ავაზაკობა საქართველოში, კრ. ლეკიანობა, თბ., 2011, გვ. 66.

უკავშირებდა.¹ იმავდროულად, XVII-XVIII სს. საქართველოსათვის დამახასიათებელი შინააშლილობა და დაქუცმაცებულობა ქართულ სოფლებს იოლ ნადავლად აქცევდა, ჩრდილოკავკასიელები კი საუკუნეების მანძილზე შეჩვეული იყვნენ მოქირავნეებით თუ ძარცვა-მეკობრეობით მიღებულ შემოსავალს. დაღესტნელ მთიელთა საზოგადოება პერმანენტული თარეშების წარმოებას სოციალური თვალსაზრისითაც მიესადაგებოდა. საუკუნეების მანძილზე ე.წ. სასოფლო თემები და მათი კავშირები იმდენად გაძლიერდა, რომ მათი დამორჩილება და ექსპლოატირება ადგილობრივ ზედაფენას ძალზე უჭირდა.² ამ ვითარებამ ზედაფენა აიძულა გამდიდრების სოფლის მოსახლეობა კი ცხოვრების გაუმჯობესების სხვა გზები ეძებნათ გამოსავალი დაღესტნის გარეთ, საგარეო შემოსევებითა და ურთიერთკინკლაობით დასუსტებულ საქართველოზე გამუდმებულ თავდასხმებში იპოვეს. მთიან დაღესტანში ფეოდალიზაციას ტიპური სახე არ ჰქონდა. ხანები და ბეგები ადგილობრივი მოსახლეობის ფეოდალური ვალდებულებების გამყარებას ვერ ახერხებდნენ, ამიტომ თავისუფალ მეთემეებს მეკობრეებად იყენებდნენ და მარბიელი ლაშქრობების შედეგად მოპოვებული ალაფით და ტყვეების გაყიდვით მიღებული შემოსავლით ცხოვრობდნენ. დაღესტნურ ისტორიოგრაფიაში ამას ფეოდალიზაციის სივრცობრივ (процесс феодализации вширь) პროცესს უწოდებენ.³ რასაკვირველია მთის მოსახლეობის ეკონომიკური ექსპლოატაციის შესაძლებლობას მწირი სამეურნეო რესურსებიც ზღუდავდა.

დაღესტნის მოსახლეობის მთავარი სამეურნეო საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო, დაბლობის რეგიონებში წამყვანი ადგილი _ მიწათმოქმედებას, ხოლო მთაში მესაქონლეობას ეჭირა. მთური მეცხოველეობის საფუძველს ე.წ. გადარეკვითი

- 1 Мамедов Р., Общественно-экономический и политический строй Дагестана В XVI – начале XIX веков, Дагестанское книжное издательство, 1957, гл. 79
- 2 Алиев Б. Союзы сельских общин дагестана в xviii — первой половине xix в. (Экономика, земельные и социальные отношения, структура власти), МАХАЧКАЛА – 1999 გვ. 51-71.
- 3 Гаджиев М., Давудов О., Шихсаидов А., История дагестана С древнейших времён до конца xv в, Махачкала, 1996 гл. 364.

(ტრანსჰუმანსე _ლ.ჯ.) სისტემა წარმოადგენდა, რომელიც მოსახლეობას საკვები რესურსების ეფექტურად გამოყენების საშუალებას აძლევდა.¹ საქონელი ზაფხულის განმავლობაში მთის იალაღებზე იმყოფებოდა, ხოლო ზაფხულში ბარის საძოვრებზე გადაჰყავდათ. ვითარება რადიკალურად შეიცვალა XVI საუკუნეში, როდესაც მოსკოვის სამთავროს მზარდი ექსპანსია თანდათანობით უზღუდავდა დაღესტნელ მთიელებს ჩრდილოეთის სტეპების საზაფხულო ბაზებად გამოყენებას და აიძულებდა ალტერნატივა სამხრეთით ეძებნათ.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ხსენებული პერიოდი ემთხვევა გლობალურ კლიმატურ კატაკლიზმებს, რომელიც მცირე გამყინვარების სახელითაა ცნობილი. ბევრი ავტორიტიტული წყაროს თანახმად XVII საუკუნის ბოლოდან XIX საუკუნის შუა ხანებამდე, დედამიწის დიდ ნაწილში განსაკუთრებით აცივდა; ალპების, ისლანდიის, სკანდინავიის, ალიასკის, ჩინეთის, სამხრეთ ანდების და ახალი ზელანდიის მყინვარები ამჟამინდელთან შედარებით ბევრად მეტ ფართობზე გავრცელდნენ და ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება საკმაოდ შეცვალეს.² ანალოგიური ვითარება იყო კავკასიაშიც, განსაკუთრებით გამოჩეული იყო 1598 წელი (ხის რგოლებზე დაკვირვების მეათოდით), ხოლო XVII საუკუნის მეორე ნახევარში შეიმჩნევა აცივების კიდევ ორი ძლიერი ფაზა.³

კაცობრიობის ისტორიაში ყველა მნიშვნელოვანი მონაპოვრისა და ცვლილების მთავრ მიზეზად ეკოლოგიური ფაქტორის გამოცხადება (ეკოლოგიური დეტერმინიზმი) სამეცნიერო წრეებში

1 Амачиев А., Дагестан в XVIII веке. Социально-экономическое и политическое развитие (ნანახია 2.06.2025, ხელმისაწვდომია https://toonsitli.ucoz.ru/publ/lekci_i_po_istorii_dagestana/dagestan_v_xviii_veke_socialno-ehkonomicheskoe_i_politicheskoe_razvitie/4-1-0-17).

2 Фейган Б., Малый ледниковый период: как климат вершил историю, 1300–1850, «Издательство «Эксмо», 2022 (ნანახია 03.06.2025), ხელმისაწვდომია <https://img-gorod.ru/28/810/2881016.pdf>.

3 Solomina O., Bushueva I., და სხვ. Glacier variations in the Northern Caucasus compared to climatic reconstructions over the past millennium, doi: 10.1016/j.gloplacha.2016.02.008, (ნანახია 10.06.2025), ხელმისაწვდომია <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0921818115301089>.

„მოვეტონად“ (ცუდ ტონად) ითვლება, რადგან მხოლოდ კლიმატი არ განაპირობებდა ისტორიის ჩარხის ტრიალს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კატაკლიზმებს, მაგრამ ასევე არასწორია ამ ფაქტორის სრული იგნორირება.¹ ფაქტია, რომ ამ თვალსაზრისით უფრო სტაბილურ და ტექნოლოგიურად შეუდარებლად დაწინაურებულ XX-XXI სს-შიც კი, მილიონობით ევროპელი გლეხი იძულებულია გაითვალისწინებინოს კლიმატის გავლენა სასოფლო სამეურნეო კულტურებზე და სათანადო ზომები მიიღოს მოსავლის რაოდენობისა და ხარისხის შესანარჩუნებლად. მართალია, ისტორიულ წყაროებში პირდაპირი მტკიცებულებები არ გვხვდება, მაგრამ, ცხადია, არანაკლებ ნეგატიურ გავლენას მოახდენდა გლობალური აცივება კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაზე. სავარაუდოდ, გაუარესებული კლიმატური გარემო დაღესტნის მთიანეთის მოსახლეობას უზღუდავდა ტრადიციულ სამეურნეო საქმიანობას, აიძულებდა მათ საშოვარი ქართულ სოფლებზე თარეშით მოეპოვებინათ და ზრდიდა მიგრაციების ინტენსივობას სამხრეთისაკენ,

ლექიანობის იდეოლოგიურ საფუძვლად იქცა ისლამი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ისლამის ერთ-ერთი მთავარი დებულების თანახმად კაცობრიობა იყოფა არა ეთნიკური, არამედ რელიგიური ნიშნით. ერთ მხარეს არიან მუსლიმები (უმმა), მეორე მხარეს კი სხვა სარწმუნეობის მიმდევარნი. ისლამური პოლიტიკის საფუძველი გახდა „ჰაზა“ („ჰაზავათი“), სამხედრო ოპერაციები „ჭეშმარიტი სარწმუნოების“ გავრცელებისა და დაცვისათვის. „ლეკიანობას“ დაღესტნელები სწორედ ისლამის დროშით ურჯულო „გიაურების“ წინააღმდეგ ბრძოლად მიიჩნევდნენ და მას შარიათის ნორმებით ამართლებდნენ.

1 Фейган Б., Малый ледниковый период: как климат вершил историю, 1300–1850, «Издательство «Эксмо», 2022.

4. თუშები და დაღესტნელები

ჩეჩენ დაღესტნის ქედებზე,
ბევრჯერ აყრილან ჯანლები.
ბევრი დამრჩალა ხევ-ხუვში,
მიყრილმოყრილი გვამები.
კოსტა მარხვაიძე

ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფებიდან ლეკებთან ინტენსიური კონტაქტები თუშებს ჰქონდათ; ისინი უშუალოდ ემეზობლებოდნენ დაღესტნური მოდგმის დიდოელებს. თუშეთის ლიმიტოპული მდებარეობა და ამ კუთხის მცხოვრებთა სამეურნეო სპეციფიკა (მთაბარული მესაქონლეობა) განაპირობებდა მოსახლეობის საკმაოდ ხშირ ადგილმონაცვლეობას. როგორც გ. იჩუაიძე ამბობს – „თვით თუშების უმეტესობას ჰგონია, რომ თუშეთში ყველანი მოსულები არიან. რომელი გვარის წარმომდგენელსაც გინდა ჰკითხოთ თავისი გვარის წარმოშობა გეტყვი, რომ მისი წინაპარი იყო ქისტი, ხევსური, ფშაველი, დიდო (ლეკი) კახი და სხვა.“¹ ამთავითვე მინდა აღვნიშნო, გენტიკურად რა წარმომავლობაც არ უნდა ჰქოდეს ცალკეულ გვარს, ეჭვგარეშეა, რომ თუშები ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესების შედეგად ჩამოყალიბებული ეთნოგრაფიული ჯგუფია – ქართველი ეთნოსის სრულფასოვანი წევრი.

თუშები უკვე ანტიკური დროის ავტორებისთვის არიან ცნობილი.² მათი წარმომავლობის შესახებ ქართულ საისტორიო მწერლობაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ჩემს მიზანს არ წარმოადგენს ამ საკითხის განვრცობა, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე შეხედულებას შევხები. თუშეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი გ. ელანიძე თუშებს მესხური წარმომავლობის ჯგუფად მიიჩნევს. იგი აღნიშნავს, რომ დაღესტნელები მათ მოსოქს//მოსოხს უწო-

1 იჩუაიძე გ., თუშეთი (მესამე გამოცემა) თბ., 2021, გვ. 51.

2 კლავდიოს პტოლემეაიოსი, ენციკლოპედია ანტიკური კავკასია, ტ. I, წყაროები, გვ. 356.

დებენ; თუშეთში გავრცელებულია მესხური ტოპონიმები (ტაო, ჯავახე, სამცხე, ორეთი, ორეთის მთა); ათენგენობის მომდევნო დღეს იმართება ჯავახობის დღესასწაული, ზოგიერთმა უხუცესმა წინაპართა გადმოცემით იცის, რომ ისინი მესხები არიან.¹ ამ არგუმენტებზე დაყრდნობით მკვლევარი მიიჩნევს, რომ – „თუშ-ფშავ-ხევსურების უტყუარი ნათესაობა და სიახლოვე თავისი წარმომავლობით მოსხებთან, მესხებთან, ჩვენი აზრით, საეჭვოს აღარ ხდის იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ ქართულსა თუ უცხოურ წერილობით ძეგლებში ამ სამივე კუთხეს „ფხოვს“ და აქ მცხოვრებთ „ფხოველებს“ უწოდებენ.“² ვფიქრობ, თუშების მესხებთან დასაკავშირებელ ურყევ არგუმენტად ვერ გამოდგება ვერც ზემოხსენებული ტოპონიმები, ვერც ჯავახობის დღესასწაული და ვერც ცალკეულ ოჯახში შემორჩენილი გადმოცემა მათი მესხური წარმომავლობის შესახებ. ვიზიარებ რ. თოფჩიშვილის სკეპტიკურ დამოკიდებულებას მესხების და თუშების იგივეობის შესახებ. დაღესტნელებს რომ მეზობელი ქართველი მთიელებისათვის მოსოხი ეწოდებინათ, სრულიადაც არ იყო აუცილებელი მესხების სამხრეთ საქართველოდან უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მიგრაცია. სავარაუდოდ, დაღესტნელები შორეულ წარსულში „მოსოხს“ მთლიანად ეძახდნენ სამხრეთით მცხოვრებ ქართველური მოდგმის ხალხს.³

არსებობს მოსაზრება, რომ თუშეთი წინათ დიდოელებით იყო დასახლებული. ეს თეორია სათავეს ვახუშტი ბატონიშვილისგან იღებს, რომელიც თუშეთს (დიდოეთთან ერთად) ლეკოსის წილად მიიჩნევს: „ხოლო თუშნი და დიდონი არიან წილნი ლეკოსისა, არამედ შემდგომად მეფეთა ქართველთა დაპყრობილი, ვითარცა ვიხილავთ, და მოხარკენი მათნი, და უკანასკნელის განდგომილებისა, ვინაფთგან დავითსა ზედა დამთენნამსახურად დიდონი, და მიერითგან მორჩილებდნენ კახთ მეპატრონეთა.“⁴ უნდა ითქვას, რომ სოფ. დართლოში, დანოსა და ქე-

1 ელანიძე გ., თუშეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1988 გვ. 6-12.

2 იქვე, გვ. 12.

3 თოფჩიშვილი რ., წოვა-თუშები, თბ., 2009, გვ. 16-17.

4 ვახუშტი ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა,

მოში გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ახსოვდათ „დიდოების ჯვარის“ (სალოცავი ხატის) არსებობის შესახებ. მათი სალოცავი ხატი ყოფილა პირიქითის საზოგადოების სოფლების – ქემოსა და დანოს შუა მდებარე გორაზე. აქ დიდოეთიდან ზაფხულში მოდიოდნენ და კვიცებს სწირავდნენ. სოფ. ქემოდან სოფ.ფარსმისაკენ მიმავალი გზის თავზე შემორჩენილ ციხის ნანგრევს, სადაც გადმოცემით დიდოები კვიცებს სწირავდნენ მსხვერპლად, თუშები „დიდოთ ციხეს“ ეძახიან. გადმოცემის მიხედვით პირიქითის ხეობაში ადრე თუშები და დიდოები ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ მოგვიანებით მათ შორის უკმაყოფილება ჩამოვარდნილა, თუშებს დიდოები გაუძევებიათ და მთელი პირიქითის ხეობა თავად დაუკავებიათ. „დიდოთ ნასოფლარს“ ეძახიან ძველისძველ ნასახლარებს გომეწრის თემში. დიდოურ-დალესტნურ ენაზე იხსნება მრავლი ტოპონიმიც.¹

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დღევანდელი დალესტნის ნაწილი და მათ შორის დიდოეთი ხანგრძლივად იმყოფებოდა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური გავლენის ქვეშ. ამ პირობებში, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ იყო დიდოთა დასახლებები გაჩენილიყო მეზობელ თუშეთში, რაც აისახა კიდევ ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში. მოგვიანებით, შეცვლილმა კონიუნქტურამ გავლენა იქონია ამ ვითარებაზე. XVII საუკუნიდან ქართლ-კახეთში გახშირებული ომიანობა აიძულებდა ბარის მოსახლეობას თავი მთისათვის შეეფარებინა და კონკურენცია გაეწია პირველ რიგში იქ დამკვიდრებულ დალესტნურ ელემენტთან. ბუნებრივია ამ დაპირისპირებას კიდევ უფრო ამწვავებდა ბარის სოფლებში ლეკიანობის მზარდი ტენდენცია, შედეგად კი, საბოლოოდ, დიდოები თუშეთიდან განიდევნენ.

თუშეთში მიმდინარე ეთნოსოციალური პროცესების გასაგებად მნიშვნელოვანია წოვა-თუშების (ბაცბები) საკითხი. ისინი ორენოვნები არიან და ქართულის კვალდაკვალ ერთმანეთში საკუთარ, წოვურ//ბაცბურ, ენაზე საუბრობენ. რადგან ეს ენა ნახურ ენათა

ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბ.1973, გვ.552.

1 ელანიძე ვ. დასახ. ნაშრომი, გვ. 206-207.

ჯგუფს მიეკუთვნება, მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ წოვები თუ-
შეთში გადმოსახლებული ვაინახების შთამომავლები არიან.¹ მა-
თგან განსხვავებით ზოგიერთი მკვლევარი, მაგ., ა. შავხელაშვილი
წოვა-თუშებს თუშეთის ძირძველ მკვიდრად მიიჩნევს, რომელთა
ორენოვნებაც ვაინახების ინფილტრაციამ განაპირობა.² აქვე უნდა
აღინიშნოს, იმის მიუხედავად, რომ წოვა-თუშური ენის კვლევას ხა-
ნგრძლივი ისტორია აქვს, სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობამ
დაგვარწმუნა, რომ ბევრი რამ (თუნდაც სახელწოდება „ბაცბური“)
კვლავ ბუდოვანი რჩება და ამ მიმართულებით ლინგვისტური
კვლევა ქართველ ენათმეცნიერთა დამატებით ყურადღებას მოი-
თხოვს.

ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ამ საკითხის გა-
რკვევა სცადეს ნ. ვოლკოვამ³ და რ. თოფჩიშვილმა⁴. ნ. ვოლკოვა
ვარაუდობს, რომ თუშეთში გადმოსვლამდე ბაცბების წინაპრები
ინგუშეთში ხევსურეთიდან უნდა გადასახლებულიყვნენ.⁵ რ.
თოფჩიშვილმა კი დააფიქსირა მასალა, რომლის თანახმადაც
წოვების წინაპრები, 6 მეცხვარე კახეთიდან და ერთი _ ფშავიდან
(გვარად შველური), საძოვრების ძიებაში ჯარიების ხეობაში და-
მკვიდრებულან. მათ იქ ერთი ადგილობრივი მკვიდრიც შემატე-
ბიათ. ბუნებრივია, ინგუშეთში მისულები საქორწინო ურთიერთო-
ბას ადგილობრივებთან ამყარებდნენ, ამიტომ თანდათანობით
ქართული წარმომავლობის მეცხვარეთა შთამომავლებისთვის ინ-
გუშური მშობლიურ ენად იქცა. მოგვიანებით მათი ნაშვილი ჯერ ჩა-
ჩნეთში, მერე კი პირიქითის თუშეთის სამ სოფელში გადმოსულა
საცხოვრებლად.⁶ ამ მიმართებით საყურადღებოა, რომ ჩაჩნეთსა
და ინგუშეთში გვხვდება ტოპონიმები, რომლებიც იქ ქართველთა

1 თოფჩიშვილი რ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 24; Эристов Р. О тушино-
пшаво-хевсурском округе, (ნანახია 21/08/2025), ხელმისაწვდომია [https://
www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1840-1860/Eristov_R/text1.htm](https://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1840-1860/Eristov_R/text1.htm).

2 შავხელაშვილი ა. თუშეთი, თბ., 1987.

3 Волкова Н. Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII начале
-XX века, М., 1974, გვ. 169.

4 თოფჩიშვილი რ., წოვა -თუშები, თბ., 2009, გვ. 28-36.

5 Волкова Н, დასახლებული ნაშრომი, გვ. 169.

6 თოფჩიშვილი რ. დასახლებული ნაშრომი, გვ., 27-28.

ცხოვრებას ადასტურებს¹.

წოვათა წარმომავლობის შესახებ არსებული ჰიპოთეზების მიუხედავად, ისინი თავს ქართული ეთნოსის წევრად თვლიან და მათი ქართველობის ეჭვქვეშ დაყენებას შეუაცხყოფად მიიჩნევენ; სრულიად იდენტურია წოვებისა და დანარჩენი თუშების ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები, სოციალური ურთიერთობები, მეურნეობა; ქართულია წოვა-თუშების გვარ-სახელები და მათი წარმოების წესი და ა.შ.²

ცხადია უნდა დავეთანხმოთ ი. დეშერიევს, რომ შედარებით „ძლიერი“ (უფრო მრავლრიცხოვანი ხალხის და დამწერლობის მქონე) ენები კონტაქტისას ძლიერ ზეგავლენას ახდენენ „სუსტ“ ენებზე, პირიქით კი – „სუსტიდან“ ნასესხობა, შერევა ან ენობრივი შეჯვარება მეტად იშვიათია.³ თუმცა XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, დამწერლობის ქონას მხოლოდ ნომინალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, წერა-კითხვის მცოდნეთა შეზღუდული ოდენობის გამო. როგორც კ. მარხვაიძე ამბობს, „უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე, თუშეთის მიწა-წყლის ყოველი ნაბიჯი და დროის ყოველი წუთი გაჯერებულია აქ მომხდარი ამბებითა და მოვლენებით. სამწუხაროდ მე-18 და მე-19 საუკუნემდე არავინ იყო თუშეთში წერა-კითხვის მცოდნე, რომელიც დაწერდა და გააცნობდა მომავალ თაობებს ყოველივე მომხდარს. ჩვენამდე მოაღწია, მხოლოდ და მხოლოდ თაობებიდან თაობებზე ზეპირად გადმოცემულმა ამბებმა.“ (სოფ. ალვანი, კ. მარხვაიძე)

კავკასიაში ცალკეული ჯგუფების ენობრივ ტრანსფორმაციას და ეთნოკულტურულ ასიმილაციას ძირითადად ლინგვოკულტურული, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური მექანიზმები განაპირობებდა. შესაბამისად, წოვებს ვაინახური წარმომავლობაც რომ ჰქონოდათ, ქართული ეთნოკულტურული სისტემის წიაღში მათი გაქართველება ისევე ბუნებრივად წარიმართებოდა, როგორც ჩრდილო კავკასიაში საცხოვრებლად გადასული ქართველების გაქისტება თუ გალეკება. სიპტომატურია, რომ ჯგუფურ თუ

1 შავხელაშვილი ბ., თუშების მეტყველება _ წარსული აწმყოში, თბ., 2022, გვ. 27.

2 თოფჩიშვილი რ., დასაახლებული ნაშრმი, გვ. 36-58.

3 Дешериев Ю, Бацбийский язык, М. 1952 გვ.19.

ინდივიდუალურ მიგრაციას საქართველოს მთაში ტრადიციული მექანიზმები არეგულირებდნენ. მაგ., წოვების თუშეთში დასახლება, გადმოცემის თანახმად, „სათუშო ყრილობამ“ დართო ნება.¹

სოფლის გადასაწყვეტი იყო უცხო მხრიდან მოსულისთვის თავშესაფრის მიცემა. ჩვეულებრივ, მას რომელიმე გვარი შეიკედლებდა „ხარით შეყრიით“. „სოფელი შეიკრიბებოდა და მოილაპარაკებდნენ მიეღოთ თუ არა ახალმოსული გამოსაცდელი დროით, საცხოვრებლად სოფელში თუ დადებითად გადაწყდებოდა მას სოფელი გარკვეული დროით ყოველ ნაბიჯზე აკვირდებოდა. სწავლობდნენ მის მონაცემებს მთელი 2-3 წლის განმავლობაში. მოსული თუ მოწონებას დაიმსახურებდა სოფელი კვლავ შეიკრიბებოდა და გადაწყვეტდნენ მის რომელიმე გვართან ჩართვას. ამას ეწოდებოდა “ხარით შეყრა”. ჯვარ-ხატობას მოხარშავდნენ სპეციალურად ლუდს, გამოხდიდნენ არაყს. სალოცავში დაკლავდნენ ხარს. შესთხოვდნენ ხატ-ღმერთებს გვარში გაერთიანებას. ისიც ხატის სიახლოვეს დიდ სივრცეს ჩაასობდა მიწაში დაანთებდა სანთლებს და დაიფიცებოდა ხატის კარზე: რომ იმ დღიდან ის იყო იმ ხატისა და თემ სოფლის წევრი და სათემო საქმეების უთუო შემსრულებელი.“ (ხანდაზმული მამაკაცი, სოფ. ალვანი).

ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში თუშეთში საცხოვრებლად მასობრივად გადასულა ფხოველთა ნაწილი. თ. ოჩიაურის ვარაუდით, „ხევსურული წარმოშობის ხატთა სიმრავლე, თუშეთში ხევსურთა მასობრივი და ერთდროული ჩამოსახლების შედეგი უნდა იყოს“. XX საუკუნის 50-იან წლებამდე, თუშეთში დღეობებზე დადიოდნენ ხევსურები (ჯვარიონნი) – ხახმატიონნი და კარატიონნი და ლოცულობდნენ თავიანთ ჯვარ-ხატებზე, რომელთაც თუშები ხშირად „ხევსურების ჯვარს“ უწოდებენ.²

XVII საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთში შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამოწყდა, ერთი ნაწილი ირანში გაასახლეს, ნაწილმა კი აღმოსავლერთ საქართვე-

1 ელანიძე ვ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 25.

2 ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემებზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1967, გვ. 60.

ლოს მთას შეაფარა თავი. ამ ვითარებას ყურადღება ჯერ კიდევ რ. ერისთვმა მიაქცია. მისი აზრით თუშეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ თურქეთისა და ირანის თავდასხმების შედეგად მშობლიური კუთხეებიდან გადახვეწილი და მთისათვის თავშეფარებული ქართველები. ამ დებულებას მხარს სხვა ავტორებიც უჭერენ.¹ კიდევ უფრო ამყარებს ხსენებულ მოსაზრებას დნმ მარკერების ანალიზი. ზემოთ უკვე ვახსენე, რომ თუშებსა და ირანში შაჰ აბასის მიერ გასახლებულ ქართველთა შთამომავლებში წამყვანია J2 ჰაპლოჯგუფი, რაც XVII საუკუნის პირველ ნახევარში კახეთში მომხდარი პოლიტიკური და დემოგრაფიული კატაკლიზმების, კერძოდ კი კახეთის ბარიდან შაჰ აბასის ამაოხრებელი ლაშქრობების გამო მოსახლეობის თუშეთში მიგრაციის შედეგი უნდა იყოს.²

მოტანილი ფრაგმენტული მიმოხილვაც კი ცხადყოფს, რომ თუშეთს საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა მეზობლებთან და მათ შორის დაღესტნელებთანაც. ვ. ელინიძემ გამოიკვლია მათი საკომუნიკაციო სისტემები. დიდოეთს თუშები რამდენიმე გზით უკავშირდებოდნენ. მათგან უმთავრესად ითვლება ის გზა, რომელიც იწყება ჩადმის სახოგადოების სოფ. დიკლოდან. ეს გზა გადაკვეთს დიკლოს ხაადან მომდინარე დიკლო-შენაქოს ალაზანს, გაივლის ჭეროს, ენცოხს (ესეც დიდოების საბოსლოა) და მოვა დიდოების პირველ შემხვედრ სოფელ ხუშეთში. დიდოეთს თუშეთი: სხვა გზებითაც უკავშირდება, კერძოდ სოფლებით: ომალო, ხისო, ცოკალთა: ქუმელაურთიდან უნდა ავიდეთ ორეთის მთაში, იქიდან გავივლით ვესტმო ვაკეს, კვარაის წყაროს, ველკეთილს, დიდოეთ-სადუცეს და გზა მივა დიდოების სოფელ ხოტრაკოში. იმავე სოფლებიდან მგზავრი ავა ორეთის მთაში, გაივლის მერცხალაბუდის ცერს, ველკეთილს, ხუფრის მთას ხუფრის ორ-

1 Еристов Р., Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе, газ. Кавказ, 1854, №43; იჩუაიძე გ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 59; ელანიძე ვ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 171.

2 შენგელია რ. ანდრიაძე გ., ბითაძე ლ., ჩიქოვანი ნ., ხმალაძე ე., კეკელიძე მ., ლალიაშვილი შ., აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შედარებითი პოპულაციური გენეტიკური კვლევა, კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ეძღვნება აკად. მალხაზ აბდუშელიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავს, გვ. 157.

წყალს და მივა დიდოების სოფელ ხუფრადში.¹

ტერიტორიული სიახლოვე ბუნებრივად უწყობდა ხელს ინტენსიურ სამეურნეო, სავაჭრო-ეკონომიკურ და პიროვნულ ურთიერთობებს დიდოელებსა და თუშებს შორის. დაღესტნელებთან განსაკუთრებით ინტენსიური ურთიერთობა თუშებს საბჭოთა პერიოდში ჰქონიათ. ლეკები მოდიოდნენ მკალავებად, მჭედლებად, მენახირეებად და ა.შ. „საბჭოთა კავშირის დროს ლეკებთან კარგი ურთიერთობა გვქონდა, ყველა ვიცნობდით ერთი-მეორეს. ვმეგობრობდით, ყველამ იცოდა ჩვენი სახელებიც, სახლებიც. სტუმრადაც მოდიოდნენ, ჩვენც მივდიოდით. ომალოში მაღაზიები იყო, აქედან გადაჰქონდათ ფქვილი ხურჩინებით ან ვირებით. ჩვენც გადავყვებოდით და ყველა გვეხვეწებოდა, ჩვენთან მოდიო, არა ჩვენთანო. ერთხელ შევეკითხე, – ჩვენ არ გეპატიჟებით, როგორც თქვენ გეპატიჟებით მეთქი და თქვენ იშვიათად მოდიხართო და ისინი კიდევ ყოველდღე მიდიოდნენ–მოდიოდნენ. იქიდან არაფერი არ მოჰქონდათ, საქონელი მოუდიოდათ მარტო მასზე სცვლიდნენ ფქვილს და რაღაცებს. იქით, ლეკებში ქალები უფრო დასაქმებულები არიან. კაცები სულ ნასვამები იყვნენ არაყი უყვარდათ ძალიან. იყიდდნენ, კანისტრებში ჩაასხამდნენ, ცოლებს ზურგზე ტვირთი ეკიდათ და შეიძლება თავიანთი კურტკაც ზედ შეეგდოთ ბარგზე და თვითონ ერთ ხელში მაგნიტოფონი და მეორეში არყიანი კანისტრა ეჭირათ (საველე მასალა სოფ. დიკლო, ხანდაზმული ქალბატონი)

განსაკუთრებით მიღებული ყოფილა სახლის მშენებელ ოსტატებად დიდოელების მოწვევა. ვ. ელანიძე მიიჩნევს, რომ თუშეთის ციხე-სახლებსა და ციხე-სიმაგრეებს დიდოები აშენებდნენ და ადგილობრივმა მოსახლეობამ ქვითხურობა არ იცოდა. დიდოები თუშებს მეზობელი იმიერკავკასიელი მთიელებიდან ყველაზე სანდოდ და ახლობელად მიაჩნდათ და ყოველგვარ საქმეს ანდობდნენ. „თუშ-ფშავ-ხევსურეთში შემორჩენილი გადმოცემების მიხედვით დგინდება, რომ თუშეთში ქვითხურობის საქმეს დიდოები აწარმოებდნენ, ხოლო ფშავ-ხევსურეთში – ქისტები და ჩეჩნები. თუშები დიდოეთიდან მოსულ ოსტატ-მშენებლებს „ხუ-

1 ელანიძე ვ. დასახელებული ნაშრომი, გვ, 166-167.

როებს“ ეძახდნენ. სახლის ან ციხის ერთი სართულის კედლის აშენებაში „ხუროებს“ თუშები ერთ ჭედილას ან მის ღირებულებას უხდიდნენ. კვება სახლის მეპატრონისა ყოფილა. სახლისა თუ ციხის მშენებლობაში მთელი სოფელი ღებულობდა მონაწილეობას, რასაც თუშეთში „კოჩხარა“ ეწოდებოდა¹.

თუშეთის ციხე-სიმაგრეებისა თუ საცხოვრებელი სახლების მშენებლებად მხოლოდ დიდო-ლეკების მიჩნევა საეჭვოა და როგორც ჩანს უფრო გვიანდელ (მე-20 საუკუნის დასაწყისის) ვითარებას ასახავს, რასაც მოწმობს გ. ბოჭორიძის ნაშრომში გამოქვეყნებული მდიდარი ემპირიული მასალაც. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული იყო ტერმინები, რომლებიც აღნიშნავდა: შრომის პროცესში მონაწილე ოსტატებსა და მუშა ხელს; შენობა-ნაგებობების ნაწილებს (სახლის თვალი, ბამტე, შუა, ჭერხო, ბანი, სასკორე, ყუნწი, ბაგა, საჯელე, ხულა, ლიბო, და ა.შ.); სამშენებლო მასალას და იარაღებს (ფიცარი, ყორე, ქვა, ლასტი, წნელი, სიპი, წერაქვი, კელი//კეტი, ჭკდე, თუშურაყ ცულიეჩვა, ჯელიეჩვა, კვარისალამინი, საჭრებელი, საწარბავი, სადარავი, გულსაღები//ფიგარა, გონიო, ჭოპოსანი, თხელპირი, სატეხი, ბირდაბირი და ა.შ.), აღწერდა მშენებლობის პროცესს (მოგულვა, კარის შეყრა,) და ა.შ.² აქვე აღინიშნულია, რომ წინათ თუშეთში სახლების მშენებელ ხუროებად ძირითადად თუშები, ზოგჯერ კი სისხლის გამო თუშეთში გადმოხვეწილი ლეკები მუშაობდნენ. 1930-იან წლებიდან კი ხუროები აქ მხოლოდ „ლეკები და დიდოები“ იყვნენ.³

დადესტინელების როლი თუშური ციხე-კოშკების მშენებლობაში გაზვიადებულად მიაჩნდა ს. მაკალათიასაც. იგი წერდა: „დღევანდელ (1933 წ. – ლ.ჯ.) თუშეთში სახლის ამგები ოსტატები ლეკებია, მაგრამ ამ ძველ ციხეების აგების დროს საეჭვოა, რომ თუშების მოსისხლე მტრებს ლეკებს მათთვის ასეთი მაგარი ციხეები აეგოთ. არც თუშებისათვის იქნებოდა ეს მისაღები, რადგანაც მტრის ხელით ნაგები ციხე საეჭვო სიმტკიცისა უნდა ყოფილიყო

1 ელანიძე ვ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 220, 211.

2 იქვე, გვ. 22-52.

3 ბოჭორიძე გ., თუშეთი, თბ., 1993, გვ. 47.

და თავდაცვისათვის გამოუსადეგარი.”¹

როგორც ჩანს თუშებმა დაღესტნელი მშენებლების აქტიური მოწვევა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო რაც გასული საუკუნის 30-იანი წლებამდე გაგრძელდა. რუსეთის მიერ დაღესტნელების დამორჩილებამ გაზარდა თუშეთში მეცხვარეობის მასშტაბები. როგორც ს. მაკალათია წერს შემოიჭრა სავაჭრო კაპიტალი, რომელსაც აქ იზიდავდა თუშური ცხვარი და მატყლის დიდი მარაგი. დატრიალდა ჩარჩული კაპიტალი და თუშებიც ჩქარა დაადგნენ კაპიტალისტურ გზას. XIX ს-ის 80-იან წლებში თუშეთის თითოეულ კომლზე საშუალოდ 232 ცხვარი მოდიოდა.² მეცხვარეობის ფორმა იყო ე.წ. ტრანსჰუმანსე, როდესაც თუშები საკმაოდ შორ მანძილზე სეზონურად ამთაბარებდნენ ცხვარს ზაფხულისა და ზამთრის საძოვრებს შორის.³ ამ ვითარებაში მამაკაცების უმეტესობა ბუნებრივია ცხვარში იყო. ეკონომიკური აღმავლობა ბუნებრივად ამძაფრებდა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების სურვილს და ზრდიდა მშენებლობების მასშტაბს თუშეთში, რაც მოქმედებდა მეზობელი კუთხეებიდან მოწვეული მშენებელ-ოსტატთა რიცხვზე. გ. იჩუაიძე აღნიშნავს, რომ თუშეთის სოფლების ერთიანად აშენება 1915-1925 წლებში მიმდინარეობდა. თითქმის ყველა ოჯახმა ბანიანი სახლის ნაცვლად ორსართულიანი, სიბით დახურული, აივნისანი სახლი ააგო. როგორც წესი, კედლებს დილოები აშენებდნენ, ხით გამართვაზე რაჭველები და იმერლები მუშაობდნენ, თვითონ თუშები კი ცხვარში დადიოდნენ და ფული მოჰქონდათ.⁴

საველე მასალის მიხედვით რადგან თუში მამაკაცების უმეტესობა ცხვარში იყო, დაღესტნელები ეწეოდნენ სხვადასხვა საქმიანობას: მუშაობდნენ მჭედლებად, მკალავებად, მენახირებად, მთიბავებად, მეშის დამამზადებლებად და ა.შ. დილოეთიდან

1 მაკალათია ს. თუშეთი, ტფ. 1933, გვ. 124.

2 იქვე, გვ. 51-51.

3 აზიკური ნ., მეცხვარეობა აღმოსავლეთ საქართველოს მიიანეთში (თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ნარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1989 გვ. 53.

4 იჩუაიძე გ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 91.

ადრე გაზაფხულობით გადმოდიოდნენ ე. წ. „მოხნავეები“, რომლებიც ხვნა-თესვაში მონაწილეობდნენ. როგორც წესი, დაქირავებულ შრომას ნატურით, ძირითადად მარცვლეულით, ანაზღაურებდნენ.

მთიანი დაღესტანი სახნავ-სათესი ფართობის სიმცირეს განიცდიდა, საკუთარი მარცვლეული არ ჰყოფნიდა და ამიტომ კავკასიური ომების პერიოდში დანაკლისს თუშეთიდან ივსებდა, სადაც პურეული კახეთის ბარიდან შედიოდა.¹

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კავკასიის ომის დასრულებისა და აღმ. საქართველოს მთაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის ფონზე. სამეურნეო ურთიერთობის ინტენსივობამ უფრო მოიმატა. იმ ხანებში თუშეთში განუზომლად გაიზარდა მეცხვარეობის მასშტაბი, ისე რომ საუკუნის ბოლოს მიწათმოქმედებას მესაქონლეობასთან შედარებით დამხმარე როლი დაეკისრა.² ამას დაემთხვა მოსახლეობის თანდათანობით ინფილტრაცია კახეთის ბარში. ეს პროცესი (XIX ს-ის პირველ ნახევარში) ჯერ წოვა-თუშებს დაუწყიათ, მოგვიანებით კი, XX საუკუნის 20--30-იანი წლებიდან განხორციელდა თუშეთის დარჩენილი სამი თემის: პირიქითის, ჩაღმისა და გომეწრის მცხოვრებთა თანდათანობით გადმოსახლება კახეთის ბარისაკენ. წოვათისა და პირიქითის თემის უდიდესი ნაწილი სოფ. ზემო ალვანში დამკვიდრდა, პირიქითის, ჩაღმისა და გომეწრის თემების უმრავლესობამ კი დღევანდელ ქვემო ალვანში დაიდო ბინა (ამ სოფელს ადრე გომეწარს ეძახდნენ). თუშები დასახლდნენ ასევე სოფ. ლალისყურშიც. სწორედ ამგვარ ვითარებაში, როდესაც თუშებმა ალონის//ალვანის ველზე საცხვრე ბაყების გვერდით საცხოვრებელი სახლები ააგეს და ზამთრობით ქალებმაც იწყეს იქ ჩამოსვლა, გაჩნდა ტერმინები „მთა-ბარობა“ და „კახეთ-თუშობა“, რომლებიც გამოხატავენ ცხოვრების წესს, როცა ოჯახს აქვს სრულყოფილი მეურნეობა როგორც მთაში, ისე ბარში და სეზონურად შრომობს ორივეგან, წერს ნ. აზიკური. იგი ამ მოვლენის პირველ საფეხურად „სოფელ-ბოსლობას“ მიიჩნევს. ბოსლობის დროს მთელი თუშეთის მო-

1 ელანიძე ვ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 192.

2 აზიკური ნ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 7.

სახლეობა ზამთარში საქონელთან ერთად ცხოვრობდა ბოსლად, ხოლო ზაფხულს სოფელში ატარებდა. ბოსელი რთულ სამეურნეო კომპლექსს წარმოადგენდა ადამიანთა საცხოვრებელით და პირუტყვის სადგომითურთ.¹

იმავ პერიოდიდან ბარში დამკვიდრებულ თუშებს – კახურაებს, თუშეთში დარჩენილებს კი თუშურაებს უწოდებენ. „თუშები იყოფოდნენ ორ კატეგორიად თუშურაებად და კახურაებად. თუშურაებად ითვლებოდნენ, ვინაც ზამთარ-ზაფხულ თუშეთში ცხოვრობდნენ და შრომობდნენ. კახურაებად კი, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ ბარად კახეთში, კერძოდ ზემო და ქვემო ალვანებში, ლალისყურში და ფშაველში ცხოვრობდნენ და თუშეთში დასასვენებლად ან სადღეობოდ ამოდისოდნენ. კახურაებსაც და თუშურაებსაც თავთავიანთი საქმეები ჰქონდათ საჩქაროდ მოსაგვარებელი. აქ ზამთარი ადრინად დგება თუშურაები ცდილობდნენ სასწრაფოდ მოემთავრებინათ საზაფხულო საქმეები და მომზადებულები შეხვედროდნენ ადრეულ ზამთარს. თავის მხრივ კახურაებიც ცდილობდნენ, დროულად დაებარებინათ იქურობა და თავის დროზე გამგზავრებულიყვნენ ბარად“ (სოფ. ალვანი, ხანდაზმული მამაკაცი).

რუსული იმპერიის სივრცეში არსებული უსაფრთხოების მექანიზმები კავკასიის მთებში მაინცდამაინც ეფექტურად ვერ მოქმედებდა. თითქმის მუდმივად მამაკაცების გარეშე დატოვებული თუშური სოფლები და მწყემსების ანაბარად მყოფი ცხვრის ფარები მეკობრეობას მიჩვეული ჩრდილოკავკასიელებისათვის იოლი საკბილო იყო. ამიტომ თუშებმა კარგა ხანს შეინარჩუნეს შეიარაღებული რაზმები, რომლებიც საძოვრებს და დასახლებებს იცავდა მოთარეშეთა თავდასხმისაგან, რასაც ამ რეგიონში ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა.²

ქართველი და ჩრდილოკავკასიელი მთიელების ურთიერთობამ მწვავე დაპირისპირების ელემენტები გვიან შუასაუკუნეებში შეიძინა. ეს რელიგიური ფაქტორის გარდა განპირობებული იყო აღ. საქართველოს მთიანეთში ცენტრალური ხელისუფლების გავლე-

1 იქვე, გვ. 83-84.

2 ელანიძე ვ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 157-158.

ნის შესუსტებით და ფორმალური სამართლის სისტემის თითქმის მთლიანად ჩვეულებითი სამართლით ჩანაცვლებით. ამის გამო მთაში გვარის, თემის, სოფლის და მეზობელი საზოგადოებების ურთიერთობათა ხასიათი და ეთიკური ღირებულებათა სისტემა ბარის რეგიონისაგან განსხვავდებოდა. აქ ცხოვრების წესად იქცა მეკობრეობა, მეზობელი ხალხის, სოფლისა თუ თემის ქონების დაპატრონება, ძალადობრივი გზით. ქართველ მთიელებსა და მათ ჩრდ. კავკასიელ მეზობლებს შორის ურთიერთობას მნიშვნელოვნად სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავდა. არც ქართველ და არც მათ ჩრდილოელ მეზობელ მთიელებს ცხვარ-ძროხისა და ცხენების გამორეკვა-მოტაცება სამარცხვინოდ არ მიაჩნდათ, პირიქით ამგვარი ქცევა დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა და ამგვარ ქმედებას ხშირად საგმირო ლექსებსაც უძღვნიდნენ. მთიელები თავიანთ მოძმეთა მეზობელ სოფლებზე თვავდასხმებსაც არ თაკილობდნენ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, საგვარეულო წეს-ჩვეულებით მეკობრეობა გასაკიცხ საქციელად მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლებოდა, როდესაც იგი გვარის შიგნით ხდებოდა.¹

„ვევსურეთს ქისტისაი-დ ლეკის ლაშქარიც ჰშირად ეცემოდა-დ ვევსურებიც კი ლაშქრევდეს თავის მეზობლად მცხოვრებს მთის ხალხს. უფრო ხშირად მითხოს ეცემოდეს, მეჭვევებსაც ეცემოდესა-დ თაოდ ვევსურებიც კი ლაშქრევდეს ერთმანეთს, ვინაც ვის მაერეოდ. უფრო გუდანის ჯვარს ხყვანდ ბევრ საყმოი-დ საერთოდ ვევსურეთიც იმას უფრო ემორჩილებოდ. თუ ვევსურეთს ვის ლაშქრევდ გუდანის ჯვარის საყმო მაგანძური, მაშინ მარტო ეს ხალხ შაიყრებოდ, დასვემდეს ქადაგსა-დ ქადაგ რასაც იტყოდ, ისრ წავიდოდეს დასაცემლად. თუ მითხოს ლაშქრევდეს კი, სხო გვარის ხალხიც ესწრობოდ მაშინა-დ ვევსურეთ ყველა ქუდიანი წავიდოდ ლაშქარში. ლაშქარ როსაც გავიდოდ, მაშინ თუ აოდ ვინ იყვ, ან ბერი, ყმაწვილი, ისეებ დარჩებოდეს შინ. თუ ან აოდ არ იყვა, ან ბერი (მოხუცი), ყმაწვილ არ იყვ, ისით ახალგაზდა დარჩებოდ შინ, დილას დიაცებში გამაჩინდებოდ სოფელში, ის სამუდამოდ შარცხვენილ დარჩებოდ,

1 ჯანიაშვილი ლ., ქართველ მთიელთა სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ხალხებთან (ხევსურები და ქისტები). კვ #23, 2023, გვ. 208.

რო კარში აღარ გამაევლებოდ სირცხვილით.“¹

ეს წინააღმდეგობრივი ურთიერთობა აღწერილი აქვს თ. ოჩიაურსაც: „ფმაველებს და ხევსურებს კინკლაობა ჰქონიათ, თუშებთან კი დიდი კავშირი, დაღესტნის პოსტზე საყარაულოდ ხევსურები ჩამოდენილან. დიკლოს იქით ფიჭებს ეძახიან, იქ არის საყარაულო კოშკი“.²

იგივე ვითარებას ადასტურებს ყვავლოელი გიორგი თილიძის ამბავიც, რომელსაც ს. მაკალათია აღწერს. თილიძე ფმაველ მწყემსებს ხოცავდა და ცხვარს სტაცებდა მათ. ბოლოს იგი სოფ. ხოშარაში დაამარცხეს ფმაველებმა. თილიძეს ლაშარის წმ. გიორგისათვის შეუთხოვია თუ ამ განსაცდელს გადამარჩენ თეთრ კურატს მოგართმევო, თილიძეს მართლაც შეუწირავს თეთრი კურატი ფმავში ლაშარისათვის. ფმაველებს მისი მოკვლა ჰქონიათ განზრახული, მაგრამ თილიძეს თუშების და ფმაველების შერიგება და ძმად გაფიცვა უთხოვია და თუშები და ფმაველები ლაშარის ჯვარზე ძმად გაფიცულან.³

ამრიგად, უნდა დავეთანხმოთ ნ. ჯალაბაძის მოსაზრებას, რომ ხევსურები, თუშები და ვაინახები, როგორც უშუალო მეზობლებში, ერთმანეთში მეკობრეობას ეწეოდნენ, რასაც პირველ რიგში, პრაქტიკული მიზანი ჰქონდა. ამგვარი საქმიანობა განპირობებული იყო სათანადო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით: მძიმე საარსებო ვითარებით გამოწვეულ სიდარიბესა და უქონლობას მთიელი ერთგვარად ივსებდა მოტაცებული დოვლათით, საკუთარს შემატებდა და ავად თუ კარგად გაჰქონდა თავი. ასევე, ლაშქრობის მოტივი იყო ტყვეების მოტაცება გამოსასყიდის აღების მიზნით და დაბეგვრა. ამავე დროს, სიძნელებთან დაკავშირებული ეს საქმიანობა პრესტიჟულადაც ითვლებოდა.⁴

თუშები სათარეშოდ ქმნიდნენ „მეკობართა“ რაზმებს, ირჩევენ წინამძღოლებს, გადადიოდნენ ლეკეთში, ეცემოდნენ მწყემსებს

1 ოჩიაური ა., მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, თბ. 2019 გვ.: 194.

2 ოჩიაური თ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 66.

3 მაკალათია ს. დასახელებული ნაშრომი, გვ. 92-93.

4 ჯალაბაძე ნ., ქართულ-ვაინახური ურთიერთობის დინამიკა, ჩეჩნური ფენომენი ქართულ სინამდვილეში, თბ. 2006, გვ. 43-44.

და ცხვარ-ძროხას სტაცებდენ მათ. მეკობართა რაზმებში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა მელექ-მებაჟე (ლექთა მხოცავი – მეწინავე მეკობრული ლაშქრობის დროს, რომელიც პირველი ეცემა მტერს). ბრძოლაში მოკლულ მტერს მარჯვენა ხელის მტევანს აჭრიდნენ. მეკობრეები ნადავლს იყოფდნენ, მოჭრილ ხელებს თავიანთი ციხის კედლებზე აკრავდნენ, ტყვეებს კი ბამტეს კედელზე ჯაჭვით აბამდნენ.

ჩვენი მთხრობელი გვიამბობს: „კიდევ ერთ ამბავს ჰყვებოდნენ ხნიერი ხალხი. ხუნჩალეს ამბავს. წისქვილებიდან ჩრდილოეთის მიმართულებით შედის დიდი ღრმა ხეობა, სანარე-ტაოს ქედის გაყოლებით. მას ჩილოს ხაას უწოდებენ. აქედან ცხვრის დატაცების მიზნით მეცხვარეს თავს დასხმიან. იგი გამოქცეულა სოფელში. სოფელში მყოფებმა სასწრაფოდ აისხეს თოფ-იარაღი, მოასხდნენ ცხენებს და დაედევნენ გამტაცებლებს. ამდროს წისქვილში ყოფილან მოხუცი ცოლ-ქმარი, ხუნჩალე და მისი ცოლი. მღევარს იქით ჰქონდა გზა. ჩამოივლის დაოთხილი ცხენით მღევარი ერთი, მეორე, მესამე. ხუნჩალე ზის წისქვილის წინ და თავის ხუნჩაებს არემონტებს (ხუნჩა-ლეკური ქალამნები) ვითომც აქ არაფერი იაო. ცოლმა ვედარ მოითმინა და უსაყვედურმა ქმარს. “კაცო რა გადგიდ მაგ ხუნჩაებს. ვერ ატყობა, ხალხ რა დღეშია? – დაიცად, დიაცო, მე მაგათზე მალ წავალ. გაქნადიდ ჩემ ჯორა. იდ მომგვარ, (ჯორიც იქვე ყავდა დაბმული) გადაივიდა თოფ-იარაღი, გადაჯდა ჯორზე და აედევნა ისიც ჩაკ-ჩაკით მღევარს. (ხააში როგორც შევალთ, იქვეა ერთი დაყუდებული მთა. ამ მთის მწვერვალს უწოდებენ, აუვალ წვერს. იქვეა ქედს უკან ერთადერთი გადასასვლელი. ამ მწვერვალზე გერმანელ მთასვლელთან ერთად ასულა, აქიმიძე რუსო. შემდეგში მას “რუსოს წვერსაც” უწოდებდნენ.). ხუნჩალე სანადიროდ ამ მთაზე აღიოდა ჯორით. სადამდეც მიეძლებოდა ასვლა. ახლაც ამ მთას აუყვა ჯორით და შემდეგ გააგრძელა ფეხით სვლა. მონახა საფარი და დაელოდა გამტაცებლებს. მათ იქ უნდა გადმოერეკათ ცხვარი. არ გასულა დიდი დრო და მოპირდაპირე მთაზე გადმოდგა ცხვარი. ერთი წინ მოუძღვოდა ცხვარს, დანარჩენები უკან მოსდევდნენ. ხუნჩალემ მოწინავე ამოიღო მიზანში. გავარდა თოფი და დაგორდა გამტა-

ცებელი.თოფის ხმაზე მღევრებმა უკანიდანაც გაცალეს თოფები. გამტაცებლებმა იფიქრეს,ამათ აქ უკვე გზები შეუკრავთო მიაწებეს ცხვარს თავი და მიიმალნენ. თოფების ხმაზე ცხვარი დაფრთხა და თავისით ჩაიყარა დაბლა ვაკეებში. ხუნჩალე გადმოდგა მთაზე და გადასძახა:“ჰეჰეე!!!ჩილოლებო! მოიდა ემანდ თავქვეზე ერთ „ჯი-ხვმოზვერა“ მოგორავს.” შემდეგში ამ მთას ხუნჩალეს მთასაც უწოდებდნენ.” (ხანდაზმული მამაკაცი, სოფ, ალვანი).

თავის მხრივ ლეკებიც ხშირად აწიოკებდნენ თუშებს, იტაცებდნენ მათ სარჩო-საბადებელს და ტყვეებიც მიჰყავდათ. ამის შესახებ ფოლკლორსა და საველე მასალაში უამრავი ცნობა გვხვდება. ტიპური ისტორია ლეკთა თარეშზე გვიამბეს სოფ. შენაქოში: „ჩემს ბავშვობაში ერთი ბებო იყო ის მოგვიყვა, ჩემი დედამთილის მოყოლილიყო, წარმოიდგინეთ მაშინ მე ბავშვი ვიყავი, ახლა 88 წლისა ვარ და ახლაც კარგად მახსოვს, ომალოს იქით მხარეს ვიყავითო და ხმელობას ეძახდნენ, კერაზე, შუა ცეცხლზე, ფეხზე გახდილი გვერდნდა, ვსხედვართ კერის გარშემო. ზოგი ართავდა, ზოგი ხელსაქმეს აკეთებდა. ღამეო და შემოვარდა ერთი კაცი, თავს დაგვეცნენო. დანიშნული ყოფილა ვინც ეს ამბავი მოყვა, რომ შემოცვივდნენ ლეკები დაავლეს ფეხშიშველა ქალებს ხელი და ერთ ოთახში უნდა შეყარონ ყველანი და ვინც მე ამიტაცა ვუთხარი, შენ ძმა და მე დამო. გვესმოდა გარედან ზოგის ხრიალიო, ხოცვა-ჟლეტა მიდიოდაო და წივილ-კივილი. ჩვენ იქ სახლში ვართ და რომ მორჩა, ამოწყვიტეს ის ხალხი, ის ქალები წამოიყვანეს ტყვედ. მივდივართო, ამ შემოდგომას ფეხშიშველები, ქვაზე ზედ ჩვენი კანი გვრჩებოდაო. იქით მთაზე აღის ძალიან აღმართი და იქ მივდივართო, ხანდიხან დაგვასვენებდნენ და მაშებისა და ძმების მარჯვენას წინ დაგვიწყობდნენო. გვეუბნებოდნენ იტირეთ, იტირეთ თუშის ტირილი მაღლიაო. ურიები მოდიოდნენ წინათ, ფართალი მოჭონდათ, ტანსაცმელი. ძველი, უხარისხო ფართალი ყოფილა და ყველა ვერ გადაგვეცვალეს იმაშიო. ეგ ურიები ისეთები იყვნენ, რაღაც დღე ყოფილა წელიწადში თუ ადამიანის სისხლს არ უზიარება არ შეიძლებაო და უნდა წავყვანეთ და იქ უნდა გამოუყენებინათ ჩვენი თავიო. გადაგვეცვალეს და ვისაც მე და-ძმობა შევფიცო იმან არ დაანება ჩემი თავიო და

თავის სახლში წამიყვანაო. ძალიან კარგად მექცეოდნენო. თუ ცოტა მეწუხებულს მნახავდა შინაურებს ეჩხუბებოდაო, ალბათ ცუდად ექცევით თქვენო. სხვადასხვა სოფელში რომ დაგვანაწილეს ერთი-მეორეს ხმას ვაწვდენდითო. მერე თურმე საქონელს გარეკავდნენ აქედან ცხვარს და ისე გამოისყიდდნენ ამ ტყვეებს. ჩემმა დანიშნულმაც მოიყვანა საქონელიო გამოისყიდაო და ძალიან ცუდი ქმარი გამომადგაო. ნეტავ ისევ იქ, ტყვეობაში ვყოფილიყავი ის მერჩინაო. იქიდან რომ გამომაცილეს იმ ჩემი ძმადნაფიცის ცოლმა დიდი თავშალი ჰქონდა ის მოიხსნა და წამომახვია და ტირილით გამომაცილაო, ისე შეუყვარდიო.“

ზემოთ უკვე იყო საუბარი რა მძიმე ვითარება შეიქმნა XVII- XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, ლეკთა გამუდმებული თარეშის გამო. არანაკლებ ზარალდებოდა ამ თავდასხმებისაგან მთაც, რადგან ტრადიციულად მთის მოსახლეობას (თუშ-ფშავ-ხევსურები) ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელელების დაცვა ევალებოდა. ამ ვითარებაში თუშეთი, ერთი მხრივ, თავად მონაწილეობდა სისხლისმღვრელ ბრძოლებში, მეორე მხრივ კი, მას ეზღუდებოდა კახეთის საზაფხულო საძოვრებით სარგებლობა. თუშებისა და დაღესტნელების ურთიერთთავდასხმების მასშტაბი და ხასიათი განსხვავდებოდა იმის მიხედვით, თუ ვინ იყო ამ თავდასხმების ორგანიზატორი და რა მიზანს ისახავდა იგი. ტ. აიტბეროვს მოტანილი აქვს ცნობა, რომ 1570 წლის მარტში თუშების, წოვა თუშების და კახელების გაერთიანებულმა ჯარმა გირევთან დაამარცხა ხუნძების ლაშქარი, რომელიც ჰაზავათის (საღმრთო ომის - ლ.ჯ.) მიზნით გადმოვიდა მდ. შარო-არღუნის სათავეებიდან. ქართველებმა ამ ბრძოლაში მოკლეს ნუცალ ანდუნის ძმა ტურურანი და შვილი ბარტი.¹ ვ. ელანიძე საეჭვოდ მიიჩნევს, რომ ეს ლაშქრობა XVI საუკუნეში მომხდარიყო, რადგან იმ ხანებში წოვა თუშები ჯერ კიდევ არ იყვნენ მოსული თუშეთში. წოვების მონაწილეობას ამ ბრძოლაში კი მკაფიოდ ადასტურებს დაღესტნური წყა-

1 Айтберов Т. Древний Хунзах и хушахцы, Махачкала, 1990, გვ.102; Мусаев М, Взгляд на «лекианоба» в контексте изучения правовых заключений дагестанских ученых-богословов xviii в, Фундаментальные исследования, _ 2013_ №10 (часть 14), გვ. 3224.

როც და ქართველ მთიელთა გადმოცემებიც. იგი ფიქრობს, რომ აქ საუბარი უნდა იყოს ორი საუკუნით გვიანდელ თავდასხმაზე, რომელიც კარგად არის ასახული თუშურ ზეპირსიტყვიერებაშიც.¹

დაღესტნელთა მცდელობა გავლენა გაეზრცელებია თუშეთზე, ბარში მათი თავდასხმების გააქტიურების პროპორციულად აქტიურდებოდა და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქმე იქამდეც კი მისულა, რომ, გიულდენშტედტის ცნობით, ერთ ხანობას თუშები ავარიის ხანს ხარკის სახით ყოველწლიურად – 10 ჯორს, ან ერთი ჯორის სანაცვლოდ 60 ცხვარს, უხდიდნენ.² თუმცა უკვე XIX საუკუნის დასაწყისისთვის თუშებს ხუნძებისათვის ხარკის გადახდა შეუწყვეტიათ, რის გამოც უმა ნუცალი ამ მხარეში ლაშქრობასაც კი გეგმავდა.³

თავის მხრივ არც თუშები აკლებდნენ ხელს და იმდენად აწუხებდნენ მეკობრეობით დაღესტნელებს, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე 1786 წელს საგანგებო განჩინებას აფორმებს მათ შორის ვითარების მოსაწესრიგებლად.⁴ განჩინება თუშებს მოუწოდებს, რომ „დღეის იქით თუშებმა ასე წმინდათ უნდა დაიცვან თავი, რომ ჩვენს შემორიგებულ ლეკს ანწუხელსა, კაპუჭელსა თუ სხვას ნურას აწყენენ და ნურცრას მოჰპარავენ.“⁵

ხსენებული დოკუმენტით ისიც ირკვევა, რომ თუშები არც აღმოსავლეთ კახეთში ჩასახლებული დაღესტნელების რბევას ერიდებოდნენ და ერეკლე შეეცადა ეს ლაშქრობებიც სახელმწიფო კონტროლისთვის დაექვემდებარებინა „თუ თუშთ ბელაქნისკნენ სამტროდ წასვლა მოინდომონ თუშთ მოურავს შეატყობინონ, წიგნი გამოართვან ყვარელთა და გავაზელთზედ.თუ ნებათ ისი-

1 ელანიძე დასახელებული ნაშრომი, გვ. 256-258.

2 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 263.

3 Хапизов Ш. Ума-нуцал (Умахан) Великий (очерк истории Аварского нучальства второй половины XVIII в.). – Махачкала: , 2013, გვ.67.

4 განჩინების დადება ქართველთა, თუშთა და ანწუხელთათვის, 1786 წ. 17 მაისი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ, VI, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 731.

5 იქვე, გვ. 731.

ნიც გაჰყვებიან; თუ არა, თვითონ წავიდნენ, მაგრამ მოურავის შეუტყობლად ნუ წავლენ.“¹

ვითარება შეიცვალა რუსეთის კავკასიური ომების პერიოდში. საუკუნოვანი დაპირისპირებით თავგაბეზრებული თუშები აქტიურად ჩაებნენ რუსეთის მხარეს კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ ომში. თავის მხრივ გააქტიურდნენ ჩრდილოკავკასიელები, რომლებიც მანამდე წვრილი მარბიელი რაზმებით ესხმოდნენ თავს ქართველ მთიელებს. როგორც ჩანს, თავდაპირველად თუშები გარკვეულ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ ამ ომში, რადგან თვით შამილიც ცდილობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა თავის მხარეზე გადმოეყვანა და რუსეთის წინააღმდეგ ომში გამოეყენებინა. თუმცა, შამილის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა და დაღესტნელ-ვაინახთა გაერთიანებული ლაშქარი რამდენჯერმე შემოიჭრა თუშეთში. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1827 და 1837 წლების თავდასხმები.² 1827 წელს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორისადმი წარდგენილი მოხსენებიდან ირკვევა, რომ დიდო-ლეკები და ქისტები დასხმიან ჩაღმის საზოგადოების სოფელ დიკლოს. შეტაკების დროს მოუკლავთ სამი მამაკაცი და ერთი ქალი.³

განსაკუთრებით სასტიკი აღმოჩნდა ჩრდილოკავკასიელთა თავდასხმა თუშეთის სოფლებზე (დიკლო და შენაქო) 1837 წლის დეკემბრის ბოლოს. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხები დაწვრილებითაა განხილული⁴ და აღარ შევხები. თუმცა, რუსული სარდლობა ამ თავდასხმის მიზეზს ჩრდილო კავკასიელი მეზობლებისადმი თუშების ლოიალურ დამოკიდებულებას მიაწერდა. გენერალი გოლოვინი გენერალ ბრაიკოს 1838 წ. 11 ოქტომბერს წერდა, რომ დიკლო და შენაქო გარკვეულწილად თავად იქცნენ საკუთარი განადგურების მიზეზად, ისინი დარწმუნებული იყვნენ „ლუზგების“ კეთილგანწყობაში, რადგან უხდიდნენ მათ „სამარცხვინო

1 იქვე გვ. 731-732.

2 ელინაძე ვ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 261-265.

3 გვ. 259.

4 ელანიძე ვ. თუშეთის ისტორიის საკითხები, გვ. 259-282; იჩუაიძე გ. თუშეთი, გვ. 81-86; მაკალათია ს. თუშეთი, გვ. 36-44 და ა.შ.

ხარკს“ (постыдная дань), ხოლო დიკლომ „ამანათებიც“ კი მისცა იმის ნიშნად, რომ ლეკები თუშეთში უსაფრთხოდ გადაადგილებულიყვნენ და მათი სოფლის გავლით ომალოსკენ წასულიყვნენ.¹ ამ ვითარების გათვალისწინებით რუსებს საჭიროდ მიუჩნევიან, რომ თუშეთის დაცვა და მუდმივი საგუშაგოების შექმნა თუშეთის ოთხივე თემისათვის დაევალებინათ; ამასთანავე აკრძალათ მეგობრული და საქორწინო ურთიერთობები ჩრდილოკავკასიელ მუსლიმებთან, უკან დაებრუნებინათ და წინანდელ ადგილას დაესახლებინათ თავდასხმისაგან დაფანტული დიკლოს მოსახლეობა.²

40-იანი წლებიდან თუშები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კავკასიურ ომებში. მ. ვოლკონსკი წერს, რომ ომებში გამოცდილი თუშები შეტევებისას და საერთოდ საბრძოლო ოპერაციების მსვლელობისას ნაკლებად ზარალდებოდნენ და მსხვერპლიც ნაკლები ჰქონდათ. მათი საბრძოლო ხელოვნება სულ ორი მანევრით განისაზღვრებოდა: როდესაც მოწინააღმდეგეს მიუახლოვდებოდნენ, ისინი, სროლის გარეშე, გრიგალივით შეიჭრებოდნენ მტრის რიგებში და ხმლით ავლებდნენ მათ მუსრს; იმ შემთხვევაში თუ ელვისებურ შეტევას ხელსაყრელად არ მიიჩნევდნენ, თუშები ყოველგვარ ბუნებრივ თავშესაფარს იყენებდნენ, რათა ვიდრე შესაძლებლობა იყო მტერი საფარიდან შერჩევით გაენადგურებიათ. მერე კი მოულოდნელად ყივილით და შეძახილებით სხვადასხვა მხრიდან თავს ესხმოდნენ დაბნეულ მსხვერპლს. „ლეზგები“ კარგად იცნობდნენ თუშების ამ სამინელ ყივილს, ბრძოლის ყოველგვარი სურვილი ეკარგებოდათ და კურდღლებივით გარბოდნენ ყველა მხარეს.³ ისტორიკოსი აღტაცებით აღწერს თუში მეომრების ლევან ეფიშვილის (ქადაგაძე), შეთე, ხუტე და დავით გულუხაიძეების საგმირო საქმეებს.⁴ უნდა ითქვას, რომ ამ სახალხო გმირებს ხოტბას ასხამს თუშური ზეპირსიტყვიერება და მათი ხსოვნა ხშირად ლიტე-

1 Предписание ген. Головина ген.-л. Браико, от 11-го октября 1838 года, № 1736, АКАК, IX, 83. 140.

2 იქვე, 83. 141.

3 Волконский Н., Лезгинская экспедиция (в дидойское общество) в 1857 году, [297], (ნანახია 12.05.2025) ხელმისაწვდომია https://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1840-1860/Volkonskij_N_A_5/text4.htm.

4 იქვე [302].

რატურიდან აღებული და ტრანსფორმირებული სხვადასხვა ვარიანტით დღემდე ცოცხლობს გადმოცემებში.

„შეთე გულუხაიძე რომ იყო ქუმელაურთადან, იგი დაღესტნელებს არბევდა ხშირად. აქეთ დიდოელებსაც. მის მოგონებებში სწერია, არ უნდა გამეკეთებინა იმ ბავშვს თავი რომ მოვაჭერიო, არ უნდა გამეკეთებინა და ცხოვრებაში ცუდადაც დამიჯღებაო და მართლა სულ ყველა ამოწყდა, გულუხაიძეები ძალიან ცოტა დარჩნენ. მაგის შტო მთლიანად ამოწყდა. ერთი მოგონებაა – ალვანში დღეობაა ნათლისმცემლობაო და იქაც წავიდო. ქალები და კაცები სასწრაფოებს ანთებდნენო, სუფრასთან ქალები ცალკე ისხდნენ, კაცები ცალკეო, ერთი ბრმა კაცი იყო, ფანდურზე მღეროდაო, გმირობის ამბებსო. ვიღაც ცხენიანი მოვიდა და ამ კაცს მიაგდოო, მკაცრი შეხედულების კაცი იყოო შეთე მართლაც მკაცრი შეხედულების იყო, და უთხრაო, მე ნაკლები გმირობა ჩამიდენია? თუ იმათზე მღერი, ჩემზე რატო არ მღერიხარო. თუმბებში სირცხვილიაო ცოცხალზე გმირობაზე იმღერო და ილაპარაკოო, როცა მოკვდები მერე ვიმღერებ შენზეო. რომ შევხედე, ისედაც შეუხედავი კაცი იყო და ფერი წაუვიდაო, ალბათ იქ ხალხი რომ არ ყოფილიყო თავს მოაჭრიდაო. მოაბრუნა ცხენი და გაიქცა, წავიდაო. ვინ არისო, ვიკითხე, და, შეთეაო. სასტიკი კაცი იყოო. შვილები ომში ჰყავდა, ერთი ომიდან ჭრილობით დაბრუნდა და მეორეს რატომ ჭრილობა არა გაქვს, ე. ი. არ იოშეო. მეორედ წავიდა ის ომში, უკან ჭრილობით დაბრუნდა და აი უკვე ვაკეკაცი ხარო. დროც ალბათ ისეთი იყო ასე იზომებოდა ვაკეკაცობა. დიდოელების დანდობაც არ ჰქონდა, დიდი მტრობა იყო და იმიტომ. შამილის მერე უკვე დაწყნარდა სიტუაცია და იქიდან წამოვიდა მეგობრობა. შამილი რომ დაიჭირეს იარაღი ჩაგვებარეო, უარი უთხრა, მაშინ ცოცხალი არ ჩაგებარდებითო. თუმბებს მისცა იარაღი და უთხრა, არ დამანახოთ, ჩემი იარაღი ხელში არ დაკავებინოთო (სოფ. შენაქო. ხანდაზნული მამაკაცი).

კავკასიის ომის დასრულების შემდეგ რუსულმა ხელი-სუფლებამ თანდათანობით და სისტემურად აღკვეთა მთიელთა მეკობრეობა. ნელნელა მინავლდა სისხლისმღვრელი შეტაკებების გავლენით გამძაფრებული მტრობა თუშ-ფშავ-ხევსურებსა და

ჩრდილოკავკასიელებს შორის. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ კიდევ უფრო გაზარდა მთა-ბარული მეცხვარეობის ხვედრითი წილი და თუშების კახეთის ბარისკენ სწრაფვის ტენდენცია. მთაში მუდმივად მყოფი მამაკაცების ოდენობის შემცირება ბუნებრივად აყენებდა ყოველდღიურ ყოფასა და მეურნეობაში მუშახელის მოზიდვის საჭიროებას, რაც აისახებოდა დაღესტნიდან შემოსული მშენებლების, ხელოსნების, მიწის მუშებისა თუ მსხვილფეხა საქონლის მოვლა-პატრონობაში დასაქმებული ლეკების ოდენობის მატებასა და თუშებსა და დაღესტნელებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციაში.

თავი III

ლავრენტი ჯანიაშვილი, ნათია ჯალაბაძე

1. დაღესტნელები კახეთში

(ჩამოსახლება და გავლენიანი ყოფა)

ქართულ - დაღესტნურ მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ყველა ეტაპზე საქართველოს ბარში ლეკების ჩამოსახლება მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა. ზემოთ უკვე განხილული იყო კახეთის გაღმა მხარში, მდ. გავაზისწყლისა და ყუფუ-ჩაის შორის ტერიტორიაზე, XVII-XVIII სს-ში განვითარებული პროცესები, რომელთა შედეგადაც ჩრდ. კავკასიიდან გადმოსახლებულ და იქ დამკვიდრებულ აზარელ ლეკთა „უბატონო თემებში“ (ჭარის, ბელაქნის, კატეხის, თალას, მუხახისა და ჯინიხის) ადგილობრივ ქართველთა დეეთნიზაცია განხორციელდა და ეს მხარე კახეთს ჩამოშორდა. დაღესტნელთა ნაწილი, რომელიც კახეთის ზამთრის საძოვრებით სარგებლობდა და ბეჟანია-ნის მინდორზე (დღევანდელი ახალსოფელი) მდინარე შოროხე-ვის სანაპიროზე გამოსაზამთრებლად რჩებოდა, კავ-ენისელის დასავლეთით, ძველ გავაზამდეც კი ჩამოვიდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ლეკები თავდაპირველად კახეთში სეზონურად ცხოვრობდნენ, საძოვრების გამოყენებისათვის „საბალახეს“ იხდიდნენ და ცხვრის ფარებს მხოლოდ მწყემსები მოჰყვებოდნენ; მოგვიანებით ოჯახებით დაიწყეს სიარული, საკარმიდამო ნაკვეთები დაისაკუთრეს და რამდენიმე დროებითი დასახლებული პუნქტი შექმნეს. ამრიგად, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მათ დაიწყეს თანდათანობით დამკვიდრება ამ რეგიონში (დღეისათვის ძირითადად ცხოვრობენ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ჩანთლისყურე, თივი, სარუსო). კახეთში დაღესტნელთა ჩამოსახლების ისტორია და მათი ტრადიციული ყოფა მონოგრაფიულად შეისწავლა ნ. ომარაშვილმა.¹ მოგვიანებით ამ თემას შეეხნენ ნ. ჯა-

1 ომარაშვილი ნ. კახეთში მცხოვრები დაღესტნელები, თბ. 2008.

ლაბაძე,¹ გ. მეურმიშვილი², ე. კაპუსტინა და ი. კარპოვი³.

ხუნძების (ავარელების) ყვარლის სანახებში ინფილტრაცია უკავშირდება ანწუხელების, ბეჟთელების და ჰუნძიბელების მჭიდრო პოლიტიკურ და სამეურნეო - ეკონომიკურ ურთიერთობას კახეთის სამეფოსთან, როდესაც ისინი ინტენსიურად იყენებდნენ საძოვრებად ამ ტერიტორიას. მართალია XIX საუკუნის დასაწყისისათვის აქ ლეკთა მუდმივი დასახლებები არ ჩანს,⁴ მაგრამ დაღესტნის ცალკეული თემები ცდილობდნენ გაეგრძელებინათ ურთიერთობა კახეთთან და საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღსადგენად ადგილობრივ რუს ჩინოვიკებს დახმარებას სთხოვდნენ.⁵ კახეთის საძოვრები კი იმდენად მნიშვნელოვანი იყო მათთვის, რომ 1818 წ. სამი ანწუხელი „სტარშინა“ მისულა რუს მოხელეებთან და მათთვის რუსეთის ქვეშევრდომობაში შეყვანა უთხოვია, თან პირობა მიუცია, რომ მომავალში მშვიდობას არ დაარღვევდნენ და ალაზნისპირეთის საძოვრებით სარგებლობისათვის „საბალახესაც“ გადაიხდიდნენ.⁶ მოგვიანებით კი, ისინი კახეთში სამ სოფელში, თივში, თებულჯოხში და ხაშალხუტში დამკვიდრდნენ.

როგორც ითქვა, დაღესტნელების (ანწუხელების) ნაწილისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთთან სამეურნეო ურთიერთობას. ისინი კახეთის სოფლებში ჰყიდდნენ საკუთარ ნაკეთობებს (ხანჯლები, შალის ქსოვილები, თეჯა) და პირუტყვს, ზამთრს კი ალაზნისპირა საძოვრებზე ატარებდნენ. მათ მდინარე მოროხეზე წისქვილებიც კი ჰქონდათ მოწყობილი. ამგვარ ურთი-

1 ჯალაბაძე ნ. ავარიელები და სხვა დაღესტნელი ხალხები, წიგნში მრავალეთნიკური საქართველო, თბ. 2021, გვ.230-235.

2 Meurmishvili G. Crossing Borders: The Case of Ethnic Dagestani in Georgia, Bergen, 20.

3 Капустина Е., Карпов Ю., КВАРЕЛЬСКИЕ АВАРЦЫ В XX В. Электронная библиотека Музея антропологии и этнографии им. Петра Великого (Кунсткамера) РАН (ნანახია 22.06.2025), ხელმისაწვდომია <http://www.kunstkamera.ru/lib/rubrikator/07/978-5-88431-187-7/>.

4 Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Т 1, Тф 1866, გვ. 472.

5 იქვე, გვ. 660.

6 ომარაშვილი ნ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 92.

ერთობას საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა, რაც დაღესტნელთა კახეთში დამკვიდრების ქრონოლოგიის და მიზეზების შესახებ აზრთა სხვადასხვაობის საფუძვლად იქცა. მაგ., ე. აბრამიანს მიაჩნია, რომ ალაზნის მარცხენა სანაპირო ისტორიულად დაღესტნელებით იყო დასახლებული, ქართველები აქ მოგვიანებით, 1104 წლის (ერწუხის ომის) შემდეგ გამოჩნდნენ. XVII საუკუნიდან კი შაჰ აბასის მიერ გაუკაცრიელებულ კახეთში მასობრივად მკვიდრდებოდნენ დასავლეთიდან გადმოსული ქართველები, რომლებიც ვალდებული იყვნენ ამ ტერიტორიაზე ცხოვრებისათვის ხარკი ეხადათ ადგილობრივი ავარელებისათვის („началось массовое проникновение грузинского этнического элемента в Кахетию из Западной Грузии. Новые поселенцы-грузины были обязаны платить дань местным аварцам за проживание на этих территориях“).¹ ე. აბრამიანის აზრით, კახეთის სოფლებში დღეს მცხოვრები დაღესტნელები წარმოადგენენ აქედან „წოროში“ გაძევებული ავარების ნაშთს.²

ე. აბრამიანის ამ დებულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ არსებობს პირდაპირი ცნობები „კავკასიის ომების“ პერიოდში დაღესტნელთა კახეთში მიგრაციის შესახებ. ომიანობის და შიმშილისაგან თავის დასაღწევად მთიელები მასობრივად ტოვებდნენ სამშობლოს და სხვადასხვა მხარეს, მათ შორის, კახეთისაკენ მიიღტვოდნენ. ამ პროცესს ხელს უწყობდა და ახალისებდა რუსული ხელისუფლებაც.³ ამასთანავე, თუ ზემოხსენებული მოსაზრების რეალობას დავუშვებთ, თითქოს ყვარლის მიდამოებში ლეკები მართლაც საუკუნეების მანძილზე მკვიდრობდნენ და მათი ძირითადი ნაწილი იქედან მოგვიანებით დაღესტნელთა აზერბა-

1 Абрамян Э., Кварельские аварцы: вчера, сегодня, завтра (цикл "Национальные меньшинства Закавказья"), (ნანახია 7.109.2025), ხელმისაწვდომია <https://regnum.ru/news/815707>

2 იქვე

3 Капустина Е., Карпов Ю., КВАРЕЛЬСКИЕ АВАРЦЫ В XX В. Электронная библиотека Музея антропологии и этнографии им. Петра Великого (Кунсткамера) РАН (ნანახია 7.109.2025), ხელმისაწვდომია <http://www.kunstkamera.ru/lib/rubrikator/07/978-5-88431-187-7/>. გვ. 121; Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Т 12, Тф 1904, გვ. 1102.

იჯანის ტერიტორიაზე გადავიდა, მაშინ როგორ უნდა აიხსნას, რომ კახეთში მცხოვრებ დაღესტნელებს, გასული საუკუნის 30-იან წლებში მჭიდრო კავშირში ჰქონდათ დაღესტნის რესპუბლიკასთან (და არა აზერბაიჯანთან)?!. ის კი არა, ხუნძები ჯერ საბოლოოდ არც იყვნენ დამაგრებული კახეთში და ალაზნისპირეთს ძირითადად ზამთრის საძოვრად იყენებდნენ. ლეკების უმეტესობა ზაფხულის თვეებში დაღესტნის მთებში მიდიოდა, სადაც ჯერ კიდევ საკუთრებაში ჰქონდათ საცხოვრებელი ნაგებობები და მიწის ნაკვეთები.¹ 1933 წ. დაღესტნის ასსრ-ის ცაკის თავმჯდომარის მადიევის წერილიდან ირკვევა, რომ. კახეთში სამთაბაროდ (საქონლის საპატრონოდ) თლიარათის რაიონიდან ძირითადად ზრდასრული მოსახლეობის ნაწილი მიდიოდა, ზოგჯერ კი საქონელს მთელი ოჯახი მიჰყვებოდა. ამ შემთხვევაში მთიელები ყოველწლიურად ერთსა და იმავე ადგილზე ბინავდებოდნენ, ითვისებდნენ მიწას, აგებდნენ შედარებით მყარ და საფუძვლიან საცხოვრებელს („კაზმა//კაზმალიარ“), რომელიც განსხვავდებოდა პირველი ტიპის მესაქონლეობისათვის დამახასიათებელი დროებითი „კუთა-ნ“-ის ან „კიშლაგი“-სგან (სეზონური ბინები).²

ისტორიული წყაროებისა და საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ნ. ომარაშვილმა დაადგინა, რომ კახეთში ხუნძების მიგრაცია, რომელიც ადრეულ პერიოდში ძირითადად ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული, კავკასიური ომების პერიოდში იმპერიული პოლიტიკის ნაწილი გახდა და კავკასიაში რუსეთის მიერ შექმნილი ეთნოდემოგრაფიული მოზაიკის საერთო კონტექსტში მოექცა.³

ცნობილია, რომ ყვარლის რაიონში მაცხოვრებელი ლეკების რაოდენობა გაიზარდა 1930-იან წლებში (1944 წლამდე), დაღესტნის მცირემიწიანი რეგიონებიდან მოსახლეობის გადასახლებას ბარში და მათ შორის კახეთში მხარს უჭერდა საბჭოთა ხელისუფლებაც. 1937 წლის 17 ნოემბერს სსრკ-ს კომისართა საბჭოს ცაკ-მა მიიღო დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო მი-

1 Капустина Е., Карпов Ю., დასახელებული ნაშრომი, გვ. 123.

2 იქვე, გვ. 121.

3 ომარაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 103.

ზეზით გადასახლებულთა შეღავათების შესახებ “ («О льготах по сельскохозяйственному переселению»), რომლითაც სახელმწიფო თითოეულ გადასახლებულ ოჯახს უწესებდა შეღავათებს, სახელმწიფოს დახმარებით ყვარლის რაიონში თლიარატის რეგიონიდან გადმოსახლებულ 400 ოჯახს აუშენეს საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობა.¹

XX საუკუნის 30-40-იან წლებში ხუნძებს კახეთის სამი სოფელი ეჭირათ: თივი, თებელჯოხი (1944 წელს ავარელების ჩეჩნეთში გადასახლების შემდეგ ეს სოფელი აღარ არსებობს, მისი მიწები შეუერთეს სოფ. ჭიკანს) და ხაშალხუტი (დღეს სოფ. მთისძირი). თივსა და თებელჯოხში მხოლოდ ანწუხელები ცხოვრობდნენ, ხაშალხუტში — დაღესტნის წუნთისა და თლიარათის რაიონის სოფლებიდან (ნახადი, დარბუთი, ენძები, ხაშალხუტი და სხვ.) გადმოსახლებული კაპუჭელები.²

აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში ლეკები არ იყვნენ საბოლოოდ დამაგრებული კახეთში და ჯერ კიდევ დაღესტნის მკვიდრებად ითვლებოდნენ. მათი დიდი ნაწილი ზაფხულობით მშობლიურ სოფლებში ბრუნდებოდა; ამიტომ მიწასაც ვერ ამუშავებდა და ქართველებს აძლევდა იჯარით, რაც ეწინააღმდეგებოდა მიწათსარგებლობის საბჭოურ წესს (მიწები კოლმეურნეობების საკუთრებად ითვლებოდა და მოწეულ მოსავალსაც ძირითადად სახელმწიფოს აბარებდნენ). რადგან ლეკები მხოლოდ წელიწადის ნახევარს ატარებდნენ საქართველოში, ბეგარა-გადასახადების საკითხიც მოუწესრიგებელი იყო. გადასახადის ნაწილს ისინი საქართველოში იხდიდნენ, ნაწილს კი — დაღესტანში.³

ხშირი იყო კონფლიქტი საძოვრების კუთვნილების გამო, დავა ზოგჯერ სისხლისღვრით მთავრდებოდა. მაგ. სიდნადის მა-

1 Рамазанова Д., Обреченные на переселение: Кварельский вопрос в решениях властей в советский и постсоветский периоды (ნანახია 7.10.2025), ხელმისაწვდომია <https://cyberleninka.ru/article/n/obrechennyye-na-pereselenie-kvarelskiy-vopros-v-resheniyah-vlastey-v-sovetskiy-i-postsovetskiy-periody/viewer>.

2 ომარაშვილი ნ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 103; კომახია მ. ავარიელები და სხვა დაღესტნელი ხალხები, წიგნში მრავალეთნიკური საქართველო, თბ. 2021, გვ. 229.

3 ომარაშვილი ნ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 104-105.

ზრის ფარგლებში მდებარე საზაფხულო იაღალები: კუდაგორა, დიდი და პატარა მსხალგორი, ნინიგორა, ბაშლახერი და სოჩალი ქართველ მეცხვარეებთან ერთად იჯარით ეძლეოდათ დაღესტნელებსაც. კუდაგორაში საძოვარი ვინმე ამარულოვს მისცეს, მაგრამ დაღესტნის რესპუბლიკის რაიადმასკომის თავმჯდომარემ იქ სხვა მეცხვარეები ჩააყენა, რასაც კონფლიქტი მოჰყვა. ამ საკითხზე საგანგებო კომისიაც კი შეუქმნიათ, მაგრამ ვიდრე იგი მუშაობას შეუდგებოდა დაღესტნელი მეცხვარეები ერთმანეთს დაერივნენ და ორი ადამიანი მოკლეს.¹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზაფხულო საძოვრებით სარგებლობის საკითხი გასული საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოს სსრ-სა და დაღესტნის ასსრ-ს შორის დავის საგნად იქცა. დაღესტნელები ავიწროებდნენ ყაზბეგის რეგიონის მეცხვარეებს, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში დაღესტნის ტერიტორიაზე არსებული ზამთრის საძოვრებით თითქმის საუკუნის მანძილზე სარგებლობდნენ, 1920-იანი წლებიდან მათ ადგილობრივმა ხელი-სუფლებამ ეს უფლება შეუზღუდა.

ამხანაგობა „თერგის ხევის“ მეცხვარეთა და დაღესტნის საბჭოთა სოც. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს შორის არსებული მიმოწერიდან ირკვევა, რომ დაღესტნის ნარკომატის მიერ გატარებული ზოგიერთი ღონისძიება დამღუპველად მოქმედებდა ხევში მეცხვარეობის მდგომარეობასა და განვითარებაზე. კერძოდ, ქართველ მეცხვარეებს ართმევენ საძოვრებს სადაც მოწყობილი ჰქონდათ თბილი ფარეხები (კუთანაი), რომელიც საკმაოდ ძვირადღირებულად ითვლებოდა. 1924 წ. მათ ყიზლარში თერგისპირა ნაკვეთები ჩამოართვეს. ისიც უნდა ითქვას, რომ თავის დროზე, მათ ადგილობრივი ორგანოები საძოვრების დიდი ხნით მიცემას დაპირდნენ. მეცხვარეები ენდნენ პირობას, და ძვირადღირებული „კუთანები“ (საცხოვრებლები) მოაწყვეს, დაიქირავეს პირები, რომელთაც ზაფხულობით ამ კუთანებისთვის უნდა ედარაჯათ. ამის მიუხედავად მათ 1926 წელს საძოვრები (თა-

1 დაღესტნის რესპუბლიკის საძოვრებით საქართველოს მცხოვრებთა მიერ სარგებლობის შესახებ 1927 წ. 28/2 დან 17/ 9 -მდე, საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი ფ. 284, ს. 420, გვ.35.

ლოვის, ჩერნორიკოვის, და ყარანოლაის ნაწილი) ჩამოართვეს და გაწეული ხარჯი დაიკარგა¹.

კახეთში მცხოვრები ლეკების მართვისა და კულტურულ-სამეურნეო მოწყობის საკითხები ორგანიზები ბევრ უხერხულობას ქმნიდა და ადგილობრივი ხელისუფლების უკმაყოფილებას იწვევდა, რის გამოც არაერთხელ დაისვა საკითხი, რომ ისინი ან საბოლოოდ დამკვიდრებულიყვნენ კახეთში, ან უკან დადესტანში დაბრუნებულიყვნენ.² მდგომარეობა გარკვეულწილად დასტაბილურდა 1941 წ.-ს, როდესაც საგანგებო დადგენილებით დაზუსტდა საქართველოში მცხოვრები ლეკების სიები და ამიერიდან ისინი საქართველოში მუდმივ მაცხოვრებლებად ჩაითვალნენ.³ თუმცა ამგვარი ვითარება მხოლოდ 1944 წლამდე ვაინახების შუა აზიაში დეპორტაციამდე გაგრძელდა. დეპორტირებული ჩეჩნებისა და ინგუშების ტერიტორია საქართველოს სსრ-ს და დაღესტნის ასსრ-ს მიუერთეს დაცარიელებული პუნქტები კი საქართველოდან და დაღესტნიდან გადასახლებული ოჯახებით შეავსეს.⁴ ამ კონტიგენტში აღმოჩნდნენ კახეთში დამკვიდრებული ხუნძებიც, რომლებიც სხვა დაღესტნელებთან ერთად ვედენოს, ნოვოლაკის, რითლაბის და ანდალალის რაიონებში ჩაასახლეს.⁵

ქართველ საბჭოთა ფუნქციონერებს ლეკთა პრობლემის მიმართ არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ, რაც ცალკეულ ავტორებს ქართული შოვინიზმის გამოვლინებად მიაჩნიათ. მაგ., დ. რამაზანოვა ამ საკითხს საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულ მასობრივ დეპორტაციასთან აიგივებს. იგი წერს: 1944 წლის 31 ივლისს „საქართველოს სსრ-ს და სსრკ-ს სახელმწიფო საზღვრის დაცვის მიზნით“ სსრკ-ს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, გრიფთ „სრულიად საიდუმლო“, მიიღო საქართველოს სსრ-ს სასაზღვრო ზონიდან თურქების, ქურთების და

1 იქვე, გვ. 17-18.

2 ომარაშვილი ნ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 108-114.

3 იქვე, გვ. 113-114.

4 საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ.600 ან 1 ს. 6942, გვ.76

5 Рамазанова Д., დასახლებული ნაშრომი; ომარაშვილი ნ., კახეთში მცხოვრები დაღესტნელები, გვ.115.

ხემშინების გასახლების დადგენილება #6279. ამასთანავე, საკუთარი ტერიტორიიდან თითქოსდა „არაკეთილსაიმედო“ ეთნოსების „სახელმწიფოს დავალებით“ გადასახლებით, საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა თავიდან მოეშორებინა სხვა ეროვნული უმცირესობებიც, რომლებიც ძველთაგანვე ცხოვრობდნენ საქართველოში. („31 июля 1944 г. «в целях охраны государственной границы Грузинской ССР и СССР» Государственный Комитет Обороны принял постановление № 6279 под грифом «совершенно секретно» о выселении изпограничной полосы Грузинской ССР хозяйств турок, курдов и хемшинов – всего 17394 хозяйства. Однако, изгоняя со своей территории якобы «неблагонадежные» этносы, переселяемые «по государственному заданию», руководство Грузии старалось избавиться и от других национальных меньшинств, издавна проживавших в Грузии, при этом ни в чем государством не обвиненных.“)¹.

საარქივო მასალაში ცნობა სამხრეთ საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის გასახლებისათვის მზადების შესახებ 1944 წ. გაზაფხულიდან გვხვდება. მ. ნათელაძემ მიაკვლია 1944 წ. მაისით დათარიღებულ დოკუმენტს, რომელშიც საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე სსრკ-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაბუთებდნენ საზღვრისპირა ზონიდან მოსახლეობის ერთი ნაწილის გასახლების მიზანშეწონილობას. აქვე მოცემულია გასახლებისა და ამ რაიონებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ქართული მოსახლეობის ჩასახლების დეტალური გეგმა. ჩანს ადგილობრივი ხელმძღვანელობა ემზადებოდა სამცხე-ჯავახეთიდან მუსულმანთა აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში ჩასასახლებლად. გეგმის თანახმად 77500 ადამიანი უნდა გადაენაწილებინათ შიდა ქართლისა და კახეთის მიწით კარგად უზრუნველყოფილ კოლმეურნეობებში (ჩაესახლებინათ თითოეულში

1 Рамазанова Д., Обреченные на переселение:Кварельский вопрос в решениях властей в советский и постсоветский периоды (ნანახია 7.10.2025), ხელმისაწვდომია <https://cyberleninka.ru/article/n/obrechennyye-na-pereselenie-kvarelskiy-vopros-v-resheniyah-vlastey-v-sovetskiy-i-postsovetskiy-periody/viewer>

50-60 კომლამდე). რა თქმა უნდა ამგვარ ინციატივას რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სათანადო ღირეუქივების გარეშე ვერ გამოიჩენდა. საგულისხმოა, რომ საქართველოს ცკ-ში აზრადაც არავის მოსვლია რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ ამ ხალხის გაყვანა.¹ სხვათა შორის, ხსენებული გეგმა ნაწილობრივ განხორციელდა, როდესაც 1944 წელს კახეთიდან დაღესტანში გადასახლებული ლეკების ადგილას, ყვარლის რაიონში, ჯავახეთის სოფლებიდან გადმოვიდა ხალხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ოჯახები დაღესტნიდან ამ პერიოდშიც (1945-46 წწ) მოდიოდნენ ამ რეგიონში საცხოვრებლად² სავსე ექსპედიციის დროს გამოიკვეთა, რომ ლაგოდების რეგიონის ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა (XIX საუკუნეში გადმოსახლებული იმერლების შთამომავლები) დაღესტნელი მეზობლების მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და მიაჩნიათ, რომ ისინი მათი მეზობელი აზერბაიჯანელების ნაცვლად გაასახლეს. „პირველები ვინც აქ დასახლდნენ თუშები იყვნენ. ისინი ჩვეულებრივად ყაჩაღობდნენ, ზაქათალას დაეცემოდნენ და წავიდოდნენ ისევ მთა-მთა. მაგათ დიდი ძმაკაცობა ჰქონდათ ავარებთან და დიდოელებთან. თავის ხალხად თვლიდნენ ეგენი. მაგათთან კარგი მეგობრობა ჰქონდათ, გზას აძლევდნენ. მთებზე გადადიოდნენ, ალაზანზე კი არ ჩამოდიოდნენ. ჩვენი ბაბუებიც ჩვეულებრივად მეგობრობდნენ დაღესტნელ ლეკებთან, ისინი აქეთ გადმოდიოდნენ, ჩვენები იქით გადადიოდნენ. აქედან არაყი მიჰქონდათ, იქიდან ყველი გადმოჰქონდათ. ვაჭრობა იყო ჩვეულებრივი, ეგენი ქვაბების და ეგეთი რამეების ხელოსნები იყვნენ, მოკალფა იცოდნენ და გადმოჰქონდათ. აქაც უდიდესი სოფელი იყო ლეკების, არეში, ახლანდელი მთისძირი, საიდანაც გაასახლეს ლეკები. კოლექტივიც ჰქონდათ თავისი, ჩვენი მეზობლის ქალი იყო ომიანობის დროს კოლექტი-

1 ნათმელაძე, მ., დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში, თბ., 2002, გვ. 28-29; ჯანიაშვილი ლ., 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნოისტორიული პრობლემები: (კულტურული იზოლაცია, ჯგუფთაშორის ურთიერთობათა თავისებურებანი და რეპატრაციის პერსპექტივა), თ. 2006, გვ. 41.

2 Meurmishvili G. Crossing Borders: The Case of Ethnic Dagestani in Georgia, Bergen, 2014, გვ. 15.

ვის თავმჯდომარე. ხმები დადიოდა რომ აქედან თათრების გასახლებას აპირებდნენ. კაბალი უნდა აეყარათ და ჩაესახლებინათ ქართველობა მესხეთიდან. გადმოცემაა, რომ კაბალში ვიღაც სიმონა გელაშვილმა გაიტანა თათრის ბავშვი მანქანით, ყვარლის რაიონმასკომის თავმჯდომარე იყო თუ რაღაც ეგეთიო. თათრებს უთქვიათ, აღსაკალებს, ვიცით რა გეგმაც არის ჩვენთვის გამზადებულიო და თუ დაგვანებებ თავს არ გიჩივლებთო; ამ კაცს ვიღაც უნდა გაესახლებინა, თათრებს თავი გაანება და ლეკები აყარაო, ლეკები გაასახლეს და თათრები დატოვეს.“ (შუა ხნის მამაკაცი სოფ. ბაისუბანი).

როგორც ჩანს, ეს გადმოცემა ხალხურ მეხსიერებაში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის თავისუფალი ინტერპრეტაციის შედეგია. ცხადია „კაბალის თათრების“ გასახლების პერსპექტივას ისინი აკავშირებენ სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციასთან. სავარაუდოდ ცინცხალი ამბები ამ დეპორტაციის შესახებ აქ 1944 წელს გადმოსულმა ჯავახებმა ჩამოიტანეს.

ჩეჩნების რეპატრიაციის შემდეგ (1957 წ.), კახეთიდან გასახლებულმა ავარელებმა მიატოვეს ახალი საცხოვრებელი ადგილი და უკან დაბრუნდნენ. ისინი თავდაპირველად ქართულ სოფლებში დაფანტეს, შემდეგ, მათი მოთხოვნით, რელიგიური ფაქტორის გათვალისწინებით, ცალკე დაასახლეს და ასე გაჩნდა ავარელთა სოფლები: თივი, სარუსო, თხილისწყარო (1990-იანი წლებიდან ამ სოფელში ლეკები აღარ ცხოვრობენ) და ჩანთლისყურე. ოთხივე სოფელი ყვარელ-ლაგოდეხის გზაზე მდებარეობს. ეს მოვლენები დაწვრილებითაა აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში¹ და მათზე აქ აღარ შევიჩერებთ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ სოფელ თივში დიდოელები ანუ ცეზები ცხოვრობენ, სარუსოსა და ჩანთლისყურეში - ხუნძები; ისინი განსხვავებულ დიალექტებზე ლაპარაკობენ და ერთმანეთთან საურთიერთებოდ ხშირად ქართულს, ხანდხან კი რუსულს მიმართავენ. გარდა ამისა, ზოგმა მათგანმა სალიტერატურო ავარულიც იცის. სოფლის მკვიდრნი მათ

1 ომარაშვილი ნ. დასახლებული ნაშრომი, გვ. 116-121.

შორის ადათების და ხასიათის განსხვავებებსაც უსვამენ ხაზს.¹ ლეკთა ცალკეული ოჯახი კახეთის სხვა დასახლებებშიც გვხვდება. მაგ., ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სასაზღვრო-გამშვები პუნქტის მიმდებარე სოფ მაწიმში ძირითადი მოსახლეობა ქართულია, რომელიც XIX საუკუნეში გადმოსულა ქიზიყიდან (ტიბაანი, ანაგა, ვაქირი, ჯუგაანი) და იმერეთიდან. აქვე ცხოვრობს ლეკების სამი ოჯახიც, რომელიც, მეზობლების ინფორმაციით, საკმაოდ ინტეგრირებულია, ქართულად საუბრობს და რელიგიური ტოლერანტობით ხასიათდება. ცნობილია, რომ ლაგოდეხის მიდამოებში დაღესტნელების შემოსვლა მომთაბარე მესაქონლეობას უკავშირდება. ისინი საძოვრისათვის ადგილებს იჭერდნენ. აქ ძირითადად თებელისა და ჭურმუტის ლეკობა ბინავდებოდა.²

1980-ანი წლების ბოლოს საქართველოში განვითარებული ცნობილი მოვლენების შედეგად ლეკების ერთმა ნაწილმა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა და სახლები გაყიდა. სახლების ნაწილი სახელმწიფომ შეიძინა ძირითადად მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. 1990-იან წლებში დაღესტანში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა პოლიტიკური არასტაბილურობითა და ეკონომიკური კრიზისით შეწუხებულ ავარიელთა დარჩენილი ოჯახებიც. 2000-იანი წლებიდან ლეკთა საქართველოდან მიგრირების მთავარი ფაქტორი ეკონომიკური ხასიათისაა; ისინი მეტ ეკონომიკურ პერსპექტივას ხედავენ რფ-ში და ამიტომაც მიდიან ისტორიულ სამშობლოში, დაღესტანში. თუმცა, ამის მიუხედავად ინარჩუნებენ კავშირებს საქართველოსთან და ხშირადც ჩამოდიან, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. მათი უმრავლესობა საქართველოში კარმიდამოს ინარჩუნებს; ჩანთლისყურეში, თივსა თუ სარუსოში ნახავთ დაკეტილ სახლებს, რომელიც აქედან წასულ ლეკებს ეკუთვნით.

2002 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 1996 დაღესტნელი ცხოვრობდა

1 გ. ნოდია. ქართველი ავარელები: ჩაკეტილობა განვითარების წინააღმდეგ, თბილისი 2018, გვ. 5-6.

2 ომარაშვილი ნ., კახეთში მცხოვრები დაღესტნელები (ჩამოსახლების ისტორია, ყოფა და კულტურა), თბ. 2008, გვ. 83.

(1989 წელს — 4 230), 210 ლაკი (1989 წელს — 426), 44 ლეზგი (1989 წელს — 720). მათგან მხოლოდ ხუნძები (ავარიელები) არიან კომპაქტურად დასახლებული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ყვარლის რაიონის ხსენებულ სოფლებში ცხოვრობს. 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ავარიელთა რაოდენობა განახევრდა - 1 060.¹

კახეთის დაღესტნურ სოფლებს* რომლებიც ტიპური კახური სოფლებისაგან არ განსხვავდება, ერთმანეთისაგან ხევები ჰყოფს. დაგეგმარება გზისპირულია. მთავარი გზატკეცილიდან სოფლებში შემავალ ცენტრალურ ქუჩას პარალელური და ერთმანეთში გამავალი მცირე ქუჩები უერთდება. დასახლება წარმოდგენილია ქუჩის ორივე მხარეს განლაგებული კარმიდამოებით, სადაც საცხოვრებელი და მცირე ზომის სამეურნეო ნაგებობები (ბაკი, სასიმინდე, გომური და სხვ.) ერთმანეთს უკავშირდება. წინათ სამეურნეო ნაგებობები სოფლის ბოლოს, უშუალოდ სამეურნეო ზონაში მდებარეობდა, მაგრამ სოფლების დღევანდელი სახით ფორმირების შემდეგ, ისინი საკარმიდამო ტერიტორიაზე გადმოიტანეს. სოფელი უბნებად არის დაყოფილი. ყველა სოფლის ცენტრში რომელიმე ადმინისტრაციულ დაწესებულებასთან არის მოედანი, რომელიც სოფლის საერთო „გოდეკანად“ (საკრებულოდ) ითვლება. წინათ ყველა უბანს თავისი გოდეკანი ჰქონდა, დღეს ეს პროცესი მოშლილია და გოდეკანსაც თავისი პირვანდელი სახე და ფუნქციები დაკარგული აქვს. ლეკურ დასახლებათა მცირე ერთეულს წარმოადგენს „ყაე“ — სოფლის შემადგენელი უბანი, რომელიც პოლიგენური ხასიათისაა, ანუ რამდენიმე გვარით არის წარმოდგენილი. მოსახლეობის მატების შედეგად სოფელიც გაიზარდა და ახალი პოლიგენური უბნები გაჩნდა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაღესტანში დიდი ოჯახები მხოლოდ გადმონაშთის სახით არსებობდა, იქ უმთავრესად ინდივი-

1 კომახია მ. ავარიელები და სხვა დაღესტნელი ხალხები, წიგნში მრავალეთნიკური საქართველო, თბ. 2021, გვ.229-230.

* ქვემოთაღნიშნული მასალა ნაწილობრივ გამოქვეყნებულია _ ჯალაბაძე ნ. ავარიელები და სხვა დაღესტნელი ხალხები, წიგნში მრავალეთნიკური საქართველო, თბ., 2022.

დუალური ოჯახები იყო. კახეთში ჩამოსახლებული ინდივიდუალური ოჯახების მოთხოვნილებებს კი სრულიად აკმაყოფილებდა აქ გავრცელებული მიწურ-ბანიანი სახლები. თავდაპირველად ავარელები მიწურებში ცხოვრობდნენ, შემდეგ კი საცხოვრებელი ნაგებობების სხვადასხვა მასალით შენება დაიწყეს. გვხვდება წნული, ფიცრული და ქვითკირის სახლები. წნული სახლი ამავე ტიპის ქართული სახლებისაგან არაფრით განსხვავდება. ავარელთა სოფლებში ქვითკირის სახლებმა განვითარების იგივე გზა განვლეს, რაც ანალოგიურმა სახლებმა საქართველოში. მშენებლები ძირითადად კახელი ქვისმთლელები და ხუროები იყვნენ. უფრო მოგვიანებით გავრცელდა ორსართულიანი სახლი შემინული ან ღია რკინის მოაჯირიანი აივნით (ვერანდით), თუნუქის სახურავით და მარმარილოს კიბით. სახურავი და აივანი ზოგჯერ დეკორირებულია. ქვედა სართულს წინათ სამეურნეო დანიშნულებისათვის ხმარობდნენ, ღღეს კი საცხოვრებლად გამოიყენება.

კახეთის ავარელთა ოჯახები ინდივიდუალურია; ისლამური კულტურისათვის დამახასიათებელი მრავალცოლიანობა აქ ნაკლებად გვხვდება. თანამედროვე პერიოდში ქორწინების ძველი ტრადიციები თითქმის დავიწყებულია. დასაშვებია გვარის („თუხუმის“) შიგნით ქორწინება. ქალებს ან თავიანთ თემში ათხოვებენ, ან დაღესტნიდან მოჰყავთ. ქართველებთან და სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან შერეულ ქორწინებას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ადგილი არ აქვს. ქალის შეფასების კრიტერიუმები ყოველთვის ითვალისწინებდა მის შრომისმოყვარეობას, ოჯახის ავტორიტეტს, ძმათა სიმრავლესა და დაფასებას. წინათ ქალის გათხოვების გადაწყვეტილებას მისი მშობლები იღებდნენ, ქალს არავინ არაფერს ეკითხებოდა. ღღეს უკვე ერიდებიან ადრეულ ასაკში დაოჯახებას; მეტ ინიციატივას იჩენენ თვითონ ახალგაზრდები მომავალი მეუღლის შერჩევისას. კვლავინდებურად დიდი ყურადღება ექცევა ქალის პატიოსნებას.

საქორწინო ურთიერთობების ციკლი ორი ეტაპისაგან — ნიშნობისა და ქორწილისგან — შედგება. ღღეს ავარელი ქალის მზითევი, წინანდელთან შედარებით, უფრო გამრავალფეროვნდა.

საქორწინო რიტუალში შეიმჩნევა ქართული (ქრისტიანული) კულტურის გავლენა (მუსიკის თანხლება, სუფრის წესები და ა.შ.). აუცილებელია ქორწინების რელიგიურად გაფორმება. საქორწინო ტერმინოლოგიაში შესულია ქართული სიტყვები: „მაჟანკალი“, „მაყარი“, „მეჯვარი“.

დაღესტნელების მიერ საქართველოში მიწების დაკავების პროცესს თავდაპირველად ეკონომიკური ინტერესები ედო საფუძვლად. ისინი ოდითგანვე საქართველოს ზამთრის მდიდარი საძოვრებით სარგებლობდნენ. ანწუხელები და კაპუჭელები ბეჟანიანის მინდორზე (ძველი გავაზი, დღევანდელი ახალსოფელი) და მდ. შოროხევის სანაპიროზე გამოსაზამთრებლად ჩამოდიოდნენ. ზოგიერთი დაღესტნური თემი სასაძოვრე ადგილებს იჭერდა ქართუბანში, ხოლო თებელისა და ჭურმუტის თემი ლაგოდეხში ბინავდებოდა. მათ ჩამოსახლებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი მეურნეობის მომთაბარულმა ხასიათმა. ისინი კახეთში სეზონურად ცხოვრობდნენ (სექტემბრიდან მაისის ბოლომდე) და საძოვრების გამოყენებისთვის „საბალახეს“ იხდიდნენ. თუ თავდაპირველად ფარებს მარტო მწყემსები მოჰყვებოდნენ, შემდეგ ოჯახებით იწყეს სიარული. მალე საკარმიდამო ნაკვეთები შემოიერთეს და ადგილზე დაიწყეს მეურნეობის წარმოება. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს საძოვრებზე მომთაბარე ავარიელებს სახაზინო მიწების ფონდიდან 200 ღესეტიანა მიწა ეჭირათ ავანის ხეობაში (ავანი//ავანისხევი მდინარეა ყვარლის რაიონში, მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადი. მას სათავე კახეთის კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე აქვს).

მაღალმთიანი ზონიდან საქართველოს ნაყოფიერ მიწებზე დამკვიდრების შემდეგ ავარიელებს საშუალება მიეცათ ადგილობრივ ეკოსამეურნეო პირობებზე მოერგოთ თავიანთი სამეურნეო ტრადიციები და გაემრავალფეროვნებინათ შრომითი საქმიანობის სფერო. დაღესტნელებმა ქართველებისაგან მათთვის მანამდე უცხო დარგები აითვისეს (მევნახეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა). შეიცვალა მათი სამეურნეო გარემო, პირობები და შრომის იარაღები. გაიზარდა მემინდვრეობის ხვე-

დრითი წილი და მან თანდათან ავარიელთა საოჯახო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. სახვნელი, რომელსაც დაღესტნის მთის პირობებში ხმარობდნენ, ჯერ ქართულმა გუთანმა, ხოლო შემდეგ თანამედროვე ტექნიკამ ჩაანაცვლა. ავარელებმა კახელებისაგან აითვისეს მეღვინეობის კულტურა (აღსანიშნავია, რომ დღეს მუსლიმი ავარიელი ალკოჰოლური სასმელის დაღევაზე ხშირად უარს აღარ ამბობს).

ავარელებმა საქართველოში დიდხანს შემოინახეს მომთაბარე მესაქონლეობის ტრადიცია, ე.წ. ორხელობა, რაც ზაფხულობით საქონლის სამთო სადგომებზე გადარეკვას და იქ მეურნეობის წარმოებას გულისხმობს. მთასა და ბარში ოჯახის წევრებს შორის ფუნქციები გადანაწილებული იყო. ამ ტიპის მეურნეობა, პრაქტიკულად, 1940-იან წლებამდე ფუნქციონირებდა. მეურნეობის ტრადიციული ფორმებიდან ავარელებში შემორჩენილია მეცხვარეობა. ცხვარი მათ ბოლო დრომდე დაღესტნის მთიანეთში გადაჰყავდათ. რუსეთთან ამ მონაკვეთზე საზღვრის ჩაკეტვამ ეს პრაქტიკა საერთოდ მოშალა.

საგრძნობლად შეიცვალა ავარელთა დამოკიდებულება ვაჭრობისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებშიც და მათშიც ის არაპრესტიჟულ საქმიანობად ითვლებოდა, ამ ბოლო ხანებში ლეკების ნაწილმა ვაჭრობას მიჰყო ხელი. რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღებამდე ისინი კერძო სავაჭრო კავშირებს ამყარებდნენ ჩრდილოეთ კავკასიელებთან, საიდანაც შედარებით ადვილად ჩამოჰქონდათ მესაქონლეობის პროდუქტები და ცვლიდნენ ფქვილზე, ხილზე, არაყზე. წინათ აღებმიცემობას ბარტერის ფორმა უფრო ჰქონდა — საჭიროებისდა მიხედვით, წინასწარ ადგენდნენ გასაცვლელი პროდუქტების სახეობას. გაცხოველებული ვაჭრობა იმართებოდა სოფ. ყვითილოში (კაპუჭელების სოფელი დაღესტანში), დაღესტნელები კი ძირითადად სიდნადისა და თელავის ბაზრობებზე ჩამოდიოდნენ. თუმცა დღეს, როდესაც რუსეთთან დამაკავშირებელი სამანქანო გზა ლარსზე გადის, ყვარლის ლეკები ვეღარ ახორციელებენ ვაჭრობისთვის საჭირო კომუნიკაციას და ეს პრაქტიკაც წარსულს ჩაბარდა. დღეს ავარიელთა ნაწილი მშენებლობაზე

მუშაობს. ისინი სეზონურ სამუშაოებზედაც დადიან, თუმცა დაღესტნურ სოფლებში მთავარი საქმიანობა მაინც სოფლის მეურნეობაა. მოჰყავთ საზამთრო, ბოსტნეული და სხვ.

ავარელები ოფიციალურად მუსლიმი სუნიტები არიან, თუმცა მათი რწმენა არქაული, ისლამური და ქრისტიანული რელიგიების ელემენტთა ნაზავს წარმოადგენს. ქრისტიანული კულტურის კვალი, თუმცა შედარებით სუსტად, მაგრამ მაინც აშკარად იკვეთება; ლეკების მიერ ქრისტიანული დღესასწაულების — ალავერდობისა და ნეკრესობის ქართველებთან ერთად აღნიშვნის ტრადიცია ამის მაგალითია.

ისლამური ტრადიციები ნათლად იჩენს თავს მიცვალებულის დაკრძალვის წესებში. განსვენებულს ჯერ ბანენ, თეთრ სუდარაში ახვევენ და პირით სამხრეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე მწოლიარეს მზის ჩასვლამდე ასაფლავენ. დასაფლავების დღეს იკრძალება იარაღის სროლა, მიწის დამუშავება, სოფლიდან გასვლა. მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად იხდიან ქელეხს. დაკრძალვის დღეს სუფრას ოჯახში შლიან; სუფრა აგრეთვე იშლება გარდაცვალებიდან მესამე ან მეშვიდე პარასკევს, მეორმოცე დღეს და წლისთავზე. საერთო სუფრა კი ყურბან ბაირამის დღესასწაულზე იციან. ქართული კულტურის გავლენა შეინიშნება სასაფლაოების დიზაინში (ქვის მოხატულობა, ქართული წარწერები — უმთავრესად ქართველი მეგობრებისაგან), ქვაზე მიცვალებულის სურათის დახატვა ან მოთავსება, რაც ისლამური წესით, იკრძალება. ბოლო დროს დაიწყეს საფლავების შემოღობვა და ყვავილებით შემკობა. თუმცა, თანამედროვე რეისლამიზაციის პროცესები აქაც იჩენს თავს — საფლავის ქვებზე ვხვდებით ისლამურ სიმბოლოებს — ნახევარმთვარეს, მიზგიტების გამოსახულებას, არაბულ წარწერებს, თარიღებს ჰიჯრის კალენდრით და ა.შ. ავარიელთა სოფლებში მოქმედებს მეჩეთი.

თავი IV

ნათია ჯალაბაძე

1. საქართველო-ღაღესგნის საზღვრისპირა ზოლი და მასთან დაკავშირებული ეთნოპოლიტიკური ვითარება

უძველესი დროიდან მოკიდებული, ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების, კონკრეტულ შემთხვევაში დაღესტნელების, ურთიერთობას ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. მათ, პირველ რიგში, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები აახლოვებდა. სასაზღვრო ზოლში ერთმანეთის მეზობლად მცხოვრებ ეთნოსებს, ეკოგეოგრაფიული პირობების გამო, უფრო ხშირი შეხება ჰქონდათ ერთმანეთთან, ვიდრე ბარის რეგიონების თავიანთივე წარმომადგენლებთან. მაღალმთიან ზონაში ხანგრძლივი დიდთოვლობა, რაც უღელტეხილების ფუნქციის მოშლას იწვევდა, ამ ხალხთა ურთიერთობის ვექტორს ერთმანეთისკენ წარმართავდა. შედეგი კი დაღესტნელების და თუშების, ხევსურებისა და ინგუშების, ჩეჩნებისა და თუშების, კახელებისა და დაღესტნელების, მოხევეებისა და ოსების და სხვათა მჭიდრო ეთნოკულტურული კავშირები იყო, რაც მათი ყოფის ყველა სფეროში იჩენდა თავს. სამეურნეო, სოციალური (ნათესაური, ოჯახური), რელიგიური ურთიერთობები ხელს უწყობდა მეზობელ კავკასიელ მთიელთა შორის მსგავსი კულტურული მდგენლების ფორმირებას. თუმცაღა, როგორც წიგნის წინათავე აღინიშნა, ეს ურთიერთდამოკიდებულება ყოველთვის ჰარმონიული და მშვიდობიანი არ ყოფილა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიაში წარმოქმნილმა სიტუაციამ და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკამ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის რიგ ხალხს შორის ხიდი გაურკვეველი დროით ჩატეხა. პოსტსაბჭოთა პერიოდში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენების გამოისობით (რუსეთ-ჩეჩნეთის ორი ომი, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის და ყარაბაღის კონფლიქტები, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, მისი თანმდევი ბორდერიზა-

ცია და სხვა.), ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ურთიერთობა, საბჭოთა პერიოდის- დროინდელთან შედარებით, სრულიად განსხვავებული მიმართულებით წარიმართა. რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩენილმა ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკურმა სუბიექტებმა საქართველოსგან იზოლაციის უარყოფითი შედეგები არამარტო პოლიტიკური და სოციო-კულტურული, არამედ ინტერეთნიკური კავშირების კუთხითაც გამოსცადეს. ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ხალხთა შორის ფიზიკური და, შესაბამისად, სოციო-კულტურული კავშირების ხელშეწყობად შეფერხება/გაწყვეტა იმ კანონზომიერების დარღვევა იყო, რაც ისტორიულად საფუძველს უქმნიდა კავკასიელი ხალხების ერთობას.

ქართველები ოდითგანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობას და ასეა დღესაც. მიუხედავად არსებული ბარიერებისა, ქართველი ხალხი ცდილობს აღადგინოს და შეინარჩუნოს ჩრდილოკავკასიელებთან ტრადიციული კავშირები. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ნათქვამია:

„საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში თანამშრომლობის გარემოს შექმნას და მშვიდობის დამყარებას. საქართველო აცნობიერებს ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან ურთიერთობების გაღრმავებისა და განვითარების აუცილებლობას. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს მიზნებთან და პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით მათი ინფორმირებულობის გაზრდას, კავკასიაში ნდობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას და მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრებას.“¹

წინა თავებში უკვე აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებს და მის მოსახლეობას ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ქვეყნის საზღვრისპირა რეგი-

1 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2025. ხელმისაწვდომია: <https://mfa.gov.ge/national-security-concept>.

ონებში არატიტულოვანი ეთნიკური ჯგუფები სახლობენ. ამგვარმა კონფიგურაციამ, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გაღვივებას; ამდენად, მესამე ძალის გეოპოლიტიკური მიზნების კონტექსტში, არაქართველი ეთნოსებით კომპაქტურად დასახლებული საქართველოს სასაზღვრო რეგიონები პოტენციური საფრთხის შემცველია. დაღესტნის მოსაზღვრე ყვარლის რაიონში დაღესტნური დასახლებების არსებობა დღეს არ ქმნის არც სეპარატიზმის და არც ირედენტოზმის საფრთხეს, თუმცა ისინი, შესაძლოა, კრემლის პოლიტიკურ საქადრაკო დაფაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფიგურად იქცნენ.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდგომ, რუსეთთან დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრების დადგენის პროცესმა ჩვენი ქვეყანა მთელი რიგი პრობლემების წინაშე დააყენა. ა. კვახაძე აღნიშნავს: „საქართველო-რუსეთის საზღვარი დღემდე არაა დემარკირებული და ამდენად, საკმაოდ დიდია საზღვრების თვითნებურად გადაწევის რისკი. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მცოცავი ოკუპაციის გარდა, ამგვარი პროცესი საქართველო-რუსეთის საზღვარზეც ხდება.“ მისივე აზრით, გეოგრაფიული თვალსაზრისით, კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში მოქცეული, ანუ დიდი კავკასიონის წყალგამყოფი ქედის მეორე მხარეს მდებარე საქართველოს რეგიონები – არხოტის ხეობა, პირიქითა ხევსურეთი (დუშეთის მუნიციპალიტეტი) და თუშეთი (ახმეტის მუნიციპალიტეტი), ამ თვალსაზრისით მეტად მოწყვლადია.¹

როგორც აღინიშნა, საქართველო რუსეთის ფედერაციის დაღესტნის რესპუბლიკას თუშეთისა და კახეთის 143 კმ-იანი სიგრძის მონაკვეთით ემიჯნება. ფაქტობრივად, აღმოსავლეთი საქართველოს ამ ზოლის და ჩრდილოეთი კავკასიის დამაკავშირებელი გზა ჯერ-ჯერობით არ არსებობს. საზღვრის გადაკვეთა შესაძლებელია მხოლოდ საცალფეხო გადასასვლელებით. საბჭოთა პერიოდში საქართველო რუსეთის ფედერაციას უკავშირდებოდა კავკასიის ქედის პერიმეტრზე დაღესტნის რესპუბლიკასთან საჭაპანე ტრანსპორტისათვის გამოსაყენებელი 6 გადასასვლე-

1 კვახაძე ა., დასახ. ნაშრომი.

ლით. გამოჩაყლის წარმოადგენდა ბეჟთა-ახალსოფლის მონაკვეთი, რომლითაც მაღალი გამავლობის ტექნიკა გადაადგილებოდა.¹ დასახლების ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, სოფელთა განლაგების ხასიათიდან, მათი ხალხმრავლობის დონიდან და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობიდან გამომდინარე, საქართველო-რსფსრ 15 კმ სიგანის საზღვრისპირა ზოლში ჯ. კეკელია გამოჰყოფს 9 განსახლების უბანს, საიდანაც ჩვენ საკვლევ ზონას ესადაგება – შატილი-ომალოს (ნაწილობრივ) და ნაფარეული-შილდის უბნები.² მკვლევრის დახასიათებით, შატილი-ომალოს განსახლების უბანი მაღალი მთებითაა შემოფარგლული და მოიცავს მდ. ასას ზემო წელს, მდინარეების არდუნის, ანდაქის, თუშეთისა და პირიქითა ალაზნის ხეობებს 15 დასახლებული პუნქტით. ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, აქ მხოლოდ ქართველი მოსახლეობაა წარმოდგენილი. ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მეცხოველეობაა (მეცხვარეობა). ნაფარეული-შილდის განსახლების უბანი მოიცავს მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირსა და კავკასიონის ქედს შორის მოქცეულ ტერიტორიას. ის ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული. ხალხმრავლობის თვალსაზრისით, აქ წარმოდგენილია პატარა, საშუალო და მსხვილი დასახლებული პუნქტები.³ დღეისათვის სწორედ ამ უბანზეა ის 3 სოფელი, სადაც დაღესტნელი ხალხი (ავარელები) ცხოვრობს.

თუშეთ-დაღესტნის სასაზღვრო მონაკვეთი დაღესტნის რესპუბლიკის დიდოელებით დასახლებულ წუნთის რაიონს ესაზღვრება. ამ ტერიტორიაზე დღემდე გადაუჭრელია ჭანჭახოვანის ხეობაში ისტორიულად თუშეთის კუთვნილი სოფლების – ჭეროსა და ინწუხის კანონიერი კუთვნილების საკითხი. გადმოცემით, ეს სოფლები მე-19 საუკუნეში დაცლილა. საქართველოს ოფიციალური, მოქმედი რუკებით, ჭერო და ინწუხი საქართველოს

1 მ. არეშიძე, საქართველო-რუსეთის საზღვარი - არსებული მდგომარეობა და საფრთხეები, კრებ. საქართველო-2009, ომისშემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები, თბ. 2010, გვ.40.

2 ჯ. კეკელია. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები, თბ. 2006 წ, გვ.79.

3 ჯ.კეკელია, დასახ. ნაშრომი, გვ.82.

სახელმწიფოდ შემადგენლობაშია. მაგრამ, რადგან საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესი დასრულებული არ არის, დღეს ეს მონაკვეთი შეუთანხმებელია.¹ როგორც თ. ლეკაიძე შენიშნავს, საბჭოთა ხელისუფლების არასწორმა, ხშირად მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად წარმოებულმა მიგრაციულმა პროცესებმა თუშეთის ტერიტორია მოსახლეობის გარეშე დატოვა, რამაც შექმნა მისი საზღვრისპირა ნაწილის დაკარგვის საფრთხე.²

ს. მაკალათიას მიერ შედგენილ თუშეთის სოფლების ჩამონათვალში ჭერო და ინწუხი სიაში არ არის შეტანილი, თუმცა ნახსენებია თუშეთიდან ლეკეთში გადამავალი გზა, რომელიც სოფ. დიკლოდან და ჭერო-ხუშეთით დაღესტანში ჩადის.³ როგორც ჩანს, იმ პერიოდისათვის აქ თუშები უკვე აღარ ცხოვრობდნენ. ომალოდან სოფელ შენაქოზე გამავალი 14 კილომეტრიანი სამანქანო გზა დიკლოში მთავრდება. მისგან 2 კილომეტრში ძველი დიკლოს ნასოფლარია, საიდანაც 4-6 კილომეტრში, ძველი დიკლოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჭერო და ინწუხი მდებარეობს. აქედან გადასასვლელი სარმაღელის უღელტეხილზე ზღვის დონიდან 2600 მეტრზე გადის. დაღესტნის რესპუბლიკის მხრიდან პირველი სოფელი, ხუშეთი, ინწუხიდან დაახლოებით 3.5 კილომეტრშია.⁴

ინფორმაციას სადავო ტერიტორიასთან დაკავშირებით ვხვდებით როგორც სპეციალურ ლიტერატურაში, ასევე ბეჭდურ და სოციალურ მედიაში, ფოლკლორსა და ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში.

ეთნოგრაფ ნუგზარ იდოიძის ინფორმაციით, „ჭერო და ინწუხი თუშეთის ტერიტორიაა, მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იქ თუშები აღარ ცხოვრობენ. ესენი დიკლოსგან მოწყვეტილი სო-

1 ნ.ჯალაბაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

2 ლეკაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.151.

3 ს.მაკალათია, თუშეთი, თბილისი 1933, გვ.17.

4 მთივლიშვილი გ., როდის და როგორ მოექცა თუშეთში ჭერო და ინწუხი რუსეთის კონტროლქვეშ. 2018, ხელმისაწვდომია:<https://mtisambebi.ge/news/people/item/792-rodish-da-rogor-moeqza-tushetshi-cheroda-inxuxirusetis-kontrolqvesh>, მონახულებულია 29.11.2025.

ფლებია, ძალიან რთული ჩასასვლელია და, როდესაც დაღესტნელებისგან შეწუხება ხდებოდა, ჩვენმა ხალხმა იძულებით დატოვა ეს ტერიტორია, დიღლოში გადმოვიდა საცხოვრებლად და იქედან ამოიტანა ნაყოფიერების სალოცავის, მეცებას, ნიში. მიტოვებულ სოფლებში მოსაზღვრე ხუშეთიდან ლეკები გადმოსახლდნენ. ინწუხის ჭალა, სოფლიდან ქვემოთ, მთელ თუშეთში ყველაზე დაბალი ადგილია. იქ ისეთი ხეები ხარობს და ისეთი ხილი მოდის, რომელიც თუშეთში სხვაგან არსად არის. ნავენახარიც კი ჰქვია ერთ-ერთ ადგილს; აქ, სავარაუდოდ, ვენახიც იყო. ძალიან მოსავლიანი მიწა...ჭროდან რომ გადმა ინწუხისკენ გავდივართ, იქ კლდეში გაჭრილ გზაში არის გალავანი და იქ არის კარები, რომელიც ადრე იკეტებოდა და ეს კარები იკეტებოდა დასავლეთის მხრიდან. დაღესტნისა და საქართველოს საზღვარზე, სარმაღელის უღელტეხილზე, სასაზღვრო ნიშანი იყო ჩასმული. იქვე იყო ამოთხრილი სასაზღვრო ორმოც, სადაც ნახშირი იყო ჩაყრილი.¹ მერე, როცა საზღვრის დელიმიტაციის პროცესი დაიწყო, ეს ნიშანი გაქრა, ორმომაც ჭეშოცკენ გადმოიწია.”²

„საზღვარი ქედზე გადმოწიეს. ხევი მთლიანად წაიღეს. დიდო-ეთი ისტორიულად შემოდიოდა საქართველოს შემადგენლობაში; საბჭოთა საზღვრებით, ეს ორი სოფელი საქართველოს ტერიტორიაზე იყო. დღესაც ჩვენად არის აღიარებული, მაგრამ წაღებული აქვთ, ვერ ჩავდივართ. ჭეშოში სულ ორი კაცი ცხოვრობდა, ლეკები. საბჭოთა დროსაც ლეკები იყვნენ მანდ შემოსულები. მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ დიდო როცა კვდებოდა, მანდ არ ასავლავებდნენ, ურჯულოთა მიწა არისო და იქით, დაღესტანში გადაჰყავდათ მკვდარი. ჩვენი საფლავები არის ჭეშოში, ხატ-სალოცავებიც არის. ინწუხში თუშური სახლებია და ჭეშოშიც თუშური სახლებია ორფერდა სახურავებით. ბანიანი სახლები კი არ არის. ჭეშოსა და

1 სამანის მოწყობისას, ორმოს ძირში დაფშვნილ ნახშირს ჩაყრიდნენ; თუ სამანი მოიშლებოდა – ნახშირის კვალი მაინც რჩებოდა და მიჯნის მიგნება ადვილი იყო.

2 ნ. ჯალაბაძე, ქართველ მთიელთა და მათ მეზობელ კავკასიელთა ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ სასაზღვრო ზოლში (ფოლკლორული მონაცემების მიხედვით), კვკ XIII, გვ. 185. <https://www.youtube.com/watch?v=Q6wZq4QynHE>.

ინწუხის იქით ისტორიული საზღვარი თუშებსა და დიდოებს შორის სარმატელის უღელტეხილი იყო ბუნებრივი საზღვარი, მაგის იქით უკვე დიდოელები არიან. ეგ არის, დიდოელებს ასწავლეს ვირეშმაკობა – ორმო ქვემოთ ამოათხრევინეს, ნახშირი ჩაყარეს და იქ არის საზღვარიო გაიძახიან. სოფლის თავზე კოშკები რომ არის, კესელოს ციხე, 2300 მეტრზეა სიმაღლით. კესი თუშურ კილოზე ყველაზე მაღალს ნიშნავს “(საველე მასალა, ომალო 2024).

შენაქოელი რესპონდენტის თქმით: „ჩემ ხსოვნაში ჭეროში და ინწუხში თუშები ცხოვრობდნენ, მერე ამოვიდნენ ზემოთ. მაგის მაღლა გადასასვლელია – სარმატელე. სარმატელის ქედზე მაღლა გალავანია, სათოფეები ჰქონდა გაკეთებული. ის იყო საზღვარი. საზღვარზე იყო კედლები გავლებული. სათოფეები დიდოელებისკენ ჰქონდა გაკეთებული. იმ მთის ძირში, დაბლა, ალაზნის მიდის; და ალაზნის რომ გახვალ, გაღმა სოფელია, ბოსლებია. ალაზნის გაღმა ნავენახრის ჭალას ეძახიან. ადრე ალბათ იყო ვენახები, აბა რატო დაუძახებდნენ ნავენახარს? თვითონ ლეკებმა მითხრეს, აქ თქვენი და ჩვენი საზღვარია, ორმოა დიდი, ნახშირი ყრია. ნახშირი არ ღვება და საზღვარია, რა. მე თვითონ ნახშირი არ მინახავს, მაგრამ ნიშანი ორმოზე მინახია. მაღლა იყო რკინა ჩარჭმული, საზღვრის ნიშნად. მერე, არეულობა რომ მოხდა, მოტეხეს და მოანგრიეს. რაღაც წარწერა იყო რკინაზე. წარწერა რუსული იყო. იმ არეულობის დროს ვიყავი და გამონგრეული იყო ის რკინის სადგამი, ადარ არის ის რკინა. მოშალეს საზღვარი, ალბათ იმიტომ, რომ წაეღოთ ჭერო და ინწუხის ტერიტორია; მერე ნეიტრალური გახადეს ჭერო და ინწუხი, იმათ კი უშვებენ, მაგრამ ჩვენ, არა. ახალ საზღვრად ასე დადეს. მანამდე ჩვენს ადგილებს თვითონ ვიცავდით, მორიგეობა დავაწესეთ, ჩვენი ცხენებით მივდიოდით“ (საველე მასალა, სოფ. მენაქო 2024).

რესპონდენტის მიერ მოტანილი ფაქტი, რომ დიდოელები თავიანთ მიცვალებულს ურჯულოთა მიწაზე არ ასაფლავებდნენ, მრავლისმთქმელია. მიცვალებულის წინაპართა მიწაზე, მამა-პაპის საფლავების გვერდით დაკრძალვის ტრადიცია საყოველთაო მოვლენა კავკასიელ ხალხთა ყოფაში (და არამართო). მართალია,

თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მასშტაბურმა მიგრაციებმა და გლობალიზაციის ტენდენციებმა ერთგვარად შეცვალა ტრადიციული ყოფის რიგი ელემენტი, მაგრამ აღნიშნული წესი შეძლებისდაგვარად მაინც დაცულია ტრადიციულ საზოგადოებებში. მაგალითად, 2008 წელს, ეთნოლოგთა ჯგუფმა ანალოგიური ვითარება დააფიქსირა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ სამღერეთში მიხილოდან მიგრირებულ აზერბაიჯანელებში. ისინიც თავიანთ მიცვალებულს სამღერეთიდან მიხილოში მიასვენებდნენ და იქ კრძალავდნენ. დიდოელების შემთხვევაშიც ზემოხსენებული წესი იმის მანიშნებელია, რომ მიწა, რომელსაც იჩემებენ, მათი მშობლიური არაა და, შესაბამისად, სადავო ტერიტორია თუშებს ეკუთვნით.

სოფელ შენაქოში მოპოვებული მასალით: „ჭერო საქართველოსია, თუშეთისაა. რუსებმა მოიტანეს ახალი რუკა, რომელზეც საზღვარი გადიოდა დიკლოზე, სადაც ახლა არიან. ჩვენი წარმოდგენლები ხვდებიან, ედავებიან რომ ჩვენია, ისინი ამბობენ – არა ჩვენიაო...ლეკი იყო, ერთი, დავუძახე, თქვენთან რომ ვინმე მოვვლება რატომ მიგყავთ დასაკრძალად დიდოში-მეთქი? –კაცო, შენ ხომ იცი, ჩვენი კაცი ქრისტიანულ მიწაზე როგორ შეიძლებაო? – მე კი ვიცი და ამათ გააგებინე მეთქი. მე ვუთხარი, ეს კაცი დაბლა სოფელში დაიბადა, მანდ გაიზარდა, ცოლ-შვილით მანდ ცხოვრობს და მაგისი მიწა რომ იყოს, გიჟია, 15 კილომეტრი მკვდარი მხარზე გადებული ატაროს და იქ დაკრძალოს, აქ ვერ დაკრძალავდა-მეთქი? გაჩუბდნენ და გადაინაცვლეს მთის იქით, მაგრამ გამოაცხადეს ნეიტრალურად ეს ზონა. 1500 ჰექტარია, რაც მაგათ აქვთ ჩვენი. ეგენი ჩამოდიან, ჩვენები ვერ ჩადიან და რანაირი ნეიტრალურია?! ერთი 4000 ჰექტრამდე ყადორის პერევალი სადაც არის, კახეთიდან რომელიც გადმოდის, მთელი ეს ფერდობები უკვე მაგათ ხელშია! ინწუხში და ჭეროში ბოლოს თუშები ცხოვრობდნენ შამილის დროს. მერე ამოსახლდნენ დიკლოში და ის ადგილები ავტომატურად დაიკავეს დიდოებმა. დიდოებს იქით ძალიან უჭირდათ, არ ჰქონდათ სათიბი, რასაც მოთიბავდნენ ბალახს, ხომ იცოდნენ სულზე რამდენი სჭირდებოდათ, დანარჩენი საქონელი

აქეთ მოჰყავდათ და ყიდიდნენ. მაშინ საბჭოთა კავშირი იყო, ვინ ეტყოდა უარს, უთხრეს თუშები მაინც მიდიან და მათ ადგილებს დაეცხოვრდებიოთ, და დაიკავეს“(საველე მასალა, სოფ.შენაქო 2024).

დიკლოელი რესპონდენტის თქმითაც: „ჭრო საქართველოსია, ჩვენ გვეუთვნოდა, მაგრამ მიუდგომელია. ძალიან თავდადმართია, ვირების მეტი ვერავინ ჩადის. დაბლა უნდა ჩახვიდე ალაზნისპირზე, მერე უნდა ახვიდე. იქა ვხნავდით, ვთესდით; რაც ითესებოდა, იმას იქ ხომ ვერ დატოვებდა კაცი?! დიდოები წაიღებდნენ და ისინი მოიხმარდნენ, რა თქმა უნდა. ზურგით ჩამოგვექონდა, აქეთ გადმოტანა ძალიან ძნელი იყო. თუშებმა ვერ შეძლეს ნაშრომის მოხმარება და გაანებეს თავი. ახლა ის ჭრო ნეიტრალურ ზონად არის გამოცხადებული. მანდ თბილი ადგილია, სათიბეებია, ზამთრობით გადმოდიან დიდოები, თურმე, ერთი ორი კომლი ცხოვრობს ზამთრობითო; ჩვენებს გადასვლა არ შეუძლიათ, საზღვარი მაგ მაღალ მთაზე გადის. რაც რუსეთს გამოვეყავით, იმის შემდეგ ვეღარ გადადიან ჩვენები. იქ ჩვენი სალოცავებია; ერთი სალოცავი ამ გორზეა – ფიჭუნი და ერთიც იქით, საქონლის სალოცავი – მეცებას ეძახიან. პირველად რომ გამოვეყავით რუსეთს და იქ სათლის დასანთებად გაველით, სამხედროები გამოგვყვნენ. იქიდან გვიყურებდნენ ისინი, თითქოს განგაში იყო, პროექტორებს ანათებდნენ. ახლა იმ გორის უკან ჩვენ არ გვიშვებენ და თვითონ კიდე გადმოდიან. პირველ ხანებში ძალიან ანათებდნენ პროექტორებს იმ მაღალ მთაზე, ეხლა აღარ, მაგრამ უფლება აღარ გვაქვს რომ გადავიდეთ. დიდოები აღრეც ცხოვრობდნენ ჭროში და ინწუხში ცხრა თუ ათი კომლი ცხოვრობდა. მგონი, სტალინის დროს გადაასახლეს მანდედან. ეხლა ამბობენ ლეკები, და რუსებიც მაგათ ემხრობიან, ეგერ ალაზანი რომ ჩამოდის, იმის აქეთ ჩვენი ადგილიაო“(საველე მასალა, სოფ. დიკლო 2024).

საარქივო დოკუმენტების მიხედვით, 1958-1961 წლებში იყო მცდელობა ცვლილებები შეეტანათ საქართველოსა და დაღესტნის საზღვრებში; ეს ემყარებოდა დაღესტნელების პრეტენზიას, თითქოსდა, 1945 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული

არასწორი გადაწყვეტილებების შედეგად, მათი საზღვრის მიღმა დარჩა სოფელი ჭერო და მიმდებარე ტერიტორია. ვ. ფ. კომაროვის¹ 1959 წლის წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოს დაღესტნისათვის უნდა დაეთმო თუშეთის დაახლოებით 40 კმ² ტერიტორია, რადგან დაღესტნის ასსრ-ს ვუმადის რაიონის ხუშეთის სასოფლო საბჭო ტრადიციულად მომსახურეობას უწევდა სოფ. ჭეროს და მის ირგვლივ მდებარე სოფლებს და ხუშეთის კოლმეურნეობის ბრიგადაც სოფ. ჭეროში მდებარეობდა. დაღესტნელებმა საქართველოს მთავრობისგან უარი მიიღეს. სტავროპოლის მხარის შსს სახელმწიფო გეოდეზიური მეთვალყურეობის განყოფილება ცდილობდა, მოლაპარაკების გზით თუშეთის ვრცელი ტერიტორია დაღესტანს გადასცემოდა, ხოლო საქართველოს მხარე თუშეთ-დაღესტანს შორის არსებული საზღვრის უტყუარობის დასადგენად იყენებდა რესპუბლიკებს შორის ოფიციალურად აღიარებული რუკებს. საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვრად 1949 წელს აღიარებულია 1894 – 1897 წლების რუსეთის იმპერიის ტოპოგრაფიულ რუკაზე დადგენილი საზღვარი, სადაც სადავო სოფლები საქართველოს ეკუთვნის.²

თუშეთის ნაწილის გასხვების შესახებ გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს – ნიკიტა ხრუშჩოვს ეკუთვნოდა. თუშეთის მიწის სანაცვლოდ, დაღესტანი თმობდა საძოვრებს კავკასიონის ქედის გადაღმა ყვარლის რაიონის საპირისპიროდ; თუშეთის აღნიშნული ტერიტორიის შენარჩუნება კი საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის, ვასილ მჟავანაძის სახელს უკავშირდება. ვ.მჟავანაძის ქალიშვილი იგონებს: „1957 წელს რასულ გამზატოვი ხრუშჩოვს შეხვდა და იმ მოტივით, რომ დაღესტანში თითქოს საძოვრების ნაკლებობა იყო, ადგილობრივი მეცხოვე-

1 სტავროპოლის მხარის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო გეოდეზიური მეთვალყურეობის განყოფილების უფროსი.

2 ლეკაიძე თ., თუშეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა XX საუკუნის 20-80-იან წლებში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი 2024, გვ 141.

ლუგებისთვის თუშეთის ნაკლებად დასახლებული სოფლების გადაცემა „სთხოვა“. ხრუშჩოვმა მამას დაურეკა და ცნობილი პოეტის „უწყინარი ჩანაფიქრის“ აღსრულება მოსთხოვა. მამაჩემი, ხრუშჩოვს ვითარების შესწავლას დაჰპირდა, თუმცა კარგად მიხვდა, რაც ხდებოდა და თუშეთში დაუყოვნებლივ გაემგზავრა. ამ „ექსპედიციის“ მონაწილეები ჯავახიშვილი და ინაურიც იყვნენ.¹ ჩემთვის ასევე ცნობილია, რომ დელეგაცია, თუშეთში უგზოობის გამო, ახმეტიდან ცხენებით გადავიდა. მამაჩემი მერე იხსენებდა, რომ თუშეთის სახით, საოცრება ნახა, თუმცა ეს რეგიონი ნაკლებად დასახლებული იყო... რაღაც უნდა ედონათ... თუშეთი რომ არ დაკარგულიყო, სწრაფი მოქმედება იყო საჭირო და აუცილებელი ზომების მიღებაც დაიგეგმა. რამდენიმე დღეში, თუშეთის სოფლებში გენერატორები ჩაიტანეს და სახლებთან ერთად, კომუნიკაცია გაანათეს. ამით იმიტაცია შეიქმნა, რომ თუშეთი არც ისე დაუსახლებელი იყო, როგორც დაღესტნელმა პოეტმა აღწერა...ამ ხრიკიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ მამამ ხრუშჩოვს დაურეკა და თუშეთის სოფლების „მჭიდრო“ დასახლებების შესახებ უამბო... ამის შემდეგ, რუსებმა თუშეთის თავზე, დამით ორჯერ გადააფრინეს თვითმფრინავი, გადამოწმეს, რამდენად განათებული და დასახლებული იყო საქართველოს ეს ულამაზესი რეგიონი. აი, ასე დარჩა თუშეთი საქართველოს შემადგენლობაში.“² ამ ყოველივეს მოჰყვა მთავრობის დადგენილება თუშეთში კოლმეურნეობის აღდგენის შესახებ, რათა საკავშირო ხელისუფლებისთვის დაემტკიცებინათ, თუშეთი არ დაცლილა, იქ ცხოვრება გრძელდებოდ.³ მართალია, საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ თუშეთის ნაწილი გასხვისებას გადაარჩინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ტერიტორიების იგვლივ საკითხი დღემდე ღიად რჩება.

ამბავს, თუ როგორ გადაარჩინა თუშეთი დაღესტანთან მი-

- 1 გივი ჯავახიშვილი — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ალექსი ინაური — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.
- 2 . ლონდარიძე მ., როგორ გადაარჩინა ვასილ მჟავანაძემ თუშეთი რუსეთთან მიერთებას? – ინტერვიუ მჟავანაძის შვილთან, მედიაპოლიტიკის „კვირა“ 2023, ხელმისაწვდომია: <https://kvira.ge/871520>
- 3 გამცემლიძე დ., საქართველო-დაღესტნის საზღვარზე ვითარება იძაბება, 1998: ხელმისაწვდომია: <https://experti.ge>

ერთებას ვასილ მჟავანაძემ და როგორ დააყენეს გენერატორები თუშეთის სოფლებში, ხშირად მოისმენთ დღეს თუში მთხრობლებისგანაც.

მჟავანაძის სახელთან არის დაკავშირებული თუშეთში ხე-ტყის უკონტროლო ჭრის შეჩერებაც, რასაც დადესტნის მხარე ინტენსიურად ახორციელებდა წლების განმავლობაში: „*აი, ზევით რაც ფერდობებია, სულ მჟავანაძის გადარჩენილია; რესპუბლიკათა-მორის ხელშეკრულება იყო, რომ გაჰქონდათ ტყე დადესტანში. სამი ბრიგადა მუშაობდა, ერთი ჭრიდა, მეორე მაღლიდან დააცურებდა, მესამე წყალში ყრიდა და გაუშვებდა. კონტროლი არ იყო! დაუშვით, უნდა მოეჭრათ ათასი ხე, ჭრიდნენ ორიათასს. 1964 წელს მჟავანაძე ამოვიდა. იკითხა ეს ტყე ვინ გააშენაო, არავინ, თავისით ამოვიდა და ცოტა ხანში აღარ გვექნება, ნახეთ როგორ შეთხელდაო – უპასუხეს– დადესტანს მიაქვს სულო. მე არ ვიცოდი ამხელა სიმდიდრის პატრონი თუ ვიყავით, მე წავალ და ერთი კვირის შემდეგ მანდ კაცი აღარ იქნებაო. დრო მოვა, აქ სამანქანო გზაც შემოვა და ამ ტყეს ჩვენივე ხალხი მოიხმარსო. აღარც ამოსულან, წავიდა სამივე ბრიგადა.*“ (საველე მასალა შენაქო, 2024).

1983 წელს, ჭეროსა და ინწუხში თუშების დაბრუნების მიზნით, რუსულ მხარესთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება; თუშეთის საბჭოთა მეურნეობის მაშინდელი დირექტორის, ტ. იჭირაულის ინიციატივით ზაფხულში გაგზავნეს მწყემსები საქონლით. „*მთელი სეზონი იქ იყვნენ. ლეკები მაშინაც ცხოვრობდნენ, ჩვენ სოფლებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით იყენებდნენ. თუშებსა და ლეკებს კონფლიქტი არ ჰქონიათ, მაგრამ ძალიან რთულია იქ ცხოვრება. ისეთი საცაღოფეხო ბილიკებია, ხურჩინაკიდებულ ცხენს ჩასვლა უჭირს. ჩვენი მწყემსები არ დარჩნენ და უკან დაბრუნდნენ*“.¹

სადავო სასაზღვრო ზოლზე 1993-1995 წლებში მორიგეობით პატრულირებდნენ რუსი და ქართველი მესაზღვრეები, თუმცა 1996 წლიდან ქართული მხარე აქტიურად აღარ იყო ჩართული. ამ მონაკვეთთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბარია დ. გამცემლი-

1 <https://www.youtube.com/watch?v=Q6wZq4QynHE> .

ძის 1998 წლის პუბლიკაციაში; ავტორი აღნიშნავს, რომ დავის ობიექტია დაღესტან-საქართველოს საზღვარზე მდებარე მთა დიკლო; უფრო სწორად, სადავოა, რომელ ხეობაზე გაივლის საზღვარი, რის შედეგადაც, საქართველო შეინარჩუნებს ან დაკარგავს რამდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრს. ნათქვამია, რომ ქართველი მესაზღვრეების ადგილზე ყოფნის მიუხედავად, „თუშეთში დაღესტნელები...სულ უფრო თავხედურად და გამომწვევად იქცევიან: იჭრებიან დაცარიელებულ ქართულ სოფლებში, იკავენ სახლებს, გადმოჰყავთ საქონელი და თქვენ წარმოიდგინეთ, სკოლებსაც კი ხსნიან - რუსეთის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში. ეს უკვე, ფაქტობრივად, ტერიტორიის ანექსიად შეიძლება ჩაითვალოს.“ პუბლიკაციის ავტორი წერს, რომ დაღესტნელები (დიდოელები) სარგებლობდნენ თუშეთში მოსახლეობის უკიდურესად შემცირებით; ვითარებას ხელს უწყობდა ისიც, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის ორმხრივ კომისიას მუშაობა ჯერ არ ჰქონდა დასრულებული. წერილში გამოთქმულია ვარაუდი, რომ რუსეთი შეეცდება დააკმაყოფილოს დაღესტნელთა ამბიციის საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე და, თუ მიგრაციული პროცესები არ შეჩერდა, საქართველო ამ მხარეს ადრე თუ გვიან დაკარგავს; ასევე ავტორი ახსენებს ე.წ. მოსკოვის ცნობილ «კრაზნათა ბუდეში» (მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში) უკვე დამუშავებულ და ჩუმ-ჩუმად შემოპარებულ «ახალ თემას» - წოვა-თუშების არაქართული და ჩეჩნური წარმოშობის შესახებ და შიშობს, ის საქართველოს დამანგრეველ კიდევ ერთ ნაღმად არ იქცეს. იგი ვარაუდობს, რომ რუსი მესაზღვრეების ინტერესებში შედიოდა აგრეთვე «თუშური სეპარატიზმის» გაღვივების და „ეთნოგრაფიული დივერსიის“ მოწყობის შესაძლებლობის გამორკვევაც.¹ აღნიშნულ წერილში სოფლები დასახელებული არაა, მაგრამ რეალურად საუბარია ჭეროსა და ინწუხზე. რაც შეეხება ამ სოფლებში რუსეთის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული სკოლების გახსნას, ამ ინფორმაციის სანდოობა საეჭვოა.

1 გამცემლიძე დ., დასახ. ნაშრომი.

ზემოხსენებულ სოფლებზეა საუბარი ა. ასლანიშვილის 1998 წლის პუბლიკაციაში: „დაღესტნის საზღვართან, აქეთ, ჩვენს მხარეს, ორი სოფელი: ჭრო და ინწუხი დიდოელებით (ცეხებით) არის დასახლებული. პატარა სოფლებია, ორივეში სულ 7 კომლი ცხოვრობს, 35-40 სული, ოღონდ, თუშებივით სეზონურად კი არა, ფეხმოუცვლელად. ეს ადგილი საბჭოთა არმიის გენერალური მტაბის 80-იანი წლების რუკაზეც საქართველოს ტერიტორიად არის აღნუსხული, ოღონდ სოფლები დაფიქსირებულია, როგორც არასაცხოვრებელი. იქვე ახლოს კლდეზე 1920 წელს ჩაქედებული ნიშნულიც არის, აქ საქართველოს საზღვარიანო. 1952 წლამდე ამ სოფლებში დიკლოს კოლმეურნეობას ედგა საქონელი, ზაფხულობით დიდოელები უვლიდნენ. დიკლოს კოლმეურნეობა ქვემო ალვანმა ჩაყლაპა და იქაურობა მიადგეს თუშებმა. დიდოელები კი მომძლავრდნენ და აი, ეს საქართველოს ტერიტორია და საზღვარი დღეს სადაოდ არის ქვეული.“¹

პუბლიკაციიდან ვიგებთ, რომ ა.ასლანიშვილის თუშეთში ყოფნის დროს, მოსახლეობის ლოკალური აღწერა მიმდინარეობდა. საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა უნდა ჩატარებულიყო 1999 წლის იანვარში, მაგრამ ქვეყნის მაღალმთიან და მიუდგომელ დასახლებებში კანონმდებლობით დასაშვები იყო საყოველთაო აღწერამდე, პროცედურისთვის შესაბამის სეზონზე, მოსახლეობის წინასწარი ლოკალური აღწერა; ასე იყო ომალოს თემის საკრებულოშიც, სადაც 10 სოფელი შედიოდა. საორჭოფო ვითარების გამო, სააღმწერო კომისიას თავი შეუკავებია ჭრო-ინწუხში შესვლაზე. ა.ასლანიშვილი წერს: „მართალია, თუშეთის ბევრი სოფელივით, როგორც *нежилой* (დაუსახლებელი), ესენიც არ არის შეტანილი ომალოს თემის საკრებულოს ოფიციალურად რეგისტრირებულ სოფელთა ნუსხაში, მაგრამ ჭრო-ინწუხი, ყველას ჯიბრზე, სწორედ რომ *жилой* (დასახლებული), სოფლებია და ბატონ თეიმურაზ ბერიძეს (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარე – ნ.ჯ.)

1 ასლანიშვილი ა., თუშეთი მეტია, ვიდრე ცხვარი და დოღარი, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა¹ 252, თბილისი 1998, გვ.6.

დაუცადეს და რაკი წინდაწინვე იცოდნენ, უნდა ჩასულიყო, იმ სოფლების ხელისუფლების წარმომადგენელი, დიდოელი მაქსუმა დაახვედრეს, რომელსაც ცხენით ომალომდე მთელი დღე ევლო კლდე-დრეში (ჭერო-ინწუხამდე რაიმე გზის ნასახიც არ არის, საცალოფებო ბილიკის გარდა). ყოჩაღმა მაქსუმამ თავისი პირადობის მოწმობა (უმაღლეს დონეზე დამზადებული, ფერადსურათიჩაკრული) დააძრო, სადაც დაღესტნის ხელისუფლების სახელით გაცხადებული იყო, მაქსუმ ესა და ეს რსფსრ დაღესტნის ასსრ ხუშეთის თემის საკრებულოს სოფლების - ჭეროსა და ინწუხის ადმინისტრაციის ხელმძღვანელიაო. მაქსუმასთან დავას რა აზრი ჰქონდა! – მე, კი ბატონოო...მაგრამ „ზევით“ გაარჯვით ეგ ამბავი, მანამდე კი აღწერაზე ნუ მოხვალთ, ემანდ ხალხი არ ამიბუნტოთო, - იბოდიშებდა და თან იკოხებოდა, - ეტო ნაშა ზემლიაო. ბატონმა თეიმურაზმა ყველაზე ოპტიმალურ გამოსავალს მიაგნო და ასეც გადაწყდა“ თვითონ მაქსუმა მამასახლისი ამოიწერდა ამ სოფლების მცხოვრებთა გვარ-სახელს, დაბადების თარიღებს და შინამეურნეობის წევრთა საქმიანობას და ომალოში აგროტურისტული ფირმა“ თუშეთის“ დირექტორს – სერგო სულაკაურს ჩააბარებდა.¹

2003 წელს ქართველ და რუს მესაზღვრეებს შორის გაიმართა სასაზღვრო წარმომადგენლობითი შეხვედრა; შედგა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ჭეროსა და ინწუხის მიმდებარე ტერიტორიების დაცვა უნდა მომხდარიყო ერთობლივად, ქართველი და რუსი მესაზღვრეების მიერ, 10-10 დღიანი მონაცვლეობით.

მთხრობლის თქმით: „2003-მდე ვაკონტროლებდით ჭეროს და ინწუხის ტერიტორიას, ორიათას სამის შემდეგ რუსები ჩადგნენ. დიდოელებს ჭეროს დაბლა ამოუთხრიათ და იქ ჩაუყრიათ ნახშირი საზღვრად, ანუ, გადმოიტანეს საზღვარი“ (საველე მასალა, ომალო 2024).

2006 წელს ქართველ და რუს მესაზღვრეებს შორის მოხდა ინციდენტი, რის შემდეგაც ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტი-

1 იქვე.

ლება, რომ იქ პატრულირება აღარ განხორციელებინა.¹ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, თუშეთში, დიკლოს მთის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსეთმა ფაქტობრივად თვითნებურად 3 კმ-ით გადმოწია საზღვარი და მიიტაცა 24 კვ.კმ.²

2005 წელს დაღესტნის რესპუბლიკაში გამომავალ რუსულენოვან ყოველკვირეულ სოციალურ-პოლიტიკურ გაზეთ „ჩერნოვიკში“ დაიბეჭდა ჟურნალისტ მ. შახბანოვის სტატია – „ძველი ხუშეთის ახალი პრობლემები“ (*Новые проблемы старого Хушета*). ავტორის შეფასებით, საქმე ეხება ხუშეთელებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას, რომლის წინაშეც ისინი სსრკ-ს დამლის შემდეგ აღმოჩნდნენ და რის შესახებაც სოფელ ხუშეთის მთელი ჯამაათის სახელით გამოქვეყნდა წერილი რესპუბლიკურ გაზეთ „Хиакъикъат“-ში. მ.შახბანოვი წერს, რომ მიწების ნაწილი, რომლებიც უხსოვარი დროიდან ხუშეთელებსა და მათ წინაპრებს ეკუთვნოდა, საბჭოთა პერიოდში გავლებული საზღვრების წყალობით, საქართველოს შემადგენლობაში დარჩა (половина земель, испокон веков принадлежавших им и их предкам, согласно границам, проведённым в советское время, остаётся в составе Грузии). ავტორი აღნიშნავს, რომ ხუშეთის თემი, მთავარი სოფლის გარდა, მოიცავს ამ მიწებზე არსებულ რამდენიმე დასახლებას; აქგავრცელებულია დასახლების ხუტორულის სისტემა და ხუტორები ერთმანეთისგან მოშორებითაა განლაგებული. ამ დასახლებებიდან ორი - ჭერო და ინწუხი (იბცოხი) - მთლიანად, ხოლო კივონი* (კიონი) ნაწილობრივ, დღეს საქართველოს ახალი საზღვრების ფარგლებშია მოქცეული. ჭეროში სახლობს 4 კომლი, ინწუხში 7, ხოლო კივონში რამდენიმე ოჯახი. ხუშეთელები ამ მიწებს თავიანთ საკუთრებად აცხადებენ და მათი მოთხოვნის სამართლიანობას ყველა წყარო და მონაცემი ადასტურებს. შახბანოვს მაგალითად მოჰყავს გერმანელი ალპინისტისა და გეოგრაფის გოტფრიდ მერცბახერის (რომელმაც ეს ადგილები

1 ა.კვახაძე, დასახ. ნაშრომი.

2 არეშიძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ:41.*ამ უკანასკნელს ჩემთვის ხელმისაწვდომ ქართულ ლიტერატურასა და სათანადო მასალებში არ შევხვედრივარ.

1892 წელს მოინახულა) სამეცნიერო ნაშრომი, სადაც იგი საუბრობს ჭეროში მცხოვრები ავარების შესახებ, ხოლო ავარიისა და თუშეთის საზღვარი დაფიქსირებული აქვს ხუშეთის სოფელ ჭეროსა და თუშეთის სოფელ დიკლოს შორის; პუბლიკაციის ავტორის აზრით, ამ მიწების დაღესტნელებისადმი კუთვნილებას ადასტურებს თუშების სასაზღვრო ციხე-სიმაგრის, *ძველი გალავნის*, არსებობაც. ეს ციხე დამის გარშემო რამდენიმე ნაგებობა მთის ქედზე, ავარიისა და თუშეთის დამაკავშირებელ ერთადერთ ბილიკთან მდებარეობს, ქართულ დიკლოსა და ავარულ ჭეროს შორის; ციხე-სიმაგრე *ძველი გალავანი* ქართველთა ეთნიკურ ჯგუფს ავარიის ნუცალებისა და უნკრატლების თავდასხმებისგან იცავდა; ციხეებს კი სწორედ მიწებს შორის საზღვარზე აგებენ და არა შუაში და, შესაბამისად, ეს ციხეც დაღესტანსა და თუშეთს შორის „სასაზღვრო სამანს“ წარმოადგენს. ავტორი აღნიშნავს, რომ თუმცა დღეს ამ ტერიტორიაზე მხოლოდ 100-მდე ადამიანი ცხოვრობს, უხსოვარი დროიდან ამ მიწებზე ხუშეთელები თავიანთი ცხვრის ფარებს აძოვებდნენ, რაც მათი ერთადერთი საარსებო წყარო იყო. ორად გაყოფილი ხუშეთის თემის საუკეთესო მიწები და ტყეები ამჟამად საქართველოს მხარესაა მოქცეული, ხოლო რუსეთის მხარეს თემის ცენტრი და... შიშველი კლდეებია. ამიტომ, გზების არარსებობისა და ცივილიზაციის ყველა სხვა სიკეთის არქონასთან ერთად, სოფლის მოსახლეობა მეურნეობისთვის აუცილებელი მიწის გარეშე არის დარჩენილი.¹

ეს წერილი, როგორც ითქვა, 2005 წელს არის დაწერილი, ანუ იმ პერიოდში, როდესაც ჭეროსა და ინწუხის მიმდებარე ტერიტორიებზე ჯერ კიდევ ჩვენი მესაზღვრეები პატრულირებდნენ და რუსეთის მიერ საზღვარი თვითნებურად აქეთ ჯერ არ იყო გადმოწეული. წერილის ტექსტში საყურადღებოა ფრაზა – „*половина земель, испокон веков принадлежавших им и их предкам (ანუ დიდოელების ნ.ჯ.), согласно границам, проведённым в советское время, остаётся в составе Грузии*“; ქართული

1 Шахбанов М., Новые проблемы старого Хушета, გაზეთი, Черновик, 2005-06-10 №22.

მიწების ოდითგანვე დიდოელების კუთვნილებად გამოცხადება — ისტორიის გაყალბების დეკლარირებული მცდელობაა; ხოლო მომდევნო ფრაზიდან საპირისპირო შინაარსი გამოგვაქვს: გამოდის, რომ უხსოვარი დროიდან ხუშეთელების კუთვნილი მიწა, საბჭოთა კავშირის დროს გავლებული საზღვრების მიხედვით, საქართველოს შემადგენლობაში **რჩება**. მიწა ვერ დარჩება ქვეყნის შემადგენლობაში, თუ ის იქ არასდროს ყოფილა. თუ მიწა დარჩა საქართველოს შემადგენლობაში, ე.ი. მანამდეც საქართველოსი ყოფილა. ავტორს უპრიანი იყო ეხმარა „*მიწა აღმოჩნდა*“ (*земля оказалась*), რაც ლოგიკურად გაამართლებდა საბჭოთა პერიოდში საზღვრების არაობიექტურად გავლების გამო საქართველოს სასარგებლოდ დაღესტნელთა ტერიტორიების დაკარგვის მისეულ ვერსიას.

მსგავსი ალოგიკური მტკიცებულებებს ვხვდებით შ. ხაფიზოვისა და ს. გალბაცევის 2017 წლის მონოგრაფიაში - *ავარების ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის*. წიგნში წარმოდგენილია თუშეთის ისტორიული რეგიონის დასახლებების სია (საქართველოს სსრ-სა და დაღესტნის ასსრ-ს შორის ადმინისტრაციული საზღვრის მიხედვით) და მათი ეთნიკური შემადგენლობა (ქართული დასახლებებისთვის 2002 წლის საყოველთაო აღწერის, ხოლო ავარული დასახლებებისთვის 2008 წლის ავტორ(ებ)ის საველე მონაცემების მიხედვით). თუშურ სოფლებში მოსახლეობა თითქმის 100 პროცენტით ქართულია, ჭერო, ინწუხი და კივონი მხოლოდ ავარებითაა დასახლებული. მონოგრაფიის ერთ-ერთ თავში ნაჩვენებია მოსახლეობის რაოდენობა ავარებით დასახლებულ სოფლებში: ჭეროში – 5 კომლი, სულ 15 სული, ინწუხში – 4 ოჯახი, სულ 9 სული, ხოლო კივონში – 7 ოჯახი, რომელთა საერთო რაოდენობა 16 სულს შეადგენს. ავტორები ხუშეთის თემის აღნიშნული სოფლების სახელების ეტიმოლოგიას იკვლევენ: ჭერო ავარულად *чир* – „მოხალულ მარცვალს“ ნიშნავს, შესაძლოა, შვრიის ფაფისთვის ნახევარფაბრიკატის მნიშვნელობით; ხოლო ავარული ინწუხის (*Инчух*) შესატყვისია – „წყაროსთან“; ტოპონიმ კივონის ეტიმოლოგია გაურკვეველია.

ქართველი სპეციალისტების განმარტებით, „ჭრო არის ქართული სასაზღვრო ტერმინი და ნიშნავს ადგილის დაჭრას. ასეთი ტერმინი თუშეთის მეორე მხარესაც გვხვდება, ჩეჩნეთის გადასასვლელთან. იქ სოფელი არაა, მაგრამ იქ ტრადიციულად სასაზღვრო საგუშაგო იყო; ის ამ თებულოს გადმოსასვლელს აკონტროლებდა და იჭრდა, და იმიტომ ჰქვია ჭრო. ჭრეხია ინწუხიდან ხუშეთისაკენ საზამთრო გადასასვლელი; იქაც სასაზღვრო საგუშაგოა, გადმოხურულ კლდესთან არის, ანუ ჭრ-ეხი (ეხი=კლდე)... ინწუხი იშიფრება, როგორც საწუხარი ადგილი, ეს არის მოწყვეტილი ადგილი დიკლოსგან, სადაც ძალიან რთული ჩასასვლელია.“¹

თუ ‘ჭროს’ ეტიმოლოგიის დაღესტნურ ვერსიას გავიზიარებთ, მაშინ ჩნდება კითხვა, რატომ უნდა დაერქმიათ ჩეჩნეთის საზღვართან არსებული საგუშაგოსთვის დაღესტნური სახელი ‘ჭრო’, რომელიც შვრიის ფაფისთვის მომზადებულ „მოხალულ მარცვალს“ აღნიშნავს. ამ საკითხის შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის მთხრობელი:

„დაღესტანში რაღაც პრობლემა მოგვიხდა, ცხენები მოიპარეს და იქ გადავედი. დიდოელები მიხსნიან, რომ „ჭროო“ – ეს დიდოური სიტყვა არისო. ჩვენგან მოდის „ჭროო“. ანუ იმათთან უკვე ნამუშევრები იყვნენ რუსები. შეუძლებელი იყო რომ იმათ ეს ინფორმაცია ჰქონოდათ. იქ რუსების მხრიდან სასაზღვრო კომისიამ რომ წარადგინა ეს ცნობები, იქ მიაწოდეს დაღესტნელებს, რომელთაც არც კი მიუწვდებოდათ ხელი არანაირად! ისინი მიხსნიან, რომ ეს დაღესტნური სიტყვაო!“ (საველე მასალა, ომალო, 2024).

ზემოხსენებულ ნაშრომში აღნიშნულია: „რუსეთის იმპერიის კავკასიის მეფისნაცვლის მიწის მოწყობის კომისიამ, რომელიც ამ საკითხს იძიებდა, დაასკვნა, რომ მიწათმომწყობმა ჭროს მიდამო და მთა ჰაი, ადრე ხუშეთელების უპირობო საკუთრებას რომ წარმოადგენდა, სარგებლობაში გადასცა დიკლოელებსა და შენაქოელებს.“ ამას კი სრულიად ალოგიკური მტკიცებულება მოსდევს, რომ შესაბამისად, დავა ხუშეთელი ავარელების სასარგებლოდ გადაწყდა, რომელთაც ამ ტერიტორიაზე ფერმები

1 <https://www.youtube.com/watch?v=Q6wZq4QynHE>.

ჰქონდათ, თუმცა მოგვიანებით ისინი მაინც აღმოჩნდნენ ჯერ საქართველოს სსრ-ის, ხოლო შემდეგ — დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში.¹ ამ მონაკვეთში კიდევ ერთხელ ირღვევა მკვლევართა ლოგიკური მსჯელობის ხაზი: ჭერო და ინწუხი დასაბამიდან ხუშეთელების იყო—დავის შედეგად გადაეცა სარგებლობაში დიკლოელებსა და შენაქოელებს—დავა ხუშეთელი ავარების სასარგებლოდ გადაწყდა — მიწები საბოლოოდ საქართველოს შემადგენლობაში აღმოჩნდა.

ავტორების თქმით, საერთო ჯამში, ამ სადავო ტერიტორიაზე 2 600 ჰექტარი საძოვარი და სათიბი სავარგულია, ასევე რამდენიმე ჰექტარი სახნავი მიწა. ამ ტერიტორიას ხუშეთელები აქტიურად იყენებდნენ სსრკ-ის დამლამდე, თუმებთან რაიმე სახის კონფლიქტის გარეშე. უბრალოდ, იმ დროის ადმინისტრაციული საზღვარი საქართველოს სსრ-სა და დაღესტნის ასსრ-ს შორის გავლებული იყო ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე, რეალური სივრცითი ვითარების გაუთვალისწინებლად. თუ საბჭოთა პერიოდში ეს გარემოება სირთულეებს არ იწვევდა, დღესდღეობით ის სახელმწიფოებს შორის დავის საგნად იქცა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, საზღვრების არსებობის მიუხედავად, მოსახლეობას დაღესტნის დანარჩენ ნაწილთან ჰქონდა კომუნიკაცია, მაგრამ, 2003 წლის 7 მარტს სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების შემდეგ, ეს კონტაქტები თითქმის მთლიანად შეწყდა. ამან დამატებითი სირთულეები შეუქმნა ფერმებში მცხოვრებ ავარებს, რადგან მათგან ხუშეთის პირველ, მეტ-ნაკლებად დიდ დასახლებამდე რამდენიმე საათის სავალია სახიფათო ბილიკებით, ხოლო იქიდან ალვალის რეგიონულ ცენტრამდე - კიდევ 96 კმ. ²

1 Поземельная комиссия кавказского наместничества Российской империи, расследовавшая этот вопрос, пришла к выводу, что «урочище Черно и гора Хай, раньше принадлежавшие, хушетинцам составлявшие бесспорную собственность их, землемер отдал в использование жителям Дикло и Шенако». Соответственно спор был решен в пользу хушетских аварцев, имевших в этой местности хутора, однако позднее они все же оказались в составе Грузинской ССР, а позже - независимой Грузии.

2 Хапизов Ш.М., Галбацев С.М. К ИСТОРИИ И ЭТНОГРАФИИ АВАРЦЕВ

როგორც ზემოთ ითქვა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რუსეთმა თვითნებურად გადმოსწია საზღვარი და ქერო და ინწუხი რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოექცა; ამდენად, ამ სოფლების მოსახლეობის მოძრაობა დაღესტნის მხარეს, არანაირად შეზღუდული არ ყოფილა და არც დაღესტნურ სამყაროსთან კონტაქტების გაწყვეტის პირობა არ არსებულა, მით უმეტეს იმ დროისთვის (2017 წ.), როდესაც ეს წიგნი გამოიცა. მსგავს პუბლიკაციებსა ან ნაშრომებში გამოიზნულად თუ უნებლიედ ისტორიული თუ რეალური ფაქტების დამახინჯება მესამე ძალას ხელსაყრელ საფუძველს უქმნის თავისი გეოპოლიტიკური გეგმების განხორციელებისთვის.

დღეს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საგუშაგო, რომელიც ზამთარშიც ფუნქციონირებს, სოფელ დიკლოშია. რუსულ მხარეს სასაზღვრო საგუშაგო სარმატელის უღელტეხილზე აქვს მოწყობილი. ქეროსა და ინწუხში რუსი მესაზღვრეების პატრულირება არ შეინიშნება. აქ რუსი სამხედროები დაღესტნელებს საშვის გარეშე არ უშვებენ. ჩვენი მესაზღვრეები კი რუსეთის მხრიდან შესაძლო პროვოკაციული ქმედებების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს მოქალაქეებს ძველი დიკლოს იქით საერთოდ არ ატარებენ; მაგალითად, 2017 წელს საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ უარი უთხრა ტურისტს ქეროსა და ინწუხში ლაშქრობაზე. სამწუხაროდ, საკითხი კვლავაც ღია და გადაუჭრელია.

ემპირიული მასალა, საისტორიო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა საშუალებას იძლევა დაბეჯითებით ვილაპარაკოთ ამ სოფლების საქართველოსადმი კუთვნილებაზე, მით უფრო როდესაც რუსეთის იმპერიისდროინდელი და საბჭოთა პერიოდის კარტოგრაფიული მონაცემები ამას დოკუმენტურად ასაბუთებს.¹

(исследования и материалы), Махачкала 2017, გვ. 33-34

1 საბჭოთა პერიოდის ტოპოგრაფიული რუკების ნახვა შესაძლებელია: <https://za7gorami.ru/img/karty-gruzii/topo-karta-gruzii-13.html>; <https://za7gorami.ru/img/karty-gruzii/karta-tushetii-gruziya.html>.

2. ყვარლის რაიონის ხუნძები, ავარი-პახეთის გზა

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ყვარლის რაიონში დაღესტნელების კომპაქტური დასახლებებიდან არ მომდინარეობს არც სეპარატიზმის და არც ირედენტის საფრთხე, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მესამე ძალამ, საჭიროების შემთხვევაში, ისინი თავისი პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოიყენოს. ქართველთა და დაღესტნელთა ურთიერთობის ასპარეზზე მსგავსი პრაქტიკა უკვე არსებობდა საბჭოთა კავშირის დროს 1930-იან, 1950-60-იან, 1990-იან წლებში, რაც საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგაც მიგადაშიგ იჩენდა თავს.

„ზვიად გამსახურდიას პერიოდში“, ანუ 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანების დასაწყისში, საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, რასაც ამაფრებდა სახელმწიფოში არეულობის მოსურნე ძალების მხრიდან არაქართული ჯგუფების მიმართ ქსენოფობიური ხასიათის პროპაგანდა და პროვოკაციული ქმედებები, ამ ჯგუფთა ნაწილი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. როგორც ECMI-ს (უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი) ერთ-ერთ მონოგრაფიაში არის აღნიშნული, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებს თან ახლდა ეროვნული უმცირესობების მიმართ სახელმწიფოს გაუცხოება და ქვეყნის არაქართულ მოსახლეობაში დაუცველობის შეგრძნების ინსპირირება.¹ არატიტულოვანი ეთნოსების წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ძირითადად რუსეთში ან თავის ისტორიულ სამშობლოში გადასახლდა. 1990-იანი წლების დასაწყისში ყვარლის რაიონში მცხოვრები ავარელების დიდი ნაწილი დაღესტანში, რუსეთის ფედერაციაში ემიგრირდა. იმ პერიოდისათვის აქ არსებული 4 ავარული სოფლიდან, თხილისწყარო სრულიად დაიცალა, სხვაგან კი ძირითადად მოხუცები დარჩნენ.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის ერთ-ერთ ღოკუმე-

1 ტრიერი ტ., ტურაშვილი მ., *ეკოლოგიური მიზეზებით ადგილმაცვალ პირთა განსახლება, არსებული პრობლემების გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა? ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006 წლებში*. ECMI- მონოგრაფია, N6, აგვისტო, 2007 გვ.51.

ნტში ვკითხულობთ: „1990-იან წლებში, ავარული თემის მიმართ გაკეთებულმა შოკინისტურმა განცხადებებმა ეთნიკურ ნიადაგზე დაძაბული კონტექსტი შექმნა. უხუცესი რესპონდენტები ინტერვიუებში იხსენებენ, რომ იმ პერიოდში, ხელისუფლება, აქტიურად ცდილობდა სოფლების ავარებისგან დაცლასა და იქ ქართული ოჯახების ჩასახლებას. ამ მიზნით, მათ გარკვეულ თანხას სთავაზობდნენ და, ამასთანავე, უქმნიდნენ საცხოვრებლად რთულ პირობებსაც (სოფლების შესასვლელების ბლოკადა, სურსათის შეტანის დაუშვებლობა და ა.შ.). თივის ერთ-ერთი მცხოვრები იხსენებს: „გამსახურდიას დროს, ყველაფერი ჩაკეტილი იყო, პიკეტი იყო, მანქანაზე არ გვსვამდნენ, პური არ იყო. სოფლის შესასვლელში იდგა 20 მანქანა და არ გვიშვებდნენ. უნდა წახვიდეთო. ზოგი წავიდა. ერთხელ ახალსოფელში წავედით პურისთვის, გზაზე დაგვხვდნენ და წაგვართვეს ყველაფერი. იმ დროს ბევრი წავიდა. თხილწყარო მთლიანად გაქრა, სულ ქართველები არიან დასახლებულები ახლა იქ“.¹

ჩანთლისყურელი რესპონდენტის ცნობით: „1990-იანებში იყო ლაპარაკი ჩვენს გადასახლებაზე, გამსახურდიამ თქვა, ყველა თავის კუთხეშიო! 90-იანებში ძალიან იყო შიში. ყვირილები სულ იყო – წადით, თქვენი ადგილი იცოდეთო. იმ დროს 40 პროცენტი მაინც წავიდა აქედან, თივიდანაც და სარუსოდანაც. თხილისწყარო მთლიანი სოფელი გადასახლდა; ჩვენ დავრჩით. სახსრები არ იყო, ფული არ იყო, თორემ, წავიდოდით. იყო ასეთი პერიოდი, გვავიწროვებდნენ. ახლა არაფერი პრობლემა არაა, მშვიდობაა, ერთმანეთში გაგებაა.“ (საველე მასალა, ჩანთლისყურე 2025).

1980–1990-იან წლებში ყვარლის რაიონში ლეკებთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება განხილულია ე.კაპუსტინასა და ი.კარპოვის, ასევე, დ. რამაზანოვას ნაშრომებში; ავტორები აღნიშნავენ, რომ დაღესტნურ თემსა და ქართველებს შორის კონფლიქტის დაწყების საბაბი ადგილობრივი ქართველი მწყემსის მკვლელობა იყო, რაშიც ორი ლეკი იყო დადანაშაულებული. ნათქვამია, რომ ვითარება განსაკუთრებით გამძაფრდა, რაც ლოზუნგი—„სა-

1 ნოდია გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 8-10.

ქართველო ქართველებისთვის“საყოველთაოდ გაჟღერდა; 1990 წლის 14 ივნისს შეიარაღებულმა ქართულმა ფორმირებებმა ბლოკადაში მოაქციეს ავარელთა სოფლები – თივი, სარუსო და ჩანთლისყურე. ერთი კვირის განმავლობაში ამ სოფლებს შეზღუდული ჰქონდათ კავშირი გარე სამყაროსთან, ლეკებისგან საქართველოს ტერიტორიის დატოვებას ითხოვდნენ. ოფიციალური ხელისუფლება რაიონში და, ზოგადად, რესპუბლიკაში ვერ ახერხებდა ვითარების ნორმალიზებას, რამაც ძლიერი რეზონანსი გამოიწვია დაღესტანში. ყვარლის რაიონში ჩავიდა დაღესტნის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც შ.რამაზანოვი ხელმძღვანელობდა. მოლაპარაკებების შედეგად ბლოკადა მოხსნეს, თუმცა წინააღმდეგობები კვლავ არსებობდა. ქართული მხარე ითხოვდა ლეკების სოფლებში ქართველებიც ჩაესახლებინათ და სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლება შემოედოთ. ძალადობისა და უთანხმოების ფონზე, 1991 წლის აპრილში საქართველოსა და დაღესტანს შორის გაფორმდა შეთანხმება, ყვარლის რაიონში მცხოვრები ლეკების დაღესტნის ასსრ-ში ორგანიზებული გადასახლების თაობაზე. შეთანხმების პირობებით, ორივე მხარეს უნდა უზრუნველყო 4 ათასი ადამიანის (600-ზე მეტი ოჯახის) გადასახლება 1991 წლის მაისიდან 1994 წლის მაისამდე. ქართულ მხარეს ევალეობდა, მოსახლეებისთვის შენობების, მრავალწლიანი ნარგავების და სხვა პირველადი და დამხმარე წარმოების საშუალებების სანაცვლოდ სრული კომპენსაციის გადახდა, ასევე – გადასახლების ხარჯების ანაზღაურება და ტრანსპორტით უზრუნველყოფა; დაღესტნურ მხარეს უნდა შეემუშავებინა პროგრამა და უზრუნველყო დაღესტანში ხალხის დაბინავება. მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილებები, როგორც რესპუბლიკურ, ასევე ფედერალურ დონეზე, რაც ითვალისწინებდა მიგრანტთათვის ფინანსურ დახმარებას, საცხოვრებლების, სკოლებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობას.¹ თუმცა, გადასახლების პროცესი გაჭია-

1 Капустина Е., Карпов Ю., Кварельские аварцы в XX в. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პეტრე დიდის სახელობის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის (კუნსტკამერა) ელექტრონული ბიბლიოთეკა. https://lib.kunstkamera.ru/files/lib/978-5-88431-187-7/978-5-88431-187-7_08.

ნურდა. თავის მხრივ, დაღესტანმა (და, ფაქტობრივად, მის უკან მდგომმა რუსეთის ფედერაციამ) ქართულ მხარეს ჩამოართვა ყიზლარის ზონაში საძოვრების იჯარით აღების უფლება. ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე, დაღესტანში დაახლოებით 200 ოჯახი გადაასახლეს, ხოლო ქართულმა მხარემ დაკარგა 100 ათასი ჰექტარი საძოვარი (მათი საერთო რაოდენობის ერთი მესამედი). თუმცა, უკვე იმავე წლის შემოდგომაზე, ეს პროცესები გაიყინა; ქართული მხარე ითხოვდა დაღესტანში საძოვრების იჯარით აღების უფლებას¹.

როგორც ავტორები შენიშნავენ, 1996 წლისთვის მხოლოდ ავარელების ნაწილი გადავიდა საკუთარი ძალებით დაღესტანში, კომპენსაცია ქართულმა მხარემ ვერ გაიღო. ეკონომიკურმა კრიზისმა და ფედერალური დაფინანსების არარსებობამ პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვნად შეაფერხა. ყვარლის რაიონში მრავალი ოჯახი მძიმე სოციალურ პირობებში დარჩა: სკოლების და სამედიცინო მომსახურების დეფიციტი, ელემენტარული ინფრასტრუქტურის არქონა მათი ყოველდღიური რეალობა იყო. 2000 წლისათვის ვითარება მნიშვნელოვანად არ შეცვლილა. ყვარლის რაიონში 4 ათასზე მეტი ავარელიდან დაახლოებით 2 ათასი ადგილზე დარჩა. მათი სოფლები ადმინისტრაციულად ქართულ თემებს ექვემდებარებოდა, არ არსებობდა ადგილობრივი თვითმმართველობა. მწვავედ იდგა მოქალაქეობის, მიწების უსამართლო განაწილების და ახალგაზრდების სავალდებულო სამხედრო სამსახურის საკითხი; არ იყო გაზი, მედპუნქტები, მოსახლეობას ელექტროენერგია მხოლოდ 2–3 საათით მიეწოდებოდა, ლეკები სკოლებში ვერ იღებდნენ სასწავლო ლიტერატურას, არ გაიცემოდა პენსიები და სოციალური დახმარება².

pdf,2010. Рамазанова Д.,Обреченные на переселение: Кварельский вопрос в решениях властей в советский и постсоветский периоды, Журнал,Известия Дагестанского государственного педагогического университета. Общественные и гуманитарные науки,2011, file:///C:/Users/admin/Downloads/obrechennye-na-pereselenie-kvarelskiy-vopros-v-resheniyah-vlastey-v-sovetskiy-i-postsovetskiy-periody%20(2).pdf.

1 Е.Л. Капустина, Ю.Ю. Карпов, დასახ. ნაშრომი, გვ.127.

2 იქვე.

აქვე შევნიშნავ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პირველ წლებში ამგვარი ვითარება არა მხოლოდ დადესტნური თემისთვის, არამედ საქართველოში მცხოვრები სხვა არაქართული თემებისთვისაც ტიპური იყო. ზოგადად, მთელი საქართველოს მოსახლეობა იმჯიდა საბჭოთა სისტემის დაშლის შედეგებს, განურჩევლად ავტოქთონობისა და ეთნიკური მიკუთვნილობისა. ზემოხსენებული ნაშრომების ავტორთა პოზიცია, რომ თითქოსდა საქართველოში მცხოვრები დადესტნური თემი იჩაგრებოდა და არ ჰქონდა ქართული სახელმწიფოსგან მხარდაჭერა, გადაჭარბებულია, ვინაიდან იმ პერიოდში თანაბრად „იჩაგრებოდა“ ქვეყნის მთელი მოსახლეობა.

2000 წლის სექტემბერში კვლავ გაიმართა ქართული და დადესტნური დელეგაციების შეხვედრა, სადაც დაიგეგმა ჩანთლისყურეში ამბულატორიის გახსნა, ავარული სკოლების უზრუნველყოფა სასწავლო მასალით, კულტურული ღონისძიებების ჩატარება და ინფრასტრუქტურის (გზების, ელექტროგადამცემი ხაზების) გაუმჯობესება. თუმცა, ეს ზომები უმეტესწილად ქაღალდზე დარჩა და ვერ განხორციელდა.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის ზემოხსენებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ავარულ თემზე ზეწოლის პერიოდი დაახლოებით ერთ წლის განმავლობაში გრძელდებოდა. დასახელებულია ავარელთა სახლების დაწვის რამდენიმე შემთხვევა, თუმცა იყო ეჭვიც, რომ გადასახლების წინ, პროტესტის ნიშნად, ისინი თვით ლეკებმა დაწვეს. ნათქვამია, რომ ანტიავარულ გამოხდომებში მონაწილეობდნენ როგორც თბილისიდან ჩამოსული აქტივისტები, ისე მეზობელი ქართული სოფლების მკვიდრნიც (ლეკი მთხრობლები აღნიშნავენ, რომ არეულობებში თბილისიდან ჩამოსულებზე უფრო მეტად აქაური ხალხი აქტიურობდა – ნ.ჯ.); დოკუმენტში ნათქვამია ისიც, რომ ქართული სოფლების მცხოვრებთაგან ზოგიერთი ლეკებს ეხმარებოდა და ბლოკადის პერიოდში საკვებს აწვდიდა. როგორც წესი, ავარელები საცხოვრებლად დადესტანში გადადიოდნენ, სადაც ნათესავები ან, სულ მცირე, ეთნო-კულტურულად მშობლიური გარემო ელოდათ. უმეტეს

შემთხვევაში, მათ ყვარლის რაიონში თავიანთი სახლები არ გაუყიდათ და ვითარების სტაბილიზაციის შემდეგ საქართველოში დაბრუნება დაიწყეს. ხოლო ნაწილი, ვინც რუსეთის ფედერაციაში მეტ-ნაკლებად წარმატებით ააწყო ცხოვრება, აღარც ჩამოსულა, თუმცა მამაპაპეული სახლები მაინც შეინარჩუნა.¹ როგორც ადგილობრივები ამბობენ, „წასულები იქით მოეწყვნენ უკვე, აქეთ აღარ უნდათ. ზოგი მოსკოვშია, ზოგი დაღესტანში. უფრო კარგად არიან, უფრო მეტი შემოსავალი აქვთ, აქ რაღა უნდათ“ (საველე მასალა, ჩანთლისყურე, 2025).

მართალია, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში სერიოზული ინტერეთნიკური დაძაბულობა აღარ ყოფილა, მაგრამ თემებს შორის უნდობლობის გაღვივებას ამ მოვლენებმა ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო. ყვარულელ ლეკებთან დაკავშირებული იმ პერიოდის ამბები ხალხის მეხსიერებაში დაღუპილია უფრო მეტად, როგორც მაშინდელი სახელმწიფო პოლიტიკის გამოხატულება, ვიდრე ადგილობრივ თემებს შორის დაპირისპირება.

ავარული თემის წარმომადგენლები ზვიად გამსახურდიას მოიაზრებენ, როგორც მათი საქართველოდან გასახლების მოსურნეს და ინიციატორს. ფრთიანი ფრაზა – “საქართველო ქართველებისთვის”, რომელიც მას მიეწერება, ანტიქართული პროპაგანდის ერთ-ერთ ინსტრუმენტად იქცა. მართალია, ზვიად გამსახურდია შემდგომ აღნიშნავდა, რომ ეს ლოზუნგი მას არ ეკუთვნოდა და მისი პოლიტიკა არასდროს ყოფილა არაქართველთა დისკრიმინაციის მხარდამჭერი,² მაგრამ მაშინდელი რუსული/დაღესტნური პროპაგანდისტური პრესა სწორედ ამ გამონათქვამზე აპელირებდა. მაგალითად, ცნობილია დაღესტნელი უფლებადამცველის და პოლიტიკური მოღვაწის – ვაზიფ მეილანოვის განცხადება, რომელიც მან ადამიანის უფლებათა დაცვის კონფერენციის [„ვილნიუსი - ლენინგრადი 1990“] საბჭოს წინაშე გაკეთა. განცხადებაში ვკითხულობთ: „პირველი ანტიავარული აქციები 1990 წლის 14 ივნისს, მრავალათასიანი მიტინგის დროს დაიწყო. ქართულ სო-

1 იქვე

2 ამის შესახებ იხილეთ: <https://www.facebook.com/watch/?v=2943264382592863>

ფელ ახალსოფელში, გამსახურდიაშ, ლოზუნგით „საქართველო ქართველებისთვის“, საჯაროდ გააჟღერა „ავარელების განდევნა ქართული მიწებიდან“. ამავდროულად, გამსახურდიაშ საყოველთაოდ დაიწყო რაიონის იმ ლიდერების შეურაცხყოფა და დასჯა, რომლებმაც მიწის ნაკვეთები მიჰყიდეს ავარელებს ან დაეხმარნენ მათ ეკონომიკური და კომუნალური პრობლემების მოგვარებაში. საინტერესოა გამსახურდიას კიდევ ერთი განცხადება, რომელიც იმავე მიტინგის დროს გაკეთდა: „შესაძლოა, ხალხი მოვიდეს თქვენთან და გითხრათ: „ლეკები (დაღესტნელები) ჩვენი ძმები არიანო“ - განდევნეთ ისინი“. ამ განცხადებების შემდეგ, ავარელების გვერდით მცხოვრები ვერც ერთი ქართველი ვერ გაბედავდა მათ დახმარებას ან დაცვას. 14 ივნისის მიტინგის შემდეგ, ღამით სოფელი თივი ალყაში მოექცა და დაიწყო შვიდდღიანი ბლოკადა, რასაც მოჰყვა უწყვეტი ქართულ-ავარული შეტაკებები და ადგილობრივი წმენდა. ხანმოკლე შეტაკებების შედეგად, ქართველებმა მოახერხეს სოფელ თხილისწყაროს ავარული მოსახლეობის (დაახლოებით 100 ადამიანი) მთლიანად გამოსახლება.“ აღნიშნულ მიმართვაში ვ. მეილანოვი გამსახურდიას დისკრედიტაციას ეწევა და მას სადამ ჰუსეინს ადარებს.¹ იგივე ნარატივს იზიარებს ე.აბრამიანიც.² მეილანოვის ანტიქართული განწყობა ვლინდება მისი პუბლიკაციების ციკლიც: სხვა ცა. რუსული დემოკრატიის ყალბი სტერეოტიპები.³

ფაქტია, რომ 1990-იანი წლების საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მიმართ ქსენოფობიური განწყობები უმეტესად პროვოცირებული იყო ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოსურნე გარე ძალების მიერ. მეილანოვის, აბრამიანის და სხვათა მსგავსი პუბლიკაციები აკადემიურ სივრცეში მიმდინარე ანტიქართული პროპაგანდის მაგალითია.

ყვარელში მცხოვრები ავარელების თემატიკა მოგვიანებით,

- 1 Мейланов В., Гамсахурдиа: “зачистить Кварели от аварцев, 2007, ! ხელმისაწვდომია: https://kvkz.ru/history/332-amsakhurdia_zachistit_kvareli_ot_avarcev.html.
- 2 Абрамян Э., Кварельские аварцы: вчера, сегодня, завтра (цикл “Национальные меньшинства Закавказья”), www.regnum.ru/news/815707.html].
- 3 Мейланов В., Другое небо. Ложные стереотипы российской демократии ხელმისაწვდომია: <https://lib.ru/POLITOLOG/mejlanow.txt>

პოსტსაბჭოთა პერიოდში, კვლავ დაუკავშირდა ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემას. 2006 წლის 22 თებერვლის HumanRights.ge-ს ერთ-ერთი პუბლიკაცია ეხებოდა ყვარლის რაიონის სოფლებში მცხოვრები ლეკების ორმაგი მოქალაქეობის საკითხს. წერილში ნათქვამი იყო, რომ დაბადებისა და პირადობის ქართულ მოწმობებთან ერთად, მათ დაღესტნური საბუთებიც ჰქონდათ, რის მიღებაშიც დაღესტნიდან სოფელ ჩანთლისყურეში მივლენილი ექიმი-გინეკოლოგი – ომარ დავუდოვი ეხმარებოდა. იგი, თითქოსდა ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით, ჩანთლისყურეში მახაჩკალის რაიონის ხელმძღვანელობას რამდენიმე წლის წინ გაუგზავნია და ხელფასსაც მათგან იღებდა. დავუდოვი ავარულ ქალებს დაბალ ფასად ბინაზე ამშობიარებდა და ახალშობილებს, გარკვეული თანხის საფასურად, ბეუთაში გაცემული დაბადების მოწმობებით უზრუნველყოფდა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პიროვნების დაბადების ადგილად მისი დაბადების ადმინისტრაციული ტერიტორია მიიჩნევა; ამდენად, ჩანთლისყურეში დაბადებული ახალშობილები ქართულ მოწმობებსაც იღებდნენ და ორმაგი მოქალაქეები ხდებოდნენ. პუბლიკაციაში მოტანილი ჩანთლისყურის მაშინდელი საკრებულოს წევრის ცნობით: „შეიძლება ომარ დავუდოვს სამედიცინო საქმიანობის ოფიციალური უფლება არ აქვს¹, მაგრამ ხალხს შეღავათიან ფასებში ემსახურება და მას რომ ეს აუკრძალონ, ლეკები სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნიან“. ახალშობილთათვის დაღესტნის მოქალაქეობის მინიჭებას ადგილობრივები დადებითად აფასებდნენ: „ბევრს ექიმისთვის მისაცემი ფული არ აქვს, ბინაზე მშობიარობას ამიტომ ირჩევს. მერე დაბადების მოწმობისთვისაც ომარ დავუდოვს მიმართავს. რა არის ამაში ცუდი? ჩანთლისყურის სკოლაში 30-40 მოსწავლე სწავლობს, რომლებსაც დაბადების მოწმობები დაღესტანში აქვთ აღებული და სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლასაც იქ აგრძელებენ“; ცხადია, დავუდოვის ჩამოსვლისა და ჩანთლისყურეში ყოფნის ამბავი ხელმძღვანელობამაც იცოდა. დაღესტნური დოკუმენტის წყალობით,

1 2020 წლის ცნობით, ო დავუდოვი მუშაობდა კარელიაში, ქალაქ კემში ექიმად.

ყვარლის ლეკები საქართველო-დაღესტნის საზღვარსაც უპრობლემოდ კვეთდნენ. იმ დროისთვის ჩანთლისყურეში მოხუცები რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობდნენ. ხუთსულიანი ოჯახიდან 3-4 კაცი დაღესტანში იყო ჩაწერილი და პენსიასაც იქ იღებდა. თუმცა, ზოგიერთს ორმაგი მოქალაქეობაც ჰქონდა. ბავშვები ჩანთლისყურის საბაზო სკოლაში დაღესტანში გაცემული მოწმობებით იყვნენ ჩარიცხულნი. პუბლიკაციაში ასევე აღნიშნულია, რომ იმ წლებში ყვარლელ ლეკებს მეზობელი დაღესტნიდან კონტრაბანდულ საქონელთან ერთად ნარკოტიკული ნივთიერებებიც გადმოჰქონდათ. რაც შეეხება პრობლემებზე პასუხისმგებელ მაშინდელ სტრუქტურებს, ისინი აცხადებდნენ, რომ ავარულ თემში არსებული ვითარების შესახებ საქმის კურსში არ იყვნენ.¹

ომარ დავუდოვი, რომელიც დაღესტნიდან, თითქოსდა ავარელთა თხოვნით, ყვარლის რაიონში მიავლინეს და, რომელიც ავარელებს რფ დაბადებისა და პირადობის მოწმობებს „უკეთებდა“, არ უნდა ყოფილიყო ჩასული ჩანთლისყურეში მხოლოდ ავარელ ქალთა იაფად მშობიარობის ინტერესით; დიდი ალბათობით, იგი რუსეთის შორსგამიზნული გეგმის – ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების დარიგების, ერთ-ერთი თანამონაწილე იყო. ცნობილია, რომ კრემლის ე.წ. „პასპორტიზაციის“ პოლიტიკა გულისხმობს რუსეთის საზღვართან არსებული ადმინისტრაციული ტერიტორიის მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების სწრაფი გზით მიცემას. ამ პრაქტიკას კრემლი თავისი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ჯერ კიდევ აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში 2002–2008 წლებში მიმართავდა; შემდეგ კი, 2014 წლიდან – ყირიმში, ხოლო 2019 წლის ბოლოს – უკრაინის ორ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში, დონეცკსა და ლუჰანსკში. პასპორტიზაციის პოლიტიკა მიზნად ისახავს რუსეთის კონტროლის ლეგიტიმაციას და მომავალი ანექსიის სამართლებრივად უზრუნველყოფას.

რუსეთის მიერ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლ-

1 მთივლიშვილი გ., როგორ იღებენ ორმაგ მოქალაქეობას ყვარელში, HumanRights.ge, 2006, 22 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=6066&lang=geo>

ქის ოკუპაციის შედეგების კვლევისას, აღვნიშნავდი, რომ რუსეთს ხელს აძლევს, თავისი მოქალაქეები ჰყავდეს დასაყრდენად იმ ტერიტორიაზე, რომელიც მისი გეოპოლიტიკური ინტერესების ობიექტივშია; ისინი არც მაღავენ, რომ ეს იქნება ანექსიის შესაძლებლობა, „რუსული სამყაროს“ გაფართოების ერთ-ერთი გზა.¹ რუსეთს შეუძლია საქართველოში შემოიყვანოს თავისი მოქალაქეები, მოაწყოს რაიმე ტიპის პროვოკაცია და მერე, მათი დაცვის მიზნით, დაიწყოს რადიკალური ქმედებები, ჯარის შემოყვანის ჩათვლით.² დღეს ყვარლის დაღესტნელების ნაწილს ორმაგი მოქალაქეობა აქვს; თუმცა, ამჟამად ახალსოფლიდან დაღესტნისკენ უშუალოდ გამავალი გზა ჩაკეტილია, პირდაპირი კონტაქტები შეწყვეტილია და მოსახლეობას დაღესტანში ლარსზე ან ბაქოს გავლით უწევს ჩასვლა.

უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში რფ-ის დაღესტნის რესპუბლიკა უტიფრად ერეოდა საქართველოს იურისდიქციაში, განკარგავდა საქართველოს მოქალაქეების ბედს, თავად წყვეტდა მათი ყოფითი მოწყობის საკითხებს და ა.შ. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ქართული მხარე მხოლოდ პასიური დამკვირვებლის როლით კმაყოფილდებოდა.

2006 წლის 22 ივნისის ბრძანებულებით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დაამტკიცა საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების რუსეთის ფედერაციაში ნებაყოფლობით გადასახლების ხელშეწყობის პროგრამა (ეს პროგრამა დღესაც მოქმედია);³ ის მიზნად ისახავდა სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ დარჩენილ და რუსეთში ცხოვრების მსურველ პირთა რუსეთში დაბრუნებას. ამ პროგრამის განხორციელებაში

1 ჯალაბაძე ნ., *ყაზბეგის რაიონის ოსები ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში*, თბილისი 2019, გვ.85; ნოზაძე მ., *რუსეთი, ამჟამად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ანექსიას ტოტალური პასპორტიზაციით შეეცდება* 2017, ხელმისაწვდომია: <https://for.ge/view/47230/ruseTi-amJamad-postsabWoTa-qveynebis-aneqsias-totaluri-pasportizaciiT-Seecdeba.html>.

2 ნ. ჯალაბაძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ.116-117.

3 Программа возвращения соотечественников в Россию. პროგრამის შესახებ იხილე: <https://ruvek.mid.ru/relocation/#!>; Программа_возвращения_соотечественников_в_Россию

მხარდაჭერასა და დახმარებას უზრუნველყოფდა ორგანიზაცია „როსსოტრუდნიჩესტვო“. ამ ინფორმაციას ადასტურებდა საინფორმაციო სააგენტო „დალესტანი“, რუსეთის მიგრაციის ფედერალური სამსახურის დალესტნის ფილიალი და თავად ლეკები.¹ ზუსტად 2 წლის შემდეგ (2008 წლის 22 თებერვალს) გაქურდა ინფორმაცია, რომ სავარაუდოდ მაისიდან იგეგმებოდა ყვარლის რაიონში მცხოვრები ლეკების მასობრივი გადასახლება დალესტანში. მანამდე, გადასახლების მიზეზად საქართველოში ლეკების გაუსაძლის პირობებში ცხოვრება სახელდებოდა; იმ დროისთვის არსებული მონაცემებით, საქართველოს სამთავრობო უწყებებში აღნიშნულ პროცესზე ოფიციალური ინფორმაცია არ იყო შემოსული, თუმცა, ცნობები მოლაპარაკებების მიმდინარეობაზე არაოფიციალურად მაინც ვრცელდებოდა.

პროგრამამ ყვარლის ლეკებს ახალი იმედი ჩაუსახა — შეიქმნა „გადასახლების კომიტეტი“, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა დაახლოებით ათი წარმომადგენელი სამივე სოფლიდან. მათ შორის ჩანთლისყურელები მეტ ინიციატივას იჩენდნენ; კომიტეტის წევრებმა დაიწყეს გადასახლებისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადება და პროგრამების შერჩევა. ავარელთა მოტივაცია სახელმწიფოსგან ფინანსური დახმარების და შეღავათების მიღება იყო; მათ სურდათ, რომ დალესტანში გადასულიყვნენ, მაგრამ დალესტნის მთავრობამ მტკიცედ განუცხადა, რომ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების ფარგლებში ის მზად იყო ნებისმიერი სხვა სახის დახმარება გაეწია მათთვის, დალესტანში მიღების გარდა. იმდროინდელ ქართულ საინფორმაციო საშუალებებში კი იწერებოდა, რომ ლეკებს დალესტნის რესპუბლიკის ხელისუფლების მხრიდან იქ გადასახლების შეთავაზება ჰქონდათ:

„დალესტანში გადასახლება ნამდვილად შემოგვთავაზეს. ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში გვითხრეს, რომ მახჩალის რაიონის შესაბამისმა სამსახურმა, მოსკოვში, უკვე გააგზავნა ოფიციალური თხოვნა საქართველოდან ჩვენი დალესტანში გადასახლების

1 მთივლიშვილი გ., ყვარლიდან ლეკების მასობრივი გადასახლება მაისიდან დაიწყება, HumanRights.ge, 2008, 22 თებერვალი, ხელმისაწვდომია : <http://www.humanrights.ge/index.php?a=text&pid=7011&lang=geo>.

თაობაზე, რაზეც უარი არ უთქვამთ. ჩვენც გვინდა დაღესტანში საცხოვრებლად გადასვლა, რადგან იქ უკეთესი პირობებია. ფაქტობრივად, აქ ძალიან ცუდ, გაუსაძლის პირობებში ვცხოვრობთ და ყურადღებას არავინ გვაქცევს. როგორც ვიცით, ჩვენი გადასახლების პროცესი მაისიდან დაიწყება”¹

დაღესტანში გადასახლების მსურველთ რფ-ის ხელისუფლებამ ლეკებს ორი პუნქტი – ტიუმენის და ლიპეცკის ოლქები შესთავაზა. სამივე სოფლის მოსახლეობას ერთად დასახლება სურდა; დავები წარმოიშვა გადასახლების პუნქტის შერჩევისას და პრობლემა იმდენად გამწვავდა, რომ ჩანთლისყურის თემი (ჯამაათი), ფაქტობრივად, ორად გაიყო. ერთმა ნაწილმა არჩია ტიუმენის ოლქი, რადგან მიაჩნდათ, რომ მესაქონლეობისთვის იქ უკეთესი პირობები იყო. ხოლო, ლიპეცკის ოლქის მომხრეებს ხელსაყრელი კლიმატი და მოსკოვთან სიახლოვე ხიბლავდა. უთანხმოებამ ხელი შეუშალა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას და გადასახლება ვერ განხორციელდა.² რეალურად, დაღესტნის უარის შემდეგ, ყვარლელ ლეკებში რუსეთში წასვლის მოსურნე უკვე ბევრიც აღარ იყო.

აქ ერთგვარ ეჭვს ბადებს კრემლის მიერ ერთიდაიმავე დროს, აგვისტოს ომამდე, 2008 წლის თებერვალში, ყვარლელ ლეკთა გადასახლების და ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობის დაგეგმვა.

2008 წლის თებერვლის დასაწყისში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი დაღესტნის მთიანეთში არსებულ სამხედრო ბაზას პირადად ეწვია და დაინტერესდა მუშაკის უღელტეხილზე გადასასვლელი გზის მშენებლობის შესაძლებლობით, ასევე, რამდენად მოსახერხებელი იქნებოდა სამხედრო აღჭურვილობის ამ მიმართულებით მოძრაობა. სამხედროების რწმუნებით, დაღესტნის მხრიდან საქართველოს მიმართულებით მძიმე ტექნიკა, მათ შორის, ტანკებიც უპრობლემოდ გაივლიდა. მან განაცხადა, “ეს გზა წუმაღის რაიონზე ... გადის, რომელიც საქართველოს ესა-

1 მთივლიშვილი გ., დასახ. პუბლიკაცია.

2 Капустина Е., Карпов Ю., დასახ. ნაშრომი გვ.134.

ზღვრება, და ეს იქნება საქართველოსკენ მიმავალი კიდევ ერთი დერეფანი”.¹

ამ ფაქტის პასუხად, 2008 წლის თებერვალში გამოქვეყნდა სამხედრო ექსპერტ ი.ალადაშვილის ინტერვიუ, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ რუსეთის ინიციატივას დადესტინისა და კახეთის რეგიონის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის თაობაზე, შესაძლოა რისკის ქვეშ დაეყენებინა საქართველოს უსაფრთხოება გრძელვადიან პერსპექტივაში. იგი გამოთქვამდა ეჭვს, რომ მუშაკის უღელტეხილზე გზის აღდგენის უკან კრემლის მიზანი არა ეკონომიკური, არამედ სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები იდგა. მას სამაგალითოდ მოჰყავდა ფსოუს ხიდი და როკის გვირაბი, რომელთა გამოისობითაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას სერიოზული პრობლემები შეექმნა და ამიტომაც, იგივე შეცდომის გამეორება დაუშვებლად მიაჩნდა.²

ავარეთ-კახეთის მონაკვეთზე გზის მშენებლობის პროექტი XIX საუკუნის შუა პერიოდიდან განიხილებოდა და მას, ცარისტული რუსეთის დროიდან, როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ; მისი მშენებლობა სამჯერ დაიწყო (1860, 1885, 1891 წლებში), მაგრამ სხვადასხვა ომმა და პოლიტიკურმა მოვლენამ პროცესი შეაჩერა. გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ამ გზის მშენებლობა ადგილობრივი დადესტნელების წარმომადგენელთა ინიციატივით კვლავ დაიწყო, თუმცა 1997 წელს საქართველო-რუსეთის საზღვარზე რუსებმა სასაზღვრო-გამშვები პუნქტი მოაწყვეს და მალე გზის საკითხი დაიხურა. დაგეგმილი მაგისტრალი კვეთს დადესტნის ბეჭთის რაიონიდან კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს და ყვარლის მუნიციპალიტეტში არსებულ გრუნტის გზას უერთდება. აღნიშნული მონაკვეთი კავკასიონის ქედის ყველაზე დაბალ წერტილში მდებარეობს; ეს შესაძლებელს ხდის გზის შეუფერხებელ მუშაობას ყველა სეზონის განმავლობაში, რაც განაპირობებს მის

1 სამხედრო ექსპერტი დადესტნის ახალი გზის წინააღმდეგ გამოდის <https://old.civil.ge/geo/article.php?id=17525>.

2 იქვე.

რაციონალურობას.¹

კახეთ-ავარეთის გზის მშენებლობის აუცილებლობა განსაკუთრებულად აქტუალური გახდა მოსკოვისათვის 2008 წლის ომის შემდეგ. ვ.პუტინმა და დ.მედვედევმა არაერთხელ აღნიშნეს დაღესტანსა და საქართველოს შორის პირდაპირი დამაკავშირებელი ახალი სახმელეთო მარშრუტის საჭიროება, რომელიც რუსეთიდან საქართველოსა და შავი ზღვისაკენ გადაადგილებას შესაძლებელს გახდიდა. 2012 წლის ოქტომბერში გიმრის საავტომობილო გვირაბის გახსნის ცერემონიაზე დ. მედვედევმა განაცხადა, რომ მალე ისინი აქტიურად ჩერთვებოდნენ ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობაში. 2013 წელს დაღესტნის მთავრობამ ოფიციალურად წამოჭრა საკითხი, ხოლო 2014 წლის ივლისში მახაჩკალაში გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელიც ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობას მიეძღვნა; დაიგეგმა 95 კმ-იანი ავტომაგისტრალის, 25 ხიდისა და 5 გვირაბის მშენებლობა, რომლის ღირებულება 30 მილიარდ რუბლად შეფასდა. 2015 წლიდან გზის ეტაპობრივი რეაბილიტაცია და გაფართოება რუსეთის მხრიდან საქართველოსთან შეუთანხმებლად დაიწყო. გიდმოსტიდან ანწუხამდე უკვე მოასფალტდა მონაკვეთები, 2018-ში გაგრძელდა კოსობამდე, ხოლო 2019–2020 წლებში დაგეგმილი იყო ანწუხ-ბეჟტას მონაკვეთის სამუშაოები.

ექსპერტთა მოსაზრებით, ავარეთ-კახეთის გზის პროექტის ძირითადი იდეა კასპიის და შავი ზღვის დაკავშირება იყო. რუსეთისთვის ამ გზას აშკარა ეკონომიკური სარგებელი ექნებოდა, რადგან იგი დაღესტანსა და მის პორტებს საქართველოს, სომხეთსა და შავ ზღვას დაუკავშირებდა. საქართველოსთვის კი ეკონომიკური სარგებელი მინიმალური იყო და ვერ გადაწონიდა უსაფრთხოების რისკებს. უსაფრთხოების თვალსაზრისით, ექსპერტები კახეთს საქართველოს „ზურგად“ მიიჩნევენ, რადგან ამ რეგიონში რუსეთთან დამაკავშირებელი გზა არ არსებობს. გზის გაჭრის შემთხვევაში, კახეთი დაუცველი გახდება და თბილისის სამხედრო თვალსაზრისით ადვილად მისადგომი. გარდა ამისა, გზა რუსეთს

1 ლუკიანოვიჩი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ.95.

მისცემს ალტერნატიულ მაგისტრალს სომხეთთან დასაკავშირებლად, დამატებით — აზერბაიჯანთან და პოტენციურ სამხედრო გამოყენების შესაძლებლობას ირანის მიმართულებითაც. ამიტომ, ავარეთ-კახეთის გზის აშენება სარგებელს ძირითადად რუსეთს მოუტანს და საქართველოს ინტერესებსა და უსაფრთხოებას დააზიანებს.¹

2014 წლის ქართულ საინფორმაციო წყაროებში ვხვდებით ამ თემატიკასთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებებს; ქართველი ექსპერტებისთვის ძირითადად ნაკლებად მისაღები ჩანს რუსეთის არგუმენტები იმის შესახებ, რომ გზის მშენებლობა ემსახურება ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ მიზნებს, „რათა საქართველომ ეფექტურად შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი და მაგალითად, ევრაზიული კავშირის წევრი სომხეთიდან პროდუქცია უფრო მარტივად მოხვდეს დაღესტანში და პირიქით“.² განსხვავებული პოზიციები იკვეთება მმართველ გუნდში.³ მაშინდელი ეკონომიკის მინისტრი გ. კვირიკაშვილი აღნიშნულ პროექტს ლარსის გამშვები პუნქტის ალტერნატივად განიხილავს და თვლის, რომ ეს გზა საქართველოს ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დ.ჯალაღანია, რუსული ოკუპაციის პირობებში, ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობას საეჭვოდ მიიჩნევს.რიგი მოსაზრებით, გზის მშენებარე მონაკვეთი, რომელიც მახაჩყალა-თბილისის 470-კილომეტრიანი საავტომობილო მარშრუტის პროექტის ნაწილია, რუსეთის მხარეზეა და სწორედ რუსეთის გადასაწყვეტია, რა ტიპის პროექტებს გააკეთებს თავის ტერიტორიაზე.⁴

1 სამადბეგიშვილი ს. საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის დამაკავშირებელი გადასასვლელებისა და პოტენციური მაგისტრალების მიმოხილვა უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ ჭრილში. ხელმისაწვდომია: <https://geocase.ge/ka/publications/192/> 2020.

2 ლუკიანოვიჩი, დასახ. ნაშრომი, გვ.96.

3 მმართველი გუნდის ავარეთ-კახეთის გზის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://tabula.ge/ge/news/567908-mmartveli-gundis-ganskhvavebuli-pozitsiebi-avaret>

4 ავარეთ-კახეთის გზა: საფრთხეები და შესაძლებლობები, 11.12.2014, ხელმისაწვდომია „კავკასიური სახლის“ ანალიტიკურ მედია-პორტალზე www.regional-dialogue.com.

2014 წელს ავარეთ-კახეთის გზასთან დაკავშირებულ მოვლენებს აფასებს ექსპერტი ა.კვახაძე.მისი პოზიციით, ფაქტი, რომ დაღესტან-კახეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობას რუსეთის ფედერალური ბიუჯეტი აფინანსებს, უკვე მიუთითებს კრემლის სტრატეგიულ ინტერესებზე. გზას სამი მთავარი დანიშნულება ექნება: საქართველოს მიმართულებით სამხედრო შეტევის გამარტივება, სომხეთთან დამატებითი სატრანსპორტო დერეფნის შექმნა და აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში ხუნძური სეპარატიზმის წახალისება, რაც გულისხმობს აზერბაიჯანში არსებული სეპარატისტული განწყობების გაძლიერებას და საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების გაუარესების ხელშეწყობას. ა.კვახაძე წერს:

„აღნიშნული გზის უშუალო მეზობლობაში მდებარეობს აზერბაიჯანის კახის, ბელაქანისა და ზაქათალის რაიონები, რომლის მოსახლეობის უმრავლესობასაც ეთნიკური ხუნძები შეადგენენ. ხუნძების ნაწილში არსებობს სეპარატისტული განწყობები, თუმცა დაღესტანში მცხოვრებ ხუნძებთან მათ არ გააჩნიათ პირდაპირი სატრანსპორტო კავშირი და ერთმანეთთან ჩასვლას მხოლოდ ბაქოს გავლით საკმაოდ გრძელი გზით ახერხებენ. კახეთ-დაღესტანის გზის გახსნის შემთხვევაში, მოხდება იგივე ეფექტი, რაც გამოიწვია 1980-იან წლებში როკის გვირაბის აშენებამ. ყოველივე ეს გამოიწვევს აზერბაიჯანის ხუნძებით დასახლებული ტერიტორიების დაღესტანზე ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიბმას, რაც გაზრდის სეპარატიზმის საფრთხეს. ყოველივე ეს ნეგატიურად აისახება საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებზე და საფრთხეს შეუქმნის ჩვენი ქვეყნების სტრატეგიულ პარტნიორობას. არ უნდა დაგვავიწყდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში – თივში, ჩანთლისყურსა და სარუსოში მცხოვრები ეთნიკური ხუნძები, რომლებიც შესაძლოა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ბრმა იარაღად იქცნენ.“

ექსპერტის აზრით, კავკასიონის ქედი საქართველოს ბუნებრივი თავდაცვა და მისი „გარღვევის“ ნებისმიერი მცდელობა ქვეყნისთვის სავალალო შედეგს გამოიწვევს.¹

1 კვახაძე ა., ექსკლუზიურად “თავისუფალი ზონისთვის” ხელმისაწვდომია
144

მოგვანებით, 2017 წელს Sputnik Georgia-სთან ინტერვიუში მ. არეშიძემ ავარეთ-კახეთის გზასთან დაკავშირებით განაცხადა: „შე-საძლოა, საფრთხე ის იყოს, რაზეც ყველა საუბრობს. ანუ, თუ საქა-რთველოს უბრალო მოქალაქეს ჰკითხავთ, ის გეტყვით, რომ ეშინია, ამ გზით სამხრეთ კავკასიაში ექსტრემისტები არ შემოიჭრან. მაგრამ ეს ჩემთვის არგუმენტი არ არის... რაც შეეხება ამ საკითხის დადებით მხარეს, ყველა კარგად აშენებული გზა ფულის მოვნის შესაძლებლო-ბას იძლევა, რადგან ის ტრანზიტულია. მაგრამ გარკვეული გაგებით, თუ ეს გზა აშენდება, ის კონკურენციას გაუწევს საქართველოს სამხე-დრო გზას, რომელიც შეიძლება დავიწყებას მივცეს.“¹

ავარეთ-კახეთის გზის თემატიკამ კვლავ აჟიოტაჟი გამოიწვია 2020 წელს, მას შემდეგ, რაც სოციალურ ქსელში დაღესტნის რეს-პუბლიკის გზების მშენებლობის სააგენტოს ახალი ვიდეო დაიდო, სადაც ნაჩვენებია იყო, თუ როგორ მიმდინარეობდა გუნიბის გზატ-კეცილი-ვანტლიაშევსკის უღელტეხილის გზის მშენებლობა.

თავად ყვარლელი ლეკების დამოკიდებულება ამ გზის მი-მართ დადებითია. ჩანთლისყურელი მთხრობლის აზრით: „გვაქვს კავშირები დაღესტანთან. 90 პროცენტი იქაური მოქალაქე-ები არიან. რუსების მიმართ ჩვენი ხალხი იმედით არის განწყო-ბილი. იქ არიან ჩვენი შვილები. აყალმაყალი რომ მოხდეს, ჩვენი ზურგია. აქედან ახლა ვეღარ გადავდივართ, საზღვარია, ისე ერთ დღეში ცხენით გადახვალ და მოხვალ. საზღვარი კარგად კონტრო-ლდება. ჩუმად გადასვლა არ ხდება, ადრე იყო ასეთი შემთხვევა და დააკავეს. კამერებია სულ დაყენებული. ნათესაობა გვყავს იქით. ჩემი შვილებიც რუსეთში არიან. ახლა ღარსით გადავდივართ.“ (საველე მასალა, ჩანთლისყურე 2025).

ავარეთ-კახეთის გზის დაღესტნის ნაწილის მშენებლობა-რე-აბილიტაცია ახლაც აქტიურად მიმდინარეობს რუსეთის მხრიდან

<http://www.fmabkhasia.com/news/9142-daghestan-kaxethis-gza-rogorc-meore-rokis-gvirabi.html>

- 1 Эксперт о плюсах и минусах открытия Аваро-Кохетинской дороги, ხელ-მისაწვდომია: <https://sputnik-georgia.ru/20170718/Jekspert-o-pljusah-i-minusah-otkrytija-Avaro-Kahetinskoy-dorogi-236672403.html> სამაღბეგიშვილი ს., დასახ. ნაშრომი.

და გეგმაში მისი საქართველოს საზღვრამდე მოყვანაა. განახორციელებს თუ არა იგივე პროექტის ქართულ ნაწილს საქართველოს სახელმწიფო, ამ მხრივ, დღემდე მხოლოდ უარყოფითი პოზიციაა გამოხატული, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციური ჯგუფებისა და სამოქალაქო საზოგადოების

წარმომადგენელთა მიერ. ამის მიზეზი ისევ და ისევ ეკონომიკური და უსაფრთხოების მდგენლის არასასურველი შეფარდებაა.¹

3. ყვარლის ჩაიონის ღეგები დე განათლების პოზიციე

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ენის და ტრადიციული კულტურის შენარჩუნება ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტთაგანია. საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა დიასპორებს და მათ მხარდაჭერას. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში აღნიშნულია: „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ენები, კულტურული და ისტორიული მონაპოვარი მსოფლიო საგანძურის ნაწილია და მათ შენარჩუნება-განვითარებაზე ზრუნვა საქართველოსთვის მნიშვნელოვანია.“² ყვარლის რაიონში მოსახლე ლეკებიც, როგორც ჩვენი მეზობელი დაღესტნელი ხალხის წარმომადგენლები, ამ კატეგორიაში ერთიანდებიან.

2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით მიზნად ისახავს გრძელვადიანი და შეუქცევადი პოზიტიური ცვლილებების და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებას, რისთვისაც განსაზღვრავს ხუთ პრიორიტეტულ მიმართულებას, მათ შორის, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას და კულტურული დიალოგის წარმართვას.³ ცხადია, მათი რეალიზაცია სახელმწიფო ენის ცოდ-

1 სამადბეგიშვილი ს. , დასახ. ნაშრომი .

2 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ხელმისაწვდომია <https://mfa.gov.ge/national-security-concept>

3 2021-2030 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო

ნის გარეშე ვერ მოხერხდება; სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხს, რაც ჩვენს მულტიეთნიკური ქვეყანაში ჯერ კიდევ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ამ თვალსაზრისით ერთგვაროვანი ვითარება არ გვაქვს. კომპაქტურად და იზოლირებულად მოსახლე არაქართული ეთნოსის წარმომადგენლებში ქართული ენის კომპეტენცია უფრო დაბალია, ვიდრე შერეულად მცხოვრებ თემებში.

საბჭოთა პერიოდში საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებულმა პერმანენტულმა რეფორმებმა განაპირობა ქართული ენის ცოდნის დონე და ხარისხი ეთნიკურ უმცირესობებში. ყვარლელი ლეკების შემთხვევაში, ამას დაემატა საქართველოდან ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მათი ჩასახლება (1944 წ.), შემდეგ, საქართველოში მათი უკან დაბრუნება (1957), ახალი სამოსახლოს მოწყობასთან დაკავშირებული სირთულეები, საჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული ტრანსფორმაციები, პოსტ-საბჭოთა პერიოდში მათი ნაწილის საქართველოდან მიგრაცია და ა.შ.

საუბარი ყვარლის რაიონში ლეკების განათლების შესახებ 1957 წლიდან, ჩეჩნების რეაბილიტაციის შემდეგ არის შესაძლებელი, როდესაც საქართველოში გადასახლებიდან დაბრუნებულ დაღესტნელებს საცხოვრებლად ყვარლის რაიონის ოთხი უბანი მიუჩინეს. ამ პერიოდში საკავშირო მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დაევალა, ყვარლის რაიონში ჩამოსახლებულ ავარელთა სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლის საკითხის მოგვარება. ჩატარდა ადრიცხვა და დადგინდა, რომ ოთხივე სოფელში (ჩანთლისყურე, თივი სარუსო, თხილისწყარო) სასკოლო ასაკის 215 ბავშვი იყო; დაწყებით კლასებში ბავშვები მშობლიურ ენაზე ისწავლიდნენ, ხოლო უფროსი კლასის მოწაფეები სწავლას უახლოესი რუსული სკოლების შესაბამის კლასებში გააგრძელებდნენ. ჩანთლისყურისა და სარუსოს

მკვიდრი 74 ბავშვი ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბრისა და ახალსოფლის სკოლებში მიაბარეს. პედაგოგები ჩამოსახლებულ დაღესტნელთაგან შეირჩა. განათლების სამინისტროს სასწავლო პროცესი ყველა საჭირო ინვენტარით უნდა უზრუნველყო. დაღესტნიდან უნდა მიეღოთ პროგრამები და სახელმძღვანელოები. დაღესტნელ მიგრანტთა შვილები სკოლებში განათლებას ძირითადად რუსულ ენაზე იღებდნენ და, ბუნებრივია, მათ ქართული წერა-კითხვა არ იცოდნენ.

მომდევნო პერიოდში 1970-იან წლებამდე კახეთის ავარულ სოფლებში სკოლები ქართულენოვანი გახდა, რის შედეგადაც იმ პერიოდის ლეკურმა მოსახლეობამ ქართული შეისწავლა და, შესაბამისად, ინტეგრაციის პროცესიც შედარებით უმტკივნეულოდ წარიმართა. თუმცა, 1970-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს უმცირესობით დასახლებულ რაიონებში სკოლები ეტაპობრივად რუსულ სწავლებაზე გადავიდა. რუსული ენა პრიორიტეტული გახდა და ქართული ენის არასაკმარისი ცოდნის გამო დაღესტნელი ახალგაზრდები უმაღლესი განათლების მისაღებად გეზს რუსეთისკენ იღებდნენ. მაშინ, საბჭოთა პერიოდში, რესპუბლიკებს შორის თავისუფალი მიმოსვლა იყო და ყვარელში მცხოვრებ ლეკებს დაღესტანთან კავშირი მუდმივად ჰქონდათ. ეს კავშირები დღემდე გრძელდება, თუმცა საზღვრის ჩაკეტვამ ურთიერთ მისვლა-მოსვლა გაცილებით იშვიათი გახადა.

1990-იანი წლების დასაწყისიდან, მთელ ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, ყვარლის რაიონში მცხოვრები ავარელი მოსახლეობის მდგომარეობაც თანდათან დამძიმდა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე საგანმანათლებლო კუთხით. სასწავლო დაწესებულების შენობები სამივე ავარულ სოფელში რეაბილიტაციას საჭიროებდა, სკოლებს სახელმძღვანელოები დიდი ხნის განმავლობაში არ მიეწოდებოდა, ხოლო ეთნიკურ ავარელ პედაგოგთა უმრავლესობამ სამუშაო დაბალი ანაზღაურებისა და დაგვიანებული ხელფასების გამო დატოვა.¹

1 Рамазанова Д., Обреченные на переселение: Кварельский вопрос в решениях властей в советский и постсоветский периоды, 2011, гл.8. ხელმისაწვდომია: [https://cyberleninka.ru/article/n/obrechennye-na-pereselenie-kvarelskiy-vopros-v-](https://cyberleninka.ru/article/n/obrechennye-na-pereselenie-kvarelskiy-vopros-v)

ამის თაობაზე ი. კარპოვი და ე. კაპუსტინა წერენ:

„1990-იან წლებში საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არც ერთი ჩანთლისყურელი ახალგაზრდა არ ჩარიცხულა. ამის მთავარ მიზეზად სოფლის მოსახლეობა ასახელებდა: მიშს, მათი შვილების სიცოცხლისთვის არსებული საფრთხის გამო, ქართულ საზოგადოებაში „ლეკების“ მიმართ მტრულ განწყობას და ადგილობრივი განათლების სფეროში არსებულ ხარვეზებს. სოფლის ცხრაწლიან სკოლაში განათლების დონე შედარებით დაბალია. 1990-იან წლებში, როდესაც მასწავლებლებს აქეთ საერთოდ არ აგზავნიდნენ, სოფლის მოსახლეობამ გადაწყვიტა, სათანადო კვალიფიკაციის არქონის მიუხედავად, თვითონ ესწავლებინა. დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ელექტრიკოსი გახდა და სკოლაში დღემდე მუშაობს. სწავლება რუსულად მიმდინარეობს, მაგრამ სასაუბრო პრაქტიკას მოკლებულ ბავშვებს ენა ფაქტობრივად არ ესმით. სკოლის მოსწავლეებმა იციან ქართული, რაიონული ცენტრისა და ტელევიზიის ენა, მაგრამ მხოლოდ სასაუბრო დონეზე. ლიტერატურული ავარული, რომელსაც არაკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიან, მათთვის პრაქტიკულად უცხო ენაა. გარდა ამისა, ინგლისურიც ისწავლება სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით. შედეგად, ბავშვებმა კარგად არც ერთი ენა არ იციან — საკუთარი, უდამწერლობო საოჯახო ენის გარდა.¹

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გამსახურდიას პერიოდში წარმოქმნილი ვითარების შედეგად ყვარლელი დაღესტნელების ნაწილი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა; ორ სახელმწიფოს შორის მიღწეული იყო შეთანხმება, რომ საქართველოდან დაღესტანში გადასვლის მსურველი დარჩენილი ოჯახებიც 1994 წლისთვის დაეკმაყოფილებინათ; თუმცა, პროცესი გაიწელა და შეფერხდა. ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ძალისხმევით ეწყობოდა ორმხრივი შეხვედრები (1992, 1993, 1996, 1999 წწ.), მუშავდებოდა ერთობლივი გეგმები შექმნილი სირთულეების აღმოფხვრისა და მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პი-

resheniyah-vlastey-v-sovetskiy-i-postsovetskiy-periody.

1 Капустина Е., КарповЮ. დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

რობების გაუმჯობესების მიზნით. ავარელთა ნაწილი, რომელიც გადასახლების მოლოდინში იყო, უცდიდა დაღესტანში მათთვის განკუთვნილი სახლების აშენებას, ინფრასტრუქტურისა და პირობების შექმნას, რასაც დრო სჭირდებოდა. 1996 წლის აპრილში დაღესტნის ეროვნულ საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინა ყვარლის ავარელთა პრობლემის გადაჭრის ახალი კონცეფცია, რომელიც მიზნად ისახავდა მათ სოციალურ დაცვასა და სტატუსის განსაზღვრას გარდამავალ პერიოდში. დოკუმენტი ითვალისწინებდა იძულებით გადაადგილებულთა სტატუსის შენარჩუნებას, პენსიებისა და სამედიცინო მომსახურების გაგრძელებას, აგრეთვე სპეციალური კომიტეტის შექმნას გადასახლების ორგანიზებისთვის. განათლების კუთხით კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო – ავარული სოფლების სკოლებში სწავლების გაგრძელება დაღესტნის სასწავლო პროგრამებითა და ავარელი ახალგაზრდებისთვის უპირატესობის მინიჭება დაღესტნის რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებისას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მოქალაქეობის საკითხსაც: გარდამავალ პერიოდში ყვარლის ავარელებს უნდა ჰქონოდათ საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეობას შორის თავისუფალი არჩევანის უფლება და სახელმწიფოებს შორის თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. ამასთან, დაისვა საკითხი მათთვის საბჭოთა პასპორტების მოქმედების შენარჩუნების და სასაზღვრო ზონის მცხოვრებლის სტატუსის მინიჭების შესახებ, რაც გაუმარტივებდათ საქართველოსა და დაღესტანს შორის მიმოსვლას.¹ ყვარლის რაიონის თივის, სარუსოსა და ჩანთლისყურის სოფლებში მცხოვრები ავარელების საკითხთან დაკავშირებით 2000 წლის 1 მარტს დაღესტნის რესპუბლიკის მთავრობაში გაიმართა სხდომა; გაირკვა, რომ მრავალი ღონისძიება, რომელიც ჯერ კიდევ 1996 წლის აპრილში იყო დაგეგმილი, არ იყო განხორციელებული და წლების შემდეგ იგივე დავალებები ხელახლა ჩაიწერა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის მიცემულ პროტოკოლში. გარდამავალი პერიოდი გახანგრძლივდა. რაც შეეხება განათლების სფეროს, ყვა-

1 Рамазанова Д., даსახ. ნაშრომი, იქვე.

რელში 2000 წლის 24 სექტემბერს, რაიონის ხელმძღვანელობამ და დაღესტნის ბეჟთის ადმინისტრაციამ ხელი მოაწერეს პროტოკოლს, რომლის მიხედვითაც დაღესტნის მხარე იღებდა ვალდებულებას მოემზადებინა სპეციალისტები და პედაგოგები, მოემარაგებინა ავარული სოფლების სკოლები სახელმძღვანელოებით, სასწავლო-სადემონსტრაციო მასალებითა და სხვა საჭირო ლიტერატურით.¹

აქ აღარ შევეხები 2000-იანი წლების დასაწყისის ამბებს, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის რადიკალურად შეცვლისა და სახელმწიფო ენისთვის პრივილეგიის მინიჭების შემდეგ, ფაქტობრივად გაუქმდა რუსული სკოლები და მცირერიცხოვანი ეთნოსებისთვის ბილინგვური/მულტილინგვური განათლების პროგრამები დაინერგა. ზოგადად, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების განათლება განიხილება არა მხოლოდ მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, არამედ მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისა და შრომის ბაზარზე დასაქმების საშუალებად. სპეციალისტების აზრით: „საქართველოში მულტილინგვური განათლება აღქმულ უნდა იქნეს, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს სახელმწიფო ენის დაუფლების უკეთეს შესაძლებლობას აძლევს და, ამავე დროს, უზრუნველყოფს მათი მშობლიური ენების შენარჩუნებას.² თუმცა, უნდა ითქვას, რომ ავარულის მცოდნე პედაგოგების არყოლის გამო, ბილინგვური სწავლების განხორციელება ყვარლის რაიონის ავარელთა სკოლებში ფერხდება.

დღეს ავარელთა სამივე სოფელში ქართული არასრული საშუალო, საბაზისო სკოლებია. ბავშვები 9 კლასს ამთავრებენ და მერე, სურვილისამებრ, ვისაც საშუალო სკოლის დამთავრება უნდა, სწავლას მეზობელ სოფელში, უმთავრესად ახალსოფელში აგრძელებს. ჩანთლისყურელი რესპონდენტის ინფორმაციით:

1 იქვე, გვ.11.

2 ჭანტურია რ., ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების საშუალებით, ბილინგვური განათლება, #1, 2010, გვ. 3-4.

„დაღესტნელთა სამი სოფლიდან ყველაში ცხრაკლასიანი სკოლაა. ეს სკოლები ქართულია. დაღესტნური, ხუნძურ/ავარული, ისწავლება კვირაში 2 გაკვეთილი. 9 კლასის შემდეგ უნდა გადაიყვანო ბავშვები სხვა სოფელში. ვინც მონდომებული და ყოჩაღია სწავლას აგრძელებენ ახალსოფლის სკოლებში. 104 კომლიან სოფლის – ჩანთლისყურის სკოლაში 111 ბავშვი სწავლობს; ჩვენთან სოფელში ჩვენი ენა გვაქვს ჰათოლას ენას ვეძახით. სალაჰარაკო ენა კი გვაქვს, მაგრამ დამწერლობა არა. საბავშვო ბაღი არა გვაქვს, სკოლაშია ნული ჯგუფი მარტო. სამი სოფელია გაერთიანებული თემში — ჭიკაანი, ჩვენი და ზინობიანი. ახლო-ახლოს არის ეს სოფლები. ებარის, მედრესე მოამშორეს სკოლიდან, არ შეიძლებაო.

თორმეტ კლასს ბავშვები ამთავრებენ ამ სამ სოფელში: ახალსოფელი, ზინობიანი, ჭიკაანი. უმაღლესში ჩაბარების პრობლემაა. მარშან ერთმა გოგომ ჩააბარა, მაგრამ მატერიალურად ვერ შეძლეს გადახდა მშობლებმა და დაატოვებინეს. ადრე სასწავლებლად ყველა მახაჩკალაში მიდიოდა, როცა სკოლები რუსულენოვანი იყო. ახლა, ქართულს რომ დაამთავრებენ, იქ ვერ ჩააბარებენ. არც დიდი ინტერესი არა აქვთ სწავლის. დაამთავრებენ სკოლას და მეტი წილი ბიჭები მიდიან პოლონეთში სამუშაოდ, ზოგი რუსეთში. აქაურები, ვინც დაღესტანშია გადასული ვერ მიყავთ ომში, რეგისტრაცია არა აქვთ და ამიტომ, თორემ ისე, დაღესტნიდან მიყავთ ახლა ომში“(ყვარული, სოფ, ჩანთლისყურე, 2025).

ამავე სოფლის სკოლის დირექტორის, გაჯი მაგომედალიევის ინფორმაციით, ჩანთლისყურეში კაპუჭელები ცხოვრობენ; კაპუჭელებში ერთიანდებიან კაპუჭელები, თლიადალელები, ბეჟთელები, ქალაქელები. ჩანთლისყურეში ძირითადად თლიადალელები არიან. გაჯი მესამე კლასამდე აქ იყო და მერე გადასულა დაღესტანში, ბეჟთაში; რვა წელი იქ უსწავლია და დაღესტანშივე დაუმთავრებია ქიმია–ბიოლოგიის ფაკულტეტი. ყვარელში 1990 წელს მოსულა და ქართული აქ შეუსწავლია. მისი თქმით, 2008 წლამდე აქ რუსული სკოლა იყო, შემდეგ ქართულად გადაუკეთებიათ. დღევანდელ ბავშვებს ქართულის სწავლის დიდი ინტერესი არა აქვთ, თუმცა ახლა ქართული შედარებით უფრო კარგად იციან.

სკოლის დირექტორთან ინტერვიუში გაირკვა, რომ ამერიკული ორგანიზაციის – „მომავლის კვალის“, ფინანსური დახმარებით გაჯი თლიადალური ენის ლექსიკონსა და სახელმძღვანელოს ქმნის:

„მე ვმუშაობ ერთი ამერიკელების ორგანიზაციაა თელავში, რომელსაც ამერიკელები აფინანსებენ – „მომავლის კვალი“. ძირითადად, ჩვენი ერის, ენის კვლევაა. კვირაში ერთ დღეს, ოთხშაბათს მივდივარ, ორ გაკვეთილს ვატარებ. პროფესორები არიან, ისინი სწავლობენ ჩვენ ენას. უკვე 12–13 წელიწადია მაგათთან ვმუშაობ. ძალიან გვიჭირს, ენა გვეკარგება და ცვდილობთ გადავარჩინოთ! ახლა ანბანს ვაკეთებთ. თლიადალური ანბანი ახლა იქმნება, მე ვწერ. ლექსიკონს ვამზადებ და ვაკეთებ ამ წიგნს. მე მარტო არ ვარ, მეხმარებიან; კონსილიუმი გვაქვს ჩვენ ხალხთან, სოფლის მკვიდრებს ვეძახით და განვიხილავთ თითოეულ სიტყვას. ნოლი კლასია ჩვენთან სკოლაში, და იქ იქნება ნებადართული ამ წიგნით სწავლება. დედა ენა ჩვენი ენის დიალექტზეა გადათარგმნილი, ალფაბეტი კირილიცაზეა. 55 ბგერაა ანბანში. მარტო ბგერა „ა“ – ოთხია, სხვადასხვანაირად გამოითქმის. ამერიკელებს უნდოდათ ანბანის ლათინური წყობით გაკეთება, უარი ვთქვით; ანბანი დაღესტანშიც კირილიცაზეა და იმათ არ აწყობთ. თლიადალელები დაღესტანში რომ არიან, არც იმათ აქვთ სახელმძღვანელო. პირველად ჩვენ ვაკეთებთ, კავშირი გვაქვს იქაურ პროფესორებთან და ვაზუსტებთ, რომელი სიტყვა როგორაა. ეს სახელმძღვანელო დაღესტანშიც იქნება, იქ უფრო მეტი მოთხოვნაა. გამოდის ლექსიკონი, ზღაპრები გვაქვს ჩვენს ენაზე.“ (ყვარელი, სოფ, ჩანთლისყურე, 2025).

როგორც გაირკვა, ორგანიზაცია “მომავლის კვალი” 2014 წელს ენათმეცნიერთა და სპეციალისტთა საერთაშორისო ჯგუფის ინიციატივით, კავკასიელ ერებთან ენებისა და კულტურის განვითარებისა და შენარჩუნების სფეროში თანამშრომლობისათვის შეიქმნა. ორგანიზაცია მხარს უჭერს მოსახლეობას მათი მშობლიური ენისა და კულტურის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების გამოკვლევასა და შენარჩუნებაში. ენების დოკუმენტაცია და განვითარება მისი ძირითადი მიმართულებაა. ადგილობრივ მოსახლეობასთან მუშაობის გარდა, ორგანიზაცია ასევე თანამშრომლობს აკადემიურ

და სამეცნიერო ინსტიტუციებთან, რომლებიც ამ ენებს იკვლევენ. ისინი მუშაობენ ენების არქივების შექმნაზე, ენის მომავალი თაობებისთვის შენარჩუნების მიზნით. “მომავლის კვალი” მულტიმედოურ პროდუქციას ქმნის, კავკასიის მცირერიცხოვანი ერების ენებზე მასალებს აქვეყნებს და ასევე სასწავლო სემინარებსაც ატარებს. “მომავლის კვალი” ხალხსა და აკადემიურ წრეებს შორის ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს და ენობრივი და კულტურული მასალების მონაცემებსა და არქივებს სთავაზობს. ორგანიზაციის დამფუძნებელია გამოყენებითი ენათმეცნიერების სპეციალისტი კეტლინ სეკეტი, რომელსაც აქვს კავკასიაში მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება.

თლიადალური სახელმძღვანელო და ლექსიკონი ერთადერთი არაა, რომლის გამოცემასაც „მომავლის კვალი“ უჭერს მხარს. სოფ. სარუსოს სკოლის ყოფილი დირექტორი მაგომედ რასულოვიც იგივე საქმიანობას ეწევა:

„მეც და გაჯიც ერთ პროექტში ვართ თელავში; ამერიკელები სწავლობენ ჩვენ ენას; „იმედის კვალი“ ჰქვია, ამერიკული ფონდია, ისინი სწავლობენ. მე პირველი ვაკეთებ ჩვენ ენაზე ანბანს. ჩემი ანბანი კირილიცაზეა. ლექსიკონსაც ვაკეთებ და ლექსებზეც ვმუშაობ. მე ვწერ ჰუნძიბურ ენაზე, გაჯი კაპუჩურ ენაზე წერს. უნდა გადარჩეს ჩვენი ენა. ფულია საჭირო ამის გამოსაცემად. დაღესტანში არავინ არის დაინტერესებული. დაღესტანში უფრო დაკარგულია ჩვენი ენა, ვინც სოფლებშია, იმათდა იციან; ჩვენ ანბანში 70 ბგერა დათვალეს. მე 50 გავაკეთე, მარტო ასო „ა“ ჩვენ ენაში არის რვა, მე ოთხი დავტოვე. ჩვენ ლექსიკონში ქართველების სიტყვებია – 343, ავარულია – 467, რუსულია – 257, არაბულია – 31. დაღესტანში რუსულ ენაზე ლაპარაკობენ. იქ სკოლაში რუსულად ასწავლიან, ავარული ცოტა საათები აქვთ. აღრეც ასე იყო, მეოთხე კლასამდე ავარულად სწავლობდნენ, მერე რუსულად. ეხლა არა, თავიდანვე ავარულად 4 საათია, დანარჩენი – რუსულად. ჩვენი ბავშვები სახლში ჰუნძიბურ ენაზე ლაპარაკობენ და ახალსოფელში ან ჭიკანში რო წავლენ, იქ ქართულად ლაპარაკობენ. ჩვენს სოფელში ქართულ სკოლაში 2 საათი ისწავლება რუსული მეხუთე კლასიდან, დანარჩენი ქართულია. ჩვენი ენა არ ისწავლება არ

არის სპეციალისტი.“ (ყვარელი, სოფ.სარუსო, 2025).

იგივე მთხრობელი საინტერესო მონაცემებს გვაწვდის სარუსოელების ენისა და განათლების მდგომარეობის შესახებ:

„სარუსოში თავიანთი საოჯახო ენა აქვთ. ჩვენ ვართ ჰუნძიბელები. სამი სოფელია მთელ დაღესტანში. აქ, სარუსოში ძირითადად ცხოვრობენ ჰუნძიბელები, სულ ასამდე ოჯახი იქნება, 450–500–მდე დიდ-პატარა ადამიანით. სარუსოში სამი ოთხი კომლია კაპუჩელები, დანარჩენები ჰუნძიბელები არიან. ეხლა ერთად ვართ და გვესმის ერთმანეთის, მაგრამ ჩვენი და კაპუჩელების ენა განსხვავდება ერთმანეთისგან. გაჯის ენა სხვა არის, ჩვენი ენა სხვა არის. ის ტომები – კაპუჩელები, თლიადალლები, ბეშტელები, ქალაქელები, გაჯის ენაში შედიან. ერთმანეთში კაპუჩურად, გაჯის ენაზე ვლაპარაკობთ. ისინი დიდი სოფლებია, ბევრნი არიან, სადაც ბევრი ხალხია, იმის ენას სწავლობ. მაგალითად სვანები და ქართველები, მაგათი ხომ სხვა ენაა, მაგრამ ქართულად ლაპარაკობენ. ქართული ყველამ იცის. მე 30 წელი ვიყავი სკოლის დირექტორი. პირველი კლასიდან ქართული ისწავლებოდა. ეხლა 50–მდე ბავშვი იქნება სკოლაში. გამსახურდიას დროს რომ წავიდნენ ჩვენი სოფლიდან, აღარ დაბრუნდნენ ყველა, მაშინ 200–მდე ბავშვი იყო. ახლა სკოლა ცხრაწლიანია, 2 საათი მეხუთე კლასიდან არის რუსული. დაღესტნური, ავარული, იყო 2 საათი კვირაში. ახლა სრულად ქართული სკოლაა. მასწავლებლები აქაურები არიან, ახალსოფლიდან, ყვარლიდან. ახალსოფელში სულ ქართველები ცხოვრობენ. მოსწავლეები, ვისაც უნდა, მერე აგრძელებს სწავლას. ოთხი-ხუთი ბავშვი იყო, თბილისში მოეწყვნენ და დაამთავრეს უმაღლესი. ადრე რუსული სკოლა რომ იყო, ცოტა უჭირდათ. სამჯერ მაინც შეიცვალა: თავიდან რომ ჩამოვედით, ჯერ ავარულად იყო სწავლა, შემდეგ რუსული, შემდეგ ქართული. დაწყებითი კლასები იყო ავარულად. ვინც იქით დაამთავრა ათი კლასი, ის იყო აქ მასწავლებლად. ოთხ კლასს დაამთავრებდნენ და რჩებოდნენ ასე უსწავლელად. ახლაც ცხრა კლასს დაამთავრებენ და მორჩა.“ (ყვარელი სოფ.სარუსო, 2025).

სოფელ თივში, ანწუხელები ცხოვრობენ. სარუსოელი რესპონდენტის თქმით: „თივში არიან მარულალები. მაგათი ენა

ისწავლება. კუთხურად რაღაც სიტყვები განსხვავდება, მაგრამ ლიტერატურულ ენაზე ლაპარაკობენ. თიველებს როცა ვხვდები, მე ქართულად ველაპარაკები. თიველებთან უფრო ქართულად და რუსულად ვლაპარაკობთ (ყვარელი, სოფ.სარუსო, 2025).

საინტერესოა ე. კოპალიანის შეფასება, რომელიც მას ყვარლის მუნიციპალიტეტში მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების საჭიროებების მიმოხილვაში განათლების კუთხით აქვს წარმოდგენილი. მკვლევრის შეხედულებით, ავარული თემის საგანმანათლებლო და სოციალურ ცხოვრებაში ძირითად გამოწვევად რჩება სკოლამდელი და არაფორმალური განათლების არასაკმარისი ხელმისაწვდომობა. ბაღის არარსებობა ზღუდავს ბავშვების შესაძლებლობას ადრეულ ასაკში დაეუფლონ ქართულ ენას, რაც შემდგომში მათ სწავლას ართულებს. აქაური ბავშვებისათვის ქართული ენა მეორე ენად განიხილება, ოჯახებში კი მათ საოჯახო ენაზე ესაუბრებიან. სკოლამდელი განათლებისა და ამ საფეხურზე ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობის არქონის გამო, ბავშვებს სკოლის საბაზო საფეხურზე უწევთ ქართულ ენაზე სწავლის სირთულეების დაძლევა. ამასთან, ბილინგვური განათლების სისტემის არარსებობა საფრთხეს უქმნის ავარული ენის შენარჩუნებასაც. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ სკოლაში გამოყოფილი ერთი საათი ავარული ენის კარგად ასათვისებლად საკმარისი არ არის. პრობლემურია ავარული ენის სახელმძღვანელოების არარსებობაც. თემი თავად ცდილობს შეაგროვოს დაღესტანში გამოცემული სახელმძღვანელოები, რაც ასევე გართულებულია, რადგან მათი საზღვარზე გადმოტანა ბიუროკრატიულ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

სკოლამდელი დაწესებულების უქონლობა უარყოფითად აისახება საზოგადოებრივ და ეკონომიკურ საქმიანობაში ქალთა ჩართულობაზეც, რაც ოჯახების ფინანსურ მდგომარეობას ამძიმებს. თივის მოსახლეობა, სადაც, ბავშვების რაოდენობა შედარებით მცირეა, ადგილობრივი თვითმმართველობისგან ტრანსპორტირების უზრუნველყოფას მოითხოვს, რათა ბავშვები მეზობელი სოფლის ბაღში მაინც ატარონ.

თემს ასევე არ გააჩნია სოციალიზაციისა და კულტურული მიმოცვლის სივრცეები, რაც აფერხებს ახალგაზრდების ინტეგრაციასა და კულტურული ურთიერთობების განვითარებას. ამ ვითარებაში აუცილებელია ბილინგვური განათლების დანერგვა, სკოლამდელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რაც თემის სოციალურ ინტეგრაციას მნიშვნელოვნად გააძლიერებს.¹

ავარულ სოფლებში ქალთა განათლებისა და სოციალური ჩართულობის დონე შეზღუდულია. ოჯახები ერიდებიან შვილების ყოველდღიურ მგზავრობას სხვა სოფელში, რის შედეგადაც ბევრი გოგონა საშუალო განათლების გარეშე რჩება. ოჯახები ხშირად არ ითვალისწინებენ გოგონების სურვილს და მათ ადრეულ ასაკში აქორწინებენ. ეკონომიკური სიძნელები და უმუშევრობა ქალებს უბიძგებს იფიქრონ, რომ ოჯახის შექმნა ერთადერთი გამოსავალია. უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა დაბალია, ბევრი გოგონა სწავლას ვერ აგრძელებს ოჯახის წინააღმდეგობის გამო. ახალგაზრდების ნაწილი პროფესიულ განათლებას ირჩევს. თივში შედარებით მეტი გოგონა აგრძელებს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის ზოგიერთი თბილისში ან რუსეთში იღებს უმაღლეს განათლებას; თუმცა ყვარლის რაიონის დაღესტნელი ახალგაზრდები ვერ ხედავენ დასაქმების და განვითარების შესაძლებლობებს, რაც მათ სოფელში დარჩენის ან მიგრაციის არჩევანის წინაშე აყენებს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყვარელში მცხოვრები ლეკებისათვის კვლავ გამოწვევად რჩება განათლებაზე ხელმისაწვდომობა, დასაქმების შესაძლებლობა, პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობა და სხვ.

1 კოპალიანი ე., ყვარლის მუნიციპალიტეტში მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების საჭიროებების მიმოხილვა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023, გვ.10,13

დასკვნა

საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებს და მის მოსახლეობას ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს; განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ქვეყნის საზღვრისპირა რეგიონებში არატიტულოვანი ეთნიკური ორბუტები სახლობენ. წარმოდგენილი ინტერდისციპლინური ნაშრომი, რომელიც საქართველო-დაღესტნის საზღვრისპირა საზოგადოებებს იკვლევს, ისტორიული, ეთნოლოგიური/ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული მეთოდოლოგიების სინთეზს ეფუძნება; მასში წამყვანი როლი ეთნოგრაფიულ მიდგომას უკავია, ვინაიდან საზღვრის კვლევისას იგი აძლიერებს ადამიანის ყოველდღიურ პრაქტიკებში ჩამოყალიბებულ და გამოცდილებაზე დაფუძნებულ ხედვას და ხელს უწყობს საზღვრის სოციალურ და კულტურულ კონსტრუქციად აღქმას; უზრუნველყოფს საზღვრის კვლევის უფრო კომპლექსურ და ადამიანზე ორიენტირებულ ინტერპრეტაციას.

კავკასიონის ქედზე გამავალი სასაზღვრო ზოლის დინამიკა, განსაკუთრებით XIX საუკუნიდან, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ გააქტიურდა; უახლეს ისტორიაში - საბჭოთა წარსულმა, შემდგომ კი პოსტსაბჭოთა პოლიტიკურმა რეალიებმა ეს დინამიკა კიდევ უფრო გაამძაფრა. საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი დღემდე არ არის დემარკირებული, რაც ქმნის სამართლებრივი გაურკვევლობის პრეცედენტს და საზღვრის თვითნებური ცვლილებების საფრთხეს. შესაბამისად, გარდაუვალია ტერიტორიული ცვლილება/კორექტირება, ხოლო საზღვრის ცვლილების ნებისმიერი პროცესი კავკასიის რეგიონში ყოველთვის მტკივნეულად აღიქმება. ჩვენი კვლევის ობიექტი, საქართველო-დაღესტნის საზღვარი, სადავო ტერიტორიების მცირე მასშტაბის მიუხედავად, მნიშვნელოვანი დაძაბულობის მიზეზად შეიძლება იქცეს. სწორედ ამიტომ, კვლევაში ამ საზღვრის ისტორიის, ქართველი და დაღესტნელი ხალხის ურთიერთობის რეალური სურათია წარმოჩენილი.

ისტორიულად, მთიან დაღესტანს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართლის სამეფოსთან, რომელიც ბიზანტიასა და ალბანეთთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებაში. ქართლის მესვეურები ლეკებს აქტიურად იყენებდნენ საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაშიც, რაც მკაფიოდ დასტურდება ქართული წერილობითი წყაროებით.

გვიან შუასაუკუნეებში ურთერთობის პოზიტიური ხასიათი შეიცვალა და გახშირდა თავდასხმები საქართველოზე დაღესტნელთა მხრიდან, რამაც თანდათანობით კატასტროფული ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით იქ ისლამის მომძლავრების შემდეგ; ამ მოვლენას ქართველებმა „ლეკიანობა“ უწოდეს. „ლეკიანობას“ საქართველოსთვის ყოვლისმომცველი ნეგატიური შედეგი ჰქონდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომელიც საქართველოზე დაღესტნელთა გამუდმებულ თავდასხმებს, მარქისიტულ-ლენინური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, მთიელთა პატრიარქალურ-ფეოდალურ წყობას უკავშირებდა.

დაღესტნის მოსახლეობის მთავარი სამეურნეო საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო, დაბლობის რეგიონებში წამყვანი ადგილი მიწათმოქმედებას, ხოლო მთაში მესაქონლეობას ეჭირა. მთური მეცხოველეობის საფუძველს ე.წ. გადარეკვითი სისტემა წარმოადგენდა, რომელიც მოსახლეობას საკვები რესურსების ეფექტურად გამოყენების საშუალებას აძლევდა. საქონელი ზაფხულის განმავლობაში მთის იალაღებზე იმყოფებოდა, ხოლო ზაფხულში ბარის საძოვრებზე გადაჰყავდათ. ვითარება რადიკალურად შეიცვალა XVI საუკუნეში, როდესაც მოსკოვის სამთავროს მზარდი ექსპანსია თანდათანობით უზღუდავდა დაღესტნელ მთიელებს ჩრდილოეთის სტეპების საზაფხულო ბაზებად გამოყენებას და აიძულებდა ალტერნატივა სამხრეთით ეძებნათ.

ხსენებული პერიოდი ემთხვევა გლობალურ კლიმატურ კატაკლიზმებს, რომელიც მცირე გამყინვარების სახელითაა ცნობილი. ბევრი ავტორიტეტული წყაროს თანახმად XVII საუკუნის ბოლოდან

XIX საუკუნის შუა ხანებამდე, დედამიწის დიდ ნაწილში განსაკუთრებით აცვიდა. მართალია, ისტორიულ წყაროებში პირდაპირი მტკიცებულებები არ გვხვდება, მაგრამ, ცხადია, არანაკლებ ნეგატიურ გავლენას მოახდენდა გლობალური აცივება კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაზე. სავარაუდოდ, გაუარესებული კლიმატური გარემო დადესტინის მთიანეთის მოსახლეობას უზღუდავდა ტრადიციულ სამეურნეო საქმიანობას, აიძულებდა მათ საშოვარი ქართულ სოფლებზე თარეშით მოეპოვებინათ და ზრდიდა მიგრაციების ინტენსივობას სამხრეთისაკენ.

ლექთა გამუდმებული თარეშის გამო მეტად მძიმე ვითარება შეიქმნა XVII- XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ბარში. არანაკლებ ზარალდებოდა ამ თავდასხმე- ბისაგან მთაც, რადგან ტრადიციულად მთის მოსახლეობას (თუშ-ფშავ-ხევსურები) ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელელების დაცვა ევალებოდა. ამ ვითარებაში თუშეთი, ერთი მხრივ, თავად მონაწილეობდა სისხლისმღვრელ ბრძოლებში, მეორე მხრივ კი, მას უზღუდებოდა კახეთის საზაფხულო საძოვრებით სარგებლობა. თუშებისა და დადესტნელების ურთიერთთავდასხმების მასშტაბი და ხასიათი განსხვავდებოდა იმის მიხედვით, თუ ვინ იყო ამ თავდასხმების ორგანიზატორი და რა მიზანს ისახავდა იგი.

ვითარება შეიცვალა რუსეთის კავკასიური ომების პერიოდში. საუკუნოვანი დაპირისპირებით თავგაბეზრებული თუშები აქტიურად ჩაებნენ რუსეთის მხარეს კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ ომში. კავკასიის ომის დასრულების შემდეგ რუსულმა ხელისუფლებამ თანდათანობით და სისტემურად აღკვეთა მთიელთა მეკობრეობა. ნელნელა მინავლდა სისხლისმღვრელი შეტაკებების გავლენით გამძაფრებული მტრობა თუშ-ფშავ-ხევსურებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის. განშირდა თუშებსა და დადესტნელებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობები.

ხუნძების მიგრაცია საქართველოში, რომელიც ადრეულ პერიოდში ძირითადად ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული, კავკასიური ომების პერიოდში იმპერიული პოლიტიკის ნაწილი გახდა და კავკასიაში რუსეთის მიერ შექმნილი ეთნოდე-

მოგრაფიული მოზაიკის საერთო კონტექსტში მოექცა. ხუნძების (ავარელების) ყვარლის სანახებში ინფილტრაცია უკავშირდება ან-წუხელების, ბეჟთელების და ჰუნძიბელების მჭიდრო პოლიტიკურ და სამეურნეო - ეკონომიკურ ურთიერთობას კახეთთან, როდესაც ისინი ინტენსიურად იყენებდნენ საძოვრებად ამ ტერიტორიას. XIX საუკუნის დასაწყისისათვის აქ ლეკთა მუდმივი დასახლებები არ ჩანს მაგრამ დაღესტნის ცალკეული თემები ცდილობდნენ კახეთთან ურთიერთობის გაგრძელებას და საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების აღდგენას. მოგვიანებით, XIX საუკუნის 30-40-იან წლებიდან ისინი ყვარლის რაიონში ჯერ სეზონურად, ხოლო მე-20 საუკუნის 30-40-იანი წლებიდან უკვე მუდმივად მკვიდრობენ.

1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანების დასაწყისში, საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, რასაც ამდაფრებდა სახელმწიფოში არეულობის მოსურნე ძალების მხრიდან არაქართული ჯგუფების მიმართ ქსენოფობიური ხასიათის პროპაგანდა და პროვოკაციული ქმედებები, ყვარელში მცხოვრები ლეკების ნაწილი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. ნაწილი კი საქართველოში მძიმე სოციალურ პირობებში დარჩა; ამის შემდეგ კიდევ იყო დაღესტნელთა გადასახლების მცდელობები, თუმცა ორგანიზებული ფორმა მას არ მიუღია; დაღესტანსა და რუსეთში, ცალკეული ოჯახები წავიდნენ, მაგრამ საქართველოში სახლები მაინც შეინარჩუნეს. დღეს ყვარლის დაღესტნელების უმეტესობას ორმაგი მოქალაქეობა აქვს, ისინი რუსული პასპორტებითაც სარგებლობენ. ზოგადად, ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების და საზღვრისპირა მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების გაცემის პრაქტიკა შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც რუსეთის ფართო სტრატეგიული პოლიტიკის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს გავლენის გაძლიერებას და მომავალში ანექსიის სამართლებრივი საფუძვლის შექმნას.

ამჟამად ახალსოფლიდან დაღესტნისკენ უშუალოდ გამავალი გზა ჩაკეტილია, პირდაპირი კონტაქტები შეწყვეტილია და მოსახლეობას დაღესტანში ლარსზე ან ბაქოს გავლით უწევს ჩასვლა.

საყურადღებოა კრემლის ინიციატივით ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობის წამოწყება. ამ გზის დაღესტნის ნაწილის მშენებლობა-რეაბილიტაცია ახლაც აქტიურად მიმდინარეობს რუსეთის მხრიდან და მისი საქართველოს საზღვრამდე მოყვანაა გეგმაში. დღემდე საქართველოში მხოლოდ უარყოფითი პოზიციითაა გამოხატული როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციური ჯგუფებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან. ამის მიზეზი ეკონომიკური და უსაფრთხოების მდგენლის არასასურველი შეფარდებაა.

ყვარელში მცხოვრები ლეკებისათვის გამოწვევად რჩება განათლებაზე ხელმისაწვდომობა, დასაქმების შესაძლებლობა, პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობა და სხვ.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს ორი სოფლის (ჭერო და ინწუხი) კუთვნილების საკითხი. ისტორიულად ეს ქართული სოფლები დაღესტნის რესპუბლიკის დიდოელებით დასახლებულ წუნთის რაიონს ესაზღვრება და მე-19 საუკუნეში დაცლილა. საქართველოს ოფიციალური, მოქმედი რუკებით, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაშია. მაგრამ, რადგან საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესი დასრულებული არ არის, დღეს ეს მონაკვეთი შეუთანხმებელია. ემპირიული მასალა, საისტორიო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა საშუალებას იძლევა დაბეჯითებით ვილაპარაკოთ ამ სოფლების საქართველოსადმი კუთვნილებაზე, მით უფრო როდესაც რუსეთის იმპერიისდროინდელი და საბჭოთა პერიოდის კარტოგრაფიული მონაცემები ამას დოკუმენტურად ასაბუთებს.

დაღესტნის მოსაზღვრე ყვარლის რაიონში დაღესტნური დასახლებების არსებობა დღეს არ ქმნის არც სეპარატიზმის და არც ირედენტისმის საფრთხეს, თუმცა ისინი, შესაძლოა, კრემლის პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფიგურად იქცენ.

NATIA JALABADZE,
LAVRENTI JANIASHVILI,
NIKA LOLADZE

THE DAGESTAN SECTION OF THE GEORGIAN-RUSSIAN BORDER

(PAST AND PRESENT)

INTERNATIONAL SCIENTIFIC RESEARCH INSTITUTE OF THE PEOPLES OF
THE CAUCASUS

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENTIFIC FOUNDATION



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

FROM THE EDITOR

The Georgians are indigenous population of the Caucasus, whose historical borders of settlement ran along the boundaries shaped by the nature: to the North – mainly along the watershed of the Greater Caucasus, to the south – along the Lesser Caucasus Mountain system, to the west – along the Black Sea; and along the tributaries of the Kura River (Dzegami and Alazani – Agrichai) – to the east.

Along with other factors, precisely these natural conditions enabled the Georgian nation to repel external enemies, who, in many cases, significantly outnumbered it, and to preserve its national identity. Yet the vicissitudes of time, whether through the overwhelming power of great empires or through our own shortcomings, have repeatedly disrupted the historical borders of our homeland.... National territory is a centuries-old creation of the people inhabiting it, one of the most important symbols of its collective memory, the violation of which, even a partial one, leads to tangible changes in the ethnopsychology of generations.

Every ethnos is harmoniously intertwined with the natural environment in which it lives and labours. It could not be otherwise, for this environment serves as its reliable refuge, sustenance, source of livelihood, and a decisive factor in shaping its national character. It is the land of its ancestors—their motherland... Therefore, caring for her as the apple of the eye was considered a duty imposed by God in all ages. The Georgian people are no exception. “The Georgian Chronicles” recounts that whenever the enemy conquered the territory of Georgia “, mourning and sorrow reigned among all the Georgians.” And this is not a single case. Our ancestors, who took each defeat painfully, never resigned themselves to the seizure of even a small piece of the land from the enemy. They would meet the oppressor with dignity and fight selflessly to reclaim what had been taken. This is how we have survived from ancient times to the present day.

The present work is a monographic study of the complex political, economic, ethnosocial and cultural processes characteristic of the

Dagestan section of the Georgia-Russia state border. A group of researchers with extensive experience and strong expertise in their field (N. Jalabadze, L. Janiashvili, N. Loladze) have examined the diverse and complex phenomenon of the modern border using contemporary methodological approaches. Rich scientific literature, narrative and documentary sources, as well as the collection and analysis of field ethnographic material, have allowed for outlining all the problems existing in the specified border section. This has been achieved thanks to the interdisciplinary nature of the research. Accordingly, the conclusions and recommendations outlined in the collective monograph are noteworthy in many ways. This is why the work is not only of scientific and educational value but also has great practical significance. This leads me to believe that the book will be of interest not only to specialists but also to a wide range of readers.

INTRODUCTION

This collective monograph is the outcome of research conducted within the framework of the project “Ethno-historical Processes in the Borderline Region with the Russian Federation (Dagestan Section)” (BRG-I-24-617), which was awarded a 2024 grant by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia for the promotion of research projects and international scientific events on the study of Georgia’s border regions. In a sense, it also continues the authors’ long-term work in this field.¹

-
- 1 Jalabadze N., Vashakidze V., Janiashvili L., Urushadze V. *Border-line Population in the Past and Present (Kakheti)*, Tb. 2022; Janiashvili L., Melikishvili L., Mamardashvili G., Urushadze V., *Integration of Ethnic Groups in Kvemo Kartli (the Armenians and Azerbaijanis)*, Tbilisi 2021; Topchishvili R., Bagrationi G., Gagoshidze G., Gogochuri G., Jalabadze N., Janiashvili L., Avtandilashvili G., Truso – *Historical and Ethnocultural Problems*, Tb. 2021; Janiashvili L., *The Issue of the Ossetians in Kazbegi District*, Tb. 2017; Jalabadze N., *The Ossetians of Kazbegi District in the Context of Georgian-Ossetian Relations: Perspectives on Georgian-Ossetian Relations in Kazbegi District*, Tb. 2017, etc.

The study of borderline regions is closely linked to the issue of national security. Restoring territorial integrity and ensuring peace and stability along the borders remains the primary objective of the Georgian state, so such research boasts not only scientific-theoretical but also practical significance. In today's Georgia, as well as in the Caucasus and the post-Soviet space as a whole, the issue of the state border is closely linked to sovereignty, territorial integrity, and identity. Consequently, the significance of the border extends beyond physical geography and assumes socio-political, economic, and cultural significance. State boundaries, traditionally perceived as fixed, natural, or conventionally defined dividers, are increasingly understood in contemporary studies as historically constructed phenomena, politically managed and shaped by socio-economic practices.

Georgia's northern border (with Russia) poses a particular challenge, as the Russian Federation is perceived as the main threat to the existence of the Georgian state; it has occupied 20% of the country's territory and is attempting to subjugate Georgia to its geopolitical influence through hybrid warfare. Moreover, unlike other neighbouring states, diplomatic relations with Russia have been completely severed, and the process of border delimitation-demarcation has not even been started, which increases the risk of arbitrary border redrawing. By the way, in addition to the occupied regions, Russia's illegal seizure of territories also took place in the area of our interest, namely in the villages of Chero and Intsukhi located in the Chanchakhovani Gorge (Tusheti). Historically, these villages, bordering the Tsunti district of the Republic of Dagestan, were inhabited by Georgians, but in the 19th century, they were emptied due to Lezgin forays. In the 1990s, Russian and Georgian border guards alternately patrolled here, but since the incident in 2006, the territory has been completely controlled by the Russian Federation. It is worth noting that Russian provocations had also occurred on other occasions. For example, on 28 June 2018, Russians abducted two Georgian border guards on the Dagestan section of the Georgia-Russia border in Lagodekhi Municipality. There are also several known abduction cases of Georgian

shepherds. Several years ago, the construction and rehabilitation of the Avaro-Kakheti road, planned by the Russian side, raised concerns in Georgian society. This road is very beneficial for the Russian Federation from a geopolitical standpoint, but it is completely unacceptable for the Georgian side under the current circumstances. The research issue gains even greater relevance given the changing political mood in Georgia and the international geopolitical situation.

The study was conducted in four municipalities of Kakheti: Akhmeta, Telavi, Kvareli, and Lagodekhi. This border strip contains several passes (the Qadori Pass is particularly important); no motor road was built even during the Soviet period, therefore, the population of Kakheti and Dagestan was connected by footpaths.

Georgians refer to all the Dagestanis as Lekebi (lit. Lezgins), and more or less base their relations with them on the narrations embedded in their historical memory. It should also be considered that the collapse of the Soviet state led to the creation of a fertile ground for open confrontation between groups of different ethnic and religious backgrounds. This is accompanied by the historical perspective: the Christian population of Kakheti perceived the Dagestani/Lezgin as an enemy, a robber, and a bully—a perception that, in part, still persists today.

Kakheti is primarily shaped by the territories of ancient Georgian historical and geographical provinces: Tusheti, Kakheti, Kukheti, and Hereti. Its borders underwent certain changes over various historical periods. From ancient times, this was a contact zone between the peoples of Georgian and Caucasian (Dagestani) descent. In the early Middle Ages, mountainous Dagestan had close ties with the Kingdom of Kartli, which, along with Byzantium and Albania, played an important role in the spread of Christianity in the North Caucasus. The rulers of Kartli actively used the Lezgins in the struggle against foreign enemies, which is clearly confirmed by Georgian written sources. At a certain point, the Khundzi were nominally part of the Georgian political space. Tamerlane's campaigns in the Caucasus and the collapse of united Georgia marked the beginning of Dagestan's political and cultural

distancing from the Georgian world. From then on, the Lezgins' constant raids, their large-scale settlement in Eastern Kakheti, and acts of piracy (*Lekianoba*) took on increasingly severe proportions. This fairly painful process continued with varying intensity until the Russian Empire took over the South Caucasus. In the late Middle Ages, the relations between Georgian and Dagestani highlanders also took on the character of a sharp confrontation. In addition to the religious factor, this was due to the weakening influence of the central government in the mountains and the almost complete replacement of the formal legal system with customary law. The nature of the relations and the system of ethical values between clans, communities, villages, and neighbouring communities in the highlands differed from those in the lowlands. Piracy – violent appropriation of the property of neighbouring people, villages, or communities – became a way of life here. This circumstance largely determined the relations between Georgian highlanders and their North Caucasian neighbours. Neither Georgians nor their northern neighbour-highlanders regarded the theft of sheep, cows, and horses as shameful; on the contrary, such behaviour was considered a great feat, and these deeds were often the subject of heroic poems.

In the 17th century, “free communities” of the Avars and Tsakhur Lezgins were formed in the extreme eastern part of Hereti (Kaki/Kakhi). Two political entities, the Sultanates of Char-Belakan (Kak-Eniseli) and Elisli, were created. The 17th -18th centuries were difficult for Kakheti. Later, in addition to the Char-Belakan and Elisli Sultanates, a small number of Dagestanis settled in the neighbourhood of Kvareli as well. These Lezgins used the winter pastures of Kakheti and spent the winter in the Bezhaniani Valley (where the village of Akhalsopeli is located today) on the banks of the Shorokhevi River. Initially, they lived here seasonally, paying “grass taxes” for the use of the pastures, and flocks of sheep were accompanied only by shepherds; later, they started coming here with families, acquired homestead plots, and established several temporary settlements. This heterogeneous process continued

until the 1950s (today, the Khundzi live in the villages of Kvareli district: Chantliskure, Tivi, and Saruso).

Following the collapse of the Soviet Union, the situation in the Caucasus and the policy of the Russian Federation led to the breakdown of the bridge between a number of peoples of the South and North Caucasus for an indefinite period of time. Due to the tragic events of the post-Soviet period (two Russia-Chechnya wars, the so-called South Ossetian, Abkhazian and Karabakh conflicts, the 2008 Russia-Georgia war, its accompanying borderization, etc.), the relations between the Georgian and the North Caucasian peoples have taken a completely different direction compared to the Soviet epoch. The political entities of the North Caucasus that remained within the Russian Federation experienced negative consequences from their isolation from Georgia, affecting not only political and socio-cultural ties but also interethnic relations. The artificial interruption of physical and, consequently, socio-cultural contacts between the peoples of the North and South Caucasus was a violation of the regularity which historically underlay the unity of the Caucasian peoples. This situation had a peculiar effect on the Lezgins living in Kakheti. Some of the Avars moved to Dagestan in the 1990s. Of the more than 4,000 Avars in Kvareli district, approximately 2,000 remained and had to confront the socio-economic and political crisis alongside their Georgian neighbours.

